

# სანიჰტო სამართალი

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი  
სამოქალაქო საქმეებზე

2022, №5

Decisions of the Supreme Court of Georgia  
**on Civil Cases**  
(in Georgian)

2022, №5

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien  
**in Zivilsachen**  
(in der georgischen Sprache)

2022, №5

Решения Верховного Суда Грузии  
**по гражданским делам**  
(на грузинском языке)

2022, №5

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი  
**ქატიკვან შენგელია**

ტექნიკური რედაქტორი

**მარიკა მაღალაშვილი**

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 298 20 75;  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და  
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების  
დეპარტამენტის მხარდაჭერით

## საკიეხელი

1. საკუთრების შინაარსი  
უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა ..... 4; 15  
ხელშეშლის აღკვეთა ..... 26
2. სამეზობლო სამართალი  
აუცილებელი გზა ..... 35; 109  
ფულადი კომპენსაცია თმენის ვალდებულებისათვის ..... 48
3. საკუთრების შექენა და დაკარგვა  
უძრავ ნივთზე საკუთრების შექენა გარიგების საფუძველზე ..... 132  
მოძრავ ნივთზე საკუთრების შექენის საფუძველები ..... 150
4. საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობები ..... 156; 169

# 1. საკუთრების შინაარსი

## უკანონო ფიზიკური პირის ნივთის გამოთხოვა

### გადაწყვეტილება საქართველოს სასჯელით

№ას-1042-1003-2016

11 აპრილი, 2018 წ., ? თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა

შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ე. გასიტაშვილი,  
ბ. ალაიძე

დავის საგანი: უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. ქ. ბათუმში, ... მდებარე 378 კვ.მ მიწის ნაკვეთზე ა. გ-ძის (შემდეგში – მამკვიდრებელი) ანდერძისმიერ მემკვიდრე ი. კ-სა (შემდეგში – თანამესაკუთრე) და დ. ბ-ძეს (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოსარჩელე, პირველი აპელანტი, კასატორი) 1997 წელს (ახალი სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებიდან) თანასაკუთრების უფლება წარმოეშვათ. მოსარჩელესა და თანამესაკუთრეს შორის თანასაკუთრება რეალურად 2012 წელს გაიყო და 204.00 კვ.მ მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული 216.96 კვ.მ შენობა-ნაგებობით მოსარჩელის საკუთრებად აღირიცხა.

2. მოსარჩელის სახელზე აღრიცხულ მიწის ნაკვეთზე განთავსებულ 24.4 კვ.მ ავტოფარეხს 1981 წლიდან ზ. ლ-ძე (შემდეგში მოპასუხე, შეგებებული სარჩელის ავტორი, მეორე აპელანტი,) ფლობს, რომელიც მიწის ნაკვეთის მეზობლად ქ. ბათუმში, ... მდებარე მრავალბინიანი სახლში ცხოვრობს.

3. 2015 წლის 23 ოქტომბერს მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპასუხის წინააღმდეგ თავისი უძრავი ქონების მოპასუხის კუთვნილი სათავსოსაგან გათავისუფლების მოთხოვნით. მოსარჩელის მტკიცებით, მის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მოპასუხეს უკანონოდ აქვს აშენებული ავტოფარეხი და, არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, მიწას შენობისგან არ ათავისუფლებს.

4. მოპასუხემ მოთხოვნის წარმოშობის დამაბრკოლებელი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ იგი ნივთის მართლზომიერი მფლობელია.

ამასთან, მან შეგებებული სარჩელი წარადგინა სადავო ავტო-

ფარების საკუთრებაში გადაცემის მოთხოვნით, საბაზრო ღირებულების 25%-ის გადახდის სანაცვლოდ. შეგებებული სარჩელით მოსარჩელემ განმარტა, რომ სადავო ავტოფარეს, რომელიც მოსარჩელის კუთვნილ 26.0 კვ.მ მიწის ნაკვეთზე მდებარეობს, 1986 წლიდან (შემდგომში დააზუსტა, რომ 1981 წლიდან) ფლობს. თავდაპირველად, საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლება მამკვიდრებელთან შეთანხმებით წარმოეშვა (200 მანეთის გადახდის სანაცვლოდ), რომლის გარდაცვალების შემდეგ მის მემკვიდრესა და მოსარჩელესთან შეთანხმდა. თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გაყოფის შემდეგ კი, საცხოვრებელი ფართით სარგებლობის ურთიერთობა მოსარჩელესთან გააგრძელა. შეგებებული სარჩელის ავტორი მიიჩნევდა, რომ მხარეთა შორის არსებული ურთიერთობა „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონით უნდა მოწესრიგებულიყო, კერძოდ, სადგომის საბაზრო ღირებულების 25%-ის გადახდის სანაცვლოდ, ავტოფარეხი მის საკუთრებაში უნდა აღრიცხულიყო.

5. მოსარჩელემ შეგებებული სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მხარეებს შორის გარიგება არ დადებულა და მოპასუხეს მოსარჩელის ტერიტორია უკანონოდ აქვს მიტაცებული. ამასთან, შენობა საცხოვრებელი სადგომი კი არა – ავტოფარეხი იყო.

6. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 13 მაისის გადაწყვეტილებით, სარჩელი და შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში სსკ-ის) 170.1, 172.1 და 179.1 მუხლები, „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი და 1<sup>1</sup> მუხლები.

6.1. სასამართლომ განმარტა, რომ უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის თაობაზე მოთხოვნის უფლება მესაკუთრის საკუთრების უფლების დაცვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უფლებაა, თუმცა საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობა აწესებს გარკვეულ დათქმას, შეზღუდვებს, რომელიც მესაკუთრის აბსოლუტურ უფლებებს გარკვეულწილად ზღუდავს, კერძოდ, სსკ-ის 179.1 მუხლის მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ მესაკუთრისათვის ცნობილი ხდება მოსალოდნელი დარღვევის შესახებ, მაგრამ იგი ამაზე მაშინვე არ აცხადებს პრეტენზიას, მაშინ უფლებადარღვეული ნაკვეთის მესაკუთრემ უნდა ითმინოს აღნიშნული ზემოქმედება.

სასამართლოს მითითებით, განსახილველ შემთხვევაში, სადავო არ იყო, რომ ავტოფარეხი კაპიტალური სახით მოპასუხემ 90-

იან წლებში ააგო და მოსარჩელეს – მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს ამაზე 2015 წლამდე პრეტენზია არ გამოუხატავს. შესაბამისად, უნდა ითმინოს მის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე მოპასუხის მხრიდან ზემოქმედება. ამდენად, სასამართლომ მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისათვის კუთვნილი ავტოფარეხის დემონტაჟის დავალდებულების შესახებ უსაფუძვლოდ მიიჩნია.

6.2. შეგებებული სარჩელის თაობაზე სასამართლომ მიუთითა, რომ განსახილველი სადავო ფართი ავტოფარეხი იყო და არა – საცხოვრებელი სადგომი, რის გამოც სადავო ურთიერთობა სპეციალური კანონით ვერ მოწესრიგდებოდა. ამდენად, არ არსებობდა შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი.

### **7. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მოსარჩელემ და შეგებებული სარჩელის ავტორმა სააპელაციო წესით გაასაჩივრეს.**

7.1. მოსარჩელემ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

მოპასუხისათვის კარგად იყო ცნობილი, რომ ავტოფარეხს აშენებდა მოსარჩელისა და მემკვიდრის თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე. ამასთან, სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოება, რომ მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს შეტყობისთანავე ამის წინააღმდეგ არ განუცხადებია, არასწორია, რადგან მან და უძრავი ქონების თანამესაკუთრემ მაშინვე განუცხადეს პრეტენზია მოპასუხეს და უკანონოდ აგებული ავტოფარეხის დაშლა მოსთხოვეს. 2012 წელს კი, როცა უძრავი ქონება თანამესაკუთრეთა შორის რეალურად გაიყო და უკანონოდ აშენებული ავტოფარეხი მოსარჩელის საკუთრებაში დარეგისტრირებულ მიწის ნაკვეთში მოხვდა, უშუალოდ მოსარჩელემ მიმართა მოპასუხეს ავტოფარეხის მოშლის მოთხოვნით, მაგრამ უშედეგოდ. ამდენად, მოპასუხემ განზრახ, ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, უკანონოდ ააშენა ავტოფარეხი, რომელსაც ბოლოს საცხოვრებელი სადგომი დაარქვა. მოსარჩელემ კი, მას შემდეგ, რაც ვერც მერიის შესაბამის სამსახურში დაეხმარნენ და ვერც პოლიციაში, მიმართა სასამართლოს.

ის ფაქტი, რომ მოპასუხე განზრახვის გარეშე გადასცდა მეზობლის ნაკვეთის ფარგლებს და ეს მოსარჩელემ უნდა ითმინოს, არც შესაგებელში, არც შეგებებულ სარჩელში და არც სასამართლო სხდომაზე მიცემულ ახსნა-განმარტებებში არ მიუთითებია მოპასუხეს. შესაბამისად, სასამართლოს მიერ სსკ-ის 179.1 მუხლზე დაყრდნობით სარჩელის უარყოფა, დაუსაბუთებელია.

7.2. შეგებებული სარჩელის ავტორმა გასაჩივრებული გადაწყვე-

ტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოპასუხემ სადავო ნაგებობა ააგო 1978 წელს, თავდაპირველად მეტალისა და ხის, ხოლო 1980-იანი წლებიდან ქვა-ბეტონის. ამასთან, მოსარჩელეც ადასტურებს, რომ სადავო ნაკვეთზე დგას ავტოფარეხის მსგავსი ტიპური შენობა (კონსტრუქცია). მნიშვნელოვანია, რომ შეგებებული სარჩელის განხილვისას სასამართლოს ავტოფარეხის პირდაპირი დანიშნულებით გამოყენება არ დაუდგენია. მხარეთა განმარტება და მოწმეთა ჩვენება კი ადასტურებს, რომ მოპასუხე ავტოფარეხის ტიპურ შენობას, კონსტრუქციას საცხოვრებლად იყენებს.

მეორე აპელანტის მითითებით, სპეციალური კანონი არ ასახელებს შენობის ან კონსტრუქციის სახეს და ტიპს, ე.ი. კანონის მოქმედება ვრცელდება საცხოვრებლად გამოყენებული ფართისა და კონსტრუქციის ნებისმიერ ტიპზე, თუ მესაკუთრესა და მოსარგებლეს შორის ურთიერთობა წარმოიშვა მისი საცხოვრებლად გამოყენების გამო.

**8. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 22 სექტემბრის განჩინებით პირველი და მეორე აპელანტის სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 13 მაისის გადაწყვეტილება.**

8.1. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, მათი სამართლებრივი შეფასება (წინამდებარე განჩინების 6.1.-6.2. პუნქტები). ამასთან, პალატამ სამეზობლო სამართლის მომწესრიგებელი შესაბამისი ნორმებითაც (სსკ-ის 174-ე, 176-ე, 179.1 მუხლებით) იხელმძღვანელა, ვინაიდან მიიჩნია, რომ დავა მეზობელ მიწის ნაკვეთებს შეეხებოდა, რომლებიც ერთმანეთზე ურთიერთზემოქმედებენ.

8.2. სასამართლომ მიუთითა, რომ ავტოფარეხში მოპასუხე შედის და გამოდის ამხანაგობის, ანუ ნაწილობრივ თავისი ნაკვეთიდან. შესაბამისად, სრულიად დაუდასტურებელი იყო, რომ ავტოფარეხის გამოყენებისას იგი დაუშვებლად ხელყოფდა მოსარჩელის საკუთრებას. ამასთან, უდავო იყო, რომ ამ უკანასკნელს თავის ნაკვეთთან სხვა მხრიდან მისვლის შესაძლებლობაც ჰქონდა.

8.3. სასამართლოს მითითებით, უდავო იყო, რომ 1997 წლიდან (ახალი სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებიდან) მოსარჩელეს, როგორც მესაკუთრეს, ჰქონდა შესაძლებლობა, მაშინვე განეცხადებინა მეზობლის მხრიდან მისი უფლების დარღვევის თაობაზე, რაც

არ გაუკეთებია. თანამესაკუთრეებს შორის უძრავი ქონება რეალურად 2012 წელს გაიყო, არც ამ დროს არ განუცხადებია მას პრეტენზია. სასამართლომ განმარტა, რომ მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმულობა, რომლის ვადის გასვლის შემდეგ, ვალდებული პირი უფლებამოსილია, უარი თქვას მოქმედების შესრულებაზე. ამდენად, სასამართლოს დასკვნით, მოთხოვნა ხანდაზმული იყო, რის გამოც პირველ აპელანტს თავის მიწის ნაკვეთზე მოპასუხის ავტოფარების არსებობის თემის ვალდებულება ჰქონდა.

8.4. ამასთან, პალატამ მნიშვნელოვნად მიიჩნია ფაქტი, რომ 1980-იან წლებში, როდესაც ავტოფარები აიგო, ჯერ კიდევ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ მიწაზე, მოპასუხეს არ შეიძლებოდა მეზობელი მიწის ნაკვეთზე განგებ გადაცდენა განეზრახა, რადგან 1980-იან წლებში შეუძლებელი იყო მოსარჩელეს სცოდნოდა, თუ ვისი იქნებოდა სადავო მიწა მომავალში. სახელმწიფოს კი, არც იმთავითვე და არც 1997 წლამდე პრეტენზია არ განუცხადებია სადავო ავტოფარებზე.

8.5. მეორე აპელანტის პრეტენზიასთან დაკავშირებით სასამართლომ მიუთითა, რომ დავა შეეხებოდა ავტოფარების დემონტაჟს და არა – საცხოვრებელ სადგომს. შესაბამისად, დავა სპეციალური კანონით ვერ მოწესრიგდებოდა, რაც მეორე აპელანტის სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი გახდა.

**9. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე მოსარჩელემ საკასაციო საჩივარი წარადგინა და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა შემდეგ პრეტენზიებზე მითითებით:**

9.1. არასწორია სასამართლოს მითითება, თითქოს კასატორს არ განუცხადებია პრეტენზია თავის მიწის ნაკვეთზე ავტოფარების აშენებისას. როგორც კასატორმა, ისე უძრავი ქონების თანამესაკუთრემ, როგორც კი გაიგეს უკანონო მშენებლობის შესახებ, მაშინვე მიმართეს ქალაქის მერიას, თუმცა უშედეგოდ. მას შემდეგ კიდევ რამდენჯერმე მიმართეს მერიას, რაზეც ზეპირსიტყვიერად მიიღეს პასუხი, რომ ავტოფარებს დაშლიდნენ, მაგრამ დაპირება არ შეასრულეს.

9.2. სადავო მიწის ნაკვეთი კასატორის საკუთრება, მანამდე კი თანასაკუთრება რომ იყო, მოპასუხეც ადასტურებს თავის შეგებულ სარჩელსა და სააპელაციო საჩივარში. ამდენად, კასატორისათვის გაუგებარია, რატომ მიიჩნია სასამართლომ, რომ მოპასუხე განზრახვის გარეშე გადასცდა მეზობელი ნაკვეთის საზღვრებს. მოპასუხე თავადვე ადასტურებს, რომ მიწის ნაკვეთი მამკვიდრებ-



ლის საკუთრება იყო, რომელმაც მას, 200 მანეთის სანაცვლოდ, მშენებლობის ნება დართო. შემდეგ კი, მემკვიდრეებს – კასატორსა და მის თანამესაკუთრეს გაურიგდა. შეგებებული სარჩელით მოსარჩელემ თავად წარადგინა ნოტარიულად დამონმებული „ანდერდისმიერი მემკვიდრეობის უფლების მონმობა“, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ცნობა-დახასიათება, სააგენტოს ტექნიკური აღრიცხვის საინვენტარიზაციო გეგმა. აღნიშნული დოკუმენტები ადასტურებენ იმ ფაქტს, რომ სადავო მინის ნაკვეთი საკუთრების უფლებით კასატორსა და მის თანამესაკუთრეს ეკუთვნოდათ, ასევე იმ ფაქტსაც, რომ მოპასუხისათვის ამის შესახებ ცნობილი იყო და მან შეგნებულად ააგო სადავო შენობა.

ზემოაღნიშნული ფაქტები ადასტურებს იმასაც, რომ სასამართლოს მითითება, მინის ნაკვეთის სახელმწიფოს კუთვნილების თაობაზე, სიმართლეს არ შეესაბამება.

10. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 29 ივნისის განჩინებით, საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი დასაბუთებულია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

11. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. მოცემულ შემთხვევაში, დადგენილი ფაქტების არასწორად შეფასებისა და მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენების თაობაზე კასატორმა დასაბუთებული პრეტენზია წარმოადგინა, რაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველია.

12. უკანონოდ დაკავებული ფართის გამოთავისუფლებისა და მოსარჩელისათვის გადაცემის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია სსსკ-ის 172-ე მუხლის პირველი ნაწილი (მესაკუთრეს შეუძ-

ლია, მფლობელს მოსთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მფლობელს ჰქონდა ამ ნივთის ფლობის უფლება).

13. ვინდიკაციური სარჩელის დაკმაყოფილებისათვის უნდა არსებობდეს შემდეგი წინაპირობები: ა. მოსარჩელე უნდა იყოს ნივთის მესაკუთრე; ბ. მოპასუხე უნდა იყოს ნივთის მფლობელი; გ. მოპასუხეს არ უნდა ჰქონდეს ნივთის ფლობის უფლება. მოთხოვნის უფლების მფლობელია ნივთის მესაკუთრე, რომელსაც ეკისრება საკუთრების უფლების მტკიცების ტვირთი, ხოლო მოთხოვნის უფლების მოვალეა ნივთის მფლობელი, რომელსაც, თავის მხრივ, მართლზომიერი მფლობელობის მტკიცების ტვირთი ეკისრება.

14. მოცემულ შემთხვევაში, საჯარო რეესტრის ამონაწერიდან დგინდება და არც მხარეთა შორის არ არის სადავო, რომ მიწის ნაკვეთი, რომელზეც მოპასუხემ ავტოფარეხი ააშენა მოპასუხის საკუთრებაა. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხე ავტოფარეხის აშენებისას, განზრახვის გარეშე გადასცდა მოსარჩელის კუთვნილი ნაკვეთის საზღვარს, მოსარჩელემ ამის შესახებ პრეტენზია თავის დროზე არ განაცხადა, რის გამოც პალატამ იხელმძღვანელა სსკ-ის 179.1 მუხლით, 128.1, 130-ე, 144-ე მუხლებით და დაასკვნა, რომ მოსარჩელემ უნდა ითმინოს მის ნაკვეთზე ავტოფარეხის არსებობა.

15. საკასაციო პალატა, პირველ რიგში, აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ ვინდიკაციურ მოთხოვნაზე ხანდაზმულობის ნორმების გავრცელება არასწორია, აღნიშნული ეწინააღმდეგება საკუთრების აბსოლუტურ ბუნებას. არასწორია, სასამართლოს დასკვნა მოპასუხის მიერ განზრახვის გარეშე მეზობელი მიწის ნაკვეთის გადაცდომის თაობაზეც, რამდენადაც მოპასუხის შესაგებელი აღნიშნულ ფაქტობრივ საფუძვლებს არ ემყარებოდა და მოვლენათა ამგვარი განვითარების შესახებ მოპასუხეს არსად მიუთითებია. მართალია, მან წარადგინა შედავება მართლზომიერ მფლობელობასთან დაკავშირებით, თუმცა შედავება არ ეფუძნებოდა იმას, რომ იგი შემთხვევით გადასცდა მეზობლის საზღვარს, პირიქით, მოპასუხე, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოში (შეგებებულ სარჩელსა და ახსნა განმარტებაში), ისე სააპელაციო სასამართლოში ამტკიცებდა, რომ მამკვიდრებელმა მას, 200 მანეთის გადახდის სანაცვლოდ, სადავო მიწით სარგებლობის უფლება დაუთმო. უფრო მეტიც, მან შეგებებული სარჩელი წარადგინა და ურთიერთობის მოწესრიგება „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ითხოვა.

სასამართლო შეტოვებულია მხარეთა მიერ მითითებული საქმის იმ ფაქტობრივი გარემოებებით, რომელზეც გადანყვეტილება უნდა გამოიტანოს. მხარეს არ მიუთითებია იმ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომელიც სასამართლოს მიერ გამოყენებული ნორმის წინაპირობებს შეესაბამებოდა. შესაბამისად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ დასაბუთებელია კასატორის პრეტენზია სააპელაციო სასამართლოს მიერ მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენებასთან დაკავშირებით.

16. შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა, მოპასუხე არ იქნა მიჩნეული სპეციალური კანონის მიზნებისათვის „მოსარგებლედ“ და ამ ნაწილში გადანყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული. ამდენად, მოპასუხის მართლზომიერი მფლობელობა სპეციალური კანონიდან არ გამომდინარეობს. კასატორის მტკიცებით, მის მართლზომიერ მფლობელობას განაპირობებს მამკვიდრებლის მიერ მისთვის სადავო მიწის ნაკვეთის სარგებლობაში გადაცემა და ავტოფარების აშენების თანხმობა, რაც დასტურდება, როგორც საქმეზე მოწმის სახით დაკითხული პირების ჩვენებებით, ისე, იმ ფაქტითაც, რომ მამკვიდრებელს თავის სიცოცხლეში პრეტენზია არ გამოუხატავს თავის ტერიტორიაზე ავტოფარების აშენების გამო. კასატორის მტკიცებით, მხარეებს შორის ეს გარიგება უვადოდ იყო დადებული. ფაქტობრივად, კასატორი მიუთითებს, რომ მეზობლებს შორის არსებობდა შეთანხმება მამკვიდრებლის მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის მოპასუხის მიერ უვადოდ სარგებლობის თაობაზე.

17. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოპასუხის შედაგება არაარსებითია, რამდენადაც სასამართლომ რომც დაადგინოს მამკვიდრებელსა და მოპასუხეს შორის ამგვარი ზეპირი შეთანხმების არსებობა, შესაგებელი მოსარჩელის მოთხოვნის წარმოშობის წინაპირობებს ვერ აბათილებს.

როგორც მხარეები მიუთითებენ მამკვიდრებელი გარდაიცვალა 1981 წელს. იმ პერიოდისათვის მოქმედი 1964 წლის 26 დეკემბრის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 93-ე მუხლის თანახმად, მიწა, მისი წიაღი, წყალი და ტყე წარმოადგენდა მხოლოდ სახელმწიფოს საკუთრებას და გაიცემოდა სარგებლობისათვის. ამავე კოდექსის 103-ე მუხლის შესაბამისად, ფიზიკურ პირთა საკუთრება ვრცელდებოდა საცხოვრებელ სახლებზე, ხოლო მიწის ნაკვეთი მათ გადაეცემოდათ სარგებლობაში. მიწის ნაკვეთის სარგებლობაში გადაცემის წესს აწესრიგებდა იმ დროს მოქმედი მიწის შესახებ კანონმდებლობის საფუძვლები (საფუძვლების მე-3 მუხლის თანახმად, მოქალაქეს მიწის ნაკვეთი სარგებლობაში გადაეცემოდა ამ საფუძვლებისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით დადგენილი

ნესით), რომლის მე-20 მუხლის თანახმად, მოქალაქეს უფლება ჰქონდა, საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის მიეღო მფლობელობაში მიწის ნაკვეთი და ესარგებლა ამ მიწის ნაკვეთით სიცოცხლის ბოლომდე მემკვიდრეობით გადაცემის უფლებით. მიწის მფლობელს მის მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის ან მისი ნაწილის მხოლოდ დროებით სარგებლობაში გადაცემის უფლება ჰქონდა კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში და ნესით (საფუძვლების მე-16 მუხლის მე-7 ქვეპუნქტი), ხოლო, ამავე ნორმატიული აქტის 53-ე მუხლის მიხედვით, ბათილია მიწის ნაკვეთების თაობაზე დადებული ნასყიდობის, გაცვლის, ჩუქების, გირავნობის ხელშეკრულებები. იმ დროს მოქმედი საქართველოს მიწის კოდექსის (1971 წლის 1 ნოემბერი) 151-ე მუხლის თანახმად კი, მიწის ნაკვეთების ყიდვა-გაყიდვა, დაგირავება, ანდერძით დატოვება, ჩუქება, იჯარით გაცემა, თვითნებური გაცემა და სხვა გარიგებანი, რომლებიც აშკარა თუ ფარული ფორმით არღვევს მიწაზე სახელმწიფო საკუთრების უფლებას, ბათილი იყო. შესაბამისად, იმ დროს მოქმედი მიწის შესახებ კანონმდებლობის თანახმად, მიწის მფლობელს უფლება ჰქონდა, მხოლოდ დროებით სარგებლობაში გადაეცა მიწის ნაკვეთი, ისიც კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში და ნესით, წინააღმდეგ შემთხვევაში, გარიგება იყო ბათილი.

18. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ იმ შემთხვევაშიც, თუ მამკვიდრებელსა და მოპასუხეს შორის ამგვარი შეთანხმება არსებობდა, ზემოაღნიშნული ნორმები ცხადყოფს, რომ იმ დროს არსებული კანონი არ ითვალისწინებდა სახელმწიფოსაგან მფლობელობაში გადაცემული მიწის ნაკვეთის მფლობელის მიერ სხვა პირის მფლობელობაში სამუდამოდ გადაცემას. მიწა არაგასხვისებადი იყო, შესაბამისად, ამ მიწის ნაკვეთის გასხვისების ან სხვაგვარი კანონსაწინააღმდეგო გადაცემის ხელშეკრულება ბათილი იყო (შდრ სუსგ №ას-439-415-2013, 30.10.2013 წელი).

19. გარდა ამისა, მოქმედი სამართლებრივი სივრცეც გამორიცხავს სხვისი საკუთრებით შეუზღუდავი სარგებლობის გარიგებას, კერძოდ, როდესაც სარგებლობის წესით ისპობა საკუთრების უფლება. სსკ-ის 170-ე მუხლის პირველი ნაწილი (მესაკუთრეს შეუძლია, კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელშეკრულებო შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით), არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუკი ამით არ ილახება მეზობლების ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ანდა, თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას) ითვალისწინებს საკუთრების კანონისმიერ და სახელშეკრულებო ბოჭვას, მაგრამ მას აქვს თავისი ფარგლები, კერძოდ, არ შეიძლება, რომ საკუთრების ბოჭ-

ვამ, შეზღუდვამ მოსპოს საკუთრების უფლების არსი, გახადოს ის პირობითი და გაუქმებადი. არ შეიძლება, პირს ფორმალურად გააჩნდეს საკუთრების უფლება, ხოლო ფაქტობრივად – არა. შესაბამისად, ამგვარი „მუდმივი სარგებლობის“ შეთანხმება, რომლითაც მესაკუთრე იზღუდება იმდაგვარად, რომ თავის საკუთრებას მუდმივად გადასცემს სხვას სარგებლობისათვის, სახელშეკრულებო ბოჭვის ფარგლებში არ ექცევა და საკუთრების უფლებას სპობს.

20. ამდენად, ვინაიდან მამკვიდრებელი მოპასუხეს ვერ მისცემდა თანხმობას ავტოფარეხის აშენებისა და შესაბამისი მიწის ნაკვეთის უვადო სარგებლობის თაობაზე, ამასთან, მიწის ნაკვეთით სარგებლობის უფლება მოპასუხეს არც ამჟამინდელი მესაკუთრისაგან არ მიუღია, ხოლო, მესაკუთრის შეზღუდვის ვალდებულება კანონიდანაც არ გამომდინარეობს, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოპასუხე სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ფლობს მოსარჩელის კუთვნილ 26.00 კვ.მ მიწის ნაკვეთს, რის გამოც ის გამოთხოვილ უნდა იქნეს მოპასუხის მფლობელობიდან და სადავო ნაგებობისაგან გამოთავისუფლებული ჩაჰბარდეს მოსარჩელეს.

21. ამასთან, სსსკ-ის 254.1 მუხლიდან გამომდინარე (ისეთი გადაწყვეტილების გამოტანისას, რომელიც მოპასუხეს ავალებს განსაზღვრული მოქმედების შესრულებას, რაც დაკავშირებული არ არის ქონების ან ფულადი თანხების გადაცემასთან, სასამართლოს იმავე გადაწყვეტილებაში შეუძლია, მიუთითოს, რომ, თუ მოპასუხე გადაწყვეტილებას არ შეასრულებს დადგენილ ვადაში, მოსარჩელეს უფლება აქვს ეს მოქმედება შეასრულოს მოპასუხისაგან აუცილებელი ხარჯების ანაზღაურებით) საკასაციო პალატა ადგენს, რომ მოპასუხე ვალდებულია, ავტოფარეხი დაშალოს და მოსარჩელის საკუთრებაში არსებული 26.9 კვ.მ მიწის ნაკვეთი ამ უკანასკნელს გამოთავისუფლებული ჩააბაროს გადაწყვეტილების გამოტანიდან ერთ თვეში. თუ მოპასუხე გადაწყვეტილებას არ შეასრულებს მითითებულ ვადაში, მოსარჩელეს უფლება ექნება, ეს მოქმედება შეასრულოს მოპასუხისაგან აუცილებელი ხარჯების ანაზღაურებით.

22. სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლე-

ბამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე, კერძოდ, პალატას მიაჩნია, რომ მოსარჩელის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 22 სექტემბრის განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც უცვლელად დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 13 მაისის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდეს.

23. სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც განიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

24. მოცემულ შემთხვევაში, სარჩელზე სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილია 120 ლარი, სააპელაციო საჩივარზე – 160, საკასაციო საჩივარზე – 300 ლარი. ამდენად, მოპასუხეს, მოსარჩელის სასარგებლოდ, უნდა დაეკისროს პირველი, მეორე და მესამე ინსტანციის სასამართლოებში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 580 ლარის გადახდა, ასევე – 480 ლარის გადახდა, ამ უკანასკნელის მიერ ადვოკატის მომსახურებისათვის განეული ხარჯის ასანაზღაურებლად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 264.3, 254-ე, 411-ე მუხლებით და

### **გ ა ღ ა ნ ყ ვ ი ტ ა :**

1. დ. ბ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 22 სექტემბრის განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც უცვლელად დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 13 მაისის გადაწყვეტილება დ. ბ-ძის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ და ამ ნაწილში მიღებულ

იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. დ. ბ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდეს;

4. დავალოს ზ. ლ-ძეს, დაშალოს მის მიერ უკანონოდ აგებული ავტოფარეხი, რომელიც განლაგებულია დ. ბ-ძის საკუთრებაში არსებულ 26.9 კვ.მ მიწის ნაკვეთზე (მდებარე ქ. ბათუმში, ..., საკადასტრო კოდი: №...) და მითითებული მიწის ნაკვეთი თავისუფალ მდგომარეობაში ჩააბაროს დ. ბ-ძეს;

5. ზ. ლ-ძე ვალდებულია, სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტში მითითებული მოქმედება შეასრულოს ამ გადაწყვეტილების გამოტანიდან ერთ თვეში. თუ ზ. ლ-ძე გადაწყვეტილებას არ შეასრულებს მითითებულ ვადაში, დ. ბ-ძეს უფლება აქვს, ეს მოქმედება შეასრულოს ზ. ლ-ძისაგან აუცილებელი ხარჯების ანაზღაურებით;

6. ზ. ლ-ძეს, დ. ბ-ძის სასარგებლოდ, დაეკისროს პირველი, მეორე და მესამე ინსტანციის სასამართლოებში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 580 (ხუთას ოთხმოცი) ლარის გადახდა;

7. ზ. ლ-ძეს დაეკისროს 480 (ოთხას ოთხმოცი) ლარის გადახდა დ. ბ-ძის სასარგებლოდ, ამ უკანასკნელის მიერ ადვოკატის მომსახურებისათვის განეული ხარჯის ასანაზღაურებლად;

8. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა**

### **განჩინება**

### **საქართველოს სახელმწიფო**

№ას-747-2019

20 ნოემბერი, 2020 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ნ. ბაქაქუერი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
ბ. ალავიძე**

**დავის საგანი:** უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. სს „მ.ო. ჯ. კ-მა“ (შემდგომში – „მოსარჩელე“ ან „კრედიტორი“) სარჩელი აღძრა სასამართლოში რ. ნ-ძის (შემდგომში – „მოპასუხე“, „მოვალე“, „აპელანტი“ ან „კასატორი“) მიმართ და მოითხო-

ვა მისი უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის, მდებარე: ქალაქი თბილისი, ..., ს.კ. ... (შემდგომში – „სადავო უძრავი ქონება“ ან „სადავო ქონება“) გამოთხოვა და მოსარჩელისათვის გამოთავისუფლებულ მდგომარეობაში გადაცემა.

## **2. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:**

2.1. აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს 18.11.2016წ. NA160129304-015/001 განკარგულებით მოპასუხის საკუთრებაში არსებული, იპოთეკით დატვირთული სადავო უძრავი ქონება აუქციონის გზით შეიძინა მოსარჩელემ, შესაბამისად, იგი წარმოადგენს აღნიშნული ქონების მესაკუთრეს;

2.2. მიუხედავად ამისა, მოპასუხე უკანონოდ აგრძელებს სადავო უძრავი ქონების ფლობას და მიუხედავად მოსარჩელის მოთხოვნისა, არ ათავისუფლებს დაკავებულ ფართს.

## **3. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა შემდეგი:**

3.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ 2015 წლის 06 აპრილს გაცემული სააღსრულებო ფურცლის მიხედვით, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა დავალიანების ძირითადი თანხის – 29 036,60 აშშ დოლარის, პროცენტის – 10 331,63 აშშ დოლარისა და პირგასამტეხლოს – 872,33 აშშ დოლარის გადახდა. იძულებით საჯარო აუქციონზე სადავო უძრავი ქონება შეიძინა თავად მოსარჩელემ 50 000 ლარად, თუმცა მისი საბაზრო ღირებულება შეადგენს 110 160 აშშ დოლარს. შესაბამისად, მოპასუხეს მიადგა ქონებრივი ზიანი 69 920 აშშ დოლარის ოდენობით (110 160- 40 240=69 920 აშშ დოლარი) და ვიდრე არ მოხდება აღნიშნული სხვაობის დაბრუნება, მანამდე მოსარჩელეს არ აქვს უფლება მოითხოვოს სადავო ქონებიდან მოპასუხის გამოსახლება;

3.2. 2016 წლის ნოემბრის ბოლოს მოპასუხესა და მოსარჩელეს შორის შედგა შეთანხმება, რომლის თანახმად, ვინაიდან სადავო უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება მრავალჯერ აღემატებოდა არსებულ დავალიანებას, კრედიტორი არ მოითხოვდა მოვალის ბინიდან გამოსახლებას და დააცდიდა, რომ სრულად დაეფარა მის მიმართ არსებული დავალიანება. სიტყვიერი გარიგების დადასტურების მიზნით, მხარეები შეთანხმდნენ, რომ მოპასუხე მოსარჩელის ანგარიშზე შეიტანდა გარკვეულ თანხას. შესაბამისად, მოპასუხემ 2016 წლის 16 დეკემბერს კრედიტორის ანგარიშზე შეიტანა 2000 ლარი, 19 დეკემბერს 700 ლარი, ხოლო მისმა ახლობელმა დამატებით შეიტანა 1000 ლარი. თუმცა, მოსარჩელემ დაარღვია აღნიშნული შეთანხმება და სარჩელი წარადგინა სასამართლოში.

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 12 მარტის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმა-



ყოფილდა; დადგინდა მოპასუხის უკანონო მფლობელობიდან მოსარჩელის საკუთრებაში არსებული სადავო უძრავი ქონების გამოთხოვა და მოსარჩელისათვის გამოთავისუფლებულ მდგომარეობაში გადაცემა.

5. მოპასუხემ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე წარადგინა სააპელაციო საჩივარი. მან მოითხოვა გადანყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 12 დეკემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 12 მარტის გადაწყვეტილება.

7. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია საქმის გადანყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

7.1. 08.05.2017 წელს მომზადებული ამონაწერის თანახმად, სადავო უძრავი ქონება წარმოადგენს მოსარჩელის საკუთრებას. უფლების წარმოშობის საფუძველია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს განკარგულება NA 160129304-015/001, დამონების თარიღი – 18.11.2016, უფლების რეგისტრაციის თარიღი – 29.11.2016 წ.;

7.2. სადავო უძრავ ქონებას ფლობს მოპასუხე.

8. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა მოპასუხის განმარტებებზე, რომლებიც აღნიშნულია წინამდებარე განჩინების 3.2. პუნქტში და საქმეში არსებული მტკიცებულების ანალიზის შედეგად დამატებით დადგენილად მიიჩნია, რომ 2016 წლის დეკემბრის თვეში მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის დაიდო „ნასყიდობის წინარე ბეს ხელშეკრულება“. ხელშეკრულებით მხარეები შეთანხმდნენ, რომ გამყიდველი მყიდველს ამ ხელშეკრულებით დადგენილი პირობების დაცვით მიჰყიდდა, ხოლო, მყიდველი იყიდდა სადავო უძრავ ქონებას, რისთვისაც მხარეები დადებდნენ ნასყიდობის ძირითად ხელშეკრულებას, რომლის ვადად განისაზღვრა 2017 წლის 28 თებერვალი. აღნიშნული ხელშეკრულებით მყიდველი ვალდებული იყო გამყიდველისათვის ბეს სახით გადაეხადა 5400 ლარი.

9. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქმის მასალებში წარდგენილი ქვითრებით დასტურდებოდა მოსარჩელის ანგარიშზე მყიდველის მიერ 3 700 ლარის გადარიცხვის ფაქტი, თუმცა, ვალდებულება ბოლომდე არ შესრულებულა და არც ნასყიდობის ხელშეკრულება გაფორმებულა.

10. სააპელაციო პალატის მითითებით, მოსარჩელე სადავო უძ-

რავი ქონების მესაკუთრე გახდა 29.11.2016 წელს, ხოლო, მხარეთა შორის „ნასყიდობის წინარე ბეს ხელშეკრულება“ დაიდო 15.12.2016 წელს. ეს ხელშეკრულება, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ვერ მიიჩნევა სადავო უძრავი ქონების მართლზომიერად ფლობის დამადასტურებელ მტკიცებულებად. სასამართლოს განმარტებით, აღნიშნული ხელშეკრულებიდან გამომდინარე მხარეთა ურთიერთობა იყო ცალკე სასარჩელო წარმოების გზით და არა წინამდებარე დავის ფარგლებში მოწესრიგების საგანი.

11. სააპელაციო სასამართლომ მოიხმო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 168-ე მუხლი და მიიჩნია, რომ ვინაიდან იკვეთებოდა იმავე კოდექსის 172-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის განმაპირობებელი ყველა წინაპირობა (დადგენილი იყო, რომ მოსარჩელე წარმოადგენდა სადავო უძრავი ქონების მესაკუთრეს, ხოლო მოპასუხე მის მფლობელს, თუმცა სსსკ-ის მე-4 და 102-ე მუხლების შესაბამისად, ამ უკანასკნელმა ვერ შეძლო მისი წილი მტკიცების ტვირთის რეალიზება და სასამართლოსათვის იმ მტკიცებულებების წარდგენა, რომლითაც დადასტურდებოდა სადავო ქონებაზე მისი მფლობელობის მართლზომიერება) მოსარჩელეს უფლება ჰქონდა, მოეთხოვა ნივთის მისთვის გადაცემა.

12. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მოპასუხემ წარადგინა საკასაციო საჩივარი. მან მოითხოვა განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება.

### **13. კასატორმა საკასაციო საჩივარში მიუთითა სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმების შემდეგ საფუძვლებზე:**

13.1. სადავო ქონებაზე მოსარჩელის საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ, მხარეთა შორის არავითარი ფინანსური ვალდებულებები აღარ არსებობდა, მაგრამ 2016 წლის ნოემბრის ბოლოს მოპასუხესა და მოსარჩელეს შორის შედგა გარიგება, რომლის თანახმად, ვინაიდან ბინის საბაზრო ღირებულება (უძრავი ქონების შემფასებლის მიერ გაცემული დასკვნის თანახმად 110 160 აშშ დოლარი) მრავალჯერ აღემატებოდა კრედიტორის წინაშე არსებულ დავალიანებას, კრედიტორი არ მოითხოვდა მოვალის ბინიდან გამოსახლებას იქამდე, ვიდრე მოვალე სრულად არ გადაიხდიდა არსებულ დავალიანებას. სიტყვიერი გარიგების დადასტურების მიზნით, მოპასუხემ მოსარჩელის ანგარიშზე 2016 წლის 16 დეკემბერს შეიტანა 2000 ლარი, 19 დეკემბერს 700 ლარი, ხოლო 2017 წლის 25 თებერვალს კი, მისმა ახლობელმა შეიტანა 1000 ლარი;

13.2. მხარეთა შორის არ დადებულა უძრავი ქონების „ნასყიდობის წინარე ბეს ხელშეკრულება“, წინააღმდეგ შემთხვევაში, მო-

სარჩელე ამ დოკუმენტს აუცილებლად წარადგენდა პირველი ინსტანციის სასამართლოში;

13.3. მოსარჩელემ პირველი ინსტანციის სასამართლოში 2018 წლის 26 თებერვალს გამართულ სასამართლო სხდომაზე ჯერ უარყო, ხოლო შემდგომ დაადასტურა მხარეთა შორის ზეპირი გარიგების არსებობის ფაქტი, ხოლო ბეს ხელშეკრულების არსებობაზე არავითარი განმარტება არ გაუკეთებია. ამასთან, მან სააპელაციო შესაგებლით კატეგორიულად უარყო რაიმე სახის წერილობითი ხელშეკრულების არსებობა;

13.4. მას შემდეგ, რაც მოპასუხემ წარადგინა მოსარჩელისათვის თანხის ჩარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტები, 2018 წლის 26 ნოემბერს მოსარჩელემ განცხადებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს და წარუდგინა უძრავი ქონების „ნასყიდობის წინარე ბეს ხელშეკრულება“. სასამართლომ არ გაითვალისწინა სსსკ-ის 380-ე მუხლის მე-2 ნაწილის იმპერატიული დანაწესი და აღნიშნული მტკიცებულება დასაშვებ მტკიცებულებად მიიჩნია. სააპელაციო სასამართლო ვალდებული იყო გამოეკვლია დარღვეული იყო თუ არა მოსარჩელის მიერ სსსკ-ის 215-ე მუხლით დადგენილი წესი. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ დაარღვია მტკიცებულებათა მიღებისა და დასაშვებობის პროცესუალურსამართლებრივი წესები; მან მიკერძოებულად გაიზიარა მხოლოდ მონინალმდეგე მხარის მიერ მიცემული ახსნა-განმარტება და დაეყრდნო გამოუკვლევებელ, აპელანტის მიერ სადავოდ გამხდარ და დაუშვებელ მკიცებულებას;

13.5. მოპასუხისათვის უცნობია ზემოაღნიშნული ხელშეკრულების შინაარსი, ვინაიდან ასეთი ხელშეკრულება მხარეთა შორის არ დადებულა. ამიტომ მისი ავთენტურობა ეჭვს ბადებს;

13.6. გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ მხარეთა შორის არ დადებულა ბინის ნასყიდობის ხელშეკრულება. დადგენილი პრაქტიკის თანახმად კი, ბე არის აქცესორული უფლება, რაც ნიშნავს იმას, რომ იგი იდება უკვე შემდგარი და არა სამომავლო ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად. შესაბამისად, ვინაიდან არ დადებულა ბინის ნასყიდობის ხელშეკრულება, არ არსებობს ბეს ხელშეკრულებაც. ამასთან, ვინაიდან ბე ძირითადი ხელშეკრულების ნაწილია, იგი იმ ფორმის დაცვით უნდა გაფორმდეს რასაც კანონი ძირითადი ხელშეკრულებისათვის ითვალისწინებს. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში იგი უნდა დადებულიყო წერილობითი ფორმით, სანოტარო წესის დაცვით, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია;

13.7. სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 421-ე მუხლი;

13.8. გადაწყვეტილება განსხვავდება ბესთან დაკავშირებით უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან.

14. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 28 სექტემბრის განჩინებით, საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

15. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, საქმის მასალები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთება და მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

16. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

17. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში. იმავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები. იმავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

18. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანია მოპასუხის მფლობელობიდან სადავო უძრავი ქონების გამოთხოვის მართლობიერება.

19. კასატორის მტკიცებით, მხარეთა შორის არ დადებული უძრავი ქონების „ნასყიდობის წინარე ბეს ხელშეკრულება“. მისი ძირითადი პრეტენზია მდგომარეობს იმაში, რომ სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელის მიერ წარდგენილი დოკუმენტი – „ნასყი-

დობის წინარე ბეს ხელშეკრულება“ საქმეს დაურთო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე და 215-ე მუხლების დარღვევით და, შესაბამისად, აღნიშნული ფაქტის დადგენისას დაეყრდნო დაუშვებელ მტკიცებულებას.

20. საკასაციო სასამართლო მხოლოდ ნაწილობრივ იზიარებს კასატორის ზემოაღნიშნულ პრეტენზიას, რადგან საქმის მასალებით დასტურდება, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 12 დეკემბრის ადგილზე თათბირით მიღებული განჩინებით მონინალმდეგე მხარის/მოსარჩელის შუამდგომლობა დამატებითი მტკიცებულების – „ნასყიდობის წინარე ბეს ხელშეკრულების“ საქმეზე დართვის თაობაზე არ დაკმაყოფილდა, როგორც დაგვიანებით წარდგენილი. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ მიუხედავად ამისა, სააპელაციო სასამართლომ სადავო ფაქტობრივი გარემოების დადგენისას იხელმძღვანელა სწორედ ზემოაღნიშნული, დაუშვებელი მტკიცებულებით და დაადგინა, რომ მხარეთა შორის 2016 წლის დეკემბრის თვეში დაიდო „ნასყიდობის წინარე ბეს ხელშეკრულება“, რომლითაც მხარეები შეთანხმდნენ, რომ გამყიდველი მყიდველს ამ ხელშეკრულებით დადგენილი პირობების დაცვით მიჰყიდდა, ხოლო მყიდველი იყიდდა სადავო უძრავ ქონებას, რისთვისაც მხარეები დადებდნენ ნასყიდობის ძირითად ხელშეკრულებას; მყიდველი ვალდებული იყო გამყიდველისათვის ბეს სახით გადაეხადა 5400 ლარი.

21. აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს მხარეთა მიერ მათი მოთხოვნების დასასაბუთებლად და მითითებული ფაქტების დასამტკიცებლად საჭირო მტკიცებულებების წარდგენის საკმაოდ მკაცრად განერილ პროცედურას, რომლის შესაბამისად, მხარეებს მტკიცებულებათა წარდგენა შეუძლიათ პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას შესაბამისი წესების დაცვით. საქმის მომზადების დასრულების შემდეგ, საქმის არსებითად განხილვის ეტაპზე მხარეები შეზღუდულნი არიან ახსნა-განმარტებების მოსმენისას წარადგინონ ახალი მტკიცებულებები ან მიუთითონ ახალ გარემოებებზე, რომელთა შესახებაც არ ყოფილა მითითებული სარჩელსა თუ შესაგებელში ან საქმის მომზადების სტადიაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მათ შესახებ თავის დროზე საპატიო მიზეზით არ იყო გაცხადებული. იგივე წესი მოქმედებს სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას, სადაც ახალი ფაქტების მითითება და ახალი მტკიცებულებების დაშვება მხოლოდ კანონით მკაცრად განსაზღვრული საპატიო გარემოებათა არსებობის შემთხვევაშია შესაძლებელი (სსსკ-ის 380).

22. ამდენად, მხარეთა მიერ ფაქტების მითითებისა და მტკიცებულებების წარდგენის პროცედურა მკაცრად ფორმალიზებულია, რაც იმას ნიშნავს, რომ აუცილებელია ფაქტები და მტკიცებულებები სასამართლოს კანონით დადგენილი წესითა და პროცედურის დაცვით წარედგინოს. აღნიშნული ფორმალიზმის დაცვა მხარეთა შეჯიბრების ნაწილია, კერძოდ, ვინც ზუსტად დაიცავს კანონით დადგენილ დანაწესს, იმას კანონი, როგორც პროცესუალური შეჯიბრის მონაწილეს, უპირატეს მდგომარეობაში აყენებს (იხ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, რჩეული მუხლები, თბილისი 2020, გვ. 96).

23. საქმეზე მტკიცებულებების დართვის ზემოაღნიშნული წესი დაკავშირებულია სამოქალაქო საპროცესო სამართალში მოქმედ შეჯიბრებითობის პრინციპთან (სსსკ-ის მე-4 მუხლი) და გულისხმობს იმას, რომ სასამართლო საქმის გადანყვევტისას ხელმძღვანელობს მხოლოდ იმ მტკიცებულებებით, რომლებიც საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით დაერთვება საქმეს. სხვა მტკიცებულებები მხედველობაში არ მიიღება, თუნდაც მათ საქმის მართებულად გადანყვევტისათვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდეს.

24. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 და 380-ე მუხლები, ვინაიდან სადავო ფაქტობრივი გარემოების დადგენისას იხელმძღვანელა მტკიცებულებით, რომელიც თავისივე განჩინებით დაუშვებლად მიიჩნია. შესაბამისად, მან არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოება მხარეთა შორის „ნასყიდობის წინარე ბეს ხელშეკრულების“ არსებობის თაობაზე, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა ამ ფაქტობრივი გარემოების დადგენის შესახებ ემყარება დაუშვებელ მტკიცებულებას – „ნასყიდობის წინარე ბეს ხელშეკრულებას“.

25. რაც შეეხება თანხის გადახდის ქვითრებში მითითებულ დაწინაშელებას, რომ ისინი წარმოადგენს ბეს თანხას, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ შესაბამისი ხელშეკრულების არარსებობის პირობებში ქვითრებში აღნიშნული მითითება საკმარისი არ არის მხარეთა შორის ბეზე არსებული შეთანხმების ფაქტის დასადგენად.

26. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 421-ე მუხლის თანახმად, ბედ მიიჩნევა ფულადი თანხა, რომელსაც ხელშეკრულების ერთი მხარე აძლევს მეორე მხარეს და ამით დასტურდება ხელშეკრულების დადების ფაქტი.

27. აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, ბე არ წარმოადგენს

დამოუკიდებელ ხელშეკრულებას, არამედ იგი მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების ნაწილია. ხელშეკრულების ერთი მხარე მეორე მხარეს ბეს აძლევს არა სამომავლო ხელშეკრულების დადების, არამედ უკვე შემდგარი ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად. ბე თავისი სამართლებრივი ბუნებით ვალდებულების უზრუნველყოფის აქცესორული საშუალებაა და, შესაბამისად, მისი ნამდვილობა სრულად არის დამოკიდებული ძირითადი უფლების – ვალდებულებითსამართლებრივი მოთხოვნის უფლების არსებობაზე. ბეს აქცესორულობა იმპერატიული პრინციპია და მისი გამორიცხვა მხარეებს შეთანხმებით არ შეუძლიათ. ბეს ლეგალურ დეფინიციაში მითითებულია, რომ მისი მთავარი ფუნქცია არის ხელშეკრულების დადების ფაქტის დადასტურება (მტკიცების ფუნქცია) (იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლი 421, [www.eccc.ge](http://www.eccc.ge); საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, თბილისი 2001, გვ. 499-500).

28. საკასაციო სასამართლო, ასევე მიუთითებს, რომ სამოქალაქო კოდექსი არ აწესებს ბეს შეთანხმების სავალდებულო ფორმას. შესაბამისად, ბეს შესახებ შეთანხმება შეიძლება დაიდოს, როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი ფორმით. იურიდიული შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, ორივე შემთხვევაში ბე საჭიროებს ძირითადი ხელშეკრულებისათვის დაწესებული ფორმის დაცვას (იხ. სუსგ საქმე №ას-1476-2019, 07 თებერვალი, 2020 წელი). აღნიშნულიდან გამომდინარე, უძრავი ქონების გასხვისებასთან დაკავშირებით ბეს ხელშეკრულება უნდა გაფორმდეს წერილობით ფორმით, ვინაიდან სამოქალაქო კოდექსი უძრავი ქონების გასხვისებისათვის ადგენს სავალდებულო წერილობით ფორმას, როგორც გარიგების ნამდვილობის პირობას (სსკ-ის 323-ე მუხლი). მოცემულ შემთხვევაში კი დადასტურებული არ არის მხარეთა შორის ბეს წერილობითი ხელშეკრულების არსებობა.

29. კასატორი მიუთითებს, რომ თანხების გადახდა მოხდა მხარეთა შორის არსებული ზეპირი გარიგების შესაბამისად, რომლის თანახმად მოსარჩელემ იკისრა ვალდებულება არ განეხორციელებინა სადავო უძრავი ქონებიდან მოპასუხის გამოსახლება, სანამ ეს უკანასკნელი სრულად გადაიხდიდა კრედიტორის დავალიანებას.

30. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო სამართალწარმოება მიმდინარეობს მხარეთა თანასწორობისა (სსკ-ის მე-5 მუხლი) და შეჯიბრებითობის (სსკ-ის მე-4 მუხლი) ფუნდამენტურ პრინციპებზე დაყრდნობით. სამოქალაქო პროცესში მხარეები ვალდებული არიან სათანადო მტკიცებულებების წარდგენის გზით დაადასტურონ მათი პოზიციის გასამყარებლად მითითე-

ბული გარემოებების არსებობა (სსსკ-ის 102-ე მუხლი). მოსარჩელემ უნდა ამტკიცოს ის გარემოებები, რომლებზედაც დაფუძნებულია სასარჩელო მოთხოვნა, ხოლო მოპასუხემ გარემოებები, რომლებსაც მისი შესაგებელი ემყარება. ამასთან, სამოქალაქო საპროცესო სამართალში არსებული მტკიცების ტვირთის სამართლიანი და ობიექტური განაწილების სტანდარტიდან გამომდინარე, მტკიცების ტვირთი უნდა განაწილდეს იმგვარად, რომ მოსარჩელესა და მოპასუხეს დაეკისროთ იმ ფაქტების დამტკიცების ვალდებულება, რომელთა მტკიცებაც მათთვის ობიექტურად შესაძლებელია. ანუ, მტკიცების ტვირთი ეკისრება მას, ვინც ამტკიცებს და არა მას, ვინც უარყოფს (იხ. სუსგ საქმე №ას-773-773-2018, 14 იანვარი, 2019 წელი; №ას-1814-2018, 05 ივლისი, 2019 წელი; №ას-462-2019, 31 ივლისი, 2019 წელი).

31. განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხის მტკიცების ტვირთს წარმოადგენდა იმის დადასტურება, რომ მხარეთა შორის მართლაც არსებობდა ასეთი შეთანხმება მოპასუხის მიერ დავალიანების სრულად გადახდამდე სადავო უძრავი ქონების გამოთხოვის გადავადების თაობაზე. თუმცა, იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელე უარყოფს მხარეთა შორის ამგვარი შეთანხმების არსებობას, მოპასუხის ახსნა-განმარტება და სალაროს შემოსავლის ორდერები, რომლითაც დასტურდება მხოლოდ მოსარჩელის მიერ მოპასუხის ანგარიშზე თანხის შეტანა, საკმარისი არ არის სადავო გარემოების დასადასტურებლად.

32. ამასთან, კიდევაც რომ გაზიარებულ იქნეს ასეთი შეთანხმების არსებობის ფაქტი, ვალდებულების შესრულება მოსარჩელის მხრიდან არ დასტურდება. შესაბამისად, არ არსებობს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი.

33. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის განმაპირობებელი ყველა ფაქტობრივი წინაპირობა.

34. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მესაკუთრეს შეუძლია, კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელშეკრულებო შეზღუდვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით), არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუკი ამით არ ილახება მეზობლების ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ანდა, თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას. იმავე კოდექსის 172-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულია, რომ მესაკუთრეს შეუძლია მფლობელს



მოსთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მფლობელს ჰქონდა ამ ნივთის ფლობის უფლება. შესაბამისად, არამფლობელი მესაკუთრის მიერ უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის მართლზომიერებისთვის უნდა არსებობდეს შემდეგი წინაპირობები: ა) მოსარჩელე უნდა იყოს მესაკუთრე, ბ) მოპასუხე უნდა იყოს ნივთის მფლობელი და გ) მოპასუხეს არ უნდა ჰქონდეს ამ ნივთის ფლობის უფლება.

35. მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ მოსარჩელე წარმოადგენს სადავო უძრავი ქონების მესაკუთრეს, რაც დასტურდება საქმეში წარდგენილი ამონაწერით საჯარო რეესტრიდან, რომლის მიმართაც, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის თანახმად, მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია, ე.ი. რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა.

36. დადგენილია, ასევე, რომ მოპასუხე წარმოადგენს სადავო უძრავი ქონების მფლობელს, რომელმაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 და 102-ე მუხლების შესაბამისად, ვერ შეძლო მისი წილი მტკიცების ტვირთის რეალიზება და სადავო უძრავ ქონებაზე მისი მფლობელობის მართლზომიერებას დადასტურება. შესაბამისად, სახეზეა სადავო უძრავი ქონების მოპასუხის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვის ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძვლები.

37. კასატორი მიუთითებს, რომ გასაჩივრებული განჩინება განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან, თუმცა, იგი არ მიუთითებს კონკრეტულ საქმეს ან/და კონკრეტულ გარემოებებს, მისი პრეტენზია არის ზოგადი და არაკვალიფიციური, რაც შეუძლებელს ხდის მასზე საკასაციო სასამართლოს მიერ მსჯელობას.

38. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება შედეგობრივად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ იგი ზოგიერთ ნაწილში (ბეს განმარტება) არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას, რაც გასაჩივრებული განჩინების ძალაში დატოვებისა და საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძველია.

39. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. იმავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარ-

ჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას.

40. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, არ არსებობს კასატორის მიერ გაღებული ხარჯის მხარეთა შორის განაწილების ზემოაღნიშნული მუხლით გათვალისწინებული წინაპირობები. შესაბამისად, აღნიშნული ხარჯი უნდა დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. რ. ნ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 12 დეკემბრის განჩინება დარჩეს უცვლელი;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **ხელშეშლის აღკვეთა**

#### **განჩინება საქართველოს სასახლით**

№ას-909-2019

13 იანვარი, 2020 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი)  
ე. გასიტაშვილი,  
ზ. ძლიერიშვილი**

**დავის საგანი:** ხელშეშლის აღკვეთა, ზიანის ანაზღაურება

**აღწერილობითი ნაწილი:**

**1. მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლები:**

1.1. ა. მ-მა (უფლებამონაცვლე ი. მ-ი, იხ. 25.04.2018წ. განჩინება, შემდგომში ხსენებული, როგორც მოსარჩელე, აპელანტი ან კასა-

ტორი) სარჩელი აღძრა სასამართლოში ქ. მ-ის (შემდგომში – მოპასუხე ან მონინალმდევე მხარე) მიმართ და მოითხოვა მოპასუხის დავალდებულება, განახორციელოს ქ. თბილისში, ... მდებარე, მოსარჩელის კუთვნილ 88 კვ.მ № ... ფართის შესასვლელში ამოშენებული კარის ღიობის დემონტაჟი, რომლითაც მოსარჩელეს ხელი ეშლება, დაუკავშირდეს კუთვნილ ბინას, მანვე მოითხოვა მოპასუხისათვის მორალური ზიანის – 3 000 ლარის დაკისრება.

1.2. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: მოსარჩელე არის ქ. თბილისში, ... მდებარე 88 კვ.მ უძრავი ქონების მესაკუთრე. ონკოლოგიური დაავადების გამო, ის ვერ სარგებლობდა საკუთარი ბინით. აღნიშნულის გამო, მოპასუხემ ამოაშენა ბინაში შესასვლელი კარები, რაც გამორიცხავს მესაკუთრის მიერ ქონებაში შესვლის შესაძლებლობას. ამოშენებული კედლის დემონტაჟის მოთხოვნით მოსარჩელემ მიმართა პოლიციას, მერიას, თუმცა, რაიმე შედეგი ამას არ მოჰყოლია.

## **2. მოპასუხის პოზიცია:**

მოთხოვნის გამომრიცხველი, მისი განხორციელების შემთხვევებითი შესაგებლით მოპასუხემ არ ცნო სარჩელი და განმარტა, რომ ქ. თბილისში, ... მდებარე 13.57 კვ.მ და 40.01 კვ.მ ფართობის საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია მის საკუთრებად. ქონება ამავე მდგომარეობაში შეიძინა ყოფილი მესაკუთრისგან. მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი კარის ღიობის გახსნის შემთხვევაში იგი დაუკავშირდება მოპასუხის საკუთრებად საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ ფართს. მოსარჩელემ 1995 წელს თანხმობა განაცხადა აღნიშნული ღიობის ამოშენებაზე, რადგან მის ბინას აქვს დამოუკიდებელი შესასვლელი, არსებობს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების 2009 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილებაც. მოსარჩელის მოთხოვნა ხელშეშლის აღკვეთის შესახებ ხანდაზმულობის გადაწყვეტილებით სარჩელი უარყოფილ იქნა.

## **3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 24 მაისის გადაწყვეტილებით სარჩელი უარყოფილ იქნა.

## **4. აპელანტის მოთხოვნა:**

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მოითხოვა მისი კარის ღიობის დემონტაჟის ნაწილში შეცვლა და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

## **5. გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:**

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 10 აპრილის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

#### **6. კასატორის მოთხოვნა:**

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა აპელანტმა, მოითხოვა მათი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ იგი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

#### **1. გასაჩივრებული განჩინების გაუქმების დასაბუთება:**

#### **1.1. საკასაციო პრეტენზიების მოცულობა და საკასაციო განხილვის ფარგლები:**

საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს ხელშეშლის აღკვეთისა და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის შესახებ მოთხოვნის კანონიერება. ქვემდგომი სასამართლოების დასკვნით, მოთხოვნა განუხორციელებადია, რადგანაც 40 კვ.მ ფართი, სადაც მდებარეობს კარის ლიობი, მოპასუხის ინდივიდუალური საკუთრებაა, მას მონყობილი აქვს სველი წერტილი, ამ კარის გახსნის შემთხვევაში მოსარჩელე მოხვდება არა საკუთარ უძრავ ქონებაში, არამედ, მოპასუხის საკუთრებად რეგისტრირებულ ფართში, გარდა ამისა, სასამართლოებმა დაადგინეს, რომ მოსარჩელეს აქვს საკუთრებაში მოხვედრის სხვა საშუალება. კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს და პრეტენზიას აცხადებს სასამართლოს მხრიდან, როგორც მატერი-ალური, ისე – საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევაზე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად (საკასაციო სასამართლო ამონიშნებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია თავისი ინიციატივით შეამონშოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა), საკასაციო სასამართლო გასაჩივრებული განჩინების კანონიერებას სწორედ საკასაციო საჩივარში გამოთქმული პრეტენზიების შესაბამისად შეამონშმებს. საკასაციო საჩივრის თანახმად კი:

– სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა ექსპერტის დასკვნა, რომელიც კატეგორიული შინაარსისაა;

– სასამართლომ არასწორად გაანალიზა მტკიცებების ტვირთი: იმ გარემოების მტკიცება, რომ სადავო დერეფანი წარმოადგენს ბინათმესაკუთრეთა თანასაკუთრებას, დაეკისრა აპელანტს, მაშინ, როდესაც „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დერეფანი სწორედ ამხანაგობის საზიარო საგანია, ხოლო, საპირისპიროს მტკიცება ეკისრებოდა მონინალმდეგე მხარეს, რომელსაც არ წარმოუდგენია ამავე კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, ამხანაგობის 100%-იანი თანხმობით შედგენილი კრების ოქმი. ამ მხრივ სასამართლომ არასწორად არ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 115-ე და 170-ე მუხლებით, ამასთანავე, არასწორად განმარტა ამავე კოდექსის 172-ე მუხლი და მცდარად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა, რომლის თანახმადაც, კარის ლიობის გახსნის შემთხვევაში, მოსარჩელე არა საკუთარ, არამედ, მოპასუხის ინდივიდუალური საკუთრების საგანში მოხვდება.

1.2. ქვემდგომი სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სავალდებულობა საკასაციო პალატის წინამდებარე განჩინების მიმართ:

საკასაციო პალატის წინამდებარე განჩინების მიმართ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული (სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება)) სავალდებულო ძალა გააჩნია სააპელაციო პალატის მიერ დადგენილ იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომელთა წინააღმდეგაც საკასაციო საჩივარი არ შეიცავს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

1.2.1. ქ. თბილისში, ... მდებარე 88 კვ.მ ფართი (ს/კ №...) 1995 წლის 21 ივლისის №4-2039 ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე რეგისტრირებული იყო მოსარჩელის საკუთრებად (2018 წლის 17 აპრილს მომზადებული საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით აღნიშნული უძრავი ქონება სამკვიდრო მონუმობის საფუძველზე რეგისტრირებულია მოსარჩელის უფლებამონაცვლის საკუთრებად);

1.2.2. ამავე მისამართზე მდებარე 13.57 კვ.მ ფართი (ს/კ №...), 1999 წლის 16 ივნისის №1-284 ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, რეგისტრირებულია მოპასუხის საკუთრებად, ისევე,

როგორც 1999 წლის 16 ივნისის №1-284 ნაცხადობის ხელშეკრულების საფუძველზე, მის საკუთრებას წარმოადგენს 40.01 კვ.მ ფართი (ს/კ №...);

1.2.3. ქ. თბილისში, ... მდებარე უძრავი ქონება წარმოადგენს მრავალბინიან საცხოვრებელ სახლს;

1.2.4. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2016 წლის 08 ივლისის №16/177701 წერილით ეცნობა მოსარჩელეს, რომ სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, ... არსებული საკითხის ადგილზე შესწავლის შედეგად აღმოჩნდა, რომ რ. მ-ის მიერ სამშენებლო სამუშაოები ჩატარებულია შენობა-ნაგებობის შიდა ფართში, რაც წარმოადგენს ისეთ სამშენებლო საქმიანობას, რომლის განხორციელება არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას;

1.2.5. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2017 წლის 17 ივლისის დასკვნის თანახმად, №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 88 კვ.მ ფართის მქონე ბინა მდებარეობს №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე განთავსებულ №3 შენობის (ნაწილის) მე-2 სართულზე. აღნიშნულ ბინას ფაქტობრივი მდგომარეობით გააჩნია ორი შესასვლელი კარი, რომელთაგან ერთი კარის ღიობი, რომელიც დანართ №2-ზე ნაჩვენებია წითელი ფერით, ამოქოლილი აქვს მეზობელს. კერძოდ, აღნიშნულ ადგილას მეზობელს მოწყობილი აქვს სველი წერტილი და სათავსი, შესაბამისად, აღნიშნული კარით საკვლევ ბინაში მოხვედრა შეუძლებელია. აღნიშნულ ბინაში მოხვედრა ფაქტობრივი მდგომარეობით შესაძლებელია მხოლოდ დანართ №2-ზე მწვანე ფერით ნაჩვენები კარის ღიობით, ხოლო აღნიშნულ კართან მოხვედრა შესაძლებელია ... ქ. №10-ში მდებარე №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული №1 შენობის ვერანდის და მასზე მოწყობილი კიბის გავლით.

### **1.3. საკასაციო სასამართლოს შეფასებები და სამართლებრივი დასკვნები:**

1.3.1. საკასაციო სასამართლო, საქმეში მითითებული ფაქტების გათვალისწინებით მიიჩნევს, რომ სახეზეა სანივთო სამართლიდან ნაწარმოები მოთხოვნა, კერძოდ, მოსარჩელე, როგორც მესაკუთრე, მოითხოვს საკუთრებით სარგებლობის ხელშეშლის აღკვეთას, რაც გამოიხატება მის ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაში მოსახვედრად მეზობლის მიერ თვითნებურად ამოქოლილი კარის გახსნაში. ამდენად, განსახილველი მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმას სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის მე-2 ნაწილი წარმოადგენს, რომლის თანახმადაც, თუ საკუთ-

რების ხელყოფა ან სხვაგვარი ხელშეშლა ხდება ნივთის ამოღების ან მისი ჩამორთმევის გარეშე, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია ხელის შემშლელს მოსთხოვოს ამ მოქმედების აღკვეთა. თუ ამგვარი ხელშეშლა კვლავ გაგრძელდება, მესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს მოქმედების აღკვეთა სასამართლოში სარჩელის შეტანის გზით.

1.3.2. განსახილველი ნორმის აღწერილობითი ნაწილიდან გამომდინარე, მოთხოვნის წარმატებას განაპირობებს შემდეგი ფაქტების არსებობა: მოსარჩელე უნდა იყოს მესაკუთრე; მესაკუთრეს მოპასუხე ხელს უნდა უშლიდეს საკუთრებით სარგებლობაში უფლების ობიექტის ჩამორთმევის გარეშე. სარჩელის თანახმად, მოსარჩელე წარმოადგენს ქონების მესაკუთრეს, მოპასუხემ თვითნებურად ამოქოლა ბინაში შესასვლელი კარი, რაც დაუშვებლად ხელყოფს მესაკუთრის უფლებებს. მოპასუხემ შესაგებლით უარყო რეკონსტრუქციის თვითნებური წარმოება და განმარტა, რომ ნივთი ამ მდგომარეობაში შეიძინა წინა მესაკუთრისგან. კარის ღიობის გახსნის შემთხვევაში, მოსარჩელე მოხვედბა მის ინდივიდუალურ საკუთრებაში, ამასთანავე, მიუთითა, რომ სწორედ მან გასცა 1995 წელს თანხმობა კარის ღიობის ამოშენებაზე, ამასთანავე, არსებობს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების 2009 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილებაც.

1.3.3. განსახილველ შემთხვევაში, უდავოა, რომ უძრავი ნივთი, რომელშიც მდებარეობს მხარეთა ინდივიდუალური საკუთრების საგნები, წარმოადგენს მრავალბინიან სახლს, ამასთანავე, სარჩელსა და შესაგებელში გამოთქმული შედავებებიდან გამომდინარე, მტკიცების საგანში შემავალ უმთავრეს გარემოებას წარმოადგენს, გააჩნია თუ არა მოსარჩელეს სახლში შესასვლელი ალტერნატიული საშუალება და უკვე არსებული დაკავშირება გაუქმებულია თუ არა მოსარჩელის თანხმობის საფუძველზე (სადავო კარის ღიობის ამოშენების კანონიერება).

1.3.4. საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მოსაზრებას სასამართლოს მხრიდან მტკიცების ტვირთის განაწილების კანონიერების თაობაზე. უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლი ადგენს მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის განაწილების ზოგადპროცესუალურ სტანდარტს და განსაზღვრავს, რომ მოსარჩელემ უნდა დაადასტუროს სარჩელის საფუძველად მითითებული ფაქტები, ხოლო, მოპასუხემ – შესაგებელში გადმოცემული გარემოებები, თუმცა, რიც შემთხვევაში, თუკი ურთიერთობის მომწესრიგებელი მატერიალური სამართლის დანაწესი განსხვავებულ სტანდარტს ადგენს, ზოგადპროცესუალურთან შედარებით, მას უპირატესობა ენიჭება და მტკიცების ტვირთის გადანაწილებაც სასამართლომ შესაბამისად უნდა განახორ-

ციელოს. მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის განაწილების საკითხი სასამართლოს უმთავრესი მოვალეობაა, რომელიც პირდაპირ უკავშირდება პროცესის ფუნდამენტური პრინციპის – შეჯიბრებითობის დაცვას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები, ხოლო, მოსამართლე, სასამართლოს მთავარ სხდომაზე, ამავე კოდექსის 223-ე მუხლის შესაბამისად, წარმართავს შეჯიბრებითობას და საბოლოოდ უყალიბდება შინაგანი რწმენა მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების დადასტურებულად მიჩნევის თაობაზე.

1.3.5. განსახილველ შემთხვევაში, საქმის მომზადების ეტაპზე მოსარჩელის მიერ წარდგენილ იქნა ექსპერტიზის დასკვნა. დასკვნის თანახმად, ქ. თბილისში, ... მდებარე №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 88 კვ.მ ფართის მქონე ბინაში ერთადერთი შესასვლელი კარი №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთიდან, ფაქტობრივი მდგომარეობით ამოქოლილი აქვს მეზობელს. ხსენებულ დასკვნას ერთვის №1 დანართი – შპს „ს-ის“ მიერ 2016 წლის 19 მაისს შესრულებული მოსარჩელის კუთვნილი ქონების შიდა აზომვითი ნახაზი, სადაც სადავო ფართში ფიქსირდება კარის ღიობები, რომელიც, დღეის მდგომარეობით ამოქოლილია მოპასუხის მიერ და მოწყობილია სველი ნერტილი და სათავსი. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ხსენებული დასკვნა არ არის შეფასებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 172-ე (105-ე) მუხლით დადგენილი წესით, კერძოდ, იმ კუთხით, ექსპერტიზაზე დართული მასალები ადასტურებს თუ არა მოსარჩელის ინდივიდუალური საკუთრების საგანში სადავო კარით დაკავშირების აუცილებლობას, მით უფრო, რომ ამავე დასკვნის კვლევითი ნაწილის თანახმად, მოსარჩელის ბინაში შესვლა ფაქტობრივი მდგომარეობით შესაძლებელია ... ქ. №10-ში მდებარე სხვა მიწის ნაკვეთის, მასზე განთავსებული №1 შენობის ვერანდისა და ამ ვერანდასთან დასაკავშირებლად მოწყობილი კიბის გავლით, მაშინ, როდესაც სამოქალაქო კოდექსის 149-ე მუხლის ფარგლებში უძრავ ქონებად განიხილება №... მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული მრავალბინიანი სახლი, სადაც განთავსებულია მხარეთა ინდივიდუალური საკუთრების საგნები.

1.3.6. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს გასაჩივრებული განჩინების დასკვნას იმის თაობაზე, რომ მოსარჩელეს პირველი ინსტანციის სასამართლოში სადავო არ გაუხდია 40 კვ.მ ქონების მოსარჩელისათვის კუთვნილები ფაქტი და ის ველარ მიიღებდა აპე-



ლანტის შედავებას, რომ არ დგინდებოდა თუ სად მდებარეობდა ეს ფართი. მართალია, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლით სააპელაციო განხილვის ეტაპზე ახალი ფაქტების/შედავებების მიღება კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში დაიშვება, თუმცა, ამ შედავების დაუშვებლად ცნობის პრობლემაშიც კი, იგი ვერ დააბრკოლებს სარჩელის წარმატებას.

1.3.7. მხარეთა შორის უდავოა და საქმის მასალებითაც დასტურდება ის გარემოება, რომ სადავო კარის ლიობი განთავსებულია დერეფანში. „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონებას წარმოადგენს მრავალბინიანი სახლის ვესტიბიულები, სადარბაზოები, დერეფნები, კიბის უჯრედები, სარდაფები, სხვენები, საქვაბეები, ტექნიკური სართულები, სახურავები, ლიფტები, სხვადასხვა დანიშნულების შახტები, არხები, ნაგავგამტარები, ბუნკერები და ა.შ., რომლებიც არ იმყოფება ინდივიდუალურ საკუთრებაში. ამავე კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად კი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონების ისეთი განვითარება, რომელიც მნიშვნელოვნად ცვლის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონებას და გავლენას ახდენს სხვა ბინის მესაკუთრეთა მიერ საერთო ქონების გამოყენებაზე, ხორციელდება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა კრებაზე ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ყველა წევრის მიერ ერთხმად მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე. ხსენებული ნორმიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა სრულად იზიარებს კასატორის პრეტენზიას, რომ კარის ამოქოლებისა და სველი წერტილის/სათავისის მოწყობის კანონიერების მტკიცების ტვირთი სწორედ მოპასუხეს ეკისრებოდა, რომელიც, სარჩელის წინააღმდეგ წარდგენილ შეპასუხებაში მიუთითებდა ამ რეკონსტრუქციის მოსარჩელის თანხმობით განხორციელების ფაქტზე. უფრო მეტიც, საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს მოცემულ საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ გარემოებას, რომ მოპასუხემ სასამართლოს მთავარ სხდომაზე წარადგინა ამხანაგობის კრების გადაწყვეტილება და არა საქმის მომზადების დასრულების ეტაპზე, რაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის მე-4 და 219-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, დაუშვებელია.

1.3.8. სასამართლოს მხრიდან შეფასებას მოითხოვს ასევე მოპასუხის განმარტება იმის თაობაზე, რომ მან სადავო ქონება მოცემული სახით 1999 წლის 16 ივნისის №1-284 ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე შეიძინა, მაშინ, როდესაც მოსარჩელე სა-

დავო ქონების მესაკუთრეა 1995 წლიდან, ამ მხრივ მოსარჩელის მტკიცების საგანში შეძვეალი ფაქტია ჩანანერის მიმართ კეთილ-სინდისიერების განმსაზღვრელი წინაპირობები, რამდენადაც, შესაფასებელია 40 კვ.მ ფართის მიმართ, უფლების ხარვეზის არსებობის შემთხვევაში სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის მე-2 ნაწილის წინაპირობები.

**1.4. საქმის იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების პროცესულური დასაბუთება:**

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა აკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის შესაბამისად, აუქმებს გასაჩივრებულ განჩინებას და ვინაიდან საჭიროა მტკიცებულებათა ხელახალი გამოკვლევა, ამავე კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველით, საქმეს ხელახლა განსახილველად უბრუნებს იმავე სასამართლოს, რომელმაც უნდა დაადგინოს დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები და შემდგომ გადაწყვიტოს უფლების საკითხი.

**2. პროცესის ხარჯები:**

ვინაიდან საქმე ხელახლა განსახილველად უბრუნდება სააპელაციო სასამართლოს, პროცესის ხარჯების საკითხი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, უნდა გადაწყდეს შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 412-ე მუხლებით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

1. ი. მ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 10 აპრილის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## 2. სამეჯოგლო სამართალი

### აუცილებელი გზა

#### ბანჩინება

#### საქართველოს სახელმწიფო

№ას-1869-2018

25 ოქტომბერი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი)  
ზ. ძლიერიშვილი,  
ნ. ბაქაძური

**დავის საგანი:** აუცილებელი გზის დადგენა

**აღწერილობითი ნაწილი:**

**1. მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი საფუძ-  
ვლები:**

1.1. მ. მ-ქმ (შემდგომში – მოსარჩელე, აპელანტი ან მეორე კა-  
სატორი) სარჩელი აღძრა სასამართლოში ნ. ი-ძისა (შემდგომში –  
მოპასუხე, აპელანტის მონინალმდეგე მხარე ან პირველი კასატო-  
რი) და მესამე პირის – სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული საა-  
გენტოს (შემდგომში – მესამე პირი) მიმართ, მოპასუხის კუთვნი-  
ლი 363 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ №22.24...) გავლით მოსარჩელის  
მიწის ნაკვეთთან (ს/კ №22.24.03...) მისასვლელი აუცილებელი გზის  
დადგენის მოთხოვნით.

1.2. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: მო-  
სარჩელე 2015 წლიდან არის მიწის ნაკვეთის მესაკუთრე. უძრავი  
ნივთი 2001 წლიდან 2016 წლამდე ეკუთვნოდა მის მეუღლეს, რო-  
მელმაც 950 კვ.მ მიწა შეიძინა აუქციონზე. განკარგულება რეგის-  
ტრირებულია საჯარო რეესტრში. 950 კვ.მ მიწის ნაკვეთის საზ-  
ღვრები დადგენილია და მას სამი მხრიდან ესაზღვრება მ-ძის მი-  
წის ნაკვეთი, ხოლო მეოთხე მხრიდან – გზა. გზასა და მიწის ნაკ-  
ვეთს შორის არის სანიაღვრე არხი, რომელზეც წვიმის დროს ძნელ-  
დება გადასვლა. მას შემდეგ, რაც მიწის ნაკვეთი მოსარჩელის მე-  
უღლის საკუთრებაშია, მესაკუთრე და მისი ოჯახის წევრები სარ-  
გებლობენ ზემოაღნიშნული გზით. 2012 წელს მოსარჩელის ოჯახ-  
მა გადაწყვიტა სადავო მიწაზე სახლის აშენება. არხზე გადასას-  
ვლელი გზა მოუნესრიგებელი იყო. 2012 წლის 23 ივლისს რ. დ-ქმ  
(მოსარჩელის მეუღლე) განცხადებით მიმართა ხელვაჩაურის მუ-

ნიციპალიტიკეტის გამგეობას და მოითხოვა მის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთსა და სახელმწიფო გზას შორის არსებულ არხზე ხიდის მშენებლობის ნებართვა. ხელვაჩაურის მუნიციპალიტიკეტის გამგეობაში განცხადების შესწავლისა და ადგილზე დათვალიერების შემდეგ შეთანხმდნენ, რადგან ხიდის აშენება არ იყო სავალდებულო, სავალი გზის მოსაწყობად საკმარისი იყო სანიმალვრე არხში მილის ჩადება. მათთან შეთანხმებით, არხში მილის ჩადებისათვის წერილობით მიმართეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტიკეტის გამგეობას, რომლის 2012 წლის 10 აგვისტოს წერილით, ხელვაჩაურის მუნიციპალიტიკეტის გამგებლის ხელმოწერით, რ. დ-ქმ მიიღო თანხმობა: „...შესწავლილი იქნა აღნიშნული საკითხი ზედამხედველობის სამსახურის მიერ, რის საფუძველზეც მუნიციპალიტიკეტის გამგეობას არ აქვს საწინააღმდეგო გზის მოწყობისათვის მოახდინოს შესაბამისი სამუშაოების ჩატარება კანონის შესაბამისად“. სანიმალვრე არხში მილის ჩადებამდე, აღნიშნული გზის მეორე მოსარგებლემ – მოპასუხემ მოსარჩელის ოჯახს გზით სარგებლობა აუკრძალა. საქმეში რამდენჯერმე ჩაერივნენ პოლიციის თანამშრომლები, სადავო გზით სარგებლობდა მხოლოდ ორი ოჯახი: დ-ძისა და ი-ძის. ფაქტობრივად ცხოვრობენ ქ. ბათუმში. მიწის ნაკვეთზე მხოლოდ მანდარინის ნარგავებია და მისი მოვლისა და სარგებლობისათვის ყოველდღიური მისვლა არ იყო საჭირო. ხელვაჩაურის მუნიციპალიტიკეტის გამგეობისაგან ნებართვის მიცემის შემდეგ, ნ. ი-ძის წინააღმდეგობის გამო, რ. დ-ქმ განცხადებით მიმართა ხელვაჩაურის მუნიციპალიტიკეტის გამგეობას და მოითხოვა გზის გამოთავისუფლება. მათთვის ასევე ცნობილი გახდა, რომ ხელვაჩაურის მუნიციპალიტიკეტის საკრებულოს საკუთრების აღიარების კომისიას განცხადებით მიმართა ნ. ი-ქმ და მოითხოვა იმ მიწის ნაკვეთის საკუთრებაში აღიარება, რომელიც არის სავალი გზა, როგორც ნ. ი-ძის საცხოვრებელ სახლთან, ისე – მიწის ნაკვეთთან მისასვლელი და წარმოადგენს ერთადერთ გზას მის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთთან მისასვლელად. ხელვაჩაურის მუნიციპალიტიკეტის საკრებულოს საკუთრების აღიარების კომისიას განცხადებით მიმართა ასევე რ. დ-ქმ და მოითხოვა სადავო გზის მოპასუხისათვის საკუთრებაში გადაცემაზე უარის თქმა. ამის მიუხედავად, ნ. ი-ძეს საკუთრებაში გადაეცა სადავო მიწის ის ნაკვეთი, რომელიც იყო სახელმწიფო საკუთრება და რომელიც გამოყენებულია სავალ გზად. ხელვაჩაურის მუნიციპალიტიკეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2012 წლის 5 ოქტომბრის №15 ოქმის თანახმად, „ამასთან ერთმნიშვნელოვნად შეფასდა ის გარემოება, რომ ი-ისა და დ-ძის ნაკვეთებს შორის არის სანიმალვრე არხი და ნაკვეთები ბუნებრივად არიან ერთმანეთისაგან გა-

მიჯნული. აქვე მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოება, რომ ვინაიდან დ-ქ არ სახლობდა ნაკვეთზე, მის ნაკვეთს იყენებდა მხოლოდ სეზონურად და მის მიერ ი-ძის სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთის ნაწილის საცალფეხო ბილიკად დროებითი სარგებლობა ვერ ჩაითვლება ი-ძის მიერ თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთის ხელშემშლელ გარემოებად სამართლებრივი თვალსაზრისით“. ფაქტიურად, მხარეთა მიწის ნაკვეთებს შორის სანიაღვრე არხი არ არსებობს. სანიაღვრე არხი არის მოსარჩელის მიწის ნაკვეთსა და სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ გზას შორის, რაც კომისიისათვის ცნობილი იყო მიწის ნაკვეთის ადგილზე დათვალიერებით. კომისიამ ასევე იცოდა, რომ 2001 წლიდან მოსარჩელის ოჯახი სარგებლობდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწაზე არსებული სავალი გზით და არა მოპასუხის სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთის ნაწილის საცალფეხო ბილიკით. ბათუმის საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა მ. მ-ძის სარჩელი აღიარების კომისიის აქტის ბათილად ცნობის თაობაზე და გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში. 2012 წლიდან დღემდე მოსარჩელე ვერ სარგებლობს საკუთარი მიწის ნაკვეთით და მანდარინის მოსავლით.

## **2. მოპასუხის/მესამე პირის პოზიცია:**

2.1. მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებლით მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ 950 კვ.მ მიწის ნაკვეთის მესაკუთრე მოსარჩელე არის რ. დ-ის უფლებამონაცვლე. რ. დ-ქმ ეს მიწის ნაკვეთი შეიძინა სააღსრულებო განკარგულების საფუძველზე, კერძოდ, ზ. მ-ძის კომლს ეწერა 0.38 ჰა მიწა, 2001 წლის 4 ივნისის აუქციონზე შეძენილ ქონებაზე უფლების გადაცემის თაობაზე განკარგულების შემდეგ, ზ. მ-ძის კომლს დარჩა 0.285 ჰა მიწის ნაკვეთი, ხოლო, 950 კვ.მ მიწის ნაკვეთი გადაეცა მოსარჩელეს, შესაბამისად, შედგა მიწის ნაკვეთის ნახაზი, რომლითაც სამი მხრიდან ესაზღვრება მ-ძის საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, ხოლო, მეოთხე მხრიდან – ნაკადული. სადავო მიწას გააჩნია სხვა მისასვლელი გზა. რ. დ-ქმ მის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთთან აქვს სხვა მისასვლელი, საპირისპირო გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულებები მოსარჩელეს არ წარმოუდგენია. მას არასოდეს უსარგებლია სადავო მიწის ნაკვეთით. ის მუდამ აცხადებდა, რომ მისი მიწის ნაკვეთით სარგებლობდა მ-ების საკარმიდამო მიწის გავლით, რის თაობაზეც არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების აღიარების კომისიის 2012 წლის 5 ოქტომბრის №15 ოქმის საფუძველზე მოპასუხეს საკუთრებაში გადაეცა მის მფლობელობასა და სარგებლობაში არსებული მიწის ის ნაკვეთი, რომლითაც სარგებლობის უფ-

ლებასაც მოითხოვს მოსარჩელე. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილებითა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 14 მარტის გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ რ. დ-ძეს არასდროს უსარგებლია იმ მიწის ნაკვეთით, რომელზეც ითხოვს აუცილებელი გზის დათმობას. ეს მიწის ნაკვეთი არ არის რ. დ-ძის მომიჯნავედ;

2.2. მესამე პირმა ასევე არ ცნო სარჩელი და აღნიშნა, რომ სადავო უძრავ ქონებებს შორის არსებული დაურეგისტრირებელი მიწის ნაკვეთი, სისტემური რეგისტრაციის მონაცემების მიხედვით, წარმოადგენს სატყეო მეურნეობის მიწას, შესაბამისად, სარჩელის დაკმაყოფილება გამოიწვევს ტყის გაჩეხვას.

### **3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:**

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 24 მაისის გადაწყვეტილებით სარჩელი უარყოფილ იქნა.

### **4. აპელანტის მოთხოვნა:**

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მოითხოვა მისი გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება.

### **5. გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, დადგინდა მოსარჩელის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთთან (ს/კ №22.24.0...) მისასვლელი აუცილებელი საფეხმავლო გზა მოპასუხის საკუთრებაში არსებული 363 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (ს/კ №22.24.0...) ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2016 წლის 17/11 დასკვნის №1 დანართის მიხედვით.

### **6. კასატორების მოთხოვნა:**

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს მხარეებმა, პირველმა კასატორმა (მოპასუხე) მოითხოვა მისი ნაწილობრივ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის უარყოფა, ხოლო, მეორე კასატორმა (მოსარჩელე) – სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივ-

რების საფუძვლები და მიიჩნევს, რომ ისინი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

**1. გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების დასაბუთება:**

**1.1. საკასაციო განაცხადის მოცულობა და საკასაციო განხილვის ფარგლები (კასატორთა პრეტენზიები):**

საკასაციო საჩივრის ფარგლებში პალატის შეფასების საგანს სამეზობლო სამართლიდან გამომდინარე მოთხოვნის – აუცილებელი გზის უფლების დადგენის წინაპირობების არსებობა წარმოადგენს. სააპელაციო სასამართლოს დასკვნით მოთხოვნა ნაწილობრივ – საფეხმავლო გზით სარგებლობის მოთხოვნის ნაწილში განხორციელებადი იყო, რასაც არ ეთანხმებიან მხარეები. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე (საკასაციო სასამართლო ამონმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია, თავისი ინიციატივით შეამონმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა), გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებას პალატა კასატორთა პრეტენზიების ფარგლებში შეამონმებს. საკასაციო საჩივრების თანახმად:

**(i) პირველი კასატორის პრეტენზიები:**

– სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო მტკიცებულებათა ყოველმხრივი შეფასების გარეშე, რადგანაც საქმეში არ მოიპოვება დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა, რომ პირველი კასატორის საკუთრების უფლების შეზღუდვა იყო ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი მოსარჩელის ნაკვეთით სარგებლობისათვის, ამგვარი დასკვნა არც საქმეში წარმოდგენილი ექსპერტიზის კვლევიდან არ გამომდინარეობს. ის ფაქტი, რომ მოპასუხის კუთვნილი მიწა არ წარმოადგენს საავტომობილო გზას და არ შეესაბამება გზისთვის დადგენილ სტანდარტს, დადგენილია ადგილზე დათვალიერების შედეგებით. ამ თვალსაზრისით საქმეში ჩაბმული უნდა იყვნენ ის პირებიც, რომელთა უფლებებსაც შეიძლება შეეხოს გადაწყვეტილება, კერძოდ, აუცილებელი გზის უფლება მოსარჩელეს შეიძლება სხვა მიწის ნაკვეთის გავლითაც მიეცეს. მოსარჩელის კუთვნილი მიწა წარმოადგენდა ამჟამად მ-ების საკუთრებაში არსებული მიწის ნაწილს, შესაბამისად, მოპასუხეებად სწორედ ეს პირები უნდა ყოფილიყვნენ დასახელებული.

– გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მოსარჩელემ ნივთი შეიძინა იმგვარად, რომ მას საჯარო გზასთან ჯეროვანი კავშირი არ გააჩნდა და ნაკვეთის წინა მესაკუთრე იყენებდა საკუთარი დის მიწის ნაკვეთს, რომელთანაც ამჟამად მეორე კასატორს აქვს

კონფლიქტი. მოსარჩელემ ამ სიტუაციაში ბრალეულად ჩაიგდო თავი, რომელმაც გამყიდველს უნდა სთხოვოს ნივთის ნაკლის გამოსწორება – საკუთარ დასთან ურთიერთობის მოგვარება, რათა მოსარჩელემ კვლავ ისარგებლოს მისი მიწის ნაკვეთით;

– სასამართლომ საქმეში მესამე პირად ჩართო სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო ისე, რომ მის მიმართ მოსარჩელეს სასარჩელო მითხოვნა არ ჰქონია დაყენებული.

**(ii) მეორე კასატორის პრეტენზიები:**

– სააპელაციო სასამართლოს დასკვნა საავტომობილო გზის უფლებით სარგებლობაზე უარის თქმის ნაწილში არ არის დასაბუთებული. სასამართლოს დასკვნით, საავტომობილო გზის უფლების დადგენის აუცილებლობა საქმის მასალებით არ დგინდება, მით უფრო მოპასუხის საკუთრებაში არსებული გზის მონაკვეთი არ გამოირჩევა სიდიდით და ორი ავტომობილი თავისუფლად ვერ აუვლის გვერდს. ამგვარი მსჯელობა გაუმართლებელია, რადგანაც ორივე ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ მოსარჩელის მიწის ნაკვეთზე გაშენებულია მანდარინის მრავალწლიანი ნარგავები და მოსავალი ყოველწლიურად რამდენიმე ტონას შეადგენს. სპეციალური ცოდნის გარეშეც კი სავარაუდოა, რომ რამდენიმე ტონა მოსავლის ხელით მიტანა საჯარო გზამდე წარმოუდგენელია, რაც გამორიცხავს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმის თაობაზე, რომ არ არსებობდა მოსარჩელისათვის სამანქანე გზით სარგებლობის აუცილებლობა.

– გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილში არასწორადაა მითითებული, თითქოს მოპასუხე, მას შემდეგ რაც მიწის ნაკვეთი დის საკუთრებაა, უკრძალავს მას გზით სარგებლობას, რადგანაც მოსარჩელე განმარტავს, რომ იგი სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული გზით სარგებლობდა მას შემდეგ, რაც სადავო მიწა საკუთრებაში გააჩნია და მხოლოდ 2012 წლიდან გახდა სადავო მოპასუხის მხრიდან მოსარჩელის ოჯახის მიერ გზით სარგებლობა.

**1.2. საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ქვემდგომი სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სავალდებულობა წინამდებარე განჩინების მიმართ:**

საკასაციო სასამართლოს წინამდებარე განჩინების მიმართ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული (სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება)) სავალდებულო ძალა გააჩნიათ სააპელაციო პალატის მიერ დადგენილ იმ ფაქტობრივ გარე-



მოგებებს, რომელთა წინააღმდეგაც კასატორებს არ მიუთითებიათ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც შესაძლოა, დაშვებული იყო საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსა-მართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება, ეკრძოდ:

1.2.1. 2001 წელს რ. დ-ის საკუთრებად საჯარო რეესტრში აღი-რიცხა ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ფ. მდებარე 950 კვ.მ მიწის ნაკვეთი (ს/კ 22.24.0...), რომელიც, 2015 წლიდან მოსარჩელის სა-კუთრებაშია;

1.2.2. 2012 წლიდან ნ. ი-ის საკუთრებად საჯარო რეესტრში აღი-რიცხა ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ფ. მდებარე 363 კვ.მ მიწის ნაკვეთი (ს/კ 22.24.03...). მოსარჩელემ სარჩელს დაურთო სსიპ ლე-ვან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვ-ნული ბიუროს 2013 წლის 19 თებერვლის დასკვნა, რომლის თანახ-მად:

ა) ხელვაჩაურის რაიონში, სოფელ ფ. მდებარე მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით 22.24.0..., რომელიც მდებარეობს სამანქანე გზის მარცხენა მხარეს არსებულ ტერასაზე განთავსებულია სხვა საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების შიგნით და მას მისას-ვლელი გზის არც ერთი კატეგორია არ გააჩნია (არც საფეხმავლო, არც საავტომობილო).

ბ) ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ფ-ში მდებარე მიწის ნაკვეთ-თან (ს/კ 22.24.0...), რომელსაც არ გააჩნია აუცილებელი მისასვლე-ლი არც ერთი კატეგორიის გზა, მისასვლელი სამანქანე გზის გაკე-თება შესაძლებელია მხოლოდ ნაკვეთის მიმდებარედ არსებულ კერ-ძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებში №22.24.0..., რომე-ლიც სახლთმფლობელობაა და №22.24.0...-ში, რომელიც მისასვლე-ლი გზის სახითაა დარეგისტრირებული.

დასკვნის ავტორი აღნიშნავს, რომ ხელვაჩაურის რაიონის სო-ფელ ფ. №22.24.0... მიწის ნაკვეთი მდებარეობს სოფლის ცენტრა-ლური გზის მარცხენა მხარეს. ის რელიეფურად ტერასული მიწის ნაკვეთია, რომელიც დამრეცად ეშვება ღელისაკენ მის ქვემოთ არ-სებულ მიწის ნაკვეთზე. ნაკვეთზე გაშენებულია მანდარინის ბა-ღი. ვიზუალური დათვალიერებით ჩანს, რომ აღნიშნული მიწის ნაკ-ვეთი წარმოქმნილია ერთი მთლიანი მიწის ნაკვეთისაგან, რადგან საკადასტრო გეგმების ორთოგადაღებიდან, ასევე, ადგილის დათ-ვალიერებით არ შეინიშნება აღნიშნულ მიწის ნაკვეთთან მისასვლე-ლი გზის არსებობა. ადგილის დათვალიერებით, ყველაზე მოსახერ-ხებელი და ოპტიმალური გზა მიწის ნაკვეთთან მისასვლელად არის სოფლის ცენტრალურ გზასთან მოწყობილი მდინარეზე გადასას-

ვლელი ხიდი და შესასვლელი გზიდან, რომელიც არის კერძო საკუთრება (მოპასუხის საკუთრება). სხვა რაიმე ალტერნატიული გზა რ. დ-ძის ნაკვეთთან დამაკავშირებელი არ არის. მ. მ-ძის ნაკვეთი განთავსებულია კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებს შორის;

1.2.3. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს №006803416 დასკვნის თანახმად, მ. მ-ძის საკუთრებაში არსებულ №22.24... მიწის ნაკვეთს არ გააჩნია აუცილებელი მისასვლელი გზა, რომლის მოწყობისთვის ექსპერტი გვთავაზობს შემდეგ შესაძლებლობას: მ. მ-ძემ საკუთარ მიწის ნაკვეთთან მისასვლელად უნდა გამოიყენოს ნ. ი-ძის საკუთრებაში არსებული №22.24... მიწის ნაკვეთი, შემდეგ გადაკვეთოს სახელმწიფო მიწის ნაკვეთი. აღნიშნული მისასვლელი გზის მოწყობის შესაძლებლობა ექსპერტმა №1 დანართის სახით დაურთო დასკვნას;

1.2.4. საქმეში წარმოდგენილი სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს კიდევ ერთი, 2016 წლის 29 დეკემბრის №007708716 დასკვნა. დასკვნის თანახმად: მ. მ-ძის საკუთრებაში არსებულ მიწის №22.24... ნაკვეთთან მისასვლელი გზის მოწყობა მოქალაქე ყ. მ-ის სახელზე რეგისტრირებული №22.24.03... მიწის ნაკვეთის გამოყენებით შესაძლებელია. ასეთ შემთხვევაში გამოყენებული იქნება ყ. მ-ძის სახელზე რეგისტრირებული ორი: №22.24.0... და №22.24... მიწის ნაკვეთი, ასევე, გზასთან არსებული დაურეგისტრირებელი მიწის ნაკვეთი (დანართი №2). გზის მოწყობისათვის ჩასატარებელი იქნება რიგი სამუშაოები (დახრილი და უსწორმასწორო ზედაპირის მქონე ნაკვეთების მოსწორება/დამუშავება, ნაკადულთან ხიდის მოწყობა და სხვა), შესაბამისად, აუცილებელია შედგენილ იქნეს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი დოკუმენტაცია;

1.2.5. მ. მ-ძის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე გაშენებულია მანდარინი, ის სამოსახლო მიწის ნაკვეთად არ გამოიყენება;

1.2.6. სააპელაციო სასამართლოს ინიციატივით დანიშნული ექსპერტიზა ვერ ჩატარდა ნ. ი-ძის წინააღმდეგობის გამო. ამ უკანასკნელმა ექსპერტი არ დაუშვა კუთვნილ მიწის ნაკვეთზე კოორდინატების დასადგენად;

1.2.7. სახელმწიფო მიწის ნაკვეთი, რომელზეც დასკვნაშია საუბარი, ვინრო, დაახლოებით, ერთი მეტრის სიგანით მთელს სიგრძეზე, მდებარეობს მ. მ-ძისა და ნ. ი-ძის მიწის ნაკვეთებს შორის. იგი ოდნავ ჩალრმავებულ ადგილს წარმოადგენს და არანაირი ხის მასივი ან ტყე ამ ნაკვეთზე გაშენებული არ არის, შესაბამისად, უსაფუძვლოა სახელმწიფო ქონების მართვის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლის მითითება, რომ თუ მ. მ-ძეს მიეცემა შესაძლებ-

ლობა, ამ მიწის ნაკვეთის გამოყენებითაც (ნ. ი-ძის ნაკვეთთან ერთად) საკუთარ ნაკვეთზე მისასვლელად, ეს გამოიწვევს ხის მასივების გაჩეხვას. იმავე მოსაზრებისაა ექსპერტი დ. გ-აძე, რომლის დასკვნის თანახმადაც, ყველაზე მოსახერხებელი და ოპტიმალური გზა მ. მ-ძის მიწის ნაკვეთთან მისასვლელად არის მოპასუხის საკუთრებაში დარეგისტრირებული შესასვლელი გზიდან, რომელიც დღეს კერძო საკუთრებაა. რაც შეეხება თავად მოპასუხის მიერ წარდგენილ დასკვნას, მასში დასმულია შემდეგი შეკითხვა: „არის თუ არა შესაძლებელი, მოსარჩელის მიწის ნაკვეთზე მოწყოს მისასვლელი გზა №2224033.. და №222403... მიწის ნაკვეთებიდან (რომელიც არის მა-ების მიწის ნაკვეთი), შესაბამისად, ექსპერტიც სწორედ იმ კითხვაზე იძლევა პასუხს, რაც მის წინაშე იყო დასმული და არა კითხვაზე, თუ როგორი იქნება ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი მისასვლელი გზის მოსაწყობად.

### **1.3. საკასაციო სასამართლოს შეფასებები და სამართლებრივი დასკვნები:**

1.3.1. განსახილველ შემთხვევაში, მხარეთა შორის წარმოშობილი სადავო სამართალურთიერთობა სანივთო სამართლიდან გამომდინარეობს. მოსარჩელე მოითხოვს აუცილებელი გზის უფლების დადგენას, შესაბამისად, მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმას სამოქალაქო კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილი წარმოადგენს. ხსენებული ნორმის თანახმად, თუ მიწის ნაკვეთს არა აქვს ჯეროვანი გამოყენებისათვის აუცილებელი კავშირი საჯარო გზებთან, ელექტრო, ნავთობის, გაზისა და წყალმომარაგების ქსელთან, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია მეზობელს მოსთხოვოს, რომ მან ითმინოს მისი მიწის ნაკვეთის გამოყენება ამგვარი აუცილებელი კავშირის უზრუნველსაყოფად. იმ მეზობლებს, რომელთა ნაკვეთზედაც გადის აუცილებელი გზა ან გაყვანილობა, უნდა მიეცეთ შესაბამისი კომპენსაცია, რომელიც, მხარეთა შეთანხმებით, შეიძლება ერთჯერადი გადახდით გამოიხატოს. განსახილველი ნორმა წარმოადგენს საკუთრებით თავისუფალი სარგებლობის უფლებით დაცულ სფეროში ჩარევის ლეგიტიმურ საფუძველს და გამართლებულია სხვა მესაკუთრის აუცილებელი საჭიროებით (სხვა გზის არარსებობა, რაც ნივთის ჯეროვანი გამოყენების საშუალებას არ იძლევა და ამით ნივთის დანიშნულებისამებრ გამოყენების შესაძლებლობა მცირდება ან საერთოდ იკარგება), კერძოდ, მეზობელი ნაკვეთის მესაკუთრეს, რომელსაც საჯარო კომუნიკაციებთან არ გააჩნია ჯეროვანი კავშირი, უფლება აქვს, სხვა მესაკუთრის უფლების შეზღუდვის გზით განახორციელოს ნივთზე ფაქტობრივი ბატონობა. უნდა ითქვას ისიც, რომ საკუთრების უფლება არ მიეკუთვნება აბსოლუტურ უფლებათა კატეგორიას, რამეთუ თავად სამოქალა-

ქო კოდექსის 170-ე მუხლის პირველი ნაწილი მისი შეზღუდვის წინაპირობად მიიჩნევს კანონისმიერ ან სახელშეკრულებო ბოჭვას. ამასთანავე, უფლებათა კონკურენციის საკითხი კანონმდებლობით მოწესრიგებულია იმგვარად, რომ მესაკუთრეს, რომლის ნივთთან კავშირიც სხვა მესაკუთრის ინტერესებიდან გამომდინარე ეზღუდება, მიეცემა კომპენსაცია, რაც უფლებაში ჩარევის ადეკვატური საშუალება უნდა იყოს.

1.3.2. აუცილებელი გზის უფლების თაობაზე სარჩელი ფორმალურად გამართულია, თუკი მოსარჩელე მიუთითებს ნორმით განსაზღვრულ ყველა წინაპირობაზე: ის უნდა წარმოადგენდეს მინის ნაკვეთის მესაკუთრეს; მინის ნაკვეთს არ უნდა გააჩნდეს ჯეროვანი კავშირი საჯარო გზასთან; მეზობელი ნაკვეთის აუცილებელ გზად გამოყენება განპირობებული უნდა იყოს ნივთის ფაქტობრივი მდებარეობითა და ფუნქციური დანიშნულებისამებრს გამოყენებით; მეზობელი მინის ნაკვეთი უნდა იყოს მიზნის მიღწევის ერთადერთი პროპორციული საშუალება. იმის მიხედვით, თუ ჩამოთვლილთაგან რომელ ფაქტებს შეედავება მეზობელი ნაკვეთის მესაკუთრე, განისაზღვრება მტკიცების საგანი (სადავო ფაქტები) და შეედავებათა პროცესუალური ხასიათიდან გამომდინარე, მხარეთა შორის ნაწილდება მტკიცების ტვირთი. განსახილველი სარჩელი ფორმალური თვალსაზრისით გამართულია, რაც შეეხება შეედავებას, შესაგებლის თანახმად, მოსარჩელის მინის ნაკვეთს სამი მხრიდან ესაზღვრება სხვა მინის ნაკვეთები (მ-ების მინა), რომლითაც სარგებლობდა მოსარჩელე და ეს წარმოადგენს ნაკვეთთან მისასვლელ სხვა გზას, ამდენად, სადავოა აქვს თუ არა მოსარჩელეს ალტერნატიული მისასვლელი და/ან მისი მოწყობის საშუალება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, მტკიცების საგანში შემავალი ფაქტის – მოპასუხის მინის ნაკვეთის გამოყენება მოსარჩელის ქონებით სარგებლობის ერთადერთ და საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს თუ არა, მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს ეკისრება. ამ მხრივ საკასაციო პალატა იზიარებს ქვემდგომი სასამართლოების დასკვნას, რომ უფლების რეალიზაციის საუკეთესო საშუალება მოპასუხის მინის გამოყენებაა, რამდენადაც, როგორც მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით, ისე – შემდგომში ჩატარებული საქსპერტო კვლევებით ცალსახად დგინდება, რომ მოპასუხის უფლების შეზღუდვა მოსარჩელის ინტერესების დაცვის პროპორციული და თანაზომიერი საშუალებაა. მართალია, ამ ფაქტის გაქარწყლების თვალსაზრისით მოპასუხემ წარადგინა შესაბამისი დასკვნა, თუმცა, ამ მხრივ, პალატა იზიარებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეფასებას, რომლის თანახმადაც, მოპასუხის მიერ წარდგენილი მტკიცებულება

ასახავს არა უფლების შეზღუდვის თანაზომიერებას, არამედ – მასში პასუხია გაცემული მოპასუხის შეკითხვაზე, მ-ების ნაკვეთის გამოყენებით შეიძლება თუ არა მოსარჩელე მოხვდეს საკუთარ ნაკვეთში. ამ თვალსაზრისით ქვემდგომი სასამართლოს შეფასებები დასაბუთებულია და გამომდინარეობს საქმეში წარმოდგენილი საექსპერტო კვლევების შედეგების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლით დადგენილი სტანდარტით (ინდივიდუალურად და ერთობლიობაში) შეფასებიდან. ამასთანავე, უდავოა, რომ დამატებითი კვლევის ჩასატარებლად მოპასუხემ არ დაუშვა ექსპერტი საკუთარ მიწის ნაკვეთზე.

1.3.3. სწორედ იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ მოსარჩელემ დაამტკიცა მოპასუხის და არა სხვა მეზობელი ნაკვეთით სარგებლობის აუცილებლობა, გაზიარებას არ ექვემდებარება პირველი კასატორის მტკიცება საქმეში სხვა თანამოპასუხეების – მ-ების ჩაბმის თაობაზე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლის გამოყენების წინაპირობა მაშინაა სახეზე, როდესაც საქმის განხილვისას გამოირკვევა, რომ პირი, რომელმაც პასუხი უნდა აგოს მოსარჩელის უფლების დარღვევაზე, არ არის მონვეული საქმეში, ამგვარი შემთხვევა კი, არ იკვეთება. რაც შეეხება მესამე პირის სტატუსის ცვლილებასა და მის მოპასუხედ ჩაბმას, საკასაციო პალატა უპირველესად განმარტავს, რომ მას, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის შესაბამისად, არც 2018 წლის 20 სექტემბრის საოქმო განჩინება და არც სააპელაციო პალატის 2018 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილება არ გაუსაჩივრებია, ხოლო, პირველი კასატორი არ წარმოდგენს ხსენებულ საკითხზე პრეტენზიის უფლების მქონე პირს, უფრო მეტიც, საქმის განხილვისას სასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხის ნაკვეთთან ერთად მოსარჩელეს უნდა ესარგებლა სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთით, შესაბამისად, მოსარჩელის თანხმობით ჩაბმულ იქნა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო დავაში თანამოპასუხედ, თანახმად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლისა. აქვე ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ პირველი ინსტანციის წესით ამ უკანასკნელს წარდგენილი აქვს შესაგებელი, მიწვეული იყო სააპელაციო განხილვაზე და თანმიმდევრულად ეცნობა საკასაციო განხილვის ეტაპები, რის გამოც, საკასაციო სასამართლო ამავე კოდექსის 394-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის წინაპირობებს მოცემულ დავაში ვერ ხედავს.

1.3.4. პირველი კასატორის მოთხოვნის წარმატებულობაზე გავლენას ვერ იქონიებს ის პრეტენზიაც, რომელიც მოსარჩელის მხრიდან ნივთობრივი ნაკლის მქონე ნივთის შექმნასა და გამყიდველ-სათვის მისი გამოსწორების მოთხოვნას შეეხება. უპირველესად უნ-

და აღნიშნოს ის გარემოება, რომ განსახილველი დავის საგანს აუცილებელი გზით სარგებლობის უფლების საკითხის გადაწყვეტა და არა ნასყიდობის საგნის ნაკლის გამოსწორება წარმოადგენს, რომლის ფარგლებშიც ვერ იქნება გამოკვლეული სამოქალაქო კოდექსის 488-ე მუხლის წინაპირობების არსებობა (ნივთობრივად უნაკლო ნივთი), ამასთანავე, დავას არ ინვესს ის ფაქტი, რომ ნივთის მესაკუთრე მოსარჩელეა, შესაბამისად, მას გააჩნია სანივთო მოთხოვნის, მათ შორის 180-ე მუხლით გათვალისწინებული აუცილებელი გზით სარგებლობის მოთხოვნის წარდგენის შესაძლებლობა.

1.3.5. საკასაციო პალატა ნაწილობრივ იზიარებს კასატორთა არგუმენტებს სასამართლოს მხრიდან მტკიცებულებათა არასრული გამოკვლევის თაობაზე და ყურადღებას გაამახვილებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მსჯელობაზე, რომელიც საფეხმავლო გზით სარგებლობის უფლებას შეეხება. საკასაციო პალატის დასკვნით, იმ ვითარებაში, როდესაც დადგენილია სამოქალაქო კოდექსის 180-ე მუხლის წინაპირობები, მოთხოვნა განხორციელებადია, თუმცა, გაურკვეველია სასამართლოს დასკვნა იმის თაობაზე, თუ რატომაა მხოლოდ ნაწილობრივ წარმატებული სარჩელი. ამ შემთხვევაში, მნიშვნელობა ენიჭება ნივთის ფუნქციას, რომელზეც განლაგებულია ნარგავები და მიიღება მოსავალი. გადაწყვეტილება არ შეიცავს დასაბუთებულ მსჯელობას იმის თაობაზე, სეზონური ხილის ბალისათვის რატომ არის საკმარისი საფეხმავლო გზის არსებობა და არა სამანქანოსი. სასამართლო არ ასაბუთებს მხოლოდ საფეხმავლო ბილიკით სარგებლობის უფლების მინიჭება შესაძლებელს გახდის თუ არა მოსარჩელის ქონებით სრულფასოვნად სარგებლობას. მხოლოდ ის არგუმენტი, რომ მოპასუხის ნაკვეთი არ არის საკმარისი ორი ავტომობილისათვის გვერდის თავისუფლად ასავლელად, ვერ იქნება მიჩნეული სარჩელის ნაწილობრივ უარყოფის საფუძვლად, ამასთანავე, როგორც ამ განჩინების სამოტივაციო ნაწილშია აღნიშნული, მეზობელი მიწის ნაკვეთის დატვირთვა ამ ნაკვეთის მესაკუთრისათვის კომპენსაციის მინიჭების საფუძველია. კომპენსაციის ოდენობასთან დაკავშირებით კანონმდებლის კვალიფიციური დუმილი კი, მიანიშნებს იმაზე, რომ კომპენსაციის ოდენობა სასამართლომ დატვირთვის ინტენსივობისა და უფლებაში ჩარევის ხარისხის გათვალისწინებით უნდა განსაზღვროს სამართლიანი და გონივრული ოდენობით.

1.4. საქმის იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების პროცესუალურსამართლებრივი დასაბუთება:

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ საპროცესო წესების დარღვევით დაადგინა დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქო-

ნე გარემოებები, შესაბამისად, სახეზეა გასაჩივრებული გადანყვეტილების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული გაუქმების საფუძველი. ამასთანავე, რადგანაც საჭიროა მტკიცებულებათა ხელახალი გამოკვლევა, ამავე კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველით (საკასაციო სასამართლო აუქმებს გადანყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადანყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა), პალატა საქმეს ხელახლა განსახილველად უბრუნებს იმავე სასამართლოს, რომელმაც ამ განჩინებაში განვითარებული მსჯელობის შესაბამისად, მოპასუხის შედავებათა გათვალისწინებით უნდა დაადგინოს სეზონური ნარგავებით გაშენებული მიწის ფუნქციური და სრულფასოვანი გამოყენებისათვის საჭირო წინაპირობები და შემდგომ გადანყვეტიტოს მოპასუხის უფლებაში ჩარევის ინტენსივობის საკითხი.

## **2. პროცესის ხარჯები:**

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანხმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულება ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განანილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. ვინაიდან მოცემული საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა ქვემდგომ სასამართლოს, პროცესის ხარჯების საკითხი უნდა გადანყვეტიტოს შემამდგომი გადანყვეტილების გამოტანისას.

## **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 412-ე მუხლებით და

## **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ნ. ი-ძის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
2. მ. მ-ძის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
3. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 3 ოქტომბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# ფულადი კომპენსაცია თმენის ვალდებულებებისათვის

## გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№სს-1601-2018

11 მარტი, 2021 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა

შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავეიძე,  
ე. გასიტაშვილი

**დავის საგანი:** ელექტროქსელის სარგებლობისათვის კომპენ-  
საციის გადახდა

### აღწერილობითი ნაწილი:

1. სს „გ-ამ“ (შემდეგში – მოსარჩელე ან პირველი კასატორი) 2015 წლის 13 ოქტომბერს სარჩელი აღძრა სს „ე.პ.ჯ-ას“ (შემდეგში – მოპასუხე ან მეორე კასატორი) მიმართ, რომლითაც მოპასუხისაგან მოითხოვა 694 913.64 ლარის გადახდა კომპენსაციის სახით 2008 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 1 სექტემბრამდე პერიოდში მისი ელექტროქსელით სარგებლობისათვის.

2. სარჩელი დამყარებულია შემდეგ გარემოებებზე მითითებით: მოპასუხე, 2008 წლის 1 იანვრიდან, სარგებლობს მოსარჩელის ელექტროგადამცემი ქსელით, რომელიც, კანონის თანახმად, ვალდებულია ითმინოს თავისი ქსელით სარგებლობა და უფლება აქვს, მოითხოვოს გატარების საფასური ან – თმენის კომპენსაცია.

3. მოსარჩელემ მიუთითა, რომ საკომპენსაციო თანხის განსაზღვრისათვის გამოყენებული უნდა იქნეს სემეკის მიერ დადგენილი შემდეგი ტარიფები: 2008 წლის 1-ლი იანვრიდან 2010 წლის 1-ელ თებერვლამდე პერიოდისათვის – 6-10 კილოვატ დაბვაზე 0,580 თეთრი/კვტსთ-ზე, ხოლო 220/380 ვოლტ დაბვაზე – 1,320 თეთრი/კვტსთ-ზე; 2010 წლის 1-ლი ივლისიდან 2014 წლის 1-ელ სექტემბრამდე პერიოდისათვის – 6-10 კილოვატ დაბვაზე 2,59 თეთრი/კვტსთ-ზე, ხოლო 220/380 ვოლტ დაბვაზე – 3,6 თეთრი/კვტსთ-ზე; 2014 წლის 1-ლი სექტემბრიდან 2015 წლის 1-ელ სექტემბრამდე პერიოდისათვის 6-10 კილოვატ დაბვაზე 2.064 თეთრი/კვტსთ-ზე, ხოლო 220/380 ვოლტ დაბვაზე – 6.837 თეთრი/კვტსთ-ზე;

4. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მოპასუხის მიერ მოსარჩელის კუთვნილი ელექტროგადამცემი ქსელით სარგებლობისათვის 2008 წლის 1-ლი იანვრიდან 2010 წლის 1-ელ ივლისამდე პერიოდში კომ-



პენსაციის თანხა შეადგენს 6-10 კილოვატ ძაბვაზე ელ.ენერჯის გატარებისათვის 22603 ლარსა და 96 თეთრს, ხოლო 220/280 ვოლტ ძაბვაზე – 77165 ლარსა და 22 თეთრს. 2010 წლის პირველი ივლისიდან 2014 წლის პირველ სექტემბრამდე პერიოდისათვის კომპენსაციის თანხა შეადგენს 6-10 კილოვატ ძაბვაზე ელ.ენერჯის გატარებისათვის 351894 ლარსა და 99 თეთრს, ხოლო 220/280 ვოლტ ძაბვაზე – 384308 ლარსა და 93 თეთრს. 2014 წლის პირველი სექტემბრიდან 2015 წლის პირველ სექტემბრამდე კი 6-10 კილოვატ ძაბვაზე ელ.ენერჯის გატარებისათვის 82811 ლარსა და 87 თეთრს, ხოლო 220/280 ვოლტ ძაბვაზე – 215532 ლარსა და 66 თეთრს, რაც ჯამში შეადგენს 1134317 ლარსა და 63 თეთრს (პირველი ინსტანციის სასამართლოში 2016 წლის 31 მარტს გამართულ სასამართლოს მთავარ სხდომაზე დაზუსტებული მოთხოვნით მოსარჩელემ მოპასუხისაგან მოითხოვა 2008 წლის 1-ლი იანვრიდან 2015 წლის 1-ელ სექტემბრამდე ელექტროენერჯის გატარებისათვის კომპენსაცია 694913.64 ლარის ოდენობით.

5. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ მოსარჩელესთან სახელშეკრულებო ურთიერთობა შეწყვეტილია 2007 წლის 31 დეკემბრიდან. (იხ. მე-6 ფაქტობრივი გარემოება). მოსარჩელე მოითხოვს თმენისათვის კომპენსაციას და არ მოითხოვს ელექტროენერჯის გატარების საფასურს. მოქმედი კანონმდებლობით კი გათვალისწინებულია მხოლოდ გატარების საფასურის მოთხოვნის უფლება. მოპასუხემ სადავო გახადა როგორც გატარებული ელექტროენერჯის რაოდენობა, ასევე, მოთხოვნილი თანხის გონივრულობა. (იხ. მე-10 ფაქტობრივი გარემოება). მოპასუხემ აგრეთვე, მიუთითა სსკ-ის 144-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნის ხანდაზმულობაზეც.

6. ხაშურის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 15 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ 2012 წლის 1-ლი სექტემბრიდან 2014 წლის 1-ელ იანვრამდე დაეკისრა თმენის კომპენსაცია 130 424.67 ლარი. სასარჩელო მოთხოვნა 2008 წლის 1-ლი იანვრიდან 2012 წლის 1-ელ იანვრამდე თმენის კომპენსაციის ნაწილში, არ დაკმაყოფილდა ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო. რაც შეეხება მოთხოვნას 2014 წლის 1-ლი იანვრიდან 2015 წლის 1-ელ სექტემბრამდე თმენის კომპენსაციის დაკისრების შესახებ, არ დაკმაყოფილდა იმ საფუძველით, რომ 2014 წლის 1-ლი იანვრიდან ამოქმედებული სემეკის 2013 წლის 30 დეკემბრის №15 დადგენილებით დამტკიცებული „მესამე პირების მფლობელობაში არსებულ ქსელში ელექტროენერჯის, ბუნებრივი გაზისა და სასამელო წყლის გატარების საფასურის გაანგარიშების წესები“ აღარ ითვალისწინებს

ქსელით სარგებლობისათვის თმენის კომპენსაციას და ითვალის-  
წინებს მხოლოდ გატარების საფასურს.

7. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება ორივე მხარემ გაასაჩივ-  
რა სააპელაციო საჩივრით. მოსარჩელემ მოითხოვა სარჩელის სრუ-  
ლად დაკმაყოფილება, ხოლო მოპასუხემ – სარჩელის უარყოფა.

8. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატის 2018 წლის 1 მაისის განჩინებით სააპელაციო საჩივრები  
არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა მოცემულ საქმეზე პირ-  
ველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება.

9. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი  
ფაქტობრივი გარემოებები:

10. ... მოსარჩელის საკუთრებაში, რომელიც არ არის განაწილე-  
ბის ლიცენზიატი, რეგისტრირებულია 6021.14 მეტრი სიგრძის  
ელექტროგადამცემი ხაზი 7 ცალი ტრანსფორმატორით, 7 ცალი  
ელექტროჯიხურით და 1 ცალი ზეთიანი ამომრთველით.

11. მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ ის გარემოება, რომ მოპა-  
სუხე, რომელიც წარმოადგენს ელექტროენერჯიის განაწილების  
ლიცენზიანტს, ელექტროენერჯიას ატარებს მოსარჩელის ორი –  
0.4 კვტ. (დაბალი ძაბვა) და 6/10 კვტ. (მაღალი ძაბვა) სიმძლავრის  
სადენით. უდავოა, რომ 2008 წლის 1 იანვრიდან, ქსელით სარგებ-  
ლობისათვის, მოპასუხეს მოსარჩელისათვის თანხა არ გადაუხდია.

12. უდავოა, რომ 2012 წლის 1 სექტემბრიდან 2014 წლის 1 იან-  
ვრამდე პერიოდში მოპასუხემ მოსარჩელის ქსელით გაატარა – და-  
ბალი ძაბვის სადენით – 1702.379 კვტ.სთ. და მაღალი ძაბვის სადე-  
ნით – 3967.665 კვტ.სთ. ელექტროენერჯია.

13. დადგენილია, რომ მოპასუხეს მოსარჩელისათვის გატარე-  
ბული ელექტროენერჯიის მომსახურების ღირებულება არ გადა-  
უხდია.

14. ვინაიდან, მხარეებს შორის ურთიერთობა არ არის მონესრი-  
გებული ხელშეკრულებით, შესაბამისად, არ არის განსაზღვრული  
მოსარჩელის კუთვნილი ელექტროგადამცემი ხაზით სარგებლო-  
ბის საფასურიც.

15. გასაჩივრებული განჩინებით ელექტროგადამცემი ხაზით  
სარგებლობის საფასურის ოდენობა 1 კვტ/სთ-ზე განსაზღვრა მა-  
ღალი ძაბვის სადენით გატარებული ელექტროენერჯიის რაოდე-  
ნობის 0.02 ლარზე ნამრავლით და დაბალი ძაბვის სადენით გატა-  
რებული ელექტროენერჯიის რაოდენობის 0.03 ლარზე ნამრავლით,  
რომლის ჯამურმა ოდენობამ 2012 წლის 1 სექტემბრიდან 2014 წლის  
1 იანვრამდე შეადგინა 130 424.67 ლარი (1 702 379 კვ.ელექტროე-  
ნერჯია X 0.03 თეთრზე, 3 967 665 ვ.ელექტროენერჯია X 0.02 თეთ-  
რზე).

16. ამასთან, 2008 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის 1 სექტემბრამდე გატარებული მოთხოვნის ნაწილში, როგორც პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულება, სარჩელი მიჩნეულ იქნა ხანდაზმულად.

17. მოპასუხე აპელანტი წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრით სადავოდ ხდიდა ელექტროგადამცემი ხაზით სარგებლობის სასამართლოს მიერ განსაზღვრულ საფასურს და მიაჩნდა, რომ მისი ოდენობა არასწორად იქნა განსაზღვრული.

18. მოსარჩელე აპელანტი სადავოდ ხდიდა 564 488.97 ლარის დაკისრების თაობაზე სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას, აგრეთვე მოთხოვნის ხანდაზმულობას.

19. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში – სსკ-ის) 128-ე მუხლის პირველი ნაწილით და დაასკვნა, რომ ვინაიდან, წინამდებარე სარჩელი, 2008 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის 1 სექტემბრამდე გატარებული ელექტროენერგიის ღირებულების მოთხოვნის ნაწილში, აღძრულია ხანდაზმულობის სამწლიანი ვადის გასვლის შემდეგ, 2015 წლის 13 ოქტომბერს, არ დგინდება ხანდაზმულობის ვადის განმავლობაში სასამართლოსადმი მიმართვის გზით ან/და ვალდებული პირის მიერ აღიარების გზით ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა, არ არსებობს ამ ნაწილში, სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ხანდაზმულობის ვადის გასვლა, მატერიალური თვალსაზრისით, გამორიცხავს პირის მოთხოვნის იძულებით განხორციელების შესაძლებლობას. სააპელაციო პალატამ მიუთითა სსკ-ის 316-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება. შესრულება შეიძლება გამოიხატოს მოქმედებისაგან თავის შეკავებაშიც. იმავე კოდექსის 317-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან. სემეკის 2008 წლის 18 სექტემბრის №20 დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ელექტროენერგიის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესები (შემდგომში წესები) არეგულირებს ურთიერთობებს, ერთი მხრივ, განაწილების ლიცენზიატს, მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურსა და, მეორე მხრივ, მომხმარებელს შორის ელექტროენერგიის ყიდვის, გაყიდვის, განაწილების, გატარების ან/და მოხმარების დროს. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ამ წესებით დადგენილი პირობები სავალდე-

ბულოა ყველა იმ პირისათვის, რომელიც ახორციელებს ელექტრო-  
ენერჯის წარმოებას, განაწილებას, გატარებას ან/და მოხმარებას.  
ამ წესებთან შეუსაბამო ვალდებულებების დაკისრება აკრძალუ-  
ლია.

20. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ აღნიშნული დადგენი-  
ლების მე-15 მუხლის თანახმად, ელექტროენერჯის გატარებისა  
და ელექტროენერჯეტიკული მომსახურების ხელშეკრულება იდე-  
ბა განაწილების ლიცენზიატსა და ელექტროენერჯის ქსელის  
მფლობელს შორის, კერძოდ, მე-15 მუხლის პირველი პუნქტის თა-  
ნახმად, პირი, რომელიც არ არის განაწილების ლიცენზიატი, მაგ-  
რამ ფლობს ელექტროენერჯის ქსელს, საქართველოს სამოქალა-  
ქო კოდექსის თანახმად, ვალდებულია, სხვა მომხმარებელთა ელექ-  
ტროენერჯით მომარაგების მიზნით, ითმინოს მისი ქსელით სარ-  
გებლობა და გაატაროს ელექტროენერჯია, ხოლო ამავე მუხლის მე-  
2 პუნქტის თანახმად, ელექტროენერჯის გატარებისა და ქსელით  
სარგებლობის თმენისათვის კომპენსაცია გაიცემა საქართველოს  
სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად.

21. სააპელაციო პალატამ, დადგენილი ფაქტობრივი გარემოე-  
ბების ერთობლივი ანალიზის საფუძველზე, მიიჩნია, რომ, მართა-  
ლია, მხარეები სახელშეკრულებო ურთიერთობაში არ იმყოფებოდ-  
ნენ ერთმანეთთან, მაგრამ 2012 წლის 1 სექტემბრიდან 2014 წლის  
1 იანვრამდე, მოპასუხე სარგებლობდა მოსარჩელის კუთვნილი  
ელექტროგადამცემი ხაზით და მითითებულ პერიოდში გატარებუ-  
ლი ჰქონდა მაღალი ძაბვის 3 967 665 კვ. ელექტროენერჯია და და-  
ბალი ძაბვის 1 702 379 კვ. ელექტროენერჯია და ამით უზრუნველ-  
ჰყოფდა თავის მომხმარებელამდე ელექტროენერჯის მიწოდებას.

22. სსკ-ის 361-ე მუხლის შესაბამისად, ყოველი შესრულება გუ-  
ლისხმობს ვალდებულების არსებობას, რაც უნდა შესრულდეს ჯე-  
როვნად, დათქმულ დროსა და ადგილას. აღნიშნული ნორმისა და  
საქართველოს ელექტროენერჯეტიკულ სექტორში დამკვიდრებუ-  
ლი პრაქტიკის თანახმად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მხა-  
რეთა შორის არსებობდა მოსარჩელის კუთვნილი მაღალი ძაბვის  
ელექტროხაზებით ელექტროენერჯის გატარების ვალდებულე-  
ბით-სამართლებრივი ურთიერთობა და ენერჯეტიკის სფეროში მოქ-  
მედი წესების შესაბამისად, ელექტროხაზების მესაკუთრეს უფ-  
ლება აქვს მოითხოვოს მისი ქსელით სარგებლობისათვის მომსა-  
ხურების საფასურის გადახდა.

23. მოცემულ შემთხვევაში, დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ  
2012 წლის 1 სექტემბრიდან 2014 წლის 1 იანვრამდე პერიოდში მო-  
პასუხემ მოსარჩელის ქსელით გაატარა – დაბალი ძაბვის სადენით  
– 1702.379 კვტ.სთ და მაღალი ძაბვის სადენით – 3967.665 კვტ.სთ.

ელექტროენერგია. მხარეები შეთანხმებულნი არ ყოფილან ტრანზიტის და ენერგეტიკული მომსახურების ტარიფზე. გამომდინარე იქიდან, რომ სადავო პერიოდზე მხარეთა შორის არ ყოფილა შეთანხმება კონკრეტულ ტარიფზე და არც საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას დაუდგენია ტარიფის ოდენობა, ამიტომ, კონკრეტულ შემთხვევაში, თავად საქმის განმხილველმა სასამართლომ უნდა დაადგინოს და განსაზღვროს მოსარჩელისათვის გონივრული ტარიფი, რომელიც შესაბამისობაში იქნება სემეკის მიერ ელექტროენერგიის გატარებისათვის და ენერგეტიკული მომსახურებისათვის ამგვარი ძაბვის ელექტროგადამცემი ელექტროხაზისათვის დადგენილ ტარიფთან. «ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ» საქართველოს კანონის 46<sup>1</sup>-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ მოთხოვნილი გატარების (მათ შორის, ელექტროენერგის, ბუნებრივი გაზის ან სასმელი წყლის გატარების) მომსახურება ეხება ისეთ ქსელს, რომელიც არ არის განაწილების ანდა წყალმომარაგების ლიცენზიატის მფლობელობაში, ქსელის მფლობელი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, ვალდებულია, ჯეროვანი კავშირის უზრუნველყოფის მიზნით, ითმინოს თავისი ქსელით სარგებლობა. ამასთანავე, ქსელის მფლობელი უფლებამოსილია თავისი ქსელით სარგებლობისათვის მოითხოვოს გატარების საფასურის ან თმენის კომპენსაციის გადახდა. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 18 სექტემბერი №20 დადგენილებით დამტკიცებული «ელექტროენერგის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესების» დამტკიცების შესახებ მე-15 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პირი, რომელიც არ არის განაწილების ლიცენზიატი, მაგრამ ფლობს ელექტროენერგის ქსელს, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, ვალდებულია, სხვა მომხმარებელთა ელექტროენერგიით მომარაგების მიზნით, ითმინოს მისი ქსელით სარგებლობა და გაატაროს ელექტროენერგია. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ელექტროენერგის გატარებისა და ქსელით სარგებლობის თმენისათვის კომპენსაცია გაიცემა საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად.

24. ამდენად, განსახილველი წესები ელექტროენერგის გატარებისა და ქსელით სარგებლობის თმენისათვის კომპენსაციის განსაზღვრისათვის საქართველოს სამოქალაქო კოდექსზე მიუთითებენ. კონკრეტულ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ სპეციალური ნორმატიული აქტები უთითებენ სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე საკომპენსაციო თანხის განსაზღვრაზე, პირდაპირ ამ ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმა სამოქალაქო კოდექსით

გათვალისწინებული არ არის, რაც კანონის ანალოგიით გამოყენების საფუძველია. სსკ-ის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კანონში პირდაპირ გაუთვალისწინებელი ურთიერთობის მოსაწესრიგებლად გამოიყენება ყველაზე უფრო მსგავსი ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლის ნორმა (კანონის ანალოგია).

25. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ განსახილველი ურთიერთობისათვის ყველაზე უფრო მსგავსი ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლის ნორმას წარმოადგენს სსკ-ის 180-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმად, თუ მიწის ნაკვეთს არა აქვს ჯეროვანი გამოყენებისათვის აუცილებელი კავშირი საჯარო გზებთან, ელექტრო, ნავთობის, გაზისა და წყალმომარაგების ქსელთან, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია მეზობელს მოსთხოვოს, რომ მან ითმინოს მისი მიწის ნაკვეთის გამოყენება ამგვარი აუცილებელი კავშირის უზრუნველსაყოფად. იმ მეზობლებს, რომელთა ნაკვეთზეც გადის აუცილებელი გზა ან გაყვანილობა, უნდა მიეცეთ შესაბამისი კომპენსაცია, რომელიც, მხარეთა შეთანხმებით, შეიძლება ერთჯერადი გადახდით გამოიხატოს. ამ თვალსაზრისით, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სასამართლო პრაქტიკაზე, სადაც სასამართლომ განმარტა, რომ: „განსახილველი ნორმით წესრიგდება სამეზობლო თმენის ვალდებულება, რაც წარმოადგენს საკუთრების კანონისმიერი ბოჭვის სამართლებრივ მექანიზმს. ამ ნორმით გათვალისწინებული ბოჭვის უფლების ამ ხარისხით გამოყენება განპირობებული უნდა იყოს ისეთი ობიექტური ფაქტორებით, რომლის არსებობის შემთხვევაში პრაქტიკულად შეუძლებელია მესაკუთრის მიერ თავის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ჯეროვანი გამოყენება მეზობელი მიწის ნაკვეთით სარგებლობის გარეშე. მიწის ნაკვეთის ჯეროვანი გამოყენება ნიშნავს საჯარო გზებთან, ელექტრო, ნავთობის, გაზისა და წყალმომარაგების ქსელთან აუცილებელი კავშირის არსებობას. ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ ამ კავშირის არსებობა არ არის დამოკიდებული სუბიექტურ მიზანშეწონილობასა და არჩევანზე, არამედ ობიექტურად არსებულ ისეთ ფაქტორებზე გარემოებებზე, რომლებიც უთითებენ აუცილებელ, უალტერნატივო კავშირზე საჯარო გზებთან და ა.შ.“ (№ას-744-801-2011. 13 ოქტომბერი, 2011 წელი).

26. კონკრეტულ შემთხვევაში, მოსარჩელის საკუთრებაში არსებული ელქსელებით სარგებლობს მოპასუხე, ხოლო მოსარჩელის, როგორც არალიცენზიანტი მფლობელის, ამ სარგებლობის მიმართ თმენის ვალდებულება განსაზღვრულია ზემომითითებული სპეციალური სამართლებრივი აქტებით („ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონი, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნუ-

ლი კომისიის 2008 წლის 18 სექტემბრის №20 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესები“), ხოლო, სამოქალაქო კოდექსის გამოყენება განპირობებულია ამ სამართლებრივი აქტებში მითითებების საფუძველზე, სარგებლობის მიმართ თმენის ვალდებულებისათვის საკომპენსაციო თანხის განსაზღვრისათვის. მსგავს ფაქტობრივ გარემოებებს ითვალისწინებს სსკ-ის 180-ე მუხლის ნორმატიული აღწერილობა, რაც იძლევა შესაძლებლობას, განმარტებული იქნეს ამ ნორმით განსაზღვრული საკომპენსაციო თანხის შინაარსისა და მისი მოცულობის სამართლებრივი კრიტერიუმები.

27. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ „თმენის ვალდებულება“ წარმოადგენს საკუთრების კანონისმიერი ბოჭვის სამართლებრივ მექანიზმს, რაც განსხვავდება ზიანის ინტიტუტისაგან. ზიანის ანაზღაურება ემსახურება იმ მდგომარეობის აღდგენას, რომელიც იარსებებდა, ამ ქმედებას, რომ არ გამოეწვია პირის ინტერესების დაუშვებელი ხელყოფა. ამასთან ერთად, როგორც წესი, ამ ხელყოფის გამომწვევია მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ხოლო, აუცილებელი გზით სარგებლობის თმენის ვალდებულება უკავშირდება მართლზომიერ ქმედებას, რაც კანონით არის დადგენილი და მესაკუთრეს საკუთრებაში არსებულ მინაზუ სხვა პირის მიერ აუცილებელი გზით სარგებლობისათვის აკისრებს „თმენის ვალდებულებას“.

28. ამდენად, კომპენსაციას ექვემდებარება ისეთი ქონებრივი დანაკლისი, რომლის მიზეზიც არის საკუთრების უფლების ან მფლობელობის შეზღუდვა, რაც განპირობებულია ობიექტური აუცილებლობით. შესაბამისად, კომპენსაციის ოდენობის დადგენისათვის მნიშვნელოვანია, გაირკვეს ამ შეზღუდვის ფარგლები და ის ინტერესი, რაც მესაკუთრეს ან მფლობელს ექნებოდა ამ შეზღუდვის არარსებობის შემთხვევაში. ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია არა კონკრეტული მესაკუთრის ინტერესის სუბიექტური აღქმა, არამედ, შესაბამისი მინის ნაკვეთის საშუალო მესაკუთრის ინტერესი.

29. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მნიშვნელოვანია, გაირკვეს ელქსელების საშუალო მესაკუთრის ინტერესი (იგივე სიგრძისა და სიმძლავრის ელექტროგადამცემი ხაზის სარგებლობისას გატარებული ელექტროენერჯის მოცულობის გათვალისწინებით). მხედველობაში იქნა მიღებული საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის ტარიფების შესახებ“ წესები. მიუხედავად იმისა, რომ ეს წესები არეგულირებენ ლიცენზიანტებს შორის არსებულ სატარიფო სისტემას, მისი გამოყენება ატარებს სახელმძღვა-

ნელო ხასიათს, კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრაში.

30. სსკ-ის 180-ე მუხლით დადგენილი საკომპენსაციო თანხის ოდენობის განსაზღვრისას, მნიშვნელობა ენიჭება მესაკუთრის ინტერესის დაკმაყოფილებას, სხვის მიერ მისი საკუთრების შეზღუდვის გამო, თმენის ვალდებულებისათვის. განსახილველი ურთიერთობის თავისებურება ვლინდება იმაში, რომ მოსარჩელის საკუთრებას წარმოადგენს ... მდებარე 6021.14 მეტრი სიგრძის ელექტროგადამცემი ხაზი 7 ცალი ტრანსფორმატორით, 7 ცალი ელექტროფიზურით და 1 ცალი ზეთიანი ამომრთველით, რომელსაც ეს უკანასკნელი ვერ გამოიყენებს სხვა დანიშნულებით გარდა იმისა, რომ გაატაროს ელექტროენერგია.

31. მოცემულ შემთხვევაში, უნდა გარკვეულიყო არა ზოგადად მითითებული ნორმით გათვალისწინებული შემთხვევის წინაპირობები (რომელშიც ივარაუდება ის შემთხვევები, როდესაც მესაკუთრეს შეხედულებისამებრ შეეძლო გამოეყენებინა მიწის ნაკვეთი თუ არა აუცილებელი გზასთან დაკავშირებული თმენის ვალდებულება), არამედ ელექტროგადამცემი ხაზის მეშვეობით ელექტროენერგიის გატარებაზე თმენის ვალდებულებიდან გამომდინარე, საშუალო მესაკუთრის ინტერესი ამ შეზღუდვის არ არსებობის შემთხვევაში. განსახილველი დავის სპეციფიკის თანახმად, საშუალო მესაკუთრის ინტერესის დაკმაყოფილების ერთგვარ ნიმუშს წარმოადგენს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებით დამტკიცებული წესები.

32. სააპელაციო პალატის მითითებით, იმის გათვალისწინებით, რომ განსახილველი დავა შეეხებოდა არალიცენზიანტი მესაკუთრის უფლებებს, მითითებული სამართლებრივი აქტი გამოყენებული იქნა არა, როგორც პირდაპირი გამოყენების წყარო, არამედ – სახელმძღვანელო, რადგან სემეკის მიერ ელექტროენერგიის ტარიფების დადგენის წესისა და პრინციპების განსაზღვრა გამოიყენება ელექტროენერგიის წარმოების, გადაცემის, დისპეტჩერიზაციის, განაწილების, გატარების, იმპორტის, მოხმარების, სისტემის კომერციული ოპერატორის მომსახურების, გარანტირებული სიმძლავრის წყაროსათვის ელექტროენერგიის წარმოების ტარიფებისა და გარანტირებული სიმძლავრის საფასურის დადგენისას. ამ ტარიფების განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება ამ ურთიერთობებისათვის დამახასიათებელი კრიტერიუმები, კერძოდ, სადავო პერიოდში მოქმედი საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2011 წლის 8 ივნისის №8 დადგენილებით მიღებული „ელექტროენერგიის ტარიფების დადგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ (და-



ლადაკარგულია ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 07/30/2014 №14 დადგენილებით) მე-3 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, ტარიფი არის ფასების განაკვეთების სისტემა, რომლის მიხედვითაც ხორციელდება ანგარიშსწორება. ამავე მუხლის „კ“ ქვეპუნქტის თანახმად, ელექტროენერჯის გატარების ტარიფი არის განანიღბების ლიცენზიანტის მიერ გამანანიღბებელი ქსელის მეშვეობით, სხვისი კუთვნილი ელექტროენერჯის გატარებაზე განუული მომსახურების ფასი. ამავე აქტის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის მე-2 წინადადების თანახმად, ელექტროენერჯის გატარების ტარიფები დგინდება ელექტროენერჯის მომხმარებლებისათვის იმ პირობების გათვალისწინებით, რომლებიც დადგენილია ამ მომხმარებლების მომსახურებაზე საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, შესაბამისად, ელექტროენერჯის გატარებაზე განუული მომსახურების ფასი წარმოადგენს ამ სახის მესაკუთრისათვის არსებულ ეკონომიკურ ინტერესს, რომელიც წარმოადგენს თმენის ვალდებულებისათვის საკომპენსაციო საფასურს (იხ. სუსგ 10.10.2014წ. №ას-803-762-2013). 2014 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა „მესამე პირების მფლობელობაში არსებულ ქსელში ელექტროენერჯის, ბუნებრივი გაზისა და სასმელი წყლის გატარების საფასურის გაანგარიშების წესები“, რომელიც დარეგულირდა ურთიერთობა, ერთი მხრივ, განანიღბების ლიცენზიატს და მეორე მხრივ, ქსელის მფლობელს შორის, რომელიც არ არის განანიღბების, გადაცემის ლიცენზიატი. ამ „წესებით“, რომელიც „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ კანონში შეტანილი ცვლილებების საფუძველზეა მიღებული, თმენის კომპენსაცია გათვალისწინებული აღარ არის. შესაბამისად, პალატამ მიიჩნია, რომ მხარეთა შორის 2014 წლის 1 იანვრის შემდგომ ურთიერთობაზე უნდა გავრცელდეს აღნიშნული „წესები“, რომლის მიხედვით ელექტროენერჯის საფასურის გაანგარიშებისათვის მონაცემები მოსარჩელე მხარეს არ წარმოუდგენია. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის ტარიფების შესახებ“ მე-7 მუხლის „ბ.ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, მოპასუხისათვის 6-10 კილოვოლტი ძაბვის საფეხურზე ელექტროენერჯის გატარების ზღვრული ტარიფია 0,580 თეთრი.

33. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ ელექტროენერჯის გატარებისა და ქსელით სარგებლობის თმენისათვის განანიღბების ლიცენზიატს უფლება არ აქვს, სხვისი კუთვნილი ქსელით სარგებლობის შემთხვევაში, ქსელის მფლობელს გადაუხადოს იმაზე მეტი, რასაც ითვალისწინებს კომისია ტარიფის დადგენისას, იმავე

ძაბვისა და ანალოგიური ტექნიკური მონაცემების გამანაწილებელი ქსელის მონაკვეთზე ელექტროენერჯის გატარების მომსახურებისათვის (საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 18 სექტემბერი №20 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესების“ მე-15 მუხლის მე-4 ნაწილი). ამდენად, მითითებული წესის მიხედვით ამ ურთიერთობისათვის განაწილების ლიცენზიატს შეუძლია, ქსელის მფლობელს გადაუხადოს იგივე ან იმაზე ნაკლები ტარიფი, რაც დადგენილია სემეკის მიერ ძაბვისა და ანალოგიური ტექნიკური მონაცემების გამანაწილებელი ქსელის მონაკვეთზე ელექტროენერჯის გატარების მომსახურებისათვის.

34. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ მოსარჩელის ელქსელით სარგებლობისათვის ამ უკანასკნელის თმენის ვალდებულებისათვის საკომპენსაციო თანხა 1 კვ.სთ-ზე არ უნდა აღემატებოდეს 0,580 თეთრს.

35. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში, მოთხოვნის ხანდაზმულობის გათვალისწინებით, სასამართლოში სარჩელის აღძვრის თარიღის გათვალისწინებით, 2012 წლის სექტემბრამდე, მოთხოვნა ხანდაზმულია.

36. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ სარჩელი მართებულად დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და მოპასუხეს დააკისრა თმენის კომპენსაცია ქსელით 2012 წლის 1 სექტემბრიდან 2014 წლის 1 იანვრამდე სარგებლობისათვის, ხოლო 2014 წლის 1 იანვრის შემდეგ ურთიერთობის მიმართ კი თმენის კომპენსაცია გათვალისწინებული არ არის და მოსარჩელეს გატარების საფასურის მოთხოვნის უფლება აქვს, რაც არ გამოიყენა და არ წარმოადგინა გატარების საფასურის დადგენისათვის საჭირო მონაცემები.

37. სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ 2012 წლის 1 სექტემბრიდან 2014 წლის 1 იანვრამდე პერიოდში, მოპასუხის მიერ მოსარჩელისათვის ყოველ გატარებულ 1 კვტ.სთ ელ. ენერჯიაზე გადასახდელი გონივრული ტარიფი უნდა განისაზღვროს მაღალი ძაბვის სადენით გატარებული ელექტროენერჯიაზე 0.02 ლარზე ნამრავლით, ხოლო დაბალი ძაბვის სადენით ელექტროენერჯიაზე 0.03 ლარზე ნამრავლით. დაბალი ძაბვის სადენით 1 702 379 კვტ. საათი ელექტროენერჯის გატარებისათვის შეადგენს 51 071.37 ლარს, ხოლო მაღალი ძაბვის სადენით – 3 967 665 კვტ. საათი ელექტროენერჯის გატარებისთვის, შეადგენს 79 353.30 ლარს. კომპენსაციის აღნიშნული ოდენობა, სააპელაციო პალატის მოსაზრებით, გონივრულ შესაბამისობაშია ელექტროხაზების მესაკუთრისათვის

მისი ქსელით სარგებლობის და ამ ქსელების გამართულ მდგომარეობაში შენარჩუნების მომსახურებასთან.

38. სააპელაციო სასამართლოს განჩინება ორივე მხარემ გაასაჩივრა საკასაციო საჩივრით. პირველმა კასატორმა (მოსარჩელე) მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სარჩელის სრულად დაკმაყოფილება, ხოლო მეორე კასატორმა (მოპასუხემ) – სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

39. პირველი საკასაციო საჩივარი აგებულია შემდეგ მოსაზრებებსა და სავარაუდო დარღვევებზე:

40. პირველი კასატორის მოსაზრებით, უმთავრესი საკითხი – კომპენსაციის ოდენობა – განხილულია მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმათა დარღვევით. სააპელაციო სასამართლოს არც კი მიუთითებია თუ, რა კრიტერიუმით მიიჩნია, რომ დადგენილი კომპენსაცია გონივრულია. სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ დადგენილი პრაქტიკის თანახმად, კომპენსაციის თანხა უნდა განსაზღვრულიყო სემეკის მიერ დადგენილი ტარიფების მიხედვით. სემეკის 18.09.2008წ-ის №20 დადგენილებით დამტკიცებული „ელ.ენერჯის (სიმძლავრის) მინოდებისა და მოხმარების წესების“ 14.4 მუხლით დადგენილი წესის თანახმად, შესაძლებელია განანიჭების რიცენზიატმა, ქსელის მფლობელს გადაუხადოს იგივე ტარიფი, რაც დადგენილია სემეკის მიერ ძაბვისა და ანალოგიური ტექნიკური მონაცემების გამანაწილებელი ქსელის მონაკვეთზე ელ.ენერჯის გატარების მომსახურებისთვის ან ამ ტარიფზე ნაკლები, თუკი მესაკუთრის ეკონომიკური ინტერესი ნაკლებია და დადასტურდება ასეთი, უფრო მცირე ინტერესის განმაპირობებელი, ობიექტურად არსებული ფაქტობრივი გარემოებები. განსახილველ შემთხვევაში კი, უფრო მცირე ინტერესის განმაპირობებელი გარემოებები, არ არსებობს. ასეთი ფაქტორების არსებობა, მოპასუხის მტკიცების ტვირთი იყო. მოცემულ შემთხვევაში, სასამართლომ გადაწყვეტილება გამოიტანა მისი განმაპირობებელი ფაქტორების შესწავლისა და დასაბუთების გარეშე.

41. პირველი კასატორი აღნიშნავს, რომ საკომპენსაციო თანხის განსაზღვრისათვის უნდა გამოყენებულიყო სემეკის მიერ დადგენილი შემდეგი ტარიფები: 2008 წლის 1-ლი იანვრიდან 2010 წლის 1-ელ თებერვლამდე პერიოდისათვის – 6-10 კილოვატ ძაბვაზე 0,580 თეთრი/კვტსთ-ზე, ხოლო 220/380 ვოლტ ძაბვაზე – 1,320 თეთრი/კვტსთ-ზე; 2010 წლის 1-ლი ივლისიდან 2014 წლის 1-ელ სექტემბრამდე პერიოდისათვის – 6-10 კილოვატ ძაბვაზე 2,59 თეთრი/კვტსთ-ზე, ხოლო 220/380 ვოლტ ძაბვაზე – 3,6 თეთრი/კვტსთ-ზე; 2014 წლის 1-ლი სექტემბრიდან 2015 წლის 1-ელ სექტემბრამდე პერიოდისათვის 6-10 კილოვატ ძაბვაზე 2.064 თეთრი/კვტსთ-ზე,

ხოლო 220/380 ვოლტ ძაბვაზე – 6.837 თეთრი/კვტსთ-ზე;

42. სსკ-ის 180-ე მუხლის მიზნებისთვის, კომპენსაციის ოდენობის დასადგენად უნდა გაირკვეს შეზღუდვის ფარგლები და ის ინტერესი, რაც ზოგადად, ელ.ქსელის მესაკუთრეს ან მფლობელს გააჩნია. ელ.ენერჯის გატარებაზე გაწეული მომსახურების ფასი წარმოადგენს ამ სახის მესაკუთრისთვის არსებულ ეკონომიკურ ინტერესს, რომელიც წარმოადგენს თმენის ვალდებულებისთვის საკომპენსაციო საფასურს. ივარაუდება, რომ ლიცენზიის მფლობელი პირებისთვის სემეკის მიერ დადგენილი ტარიფი მოიცავს ყველა იმ ხარჯს, რაც აუცილებელია ელ.ენერჯის გატარებისათვის.

43. პირველი კასატორის მოსაზრებით, მოსარჩელის მოთხოვნა არ გამომდინარეობს სახელშეკრულებო ვალდებულებიდან, თუმცა, სასამართლომ აღნიშნულ ურთიერთობაზე მაინც გაავრცელა სახელშეკრულებო მოთხოვნის განმაპირობებელი სამართლებრივი მოწესრიგება. ამასთან, მოთხოვნა არც პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან არ წარმოიშობა. შესაბამისად, არასწორია, როდესაც სასამართლომ საკომპენსაციო თანხა განსაზღვრა ყოველთვიურად. პირველი კასატორი აღნიშნავს იმასაც, რომ სასამართლომ საკომპენსაციო თანხა განსაზღვრა სსკ-ის 180-ე მუხლის მიხედვით, შეიძლება ერთჯერადი გადახდით გამოიხატოს (როგორც გასული, ასევე, სამომავლო პერიოდისთვის), რასაც ჰქონდა ადგილი განსახილველ შემთხვევაში. აღნიშნული მიზეზის გამო, სააპელაციო სასამართლოს უნდა გამოეყენებინა სსკ-ის 128.3 მუხლი და მოთხოვნაზე 10 წლიანი ხანდაზმულობის ვადა უნდა გაეცრცელებინა.

44. პირველი კასატორი არ ეთანხმება გასაჩივრებული განჩინების დასკვნას, რომ 2014 წლის 1-ლი იანვრის შემდეგ ქსელით სარგებლობისათვის მოსარჩელეს არა აქვს თმენის კომპენსაციის მოთხოვნის უფლება და თითქოსდა გააჩნია მხოლოდ გატარების საფასურის მოთხოვნის უფლება (იხ. საკასაციო საჩივარი).

45. მეორე საკასაციო საჩივარი აგებულია შემდეგ მოსაზრებებსა და სავარაუდო დარღვევებზე:

46. მეორე კასატორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლო არსებითად იზიარებს მოპასუხის მიერ მითითებულ არგუმენტაციას, თუმცა, საბოლოოდ არ აკმაყოფილებს მოპასუხის სააპელაციო საჩივარს. სასამართლო ასკვნის, რომ მოსარჩელის ელ.ქსელით სარგებლობისათვის ამ უკანასკნელის თმენის ვალდებულებისათვის საკომპენსაციო თანხა არ უნდა აღემატებოდეს „0,58 თეთრს“ (ანუ 0,0058 ლარს) (იხ. გასაჩივრებული გადაწყვეტილება, გვ. 22 აბზ. 5), და ამ დასკვნის შემდეგ ძალაში ტოვებს ხაშურის რაიონული სასამართლოს 15.04.17წ. გადაწყვეტილებას, რომლითაც გონივ-

რულ კომპენსაციად განისაზღვრა 10კვ. ძაბვაზე გატარებული ელენერგიისთვის 1 კვტ.სთ-ზე 0,02 ლარი (ანუ 2 თეთრი), ხოლო 0,4კვ ძაბვაზე – 0,03 ლარი (ანუ 3 თეთრი). კასატორი აღნიშნავს, რომ 0,02 ლარი (ანუ 2 თეთრი) თითქმის ოთხჯერ, ხოლო 0,03 ლარი (ანუ 3 თეთრი) კი, ხუთჯერ აღემატება სასამართლოს მიერ ზღვრად მიჩნეულ 0,0058 ლარს (ანუ 0,58 თეთრს).

47. მეორე კასატორის მოსაზრებით, ობიექტურად შეუძლებელია გასაჩივრებული გადაწყვეტილების საფუძვლიანობის შემოწმება მოპასუხის სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში, რადგან სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა კონკრეტულ და დამდგარ სამართლებრივ შედეგამდე არ მიდის.

48. მეორე კასატორი მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება პრაქტიკას, კერძოდ, მეორე კასატორი აღნიშნავს, რომ სს „ე-პ-ჯ-ას“ სააპელაციო საჩივრის ერთ-ერთი საფუძველი იყო „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს 30.04.99 წლის კანონში 21.06.11 წლის საკანონმდებლო ცვლილებისა და „მესამე პირების მფლობელობაში არსებულ ქსელში ელექტროენერგიის, ბუნებრივი გაზისა და სასმელი წყლის გატარების საფასურის გაანგარიშების წესების“ შესახებ 30.12.13 წლის №15 დადგენილების არსებობის პირობებში, კომპენსაციის განსაზღვრისას (თუნდაც სახელმძღვანელოდ) „ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ“ 04.12.08 წლის №33 დადგენილების გამოყენება. ამასთან, თუნდაც, ანალოგიის დაშვების შემთხვევაშიც (რასაც კასატორი არ ეთანხმება), სასამართლომ ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, გამოიყენა №33 დადგენილების ის ნორმები, რომლებიც გატარების უფრო მაღალ ტარიფებს განსაზღვრავდა და არა ის, რომელიც ირიბად მანამდე გამოყენებულ იქნა სასამართლოს მიერვე მითითებულ პრაქტიკაში.

49. მეორე კასატორს მიაჩნია, რომ 2014 წლის 01 იანვრამდე ელენერგიის გატარებისათვის „გონივრული“ კომპენსაციის განსაზღვრისას სასამართლო, სულ მცირე, უნდა მსჯელობდეს მაინც 2014 წლის 01 იანვრიდან დარგის მარეგულირებელი ორგანოს მიერ დადგენილი ნორმატიული კომპენსაციის „გონივრულობაზე“, მითუმეტეს, მხარის მოთხოვნის შემთხვევაში; თუმცა, სასამართლოები თავს არიდებენ ამ პოზიაციაზე მსჯელობას (თუნდაც იმ კუთხით, თუ რატომ არ გაითვალისწინეს).

50. მეორე კასატორი აღნიშნავს, რომ მოცემულ საქმეზე ხაშურის რაიონულმა სასამართლომ, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, გამოიყენა №33 დადგენილების ის ნორმები, რომლებიც გატარების უფრო მაღალ ტარიფებს განსაზღვრავდა და არა ის, რომე-

ლიც ირიბად მანამდე გამოყენებულ იქნა სასამართლოს მიერვე მითითებულ პრაქტიკაში. მეორე კასატორს საყურადღებოდ მიაჩნია ის, რომ ამ ნაწილში, მის პრეტენზიაზე თბილისის სააპელაციო სასამართლომ იმსჯელა, იხელმძღვანელა უზენაესი სასამართლოს პრაქტიკით (სუსგ 10.10.14 №ას-803-762-2013), შეარჩია №33 დადგენილებით სს „ე-პ-ჯ-ასთვის“ დადგენილი (და არა უბრალოდ ყველაზე მაღალი) ტარიფი – 0,580 თეთრი, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მოსარჩელის ელქსელით სარგებლობისათვის ამ უკანასკნელის თმენის ვალდებულებისათვის საკომპენსაციო თანხა არ უნდა არემატებოდეს „0,58 თეთრს“ (იხ. გასაჩივრებული გადაწყვეტილება, გვ. 22), თუმცა, ყოველგვარი განმარტების გარეშე, მაინც დატოვა ძალაში ოთხჯერ და ხუთჯერ უფრო მაღალი კომპენსაცია – 2 და 3 თეთრი.

51. მეორე კასატორი მიუთითებს, რომ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 10.10.14 №ას-803-762-2013 გადაწყვეტილების შემდეგ 23.09.16წ. დასაბუთებული განჩინებით (საქმე №ას-493-2016) დაუშვებლად ცნო საკასაციო საჩივარი სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, რომლითაც ელ-ენერჯის გატარებისათვის გონივრულ კომპენსაციად 0,2 თეთრი განისაზღვრა. აღნიშნულ განჩინებაში უზენაესი სასამართლო მსჯელობს ტარიფის გონივრულობის პარამეტრებზე, მსჯელობს 10.10.14წ. გადაწყვეტილებით დადგენილ ოდენობაზეც და ადასტურებს 0,2 თეთრის (ანუ 0,002 ლარის გონივრულობას) (პ. 22). სუსგ 23.09.16წ. საქმე №ას-493-2016 უდავოდ საყურადღებოა იმ მხრივაც, რომ 10.10.14 №ას-803-762-2013 გადაწყვეტილების შემდეგ ეთანხმება 2006 წლიდან 2014 წლამდე დამკვიდრებულ ერთიან, უცვლელ სასამართლო პრაქტიკას, რომელიც გონივრულ კომპენსაციას განსაზღვრავდა 0,2 თეთრის ოდენობით 6-10 კვ ძაბვაზე და 0.45 თეთრის ოდენობით 0.4 კვ ძაბვაზე ისევ სემეკის მიერ და სარჩელში მითითებული ქსელის შეძლებისდაგვარად მსგავსი ქსელებისათვის ინდივიდუალური აქტებით განსაზღვრულ ოდენობაზე დაყრდნობით. (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 28.02.2006წ. განჩინება საქმე №ას631-910-05, თბილისის საქალაქო სასამართლოს 20.03.09წ. გადაწყვეტილება, საქმე №2/3864-08, იმავე სასამართლოს 27.05.10წ. გადაწყვეტილება, საქმე №2/8942/09; ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 22.02.11წ. გადაწყვეტილება, საქმე №2/600-2010; თბილისის საქალაქო სასამართლოს 30.05.11წ. გადაწყვეტილება, საქმე №2/2418-11, სენაკის რაიონული სასამართლოს 31.05.11წ. გადაწყვეტილებები, საქმე №2/75-2011 და საქმე №2/74-2011; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 06.06.11 განჩინება, საქმე №ას-335-319-2011; თბილისის სააპელაციო სასამარ-

თლოს 08.02.12წ. გადანყვეტილება, საქმე №23/2019-11 და სხვა...). ამ პრაქტიკას გასაჩივრებული გადანყვეტილებით დადგენილი ტარიფები 10-ჯერ აღემატება. სუსგ 23.09.16წ. საქმე №ას-493-2016 განსახილველ შემთხვევაში მით უფრო საყურადღებოა, რადგან ამ საქმეზეც პირველი ინსტანციის სასამართლომ გონივრულ ტარიფად 2 თეთრი მიიჩნია, რომელიც სააპელაციო სასამართლომ 0,5 თეთრამდე შეამცირა (ამასთან, იმავე დასაბუთებით, რასაც გასაჩივრებული გადანყვეტილება ეთანხმება: რომ ტარიფი 0,58 თეთრს შეუძლებელია აღემატებოდეს), საკასაციო პალატამ კი ხაზგასმით მიუთითა, რომ 0,2 თეთრიც საკმარისი კომპენსაცია იქნებოდა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

52. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 30 სექტემბრის განჩინებით საკასაციო საჩივრები ცნობილი იქნა დასაშვებად.

53. საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, ასევე, მტკიცებულებების შეჯერებისა და გაანალიზების, საკასაციო საჩივრების იურიდიული დასაბუთებულობის განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ როგორც პირველი საკასაციო საჩივარი, ასევე მეორე საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგი დასაბუთებით:

54. სსსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია (შედავება).

55. მოცემულ საქმეზე დადგენილია, რომ ... მოსარჩელის საკუთრებაში რეგისტრირებულია 6021.14 მეტრი სიგრძის ელექტროგადამცემი ხაზი 7 ცალი ტრანსფორმატორით, 7 ცალი ელექტროჯიხურით და 1 ცალი ზეთიანი ამომრთველით, რომელიც არ არის განილებების ლიცენზიატი.

56. მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ ის გარემოება, რომ მოპასუხე, რომელიც წარმოადგენს ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიანტს, ელექტროენერჯიას ატარებს მოსარჩელის ორი – 0.4 კვტ. (დაბალი ძაბვა) და 6/10 კვტ. (მაღალი ძაბვა) სიმძლავრის სადენით. უდავოა, რომ 2008 წლის 1 იანვრიდან, ქსელით სარგებლობისათვის, მოპასუხეს მოსარჩელისათვის თანხა არ გადაუხდია.

57. უდავოა, რომ 2012 წლის 1 სექტემბრიდან 2014 წლის 1 იანვრამდე პერიოდში მოპასუხემ მოსარჩელის ქსელით გაატარა – დაბალი ძაბვის სადენით – 1702.379 კვტ.სთ. და მაღალი ძაბვის სადე-

ნით – 3967.665 კვტ.სთ. ელექტროენერგია.

58. დადგენილია, რომ მოპასუხეს მოსარჩელისათვის გატარებული ელექტროენერგიის მომსახურების ღირებულება არ გადაუხდია.

59. ვინაიდან, მხარეებს შორის ურთიერთობა არ არის მონესრიგებული ხელშეკრულებით, შესაბამისად, არ არის განსაზღვრული მოსარჩელის კუთვნილი ელექტროგადამცემი ხაზით სარგებლობის საფასურიც.

60. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საქმეებზე დასაბუთებული გადანყვეტილების მიღებისა და ზოგადად, მართლმსაჯულების განხორციელების საფუძველს წარმოადგენს, იმ საკითხის სწორად განსაზღვრა, თუ რა სამართლებრივი საფუძველიდან გამომდინარეობს მხარეთა შორის წარმოშობილი დავა. ამ მიზნით, საქმის განმხილველმა სასამართლომ პირველყოვლისა, უნდა დაადგინოს მოთხოვნის მატერიალური საფუძველი [მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმა]. მხოლოდ ამის შემდეგ უნდა გამოარკვიოს მოდიებული ნორმის წინაპირობები, მისი აბსტრაქტული შემადგენლობა და შემოანმოს განხორციელებულია თუ არა განსახილველ საქმეზე ყველა მათგანი. ამ ასპექტში, ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით, სასამართლო შეზღუდულია სარჩელის ფაქტობრივი გარემოებებით: იგი ამონიშნავს რომელ კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებზე მიუთითებს მოსარჩელე, ქმნიან თუ არა ისინი დამფუძნებელი ნორმის უკლებლივ ყველა წინამძღვარს. ამის შემდეგ მონმდება, მოპასუხის პოზიცია რამდენად აქარწყლებს წარმოშობილ წინამძღვრებს (პცესუალური და მატერიალური თვალსაზრისით).

61. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სამოქალაქო საპცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიციიდან გამომდინარე (საკასაციო სასამართლო ამონიშნავს გადანყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია თავისი ინიციატივით შეამონმოს საპცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა), საკასაციო პალატის შეფასების საგანი იქნება კასატორის შედავებების საფუძვლიანობა. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადანყვეტილება ემყარება კანონდარღვევას, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მნიშვნელოვანი მატერიალური და პცესუალური ნორმების დარღვევით.

62. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის თანახმად, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადანყვეტილება კანონ-



ნის დარღვევითაა გამოტანილი. სამართლის ნორმები დარღვეულად ითვლება, თუ სასამართლომ: არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა; გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა; არასწორად განმარტა კანონი. საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება, გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.

63. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო ვიდრე დადგენილი გარემოებების სამართლის ნორმებთან სუბსუმირებას შეუდგებოდეს, მიზანშეწონილად მიიჩნევს, ყურადღება გაამახვილოს სამართალწარმოების ფუნდამენტურ პრინციპებზე: მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით რეგლამენტირებულია პროცესის შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე წარმართვა და დადგენილია, რომ მხარეებს აქვთ მტკიცებულებათა წარდგენის გზით საკუთარი პოზიციის დადასტურების შესაძლებლობა, გარდა ამისა, დემოკრატიულ საზოგადოებაში ფუნდამენტური მნიშვნელობა ენიჭება მხარეთა თანასწორობის დაცვას (სსსკ-ის მე-5 მუხლი), რაც იმას ნიშნავს, რომ საქმის განხილვის თითოეულ ეტაპზე სასამართლო ინარჩუნებს ნეიტრალიტეტს და მოსამართლეს მიუკერძოებლად, მხოლოდ მტკიცებულებათა ობიექტური შეფასების გზით უყალიბდება შინაგანი რწმენა დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ამა თუ იმ ფაქტის არსებობის თაობაზე. სასამართლო კი, ზემოთაღნიშნული ნეიტრალიტეტის პრინციპიდან გამომდინარე, ვერ უზრუნველყოფს მხარისათვის იურიდიული დახმარების განევას, რაც თანაბრობას დაარღვევს და სამართალწარმოებას მიკერძოებულს გახდის. ევროკონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით „მიუკერძოებლობის“ მოთხოვნა ორი ასპექტისაგან შედგება. პირველი, სასამართლო სუბიექტურად თავისუფალი უნდა იყოს პიროვნული ზრახვებისა და მიდრეკილებებისაგან. მეორე, იგი ასევე მიუკერძოებელი უნდა იყოს ობიექტური თვალსაზრისით, ანუ მან უნდა უზრუნველყოს საკმარისი გარანტიები ამ თვალსაზრისით ნებისმიერი კანონიერი ეჭვის გამოსარიცხად (იხ. გოტრინი და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ, 1998 წლის 20 მაისის გადაწყვეტილება, Reports of Judgments and Decisions 1998-III, გვ. 10-0-31, §58; მორისი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, №38784/97, §58, ECHR 2002-I). რაც შეეხება სუბიექტურობას, მოსამართლე პიროვნულად მიუკერძოებლად უნდა იქნეს მიჩნეული, ვიდრე ამის საწინააღმდეგო არ დამტკიცდება (იხ. ჰაუსშიდტი დანიის წინააღმდეგ, 1989 წლის 24 მაისის გადაწყვეტილება, სერია A №154, გვ. 21, §47; დაკტარასი ლიტვის წინააღმდეგ, №42095/98, §30, ECHR 2000-X). სამართლიანი სა-

სამართლოს კონცეფცია თავის თავში მოიცავს სასამართლოს მხრიდან მხარისათვის საკუთარი პოზიციის დაცვის მოსამზადებლად ადეკვატური დროის განსაზღვრას და დაცვის მომზადების შესაძლებლობის მიცემას (იხ. Case If Galstyan v, Armenia, საჩივარი no26986/0).

64. განსახილველი დავის ფარგლებში საკასაციო სასამართლოს მიერ შეფასების საგანს წარმოადგენს პირველი კასატორისათვის (მოსარჩელე), ელექტროენერჯის გატარებისათვის თმენის კომპენსაციის მოთხოვნის წინაპირობების არსებობა. ამ ტიპის სარჩელის წარმატებულობა, ბუნებრივია, უნდა შემომნდეს მისი დამფუძნებელი ნორმის/ნორმების წინაპირობებთან მიმართებაში, რაც იმას ნიშნავს, რომ უპირველესად, სასამართლომ სწორად უნდა განსაზღვროს მოთხოვნის მარეგულირებელი სამართლებრივი საფუძველი – კანონის ნორმა, გამოარკვიოს სარჩელში მითითებული ფაქტების შესაბამისობა დამფუძნებელი ნორმის აბსტრაქტულ ელემენტებთან (ფორმალური გამართულობა), დადებითი პასუხის შემთხვევაში, სარჩელსა და შესაგებელში გამოთქმული პოზიციების ურთიერთშეჯერებით გამოარკვიოს სადავო და უდავო ფაქტობრივი გარემოებები (მტკიცების საგანი) და გაანალიზოს მხარეთა შორის მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების დადასტურების ტვირთი (მტკიცების ტვირთი).

65. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლოს უპირველესი ამოცანაა, დაადგინოს, თუ რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რომელ ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს ის სამართლებრივი ნორმა (ნორმები), რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რისი მიღწევაც მხარეს სურს. ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად განხილული ნორმა (ან ნორმები) შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემომნებაც სასამართლოს ვალდებულებაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენების გზით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს, ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა, რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს.

66. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმის განმხილველი სასამართლო შეზღუდულია მხოლოდ მხარის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით, რაც შეეხება სამართლის ნორმების გა-

მოყენებას, სასამართლო, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, ადგენს თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეთა შორის და ამ ურთიერთობის მარგულირებელი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე აკმაყოფილებს ან არ აკმაყოფილებს სარჩელს. მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის შეფასება შედის სასამართლოს კომპეტენციაში, თუმცა საქმეზე გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს შეჯიბრებითობის პრინციპის სრულად რეალიზაციის პირობებში.

67. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოთხოვნის საფუძველი სამოქალაქო სამართალში, ზოგადად არის სამართლის ის ნორმა, რომელიც დამოუკიდებლად ან სხვა მოთხოვნის საფუძველზე თან ერთობლიობაში აფუძნებს ამა თუ იმ მოთხოვნას ანუ სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა კონკრეტულ უფლება-მოვალეობებს (იხ. ჰ.ბოელინგი, ლ.ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, მეორე გამოცემა, თბ., 2004, 38.) კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების დანიშნულებაა ურთიერთობაში მონაწილე სუბიექტების უფლებების განსაზღვრა და მათი განხორციელების უზრუნველყოფა. მოთხოვნა უფლების რეალიზაციის კანონით გათვალისწინებული შესაძლებლობაა. მოთხოვნა და მოთხოვნის საფუძველი სხვადასხვა ცნებებია და სასურველია მათი აღრევა თავიდან იქნეს აცილებული. ამ გამიჯვნას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმის გათვალისწინებით, რომ მოთხოვნათა შორის არჩევანის უფლება, მოსარჩელის უფლებამოსილებაა, ხოლო მოსარჩელის მიერ წარდგენილი მოთხოვნის დამფუძნებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთა შორის ერთ-ერთის მისადაგება სასამართლოს უფლებამოსილება და ვალდებულებაა (იხ. ჰ. ბოელინგი, ლ. ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, მეორე გამოცემა, თბ., 2004, 42.).

68. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მოთხოვნა პირის ნებას დაქვემდებარებული და სხვა პირზე მიმართული უფლებაა, რომელიც მისი პროცესუალური განხორციელებისაგან მკვეთრად იმიჯნება. მოთხოვნა ძირითადად მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობის მატარებელია. მოთხოვნა საპროცესო-სამართლებრივი გაგებით, ყოველთვის მიმართულია სასამართლო გადაწყვეტილების დადგომისაკენ. მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი არის სამართლის ნორმა, რომლის სამართლებრივი შედეგით გათვალისწინებულია სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილე პირის მიერ რაიმე მოქმედების განხორციელებისა თუ მოქმედების შესრულებისაგან თავის შეკავების ვალდებულება. თითოეული მოთხოვნის

დამფუძნებელი სამართლის ნორმა განსაზღვრავს მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს, თუმცა მისი განმარტება და ფაქტობრივ გარემოებებზე მისადაგება სასამართლოს უფლებამოსილებაა. მოთხოვნის საფუძველი ორი ნაწილისაგან შედგება: ა) ნორმის შემადგენლობა, რომელიც მოიცავს ცალკეულ წინაპირობას და ბ) სამართლებრივი შედეგი, რომელიც კანონის საფუძველზე დადგება იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა ნორმის შემადგენლობით განსაზღვრული ყველა წინაპირობა.

69. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსის განმსაზღვრელია სარჩელში მითითებული ფაქტები და გარემოებები. სარჩელის ინდივიდუალიზაცია სარჩელის ელემენტების მეშვეობითაა შესაძლებელი. სსსკ-ის მე-3, მე-4, 83-ე და 178-ე მუხლების ანალიზით შესაძლებელია, დავასკვნათ, რომ სარჩელი შედგება ორი ელემენტისგან: სარჩელის საგნისა და სარჩელის საფუძვლისგან. სარჩელის საგანია მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისადმი (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი), ხოლო სარჩელის საფუძველი – კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი). საქმის გარემოებათა ანალიზის საფუძველზე მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსის დადგენა და მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის მოძიება კი, სასამართლოს ვალდებულებაა. სადავო ურთიერთობის შეფასებისას, ზემდგომი ინსტანციის სასამართლო არაა შეუბოჭილი ქვემდგომი ინსტანციის სამართლოს სამართლებრივი შეფასებებით, შესაბამისად, თუ ზემდგომი ინსტანციის სასამართლო გამოარკვევს, რომ ქვემდგომი სამართლოს სამართლებრივი შეფასება არ გამომდინარეობს საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან, იგი ვალდებულია, ეს გარემოებები თავად შეაფასოს სამართლებრივად სწორად და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

70. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის რომელიმე ფაქტობრივი წინამძღვრის (სამართლებრივი წინაპირობის) არარსებობა გამოორიცხავს მხარისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომას (მდრ., სუსგ №ას-1338-2018, 25 იანვარი, 2019 წელი, პ-17; №ას-1470-2018, 15 თებერვალი, 2019 წელი, პ-41). თავის მხრივ, მოთხოვნის საფუძვლის (საფუძვლების) ძიებისას, სასამართლოსათვის ამოსავალია ის კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას. სწორედ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები და გარემოებები განსაზღვრავენ სარჩელის მოთხოვნის შინაარსს. სასამართლომ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების შეფასე-

ბით, უნდა გაარკვიოს, თუ საიდან გამომდინარეობს მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, კერძოდ, სახელშეკრულებო შეთანხმებებიდან, ზიანის მიყენებიდან (დელიქტი), უსაფუძვლო გამდიდრებიდან თუ კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძველიდან.

71. საკასაციო პალატა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სადავო ურთიერთობის სამართლებრივი შეფასება სასამართლოს ვალდებულებაა, მიუხედავად იმისა, ედავებიან თუ არა ამ შეფასებას მხარეები. ეს იმას ნიშნავს, რომ არც სააპელაციო და არც საკასაციო სამართლო არაა შეზღუდული სააპელაციო თუ საკასაციო საჩივარში მითითებული კანონის დარღვევებით და ისინი ამომწებენ გადანყვეტილებას მატერიალურსამართლებრივი ნორმების სწორად გამოყენების თვალსაზრისით. თუ ასეთი შემონმების შედეგად სასამართლო იმ დასკვნას გამოიტანს, რომ საჩივრის მოთხოვნა გადანყვეტილების გაუქმების ან შეცვლის შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს, მაგრამ არა საჩივარში მითითებული, არამედ მატერიალურსამართლებრივი ნორმის (კანონის) სხვა დარღვევის გამო, სასამართლომ უნდა გამოიტანოს შესაბამისი გადანყვეტილება. იმ შემთხვევაში კი, თუ არასწორი სამართლებრივი შეფასების შედეგად, ანუ კანონის (სსსკ-ის 393.2 მუხლის) დარღვევით მიღებული გადანყვეტილების ძალაში დატოვება შესაძლებელია სხვაგვარი სამართლებრივი შეფასებით, საკასაციო სასამართლოს შეუძლია, არ გააუქმოს გადანყვეტილება და განჩინებით ძალაში დატოვოს იგი (სსსკ-ის 410-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი) ან ახალი გადანყვეტილებით დაადგინოს სხვა სამართლებრივი შედეგი (სსსკ-ის 411-ე მუხლი).

72. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს ამ განჩინების პ:1-3 აღნიშნულ პირველი კასატორის მიერ სარჩელში მითითებულ თითოეულ ფაქტობრივ გარემოებაზე და მიაჩნია, რომ იმ სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით, რისი მიღწევაც მოსარჩელეს სურს, კერძოდ, მის საკუთრებაში არსებული ელექტროგამანაწილებელი ქსელით სარგებლობისათვის თმენის კომპენსაციის ანაზღაურების მოთხოვნა, სსკ-ის 180-ე მუხლის პირველი ნაწილიდან (თუ მინის ნაკვეთს არა აქვს ჯეროვანი გამოყენებისათვის აუცილებელი კავშირი საჯარო გზებთან, ელექტრო, ნავთობის, გაზისა და წყალმომარაგების ქსელთან, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია მეზობელს მოსთხოვოს, რომ მან ითმინოს მისი მინის ნაკვეთის გამოყენება ამგვარი აუცილებელი კავშირის უზრუნველსაყოფად. იმ მეზობლებს, რომელთა ნაკვეთზედაც გადის აუცილებელი გზა ან გაყვანილობა, უნდა მიეცეთ შესაბამისი კომპენსაცია), „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის

შესახებ“ საქართველოს კანონის 46<sup>1</sup>-ე მუხლის მე-4 პუნქტიდან (თუ მოთხოვნილი გატარების (მათ შორის, ელექტროენერჯის, ბუნებრივი გაზის ან სასმელი წყლის გატარების) მომსახურება ეხება ისეთ ქსელს, რომელიც არ არის განაწილების ანდა წყალმომარაგების ლიცენზიატის მფლობელობაში, ქსელის მფლობელი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, ვალდებულია, ჯეროვანი კავშირის უზრუნველყოფის მიზნით, ითმინოს თავისი ქსელით სარგებლობა. ამასთანავე, ქსელის მფლობელი უფლებამოსილია თავისი ქსელით სარგებლობისათვის მოითხოვოს გატარების საფასურის ან თმენის კომპენსაციის გადახდა), საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 18 სექტემბრის №20 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესების“ მე-15 მუხლიდან (პირი, რომელიც არ არის განაწილების ლიცენზიატი, მაგრამ ფლობს ელექტროენერჯის ქსელს, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, ვალდებულია, სხვა მომხმარებელთა ელექტროენერჯით მომარაგების მიზნით, ითმინოს მისი ქსელით სარგებლობა და გაატაროს ელექტროენერჯია; თუ მხარეები არ შეთანხმდნენ სხვა პირობებზე, ელექტროენერჯის გატარების გამო ქსელით სარგებლობისა და თმენისათვის გადასახდელი თანხის ოდენობა განისაზღვრება კომისიის მიერ დამტკიცებული „მესამე პირების მფლობელობაში არსებულ ქსელში ელექტროენერჯის, ბუნებრივი გაზისა და სასმელი წყლის გატარების საფასურის გაანგარიშების წესების“ შესაბამისად) და „მესამე პირების მფლობელობაში არსებულ ქსელში ელექტროენერჯის, ბუნებრივი გაზისა და სასმელი წყლის გატარების საფასურის გაანგარიშების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2013 წლის 30 დეკემბრის №15 დადგენილების (ამოქმედდა 2014 წლის 1 იანვრიდან) მე-5 მუხლის პირველი პუნქტიდან (ქსელის მფლობელის მიერ განეული გატარების მომსახურების საფასური („R“) გაიანგარიშება გატარების ფასის („P“) გამრავლებით ფაქტობრივად გატარებული ელექტროენერჯის რაოდენობაზე („W“) (ფორმულა:  $R = P * W$ ). გატარების საფასურის („P“) გაანგარიშება ხდება გატარების მომსახურებაში მონაწილე აქტივების ბაზის ღირებულების გამრავლებით მისაღები შემოსავლის ნორმა გატარებაში მონაწილე აქტივების ბაზის ღირებულებაზე – 0.2 (20%) და გაყოფით ქსელის მფლობელის ტრანსფორმატორის ან/და ელექტროგადამცემი ხაზის წლიური (საპექტო) გამტარუნარიანობაზე (კვტ.სთ) (ფორმულა:  $P = (A * K) / (S)$ ) გამომდინარეობს (შეადრ: სუსგ №ას-1522-2018, 20 მაისი, 2019. პ.15).

73. საკასაციო პალატა, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებისა და საკასაციო საჩივრების საფუძვლების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში, პირველი კასატორი სადავოდ ხდის მოსარჩელის კუთვნილი ელექტროგადამცემი ხაზით სარგებლობისთვის ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ განსაზღვრული კომპენაციის ოდენობას და მოთხოვნის ხანდაზმულობის საკითხს. პირველი კასატორი აღნიშნავს, რომ ვინაიდან მოთხოვნა გამომდინარეობს სსკ-ის 180-ე მუხლიდან, ხანდაზმულობის საკითხი უნდა მონესრიგებულიყო 128.3 ნაწილით (10 ნელი).

74. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მხარეთა შორის დავის განხილვისას სასამართლოს უპირველესი ამოცანაა, დაადგინოს რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რა ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს მოსარჩელე თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს სამართლებრივი ნორმა, რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რომლის მიღწევაც მხარეს სურს. მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად განხილული ნორმა შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემონმეცაც სასამართლოს ვალდებულებაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენებით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს ამა თუ იმ ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა რამდენად შეესაბამება კონკრეტულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს. საქმის განმხილველი სასამართლო შეზღუდულია მხოლოდ მხარის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით, რაც შეეხება სამართლის ნორმების გამოყენებას, სასამართლო, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, ადგენს თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეთა შორის და ამ ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე აკმაყოფილებს ან არ აკმაყოფილებს სარჩელს. მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის შეფასება შედის სასამართლოს კომპეტენციაში, თუმცა, საქმეზე გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს შეჯიბრებითობის პრინციპის სრულად რეალიზაციის პირობებში. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა აგებულია რა დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპებზე, პირის დარღვეული ან სადავოდ ქცეული უფლების დაცვა ამავე პირის ნებაზეა დამოკიდებული. მხარეები სამოქალაქო სამართალწარმოებაში თვითონვე განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღე-

ბენ გადანყვეტილებას სარჩელის შეტანის შესახებ (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3-მე-4 მუხლები), რაც კანონის მოთხოვნათა დაცვით (ამავე კოდექსის 178-ე მუხლი) უნდა აისახოს მხარეთა მიერ სასამართლოში წარდგენილ სარჩელში.

75. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპების გათვალისწინებით, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს სარჩელისაგან მოპასუხის თავდაცვის ისეთ ეფექტურ საშუალებას, როგორცაა შესაგებელი. განსახილველ საქმეზე დადგენილია, რომ მოპასუხემ 2016 წლის 18 თებერვალს, აგრეთვე 2016 წლის 22 თებერვალს სასამართლოში წარადგინა შესაგებელი, რომლითაც სარჩელი არ ცნო უსაფუძვლობის გამო, აგრეთვე მიუთითა სსკ-ის 144 I მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელი გარემოებაზე – ხანდაზმულობა.

76. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არაერთ გადანყვეტილებაში უთითებს, რომ ეროვნული სასამართლოს გადანყვეტილება უნდა პასუხობდეს მხარის მიერ სამართლებრივ და პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით წარმოდგენილი არგუმენტების ძირითად ასპექტებს (იხ., გადანყვეტილება საქმეზე Ruiz Torija v. Spain, § 29-30). შესაბამისად, უფლება მოსმენაზე მოიცავს არა მხოლოდ სასამართლოს წინაშე არგუმენტების წარდგენის შესაძლებლობას, არამედ სასამართლოს ვალდებულებას, გადანყვეტილების დასაბუთებაში მიუთითოს მიზეზები, რომელთა საფუძველზეც გაიზიარა ან უარყო შესაბამისი არგუმენტები. სასამართლომ შეიძლება აუცილებლად არ მიიჩნიოს იმგვარ არგუმენტებზე პასუხის გაცემა, რომლებიც აშკარად არარელევანტური, დაუსაბუთებელი ან სხვაგვარად დაუშვებელია მსგავსი არგუმენტების მიმართ არსებული სამართლებრივი დებულებების ან მყარად დადგენილი სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე, თუმცა, ყველა გადანყვეტილება უნდა იყოს ნათელი და საქმეში მონაწილე მხარეებს შესაძლებლობას უნდა აძლევდეს გაიგონ, თუ რატომ გაითვალისწინა სასამართლომ მხოლოდ კონკრეტული გარემოებები და მტკიცებულებები (იხ., გადანყვეტილება საქმეზე Seryavin and Others v. Ukraine §§ 55-62). სასამართლომ აქვს ვალდებულება, სათანადოდ იმსჯელოს მხარეთა მიერ წარდგენილ დოკუმენტებზე, არგუმენტებსა და მტკიცებულებებზე (იხ. Kraska v. Switzerland, § 30; Van de Hurk v. the Netherlands, § 59; Perez v. France, § 80). ამასთან, მხარეებს უნდა ჰქონდეთ არა მხოლოდ იმის შესაძლებლობა, რომ იცოდნენ იმ მტკიცებულებათა შესახებ, რომლებიც მათ სჭირდებათ თავიანთი სარჩელის წარმატებისათვის, არამედ ჰქონდეთ კომენტა-



რის გაკეთების საშუალება ყველა იმ მტკიცებულებასთან და მოსაზრებასთან დაკავშირებით, რომლებიც წარდგენილია სასამართლოს აზრის ფორმირებაზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით (იხ. *Milatova and others v. The Czech republic* §59; *Niderost-huber v. Switzerland*, § 24; *K.S. v. finland* § 21).

77. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზება უმეტესწილად დამოკიდებულია და გულისხმობს სასამართლოს მიერ დასაბუთებული, მტკიცებულებათა შეჯერების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების მიღებას. მტკიცების ტვირთის როლი განსაკუთრებით ვლინდება სამოქალაქო სამართალწარმოებაში, სადაც მხარეთა ნების ავტონომიას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. შესაძლებელია მხარის მოთხოვნა საფუძვლიანი იყოს, მაგრამ შეუძლებელია მხარემ მიიღოს თავისი სასარგებლო გადაწყვეტილება, თუ ვერ დაამტკიცებს თავის სასარგებლო გარემოებებს საპროცესო სამართლით დადგენილი წესით. ამიტომაც, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ფაქტების მითითების ტვირთისა და ფაქტების დამტკიცების ტვირთის სწორი გადანაწილება მოდავე მხარეებს შორის.

78. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მიხედვით, მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ. მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს – ცნოს სარჩელი. ამავე კოდექსის მე-4 მუხლის მიხედვით სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული შესაგებლები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძველად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. შეჯიბრებითობის პრინციპმა თავისი ასახვა ჰპოვა სსსკ-ის მთელ რიგ სხვა ნორმებში.

79. შეჯიბრებითობის პრინციპის შინაარსის ანალიზი საფუძველს გვაძლევს გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები: 1. შეჯიბრებითობის პრინციპი მოიცავს მხარეთა საქმიანობას მხოლოდ საქმის ფაქტობრივი გარემოებებისა და მტკიცებულებების სფეროში. საკით-

ხი იმის შესახებ, რომ სასამართლო საქმის განხილვას (სამოქალაქო პროცესს) იწყებს მხოლოდ დაინტერესებული პირის მოთხოვნით, ან, რომ სასამართლო არ უნდა გასცდეს მხარეთა მოთხოვნის ფარგლებს და ა.შ. განეკუთვნება არა შეჯიბრებითობის, არამედ დისპოზიციურობის პრინციპის სფეროს. 2. მხარეთა მოთხოვნების თუ შესაგებლის ფაქტობრივი (და არა იურიდიული) დასაბუთება (გამართლება) ეკისრებათ თვითონ მხარეებს. 3. მხარეებმა თვითონ უნდა განსაზღვრონ, თუ რომელი ფაქტები დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს (შესაგებელს). ამის შესახებ პირდაპირაა მითითებული აგრეთვე სსსკ-ის 178-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტში, რომლის თანახმად, სარჩელში აღნიშნული უნდა იყოს გარემოებები, რომლებზეც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნებს, აგრეთვე სსსკ-ის 201-ე მუხლში, რომლის თანახმად, თუ მოპასუხე სარჩელს არ ცნობს, მან უნდა მიუთითოს რა კონკრეტულ გარემოებებს ემყარება მისი შესაგებელი სარჩელის წინააღმდეგ. 4. მხარეებმა თვითონ უნდა მიუთითონ მტკიცებულებებზე, რომელთა საფუძველზე უნდა დამტკიცდეს (დადასტურდეს) მათ მიერ თავიანთი მოთხოვნის (შესაგებლის) დასაბუთების მიზნით მითითებული ფაქტები. ამის შესახებ პირდაპირაა მითითებული სსსკ-ის 178-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტში, რომლის თანახმად სარჩელში აღნიშნული უნდა იყოს მტკიცებულებანი, რომლებიც ადასტურებენ ამ გარემოებებს (ე.ი. მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებულ გარემოებებს), აგრეთვე, სსსკ-ის 201-ე მუხლში, რომლის თანახმად, მოპასუხემ თავის პასუხში (შესაგებელში) უნდა მიუთითოს რა მტკიცებულებებით შეიძლება დამტკიცდეს ეს გარემოებები, (ე.ი. მოპასუხის მიერ თავის შესაგებელში მითითებული გარემოებები.

80. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელი შესაგებლის წარდგენისას, მოპასუხე შესაძლოა ეთანხმებოდეს სარჩელში გაჟღერებულ მხარეთა შორის წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობას (სადავოდ არ ხდიდეს სარჩელში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებს), ასევე ეთანხმებოდეს ვალდებულების არსებობას და აღიარებდეს მისი მხრიდან ვალდებულების შეუსრულებლობას, თუმცა უარს აცხადებდეს მის შესრულებაზე, რადგან მოთხოვნა ხანდაზმულად მიაჩნდეს (სსსკ-ის 144-ე მუხლი). მოთხოვნის შემაფერხებელ შესაგებელთან გვაქვს საქმე ასევე, როდესაც მოპასუხე უთითებს მოსარჩელის მხრიდან საპასუხო მოქმედების შესრულებაზე (სსსკ-ის 369-ე მუხლი) ან შესრულების ვადის დაუდგომლობაზე (სსსკ-ის 361.2 მუხლი, 368-ე მუხლი).

81. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დრო დიდ როლს თამაშობს დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების დაცვის საკით-

ხში. მხარეთა შორის გარკვეული სამართლებრივი ურთიერთობები შეიძლება იმდენად დიდი ხნის წინ წარმოიშვას, რომ გავლენა მოახდინოს მხარეთა უფლება-მოვალეობებზე. მართლწესრიგი ითვალისწინებს ხანდაზმულობის ინსტიტუტს, რომლის ერთ-ერთ სახესაც წარმოადგენს სასარჩელო ხანდაზმულობა. მისი არსებობა განპირობებულია ხელშეკრულების მხარეთა თანასწორობისა და მათი ინტერესების თანაბარი დაცვის საჭიროებიდან გამომდინარე. გონივრული სასარჩელო ხანდაზმულობის ვადების არსებობა უფლების რეალიზაციის აუცილებელი წინაპირობაა. განსაზღვრული დროის გასვლის შემდეგ სამართლებრივი სტაბილურობის მოთხოვნა უფრო მეტად დაცვის ღირსია. სასარჩელო ხანდაზმულობა უფლების განხორციელებისათვის განსაზღვრულ ჩარჩოებს აწესებს. სასარჩელო ხანდაზმულობა წარმოადგენს მიზნის მიღწევის საშუალებას და არა თვითმიზანს.

82. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ უფლების წარმოშობა, ისევე როგორც მისი შეწყვეტა დაკავშირებულია განსაზღვრულ დროსთან. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა ამცნობს უფლების სუბიექტს მისი დარღვეული უფლების სასამართლოს გზით განხორციელების ვადის თაობაზე. სასარჩელო ხანდაზმულობა იმ სამართლებრივი მნიშვნელობის მატარებელია, რომ რაღაც ურთიერთობას ადგილი ჰქონდა იმდენად დიდი ხნის წინ, რომ ხანგრძლივი დროის გასვლა პირდაპირ გავლენას ახდენს პირთა უფლებებზე. (იხ. დამატებით: თენგიზ ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, თბილისი, 2005 წ., გვერდი 133; ბესარიონ ზოიძე, ქართული სამოქალაქო კოდექსის შექმნის ისტორიიდან, ყურნალი „ქართული სამართლის მიმოხილვა“, თბილისი, 2003 წ. გვერდი 110.).

83. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა გულისხმობს დროის გარკვეულ მონაკვეთს, რომლის განმავლობაშიც პირს, რომლის უფლებაც დაირღვა, შესაძლებლობა აქვს, მოითხოვოს საკუთარი უფლებების სამართლებრივი გზით (იძულებით) განხორციელება ან დაცვა, ანუ კრედიტორს შეუძლია დაიკმაყოფილოს მოთხოვნა სასამართლოსათვის მიმართვის გზით. ამ ვადის გასვლა კი გულისხმობს ამ პირთა მიერ ასეთი შესაძლებლობის გამოყენების უფლების მოსპობას, გაქარწყლებას. „მხარეთა სასარჩელო შესაძლებლობები ხშირად არის ვადით შეზღუდული. სამოქალაქო სამართალში სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ პირი კარგავს უფლების სასამართლო გზით დაცვის შესაძლებლობას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება №1/3/161 საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ო. ს-ი და ი. ხ-ი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“). ხან-

დაზმულობის ვადის გასვლა მოთხოვნას არ აუქმებს (წყვეტს), არამედ მოვალეს შესაძლებლობას ანიჭებს, უარი თქვას მოთხოვნის შესრულებაზე. ანუ მოთხოვნის უფლება ობიექტურად არსებობს, თუმცა იგი განუხორციელებელია. (შდრ: გიორგი სვანაძე, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, მუხლი 144-ე, ველი 1. თბილისი, 2017 წელი);).

84. ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ საპროცესო თავდაცვის საშუალებად მოპასუხემ ხანდაზმულობის ინსტიტუტი გამოიყენა შესაბამისად, საფუძვლიანად იქნა მიჩნეული მოპასუხის პოზიცია საზღაურის დაკისრებაზე უარის თქმის თაობაზეც, რამდენადაც, სამოქალაქო კოდექსის 144-ე მუხლი პირველი ნაწილის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ ვალდებული პირი უფლებამოსილია უარი თქვას მოქმედების შესრულებაზე“. (შდრ: სუსგ №ას-1437-1357-2018, 11 მაისი, 2018 წელი).

85. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სსკ-ის 128-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესის შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადა ვრცელდება სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე. ხანდაზმულობის ვადების დანესებით, კანონმდებლის მიზანია გამორიცხოს კრედიტორის უფლების განხორციელების არათანაზომიერად ან ბოროტად გამოყენების საფრთხე. გარდა ამისა: ა) ხანდაზმულობის ვადა სასამართლოს უმსუბუქებს ფაქტების დადგენისა და შესწავლის პროცესს და ამ გზით, ხელს უწყობს დასაბუთებული გადანყვეტილების გამოტანას; ბ) ხელს უწყობს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილიზაციას; გ) აძლიერებს სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტების ურთიერთკონტროლსა და იძლევა დარღვეული უფლების დაუყონებლივ აღდგენის სტიმულიზაციას (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, თბილისი, 2007, გვ. 63; შდრ. სუსგ 11.06.2012 საქმე №ას-547-515-2012).

86. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზოგადად, ვადებს დიდი მნიშვნელობა აქვს სამართლებრივ ურთიერთობებში წესრიგის შეტანისთვის. დროის ფაქტორი ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებს პირთა შორის ურთიერთობების სამართლებრივ მოწესრიგებაში. გარკვეული დროის დადგომას ან ვადის გასვლას უკავშირდება კონკრეტული იურიდიული შედეგები – სამართლებრივი ურთიერთობების (შესაბამისად პირთა უფლებებისა ან/და მოვალეობების) წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა. მართლმსაჯულების უმნიშვნელოვანესი მიზანია ადამიანის უფლებების დაცვა, რაც შესაძლებელია

საქმეზე მხოლოდ სწორი და ობიექტური გადაწყვეტილების მიღების გზით. მართლმსაჯულების შედეგი სამართლიანობის მიღწევა, აღდგენა, უზრუნველყოფა უნდა იყოს. „ადამიანებისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია განცდა, რომ მათ სამართლიანად ეპყრობიან“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება №1/3/534 საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ტ. მ-ი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 3.).

87. ზემოთ ჩამოთვლილი კანონიერი მიზნების არსებობას იზიარებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოც. გადაწყვეტილებაში საქმეზე სტაბინგი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, სასამართლო განმარტავს: „... ხანდაზმულობის ვადები ემსახურება რამდენიმე მნიშვნელოვან მიზანს, კერძოდ, სამართლებრივ განსაზღვრულობას და საბოლოობას, პოტენციური მოპასუხეების დაცვას ძველი სარჩელებისგან, რომლებისგან თავის დაცვაც შეიძლება რთული აღმოჩნდეს და უსამართლობის თავიდან აცილებას, რომელიც შეიძლება წარმოიშვას, თუ სასამართლოები იძულებული გახდებიან გადაწყვიტონ საქმეები, რომლებიც შორეულ წარსულში მოხდა, იმ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, რომლებიც შესაძლოა, დროის გასვლის გამო არასაიმედო ან არასრული იყოს“ (პ.51). (Stubbings and Others v The United Kingdom, განაცხადის ნომერი №22083/93; №220095/93, 22 ოქტომბერი, 1996.

88. აღსანიშნავია, რომ ხანდაზმულობის ვადის გასვლით ისპობა სასამართლოს ან სხვა ორგანოს მეშვეობით პირის მოთხოვნის იძულებით განხორციელების შესაძლებლობა, მაგრამ არა სასამართლოსათვის ან სხვა ორგანოსათვის მიმართვის უფლება. ხანდაზმულობის ვადა სპობს უფლების იძულებით განხორციელების შესაძლებლობას მატერიალური და არა პროცესუალური თვალსაზრისით. საკასაციო პალატამ არაერთ საქმეზე განმარტა, რომ სასარჩელო ხანდაზმულობის ინსტიტუტი წარმოადგენს უფლების დაცვის მატერიალურ-სამართლებრივ საშუალებას, რადგან სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ მოთხოვნა მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით არსებობს, თუმცა სასამართლო წესით ამ მოთხოვნის იძულებითი განხორციელება კონკრეტული წინაპირობის არსებობისას, არ ხდება (შდრ. სუსგ №ას-1428-2018, 27 დეკემბერი, 2018; №ას-369-350-2015, 30 ივლისი, 2015.).

89. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოთხოვნის ხანდაზმულობაზე მითითების შედეგად წარმოშობილი საწინააღმდეგო უფლება მატერიალურ სამართლებრივი მნიშვნელობით შესაგებელია, რომელიც მოთხოვნის განხორციელებას ხანგრძლივად ან დროებით აფერხებს. ხანდაზმულობის ვადების გათვალისწინება

სასამართლოს მიერ ხორციელდება არა საკუთარი ინიციატივით, არამედ მხოლოდ საქმის განხილვაში მონაწილე მხარეების (მხარის) მიერ აღნიშნულზე მითითების შემთხვევაში. მაგალითად, მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელი შესაგებლების შემონგება მიმდინარეობს მოპასუხის შედავების შემონგების ეტაპზე. ამ ტიპის შედავების წარდგენის დროს მოპასუხე შესაძლოა ეთანხმებოდეს სარჩელში გაჟღერებულ მხარეთა შორის წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობას (სადავოდ არ ხდიდეს სარჩელში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებს), ასევე ეთანხმებოდეს ვალდებულების არსებობას და აღიარებდეს მისი მხრიდან ვალდებულების შეუსრულებლობას, თუმცა, უარს აცხადებდეს მის შესრულებაზე, რადგან მოთხოვნა ხანდაზმულად მიაჩნდეს (სსკ-ის 144-ე მუხლი) (იხ. დამატებით: ჰაინ ბოელინგი, ლადო ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, მეორე გამოცემა, თბ., 2004, გვ. 170; მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი სამოქალაქო სამართალში მოკლე შესავალი რელაციის მეთოდში სამოქალაქო კოდექსის მიხედვით შემუშავებული პრაქტიკული მაგალითებით, შტეფან შმიტი, harald rihteri, GIZ, 2013, გვ.20).

90. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სარჩელი აერთიანებს ორ ნაწილს: სარჩელის აღძვრისა და სარჩელის დაკმაყოფილების უფლებას. რადგან სასარჩელო ხანდაზმულობა არის დარღვეული უფლების იძულებითი განხორციელების ვადა, ის უკავშირდება სწორედ სარჩელის დაკმაყოფილების უფლებას. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლით ისპობა უფლების იძულებითი განხორციელების შესაძლებლობა მატერიალური და არა საპროცესო-სამართლებრივი თვალსაზრისით. შესაბამისად, სასარჩელო ხანდაზმულობის ინსტიტუტი მიჩნეული უნდა იქნეს მატერიალური სამართლის კუთვნილებად კანონმდებლობაში მისი ადგილისა და სამართლებრივი შედეგების გათვალისწინებით.

91. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადები ასევე მიიჩნევა საქმის სწორად გადაწყვეტის ერთ-ერთ ეფექტურ გარანტიად. კერძოდ: გადაწყვეტილება ეფუძნება მხარეთა მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს, შესაბამისად, მტკიცებულებათა უტყუარობა, მათი ვარგისიანობის, ნამდვილობის უტყუარად დადგენის შესაძლებლობა უმნიშვნელოვანესია სწორი და ობიექტური გადაწყვეტილების მისაღებად. სამართალწარმოებაში შეცდომის თავიდან აცილება უპირველესი მიზანია. ამასთან, ხანგრძლივი დროის გასვლამ შეიძლება გამოიწვიოს მტკიცებულებების შეცვლა ან მათი მოპოვების უკიდურესად გართულება, ზოგჯერ კი – განადგურება, რაც, საბოლოო ჯამში, გაართულებს სადავოდ გამხდარი მტკიცებულებების

საიმედოობის დადგენას. როდესაც ხანგრძლივი დროა გასული იმ მოვლენიდან, რომელმაც სადავო გარემოებები წარმოშვა, მაღალია ალბათობა, რომ მტკიცებულებები, რომლებიც ადრე არსებობდა, შეიძლება დაკარგული ან სახეშეცვლილი იყოს, ასევე გაფერმკრთალდება მონმეთა მეხსიერება, რომელთა ჩვენებებს სასამართლო დავის გადანყვეტისას უნდა დაეყრდნოს, გაიზრდება სავარაუდო, არასანდო მტკიცებულებათა რიცხვი. შედეგად, მეტი ალბათობით შეიქმნება ნიადაგი საქმის ფაქტობრივი გარემოებების არაობიექტური შეფასებისათვის. ხანდაზმულობის ვადა წარმოადგენს მცდელობას, დაიცვას მხარეები ასეთი საფრთხეებისაგან.

92. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სასარჩელო ხანდაზმულობა არ არის აბსტრაქტული სამართლებრივი კატეგორია. კანონმდებლობა ითვალისწინებს მისი დაწყებისა და დასრულების მომენტს. მოთხოვნის შემოწმებისას აუცილებელია განისაზღვროს ხანდაზმულობის კონკრეტული ვადის გამოყენებისა და მისი ათვლის საკითხი. ერთმანეთისაგან განასხვავებენ ხანდაზმულობის ვადის ათვლის ობიექტურ და სუბიექტურ მომენტებს. ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყება დაკავშირებულია სუბიექტურ ფაქტორთან ანუ იმ მომენტთან, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო თავისი უფლების დარღვევის შესახებ. სანინააღმდეგოს მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს აწევს. ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყების საფუძველია უფლების დარღვევა, რომელიც შესაძლოა კანონიდან გამომდინარეობდეს ან ხელშეკრულების საფუძველზე წარმოიშვას (შდრ: ნუნუ კვანტალიანი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი I, მუხლი 130-ე, ველი 2. თბილისი, 2017 წელი; ლადო ჭანტურია, საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011 წელი, გვერდი 123).

93. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის სწორი გამოთვლისათვის არსებითია, ზუსტად დადგინდეს მოთხოვნის წარმოშობის დრო. საკასაციო სასამართლო არაერთ გადანყვეტილებაში/განჩინებაში განმარტავს: „ხანდაზმულობის ვადაში იგულისხმება დრო, რომლის განმავლობაშიც უფლებამოსილ პირს შეუძლია თავისი უფლების რეალიზაცია ან დაცვა. ხანდაზმულობის ინსტიტუტის სპეციფიკურობა ისაა, რომ დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ მოთხოვნის უფლება ობიექტურად არსებობს, თუმცა, იგი იძულებით ვერ განხორციელდება, ანუ ამ უფლების რეალიზება სრული მოცულობით დამოკიდებულია მოთხოვნის ადრესატის ნება-სურვილზე (სსკ-ის 144.1 მუხლი). სსკ-ის 130-ე მუხლი ხანდაზმულობის დაწყებას მოთხოვნის წარმოშობის მომენტს უკავშირებს, ხოლო მოთხოვნის წარმოშობის მომენტად მიიჩნევა დრო, როდესაც პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. ამდენად, ხანდაზ-

მულობის ვადის სწორად გამოთვლისათვის უმნიშვნელოვანესია მისი დენის დაწყების მომენტის განსაზღვრა. ხანდაზმულობის ვადის დასაწყისი შეესაბამება დღეს, როდესაც წარმოიშვა მოთხოვნის უფლება, გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა, როდესაც მოთხოვნის წარმოშობის ვადის განსაზღვრა ზოგადი წესისაგან განსხვავებულია და რეგულირებული, მისი წარმოშობა დაკავშირებულია მომენტთან, როდესაც პირმა გაიგო ან უნდა გაეგო უფლების დარღვევის თაობაზე (შდრ: სუსგ-ები №ას-1937-2018, 15 მარტი, 2019 წელი, პ-16; №ას-1343-1263-2017, 20 დეკემბერი, 2017 წელი; №ას-934-899-2016, 14.02.17წ.; №ას-68-68-2018, 03.04.2018წ.; №ას-382-2019, 14 მაისი, 2019 წელი).

94. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სსკ-ის 130-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის დენის დასაწყისი დაკავშირებულია ობიექტურ მომენტთან – უფლების დარღვევის ფაქტთან და სუბიექტურ მომენტთან – დრო, როდესაც უფლებამოსილი პირისათვის უფლების დარღვევის შესახებ გახდა ცნობილი ან გარემოებათა გათვალისწინებით უფლების დარღვევის ფაქტი უნდა შეეტყო.

95. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ როგორც წესი, ივარაუდება, რომ პირი უფლების დარღვევის ფაქტს მისი დადგომისთანავე შეიტყობს ან სამუშაო გულისხმიერების გამოჩენის შემთხვევაში შეეძლო შეეტყო ამ ფაქტის თაობაზე. აღნიშნულის საწინააღმდეგოს, ანუ უფლების დარღვევის დაგვიანებით შეტყობის მტკიცების ტვირთი კი უფლებადარღვეულ პირს ეკისრება. თუ დადგინდება, რომ პირმა თავისი დაუდევრობის გამო ვერ გაიგო უფლების დარღვევის შესახებ, მაშინ ხანდაზმულობის ვადის დენა დაიწყება იმ მომენტიდან, როცა საქმის გარემოებების მიხედვით, პირს უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ (შდრ: ნუნუ კვანტალიანი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი I, მუხლი 130-ე, ველი 5. თბილისი, 2017 წელი).

96. ვინაიდან სასამართლო მოთხოვნის ხანდაზმულობას მხოლოდ მოპასუხის მითითების საფუძველზე იკვლევს, მოთხოვნის ვადაში წარდგენა მოსარჩელის მტკიცების ტვირთს წარმოადგენს. „თუ ხანდაზმულობის წარმოშობის მომენტის დადგენა ობიექტურად შეუძლებელია, ყურადღება უნდა მიექცეს სუბიექტურ მომენტს. ამასთან, იგულისხმება, რომ ხანდაზმულობის წარმოშობის ობიექტური და სუბიექტური მომენტები თანმხვედრია, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე არ ეთანხმება ხანდაზმულობის წარმოშობის ობიექტური და სუბიექტური მომენტების თანხვედრას, მაშინ მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს ეკისრება იმის გასარკვევად, თუ როდიდან უნდა დაიწყოს ხანდაზმულობის ვადის დენა“



(იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, თბილისი, 2007 წელი, გვერდი 64.).

97. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ხანდაზმულობის დაწყებისათვის, როგორც წესი, არ არის სავალდებულო, რომ კრედიტორმა მისთვის ცნობილ ფაქტებს სამართლებრივი შეფასება მისცეს. თუ კრედიტორი მცდარ დასკვნებს გამოიტანს, ფაქტებს მცდარად შეაფასებს, ხანდაზმულობის ვადის დინება მაინც იწყება. ხანდაზმულობის ვადების დაწყებისათვის მიზანშეწონილად უნდა იქნეს მიჩნეული ხანდაზმულობის საფუძვლად არსებული ფაქტობრივი გარემოებების ცოდნა მისი სამართლებრივი შეფასების გარეშე, რადგან რთულია შესაბამისი განათლების არმქონე პირს მოეთხოვოს ნორმის ქმედების შემადგენლობის კომპონენტების შეფასება. სსკ-ის 130-ე მუხლი ხანდაზმულობის ვადის ათვლის სუბიექტური ფაქტორის განსაზღვრისას, პოზიტიურ ცოდნასთან ერთად ითვალისწინებს ბრალეულ არცოდნასაც. თუ დადგინდება, რომ პირმა თავისი დაუდევრობის გამო ვერ გაიგო უფლების დარღვევის თაობაზე, ხანდაზმულობის ვადის ათვლა დაიწყება იმ მომენტიდან, როცა საქმის გარემოებებიდან გამომდინარე პირს უნდა შეეცყო უფლების დარღვევის შესახებ. (იხ. დამატებით: ზურაბ ახვლედიანი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი კომენტარი, ნიგ-ნი პირველი, თბილისი, 1999 წელი, მუხლი 130, გვერდი 320.).

98. საკასაციო პალატა განსახილველ საქმესთან დაკავშირებით ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელე მოითხოვს 2008 წლის 1-ლი იანვრიდან 2015 წლის 1-ელ სექტემბრამდე (იხ. სარჩელი, პირველი ინსტანციის სასამართლოს 2016 წლის 31 მარტის მთავარი სხდომის ოქმი 14:32:45-14:34:00) თმენის კომპენსაციას ანუ სახეზეა კანონისმიერი ვალდებულება (სსკ-ის 180-ე მუხლი), ამ დასკვნის საფუძველია მხარეთა შორის სახელშეკრულებო ურთიერთობის არარსებობა და მითითებული ნორმით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის განმაპირობებელი ფაქტობრივი წინაპირობების შესრულება. (საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს მოპასუხის მიერ შესაგებელში მითითებულ გარემოებას, რომ მხარეთა შორის 2008 წლის 1-ლი იანვრიდან არ არსებობს რაიმე სახელშეკრულებო ურთიერთობა). სარჩელი აღძრულია 2015 წლის 13 ოქტომბერს. შესაბამისად, საკასაციო პალატა არ ეთანხმება სააპელაციო პალატის შეფასებას, რომ სარჩელი 2008 წლის 1-ლი იანვრიდან 2012 წლის 01 სექტემბრამდე არის ხანდაზმული. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს პირველი კასატორის მოსაზრებას, რომ განსახილველ შემთხვევაში სარჩელის შეტანის მომენტისათვის – 2015 წლის 13 ოქტომბერი, სსკ-ის 128-ე მუხ-

ლით გათვალისწინებული 10 წლიანი ხანდაზმულობის ვადა არ იყო გასული და არ არსებობს სსკ-ის 144 I მუხლით გათვალისწინებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი.

99. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ელ.ენერჯის გატარებისა და ელექტროქსელით სარგებლობის თმენისათვის კომპენსაციის მოთხოვნის უფლება სსკ-ის 128-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ ხანდაზმულობის საერთო ვადას – 10 წელს უნდა დაექვემდებაროს (ეს ვადა დადგენილია ყველა იმ ურთიერთობისათვის, რომელიც არ ითვალისწინებს ხანდაზმულობის სპეციალურ ვადას). დადგენილად უნდა იქნეს მიჩნეული, რომ მოპასუხეს მოსარჩელისათვის 2008 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის 1 სექტემბრამდე პერიოდის განმავლობაში ქსელით სარგებლობისთვის თანხა არ გადაუხდია.

100. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ 2008 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის 1 სექტემბრამდე პერიოდში მოსარჩელის კუთვნილი ელექტროგადამცემი ხაზით სარგებლობისათვის თმენის კომპენსაციის მოთხოვნის ხანდაზმულობის ნაწილში, პირველმა კასატორმა წარმოადგინა დასაშვები (დასაბუთებული) საკასაციო პრეტენზია.

101. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ პუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, რაც მისი გაუქმების აბსოლუტური საფუძველია, თუ გადაწყვეტილება არ არის საკმარისად დასაბუთებული, ხოლო სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად კი, საკასაციო სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები. იმის გათვალისწინებით, რომ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს არ დაუდგენია 2008 წლის 1-ლი იანვრიდან 2012 წლის 1-ელ სექტემბრამდე მოსარჩელის ელექტროქსელის მეშვეობით მოპასუხის მიერ გატარებული ელექტროენერჯის რაოდენობა, საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, ამ ნაწილში თვითონ განსაზღვროს თმენის კომპენსაციის ოდენობა. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სსსკ-ის 412-ე მუხლის თანახმად, ამ ნაწილში უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სააპელაციო სასამართლოს.

102. პირველი კასატორი არ ეთანხმება გასაჩივრებული განჩინების დასკვნას, რომ 2014 წლის 1-ლი იანვრის შემდეგ ქსელით სარგებლობისათვის მოსარჩელეს არა აქვს თმენის კომპენსაციის მოთხოვნის უფლება და თითქოსდა გააჩნია მხოლოდ გატარების საფა-

სურის მოთხოვნის უფლება. (იხ. საკასაციო საჩივარი).

103. საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს სემეკის 2013 წლის 30 დეკემბრის №15 დადგენილების ამოქმედების შემდგომ, ქსელის მფლობელ არალიცენზიანტსა და ელ.ენერჯის მესაკუთრეს შორის არსებული ურთიერთობიდან გამომდინარე, ანაზღაურების კანონიერების განსაზღვრა, საკუთრებით სარგებლობის კანონისმიერი შეზღუდვის ფარგლებში. ამ თვალსაზრისით, სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ 2014 წლის 1 იანვრიდან ელექტროგადამცემი ხაზით სარგებლობისათვის კომპენსაციის გადახდა გათვალისწინებული აღარ არის, რადგან მოსარჩელეს აქვს მხოლოდ გატარების საფასურის მოთხოვნის უფლება, რომელიც მან არ გამოიყენა და არ წარმოადგინა გატარების საფასურის დადგენისათვის საჭირო მონაცემები.

შესაბამისად, პალატამ მიიჩნია, რომ ამ ნაწილში სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილებულიყო, რაც არ გამოორიცხავდა მოსარჩელის უფლებას, დამოუკიდებლად მოეთხოვა ელექტროენერჯის გატარების საფასურის ანაზღაურება (იხ. წინამდებარე განჩინების პ.32, 36.). კასატორი არ ეთანხმება გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას და პრეტენზიას გამოთქვამს, როგორც მისი მატერიალურ-სამართლებრივი დასაბუთების, ისე საპროცესო წესების დარღვევისა და ამ გზით სადავო გარემოებების არასწორად დადგენასთან მიმართებით. საკასაციო პრეტენზიათა დასაბუთებულობის შემოწმების მიზნით, საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

104. მოსარჩელეს საკუთრებაში გააჩნია ... მდებარე 6021.14 მეტრი სიგრძის ელექტროგადამცემი ხაზი 7 ცალი ტრანსფორმატორით, 7 ცალი ელექტროჯიხურით და 1 ცალი ზეთიანი ამომრთველით. ქსელის მესაკუთრე არ წარმოადგენს განაწილების ლიცენზიანტს, იგი საკუთარი ხარჯით უვლის სადავო ქონებას.

105. მოპასუხე განაწილების ლიცენზიანტია, სარგებლობს მოსარჩელის კუთვნილი ელ.ქსელითა და ელ.დანადგარებით.

106. 2013 წლის 30 დეკემბრის №15 დადგენილებით სემეკმა დაამტკიცა „მესამე პირთა მფლობელობაში არსებულ ქსელში ელექტროენერჯის, ბუნებრივი გაზისა და სასმელი წყლის გატარების საფასურის გაანგარიშების წესები“, რომელიც 2014 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა. აღნიშნულმა დადგენილებამ ქსელის მფლობელის მიერ განეული გატარების მომსახურების საფასურის გაანგარიშების სპეციალური ფორმულა (წესი) დაადგინა.

107. პირველი კასატორი არ ეთანხმება გასაჩივრებული განჩინების დასკვნას, რომ 2014 წლის 1-ლი იანვრის შემდეგ ქსელით სარ-

გებლობისათვის მოსარჩელეს არა აქვს თმენის კომპენსაციის მოთხოვნის უფლება და თითქოსდა გააჩნია მხოლოდ გატარების საფასურის მოთხოვნის უფლება.

108. საკასაციო პალატა აღნიშნავს, იმისათვის, რათა სწორი სამართლებრივი შეფასება მიეცეს სადავო სამართალურთიერთობას, ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს მხარეთა სახელშეკრულებო და კანონის ძალით წარმოშობილი ურთიერთობანი. ამ თვალსაზრისით, უაღრესად მნიშვნელოვანია სისტემური შეფასება მიეცეს არალიცენზიანტი მესამე პირის ქსელით სარგებლობის მარეგულირებელ სამართლებრივ აქტებს:

„ენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის 46<sup>1</sup> მუხლის, სემეკის 2008 წლის 18 სექტემბრის №20 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესების“ (შემდგომში – „წესები“ ან №20 დადგენილება) მე-15 მუხლისა და 2013 წლის 30 დეკემბრის №15 დადგენილებით დამტკიცებული „მესამე პირის მფლობელობაში არსებულ ქსელში ელექტროენერჯის, ბუნებრივი გაზისა და სასმელი წყლის გატარების საფასურის გაანგარიშების წესების“ (შემდგომში №15 დადგენილება) მე-4 მუხლის თანახმად, ქსელის მფლობელ არალიცენზიანტთან (შემდგომში – მესამე პირი) განაწილების ლიცენზიანტს შეიძლება აკავშირებდეს სახელშეკრულებო ურთიერთობა, რა დროსაც სპეციალური აქტებით (სემეკის შესაბამისი დადგენილება) განსაზღვრული მაქსიმალური ფარგლების გათვალისწინებით, მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ ხელშეკრულების არსებით პირობებზე (სკ-ის 327-ე მუხლი). ასეთ დროს კონტრაქტებს სრული უფლება გააჩნიათ, განსაზღვრონ ხელშეკრულების ფასი, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს სემეკის მიერ ლიცენზიანტისათვის დადგენილ ტარიფს (იხ. სემეკის №15 დადგენილების 4.5 პუნქტი). იმ შემთხვევაში, თუ სახეზე არ გვექნება საკუთრებით სარგებლობის ბოჭვის სახელშეკრულებო წინაპირობა, ქსელის მესაკუთრე მესამე პირის უფლება დამცავ დანაწესად გვევლინება სემეკის №15 დადგენილება, რომლითაც განსაზღვრულია კომპენსაციის გამოთვლის მეთოდოლოგია.

109. რაც შეეხება 2014 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 1-ელ სექტემბრამდე მოპასუხის მიერ ქონებით სარგებლობისათვის თმენის ვალდებულების საკომპენსაციო თანხის განსაზღვრას. სემეკის 2013 წლის 30 დეკემბრის №15 დადგენილების ამოქმედების შემდგომ პერიოდში ელ.ქსელის არალიცენზიანტი მესაკუთრის მოთხოვნის ფარგლების განსაზღვრის მიზნით საკასაციო პალატა განმარტავს შემდეგს: „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის 46<sup>1</sup>-ე მუხლის მე-4 პუნქტის

თანახმად, თუ მოთხოვნილი გატარების (მათ შორის, ელექტროენერჯის, ბუნებრივი გაზის ან სასმელი წყლის გატარების) მომსახურება ეხება ისეთ ქსელს, რომელიც არ არის განაწილების ან/და წყალმომარაგების ლიცენზიატის მფლობელობაში, ქსელის მფლობელი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, ვალდებულია, ჯეროვანი კავშირის უზრუნველყოფის მიზნით, ითმინოს თავისი ქსელით სარგებლობა. ამასთანავე, ქსელის მფლობელი უფლებამოსილია თავისი ქსელით სარგებლობისათვის მოითხოვოს გატარების საფასურის ან თმენის კომპენსაციის გადახდა. ამავე ნორმის მე-5 პუნქტით განსაზღვრულია გატარების საფასურის გაანგარიშების წესი და იგი დგინდება კომისიის დადგენილებით. ამ დანაწესიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ მოხმობილი ნორმა წარმოადგენს ზოგად დანაწესს და მიუთითებს ქსელის მფლობელი არალიცენზიანტის ვალდებულებაზე, ითმინოს მისი საკუთრებით სარგებლობა, რომელიც სასამართლო პრაქტიკის თანახმად, სამოქალაქო კოდექსის 180-ე მუხლით განსაზღვრული უფლების საკანონმდებლო ბოჭვაა, ასევე, დადგენილია, არალიცენზიანტის უფლება, ამ კანონისმიერი ბოჭვისათვის მოითხოვოს საფასური. მოცემულ შემთხვევაში, პირველი კასატორი ცდილობს, დაასაბუთოს საკუთარი პოზიცია იმგვარად, რომ გატარების საფასური და თმენის კომპენსაცია სხვადასხვა კატეგორიაა, თუმცა ამას საკასაციო პალატა არ იზიარებს და აღნიშნავს შემდეგს: სემეკის 2013 წლის 30 დეკემბრის №15 დადგენილებით ამოქმედებით აღმოიფხვრა ის საკანონმდებლო ხარვეზი, რომელიც არსებობდა ქსელის მფლობელ ლიცენზიანტებსა და არალიცენზიანტებს შორის. №15 დადგენილების ამოქმედებამდე საკითხი რეგულირდებოდა ზემოხსენებული (ზოგადი ხასიათის) ნორმითა და სემეკის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის ტარიფების შესახებ წესების“ ანალოგიის გზით გამოყენებით. საკასაციო სასამართლოს 2014 წლის 10 ოქტომბრის №ას-803-762-2013 განჩინების თანახმად (რომელსაც იშველიებს მეორე კასატორი და მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება განსხვავდება მანამდე არსებული სასამართლო პრაქტიკისაგან), ელ.ქსელის არალიცენზიანტ მესაკუთრეს ამ ქსელის გამოყენება შეუძლია მხოლოდ ელ.ენერჯის გასატარებლად და სამოქალაქო კოდექსის 180-ე მუხლის ფარგლებში უნდა გაირკვეს არა ზოგადად მითითებული ნორმით გათვალისწინებული შემთხვევის წინაპირობები (რომელშიც ივარაუდება ის შემთხვევები, როდესაც მესაკუთრეს შეხედულებისამებრ შეეძლო გამოეყენებინა მინის ნაკვეთი თუ არა აუცილებელი გზასთან დაკავშირებული თმენის ვალდებულება), არამედ ელექტროგადაამცემი ხაზის მეშვეობით

ელექტროენერჯის გატარებაზე თმენის ვალდებულებიდან გამომდინარე, საშუალო მესაკუთრის ინტერესი ამ შეზღუდვის არარსებობის შემთხვევაში. დავის სპეციფიკის თანახმად, საშუალო მესაკუთრის ინტერესის დაკმაყოფილების ერთგვარ ნიმუშს წარმოადგენს საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებით დამტკიცებული წესები, რომლებიც შეიძლება გამოვიყენოთ არა, როგორც პირდაპირი გამოყენების წყარო, არამედ – სახელმძღვანელო. საკასაციო სასამართლოს ამავე გადაწყვეტილებით დაშვებულია პრეზუმფცია, რომ სემეკის №33 დადგენილებით ლიცენზიანტებისათვის განსაზღვრული ტარიფი მოიცავდა, როგორც თმენის, ისე ელექტროგადამცემი ხაზით სარგებლობის კომპენსაციას. მოცემულ შემთხვევაში კი, სემეკის 2013 წლის 30 დეკემბრის №15 დადგენილებით დარეგულირდა ეს საკითხი და მსგავსად ლიცენზიანტებისა, კომისიამ განსაზღვრა არალიცენზიანტი მესაკუთრეების კომპენსაციის გამოანგარიშების მეთოდოლოგია. პალატა მიუთითებს სემეკის №20 დადგენილებით დამტკიცებულ „წესებში“ განხორციელებულ ცვლილებაზე, რომელიც წინამდებარე შემთხვევაზე ვრცელდება (1.2. მუხლი) და აღნიშნავს, რომ 2013 წლის 30 დეკემბრის №15 დადგენილების (სპეციალური რეგულაცია) ამოქმედების შემდგომ („წესებში“ მართალია, მოგვიანებით განხორციელდა ცვლილება, თუმცა სემეკის დადგენილებათა სწორი განმარტების შესაბამისად, „წესების“ მე-15 მუხლის მე-2 პუნქტით კომისიამ გაათანაბრა „ელექტროენერჯის გატარებისა“ და „თმენის“ გადასახადი და მისი ანაზღაურების მანამდე არსებული წესისაგან განსხვავებით (კომპენსაცია გაიცემა საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად), დაადგინა შემდეგი ქცევის წესი: თუ მხარეები არ შეთანხმდნენ სხვა პირობებზე, ელექტროენერჯის გატარების გამო ქსელით სარგებლობისა და თმენისათვის გადასახდელი თანხის ოდენობა განისაზღვრება კომისიის მიერ დამტკიცებული „მესამე პირების მფლობელობაში არსებულ ქსელში ელექტროენერჯის, ბუნებრივი გაზისა და სასმელი წყლის გატარების საფასურის განგარიშების წესების“ შესაბამისად. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სემეკის №15 დადგენილებით განსაზღვრული ტარიფის გამოანგარიშების მეთოდოლოგია (მსგავსად ლიცენზიანტებს შორის მანამდე არსებული რეგულაციისა) მიუთითებს ერთგვარ პრეზუმფციაზე, რომ არალიცენზიანტის კუთვნილ ქსელში ელექტროენერჯის გატარებაზე განეულია იმ ოდენობის მომსახურება, რაც ტარიფის სახით ამ მომსახურებისთვის არის დადგენილი. თავის მხრივ, ელექტროგადამცემი ხაზის ფუნქციური დანიშნულებიდან გამომდინარე, თმენის ვალ-

დებულება უნდა განიმარტოს სწორედ ამ ურთიერთობის მახასიათებელი სპეციფიკიდან. იმ ფაქტობრივი სიტუაციიდან გამომდინარე, რომ ელ.ქსელის გამოყენება, გარდა ელ.ენერჯის გატარებისა, სხვა თვალსაზრისით შეუძლებელია, არალიცენზიანტი მესაკუთრის თმენის ვალდებულება ც სწორედ ახალი რეგულაციის ფარგლებში უნდა შეფასდეს. თავად სემეკის №15 დადგენილების 2.1. მუხლის „გ“ ქვეპუნქტით კომისიამ განსაზღვრა, რომ გატარების საფასური არის ამ წესების საფუძველზე გაანგარიშებული გატარების მომსახურების ღირებულება საანგარიშო პერიოდზე, ხოლო მე-4 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებით დაწესებულია ქსელის მფლობელი არალიცენზიანტის ვალდებულება, ერთი მხრივ, (მოთხოვნის შემთხვევაში) ქსელში გაატაროს სხვისი კუთვნილი ელექტროენერჯია, ხოლო, მეორე მხრივ, უზრუნველყოს მის მფლობელობაში არსებული ქსელის გამართული მუშაობა. ამდენად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ახალი რეგულაციის შემოღებითა (30.12.2013წ. №15 დადგენილება) და სპეციალურ ნორმაში ცვლილების განხორციელებით (18.09.2008წ. №20 დადგენილების 15.2 მუხლი) თმენის კომპენსაციის სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად განსაზღვრის შესაძლებლობა გაუქმდა და იგი მთლიანად მოაწესრიგა სემეკის №15 დადგენილებამ, ანუ გატარების მომსახურება და თმენის კომპენსაცია, კანონისმიერი ბოჭვის ფარგლებში გაიგივდა და თუ სახეზე არ გვაქვს მხარეთა განსხვავებული შეთანხმება, იგი სემეკის ზემოხსენებული დადგენილებით დამტკიცებული ახალი მეთოდოლოგიის შესაბამისად გამოითვლება.

110. საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ 2014 წლის 1-ლი იანვრის შემდეგ ურთიერთობების მიმართ თმენის კომპენსაცია გათვალისწინებული არ არის და მოსარჩელეს მხოლოდ გატარების მოთხოვნის უფლება აქვს. თუმცა, იმ დადგენილი ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით, რომ მოსარჩელე არ დაეთანხმა ქვემდგომი ინსტანციების სასამართლოების მოსაზრებას, რომ 2014 წლის 1-ლი იანვრის შემდეგ გააჩნდა მხოლოდ გატარების საფასურის მოთხოვნის უფლება, ამიტომაც უარი განაცხადა სემეკის 2013 წლის 30 დეკემბრის №15 დადგენილებით დამტკიცებული „წესების“ მიხედვით მისი ქსელით ელექტროენერჯის გატარების საფასურის გაანგარიშებისათვის საჭირო მონაცემების წარმოდგენაზე და ამ წესების შესაბამისად გატარების საფასურის მოპასუხისათვის დაკისრებაზე იმ საფუძველით, რომ ამ „წესების“ ამოქმედების შემდეგაც ანუ 2014 წლის 1-ლი იანვრიდან ქსელით სარგებლობისათვის, მაინც აქვს კომპენსაციის მოთხოვნის უფლება, ხოლო საჭირო მონაცემების წარდგენის გარეშე კი, შეუძლებელია 2014 წლის პირველი იანვრის შემდეგ კომ-

პენსაციის საფასურის გაანგარიშება (იხ. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება; სააპელაციო სასამართლოს განჩინება), საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ამ ნაწილშიც წარმოდგენილია ნაწილობრივ დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია.

111. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლო საქართველოში სასამართლო სისტემის მნიშვნელოვანი რგოლია, რომელიც განიხილავს მხარეთა მიერ სადავოდ მიჩნეული პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერებასა და დასაბუთებულობას. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს სააპელაციო წარმოების წესსა და ფარგლებს, ამავე დროს იმპერატიულად ადგენს, რომ სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია, სააპელაციო საჩივრის დასაბუთება შეამოწმოს მხოლოდ იმ ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით და იმ მტკიცებულებებით, რომლებიც წარდგენილი იყო და შემოწმდა პირველი ინსტანციის სასამართლოში. ახალი ფაქტებისა და მტკიცებულებების წარდგენა სააპელაციო სასამართლოში მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ გამონაკლის შემთხვევებშია დასაშვები. (არასრული (შეზღუდული) აპელაცია) (შდრ: სუს-ს დიდი პალატის 2016 წლის 17 მარტის განჩინება საქმეზე №ას-121-117-2016).

112. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსსკ-ის 380-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას შეიძლება მოყვანილი იქნეს ახალი ფაქტები და წარდგენილი იქნეს ახალი მტკიცებულებები. სააპელაციო სასამართლო არ მიიღებს ახალ ფაქტებსა და მტკიცებულებებს, რომლებიც მხარეს შეეძლო წარედგინა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას, მაგრამ არასაპატიო მიზეზით არ წარადგინა.

113. განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ მოსარჩელის ერთ-ერთ მოთხოვნას წარმოადგენდა 2014 წლის 1-ლი სექტემბრიდან 2015 წლის 1-ელ სექტემბრამდე კი 6-10 კილოვატ ძაბვაზე ელ.ენერჯის გატარებისათვის 82811 ლარისა და 87 თეთრის, ხოლო 220/280 ვოლტ ძაბვაზე – 215532 ლარისა და 66 თეთრის, რაც ჯამში შეადგენს 1134317 ლარსა და 63 თეთრს, მოპასუხისათვის, როგორც თმენის კომპენსაციის დაკისრება (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების პ.3.), რაც არ დაკმაყოფილდა წინამდებარე გადაწყვეტილების პ.32, 36-ში მითითებული გარემოებების გამო.

114. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ელ.ენერჯის გატარებისა და ელ.ქსელით სარგებლობის თმენის საკომპენსაციო თანხის გამოანგარიშება 2014 წლის 1 იანვრის შემდგომი პერიოდისთვის უნდა განხორციელდეს „მესამე პირების მფლობელობაში არსებულ ქსელში ელექტროენერჯის, ბუნებრივი გაზისა და სასმელი წყლის გატარების საფასურის გაანგარიშების წესების დამტკიცების შე-



სახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2013 წლის 30 დეკემბრის №15 დადგენილების საფუძველზე.

115. „მესამე პირების მფლობელობაში არსებულ ქსელში ელექტროენერჯის, ბუნებრივი გაზისა და სასმელი წყლის გატარების საფასურის გაანგარიშების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2013 წლის 30 დეკემბრის №15 დადგენილებით, დადგინდა ქსელის მფლობელის მიერ განეული გატარების მომსახურების საფასურის გაანგარიშების სპეციალური ფორმულა (წესი). სახელდობრ, დადგენილების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ქსელის მფლობელის მიერ განეული გატარების მომსახურების საფასური („R“) გაიანგარიშება გატარების ფასის („P“) გამრავლებით ფაქტობრივად გატარებული ელექტროენერჯის რაოდენობაზე („W“) (ფორმულა:  $R = P * W$ ). გატარების საფასურის („P“) გაანგარიშება ხდება გატარების მომსახურებაში მონაწილე აქტივების ბაზის ღირებულების გამრავლებით მისაღები შემოსავლის ნორმა გატარებაში მონაწილე აქტივების ბაზის ღირებულებაზე – 0.2 (20%) და გაყოფით ქსელის მფლობელის ტრანსფორმატორის ან/და ელექტროგადამცემი ხაზის წლიურ (საპექტო) გამტარუნარიანობაზე (კვტ.სთ) (ფორმულა:  $P = (A * K) / (S)$ ).

116. ამდენად, 2014 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა წესი (ფორმულა), რომლის მიხედვითაც, უნდა განხორციელდეს ქსელის მფლობელის კომპენსირება მისი ქსელით სარგებლობის თმენისათვის, შესაბამისად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ უარყო სარჩელი 2014 წლის 1-ლი იანვრიდან 2015 წლის 1-ელ სექტემბრამდე კომპენსაციის დაკისრების ნაწილში მხოლოდ იმ გარემოებაზე მითითებით, რომ მოსარჩელეს, „მესამე პირების მფლობელობაში არსებულ ქსელში ელექტროენერჯის, ბუნებრივი გაზისა და სასმელი წყლის გატარების საფასურის გაანგარიშების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2013 წლის 30 დეკემბრის №15 დადგენილების შესაბამისად არ მოუთხოვია გატარების საფასურის გამოანგარიშება.

117. განსახილველ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელეს მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად „მესამე პირების მფლობელობაში არსებულ ქსელში ელექტროენერჯის, ბუნებრივი გაზისა და სასმელი წყლის გატარების საფასურის გაანგარიშების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის

ის 2013 წლის 30 დეკემბრის №15 დადგენილების მე-5 მუხლის პირველ პუნქტზე არ მიუთითებია, აღნიშნული არ აბრკოლებდა სასამართლოს ხსენებულ სამართლებრივ საფუძველზე დაყრდნობით სარჩელი დაექმაცოფილებინა შესაბამისი ფაქტობრივი საფუძველებისა და მტკიცებულებების არსებობის პირობებში. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქმის გარემოებათა ანალიზის საფუძველზე, მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსის განსაზღვრა, მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმის მოძიება და სადავო სამართალურთიერთობისადმი მისადაგება სასამართლოს პრეროგატივაა და ის შეზღუდული არ არის მხოლოდ მხარის მიერ მითითებული სამართლის ნორმებით (შდრ. სუსგ ას-№1522-2018, 28 მაისი, 2019 წელი).

118. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები. 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად კი, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა.

119. მოცემულ შემთხვევაში, 2014 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 1-ელ სექტემბრამდე ელექტრონული სარგებლობის თემის ვალდებულებისათვის კომპენსაციის თანხის განსაზღვრის ნაწილში, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოკლებულია სამართლებრივ შესაძლებლობას თავად გადანყვიტოს დავა. წინამდებარე გადაწყვეტილებაში განვითარებული მსჯელობის გათვალისწინებით, სემეკის 2013 წლის 30 დეკემბრის №15 დადგენილებით განსაზღვრული ნორმატიული რეგულაციიდან გამომდინარე, არალიცენზიანტი მე-საკუთრის ქსელით სარგებლობის კომპენსაციის განაზღვრის ნაწილში, საქმე უკან დაუბრუნდეს იმავე სააპელაციო სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

120. რაც შეეხება თემის კომპენსაციის ოდენობას, ორივე კასატორი სადავოდ ხდის გასაჩივრებული განჩინებით განსაზღვრულ თემის კომპენსაციას.

121. პირველ კასატორს მიაჩნია, რომ საკომპენსაციო თანხის განსაზღვრისათვის უნდა გამოყენებულიყო სემეკის მიერ დადგენილი შემდეგი ტარიფები: 2008 წლის 1-ლი იანვრიდან 2010 წლის 1-ელ თებერვლამდე პერიოდისათვის – 6-10 კილოვატ ძაბვაზე 0,580

თეთრი/კვცხტ-ზე, ხოლო 220/380 ვოლტ დაბვაზე – 1,320 თეთრი/კვცხტ-ზე; 2010 წლის 1-ლი ივლისიდან 2014 წლის 1-ელ სექტემბრამდე პერიოდისათვის – 6-10 კილოვატ დაბვაზე 2,59 თეთრი/კვცხტ-ზე, ხოლო 220/380 ვოლტ დაბვაზე – 3,6 თეთრი/კვცხტ-ზე; 2014 წლის 1-ლი სექტემბრიდან 2015 წლის 1-ელ სექტემბრამდე პერიოდისათვის 6-10 კილოვატ დაბვაზე 2.064 თეთრი/კვცხტ-ზე, ხოლო 220/380 ვოლტ დაბვაზე – 6.837 თეთრი/კვცხტ-ზე;

122. რაც შეეხება მეორე კასატორს, იგი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ არსებითად გაიზიარა მოპასუხის მიერ მითითებული არგუმენტაცია, თუმცა, საბოლოოდ არ დააკმაყოფილა მოპასუხის სააპელაციო საჩივარი. სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ მოსარჩელის ელ.ქსელით სარგებლობისათვის ამ უკანასკნელის თმენის ვალდებულებისათვის საკომპენსაციო თანხა არ უნდა აღემატებოდეს „0,58 თეთრს“ (ანუ 0,0058 ლარს) (იხ. გასაჩივრებული გადაწყვეტილება, გვ. 22 აბზ. 5), თუმცა კი ამ დასკვნის შემდეგ ძალაში დატოვა ხაშურის რაიონული სასამართლოს 15.04.17წ. გადაწყვეტილება, რომლითაც გონივრულ კომპენსაციად განისაზღვრა გატარებული ელ-ენერგიისთვის 1 კვტ.სთ-ზე 0,02 ლარი (ანუ 2 თეთრი), ხოლო 0,4კვ დაბვაზე – 0,03 ლარი (ანუ 3 თეთრი). მეორე კასატორი აღნიშნავს, რომ 0,02 ლარი (ანუ 2 თეთრი) თითქმის ოთხჯერ, ხოლო 0,03 ლარი (ანუ 3 თეთრი) კი, ხუთჯერ აღემატება სასამართლოს მიერ ზღვრად მიჩნეულ 0,0058 ლარს (ანუ 0,58 თეთრს).

123. მეორე კასატორი მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება პრაქტიკას, კერძოდ, მეორე კასატორი აღნიშნავს, რომ სს „ე-პ-ჯ-ას“ სააპელაციო საჩივრის ერთ-ერთი საფუძველი იყო „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს 30.04.99 წლის კანონში 21.06.11 წლის საკანონმდებლო ცვლილებისა და „მესამე პირების მფლობელობაში არსებულ ქსელში ელექტროენერგიის, ბუნებრივი გაზისა და სასმელი წყლის გატარების საფასურის გაანგარიშების წესების“ შესახებ 30.12.13 წლის №15 დადგენილების არსებობის პირობებში, კომპენსაციის განსაზღვრისას (თუნდაც სახელმძღვანელოდ) „ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ“ 04.12.08 წლის №33 დადგენილების გამოყენება. ამასთან, თუნდაც, ანალოგიის დაშვების შემთხვევაშიც (რასაც კასატორი არ ეთანხმება), სასამართლომ ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, გამოიყენა №33 დადგენილების ის ნორმები, რომლებიც გატარების უფრო მაღალ ტარიფებს განსაზღვრავდა და არა ის, რომელიც ირიბად მანამდე გამოყენებულ იქნა სასამართლოს მიერვე მითითებულ პრაქტიკაში. მეორე კასატორს მიაჩნია, რომ 2014 წლის 01 იანვრამ-

დე ელ-ენერჯის გატარებისათვის „გონივრული“ კომპენსაციის განსაზღვრისას სასამართლო, სულ მცირე, უნდა მსჯელობდეს მაინც 2014 წლის 01 იანვრიდან დარგის მარეგულირებელი ორგანოს მიერ დადგენილი ნორმატიული კომპენსაციის „გონივრულობაზე“, მითუმეტეს, მხარის მოთხოვნის შემთხვევაში; თუმცა, სასამართლოები თავს არიდებენ ამ პოზიციაზე მსჯელობას (თუნდაც იმ კუთხით, თუ რატომ არ გაითვალისწინეს).

124. მეორე კასატორი აღნიშნავს, რომ მოცემულ საქმეზე ხაშურის რაიონულმა სასამართლომ, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, გამოიყენა №33 დადგენილების ის ნორმები, რომლებიც გატარების უფრო მაღალ ტარიფებს განსაზღვრავდა და არა ის, რომელიც ირიბად მანამდე გამოყენებულ იქნა სასამართლოს მიერვე მითითებულ პრაქტიკაში. მეორე კასატორს საყურადღებოდ მიაჩნია ის, რომ ამ ნაწილში, მის პრეტენზიაზე თბილისის სააპელაციო სასამართლომ იმსჯელა, იხელმძღვანელა უზენაესი სასამართლოს პრაქტიკით (სუსგ 10.10.14 №ას-803-762-2013), შეარჩია №33 დადგენილებით სს „ე-პ-ჯ-ასთვის“ დადგენილი (და არა უბრალოდ ყველაზე მაღალი) ტარიფი – 0,580 თეთრი, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მოსარჩელის ელქსელით სარგებლობისათვის ამ უკანასკნელის თმენის ვალდებულებისათვის საკომპენსაციო თანხა არ უნდა არემატებოდეს 0,58 თეთრს“ (იხ. გასაჩივრებული გადაწყვეტილება, გვ. 22), თუმცა, ყოველგვარი განმარტების გარეშე, მაინც დატოვა ძალაში ოთხჯერ და ხუთჯერ უფრო მაღალი კომპენსაცია – 2 და 3 თეთრი.

125. მეორე კასატორი მიუთითებს, რომ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 10.10.14 №ას-803-762-2013 გადაწყვეტილების შემდეგ 23.09.16წ. დასაბუთებული განჩინებით (საქმე №ას-493-2016) დაუშვებლად ცნო საკასაციო საჩივარი სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, რომლითაც ელ-ენერჯის გატარებისათვის გონივრულ კომპენსაციად 0,2 თეთრი განისაზღვრა. აღნიშნულ განჩინებაში უზენაესი სასამართლო მსჯელობს ტარიფის გონივრულობის პარამეტრებზე, მსჯელობს 10.10.14წ. გადაწყვეტილებით დადგენილ ოდენობაზეც და ადასტურებს 0,2 თეთრის (ანუ 0,002 ლარის გონივრულობას) (პ. 22). სუსგ 23.09.16წ. საქმე №ას-493-2016 უდავოდ საყურადღებოა იმ მხრივაც, რომ 10.10.14 №ას-803-762-2013 გადაწყვეტილების შემდეგ ეთანხმება 2006 წლიდან 2014 წლამდე დამკვიდრებულ ერთიან, უცვლელ სასამართლო პრაქტიკას, რომელიც გონივრულ კომპენსაციას განსაზღვრავდა 0,2 თეთრის ოდენობით 6-10 კვ ძაბვაზე და 0.45 თეთრის ოდენობით 0.4 კვ ძაბვაზე ისევე სემეკის მიერ და სარჩელში მითითებული ქსელის შეძლებისდაგვარად მსგავსი ქსელებისათვის ინ-

დივიდუალური აქტებით განსაზღვრულ ოდენობაზე დაყრდნობით. (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 28.02.2006წ. განჩინება საქმე №ას631-910-05, თბილისის საქალაქო სასამართლოს 20.03.09წ. გადაწყვეტილება, საქმე №2/3864-08, იმავე სასამართლოს 27.05.10წ. გადაწყვეტილება, საქმე №2/8942/09; ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 22.02.11წ. გადაწყვეტილება, საქმე №2/600-2010; თბილისის საქალაქო სასამართლოს 30.05.11წ. გადაწყვეტილება, საქმე №2/2418-11, სენაკის რაიონული სასამართლოს 31.05.11წ. გადაწყვეტილებები, საქმე №2/75-2011 და საქმე №2/74-2011; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 06.06.11 განჩინება, საქმე №ას-335-319-2011; თბილისის სააპელაციო სასამართლოს 08.02.12წ. გადაწყვეტილება, საქმე №2პ/2019-11 და სხვა...).

ამ პრაქტიკას გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილი ტარიფები 10-ჯერ აღემატება. სუსგ 23.09.16წ. საქმე №ას-516-493-2016 განსახილველ შემთხვევაში მით უფრო საყურადღებოა, რადგან ამ საქმეზეც პირველი ინსტანციის სასამართლომ გონივრულ ტარიფად 2 თეთრი მიიჩნია, რომელიც სააპელაციო სასამართლომ 0,5 თეთრამდე შეამცირა (ამასთან, იმავე დასაბუთებით, რასაც გასაჩივრებული გადაწყვეტილებაც ეთანხმება: რომ ტარიფი 0,58 თეთრს შეუძლებელია აღემატებოდეს), საკასაციო პალატამ კი ხაზგასმით მიუთითა, რომ 0,2 თეთრიც საკმარისი კომპენსაცია იქნებოდა.

126. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ დაკისრებული კომპენსაციის ოდენობის ნაწილში პირველმა კასატორმა ვერ წარმოადგინა დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია, რაც შეეხება მეორე კასატორის საკასაციო პრეტენზიას, იგი ნაწილობრივ უნდა გაზიარებულიყო შემდეგი დასაბუთებით:

127. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მიხედვით, მხარეები ინყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ. მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს – ცნოს სარჩელი. ამავე კოდექსის მე-4 მუხლის მიხედვით სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული შესაგებლები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რო-

მელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

128. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპს. შეჯიბრებითობის პრინციპი, მხარეთა თანასწორობის პრინციპთან ერთად, წარმოადგენს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით, აგრეთვე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-5 მუხლებით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლო უფლების მნიშვნელოვან კომპონენტს. სსსკ-ის მე-4 მუხლის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. შეჯიბრებითობის პრინციპმა თავისი ასახვა ჰპოვა სსსკ-ის მთელ რიგ სხვა ნორმებში.

129. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ შეჯიბრებითობის პრინციპის შინაარსის ანალიზი საფუძველს გვაძლევს გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები: 1. შეჯიბრებითობის პრინციპი მოიცავს მხარეთა საქმიანობას მხოლოდ საქმის ფაქტობრივი გარემოებებისა და მტკიცებულებების სფეროში. საკითხი იმის შესახებ, რომ სასამართლო საქმის განხილვას (სამოქალაქო პროცესს) იწყებს მხოლოდ დაინტერესებული პირის მოთხოვნით, ან, რომ სასამართლო არ უნდა გასცდეს მხარეთა მოთხოვნის ფარგლებს და ა.შ. განეკუთვნება არა შეჯიბრებითობის, არამედ დისპოზიციურობის პრინციპის სფეროს. 2. მხარეთა მოთხოვნების თუ შესაგებლის ფაქტობრივი (და არა იურიდიული) დასაბუთება (გამართლება) ეკისრებათ თვითონ მხარეებს. 3. მხარეებმა თვითონ უნდა განსაზღვრონ, თუ რომელი ფაქტები დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს (შესაგებელს). ამის შესახებ პირდაპირაა მითითებული აგრეთვე სსსკ-ის 178-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტში, რომლის თანახმად, სარჩელში აღნიშნული უნდა იყოს გარემოებები, რომლებზეც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნებს, აგრეთვე სსსკ-ის 201-ე მუხლში, რომლის თანახმად, თუ მოპასუხე სარჩელს არ ცნობს, მან უნდა მიუთითოს რა კონკრეტულ გარემოებებს ემყარება მისი შესაგებელი სარჩელის წინააღმდეგ. 4. მხარეებმა თვითონ უნდა მიუთითონ მტკიცებულებებზე, რომელთა საფუძველზე უნდა დამტკიცდეს

(დადასტურდეს) მათ მიერ თავიანთი მოთხოვნის (შესაგებლის) დასაბუთების მიზნით მითითებული ფაქტები. ამის შესახებ პირდაპირაა მითითებული სსსკ 178-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტში, რომლის თანახმად, სარჩელში აღნიშნული უნდა იყოს მტკიცებულებანი, რომლებიც ადასტურებენ ამ გარემოებებს (ე.ი. მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებულ გარემოებებს), აგრეთვე, სსსკ-ის 201-ე მუხლში, რომლის თანახმად, მოპასუხემ თავის პასუხში (შესაგებელში) უნდა მიუთითოს რა მტკიცებულებებით შეიძლება დამტკიცდეს ეს გარემოებები, (ე.ი. მოპასუხის მიერ თავის შესაგებელში მითითებული გარემოებები).

130. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ კონცენტრირებულად შეჯიბრებითობის პრიციპი გამოხატულია სსსკ-ის 102-ე მუხლში, რომლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. შეჯიბრებაში გამარჯვებულად გამოცხადდება მხარე, რომელმაც უკეთ შეძლო დაერწმუნებინა სასამართლო თავისი მოთხოვნის (შესაგებლის) ფაქტობრივ დასაბუთებულობაში, ანუ მხარე, რომელმაც მიუთითა ფაქტებზე, რომლებიც იურიდიულად ამართლებენ მოთხოვნას (შესაგებელს) და წარმოუდგინა სასამართლოს მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ ამ ფაქტებს.

131. საკასაციო პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს ყურადღება გაამახვილოს იმ საკითხზე, თუ რა როლი შეუძლია შეასრულოს სასამართლომ მხარეთა შეჯიბრების პროცესში. ფაქტიურად ესაა საკითხი, თუ რა ზომითაა გამოყენებული სამძებრო პრინციპის ელემენტები სამოქალაქო სამართალწარმოებაში. სსსკ-ის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმის გარემოებათა გასარკვევად სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით მიმართოს ამ კოდექსში გათვალისწინებულ ღონისძიებებს. სამართლებრივი მნიშვნელობის საკითხია, თუ რა შინაარსის შეიძლება იყოს ეს ღონისძიებები. პირველ რიგში, მიზანშეწონილია განხილული იქნეს მტკიცების საგნის ანუ გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტების წრის ზუსტად და სრულად განსაზღვრის შესახებ საკითხი.

132. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ყოველი კონკრეტული სამოქალაქო საქმის გადაწყვეტა სასამართლოში დაკავშირებულია გარკვეული ფაქტების დადგენასთან. ფაქტების დადგენის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ სასამართლო იხილავს დაწყვეტს მხარეთა შორის წარმოშობილ დავებს, რომლებიც სამართლით რეგულირებული ურთიერთობებიდან წარმოიშობიან. სამართლებრივი ურთიერთობა კი, როგორც ეს ცნობილია, შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ იურიდიული ფაქტების საფუძველზე. ე.ი. ისეთი ფაქტების საფუძველზე, რომლებ-

საც სამართლის ნორმა უკავშირებს გარკვეულ იურიდიულ შედეგს.

133. ამრიგად, სასამართლო ვერ გადაწყვეტს ვერცერთ სამოქალაქო საქმეს, თუ მან წინასწარ არ დაადგინა გარკვეული ფაქტები. ამ ფაქტების დადგენა ხორციელდება უმთავრესად დამტკიცების გზით, შესაბამისი მტკიცებულებების გამოყენებით.

134. ფაქტების დამტკიცების პროცესი საკმაოდ დეტალურად რეგულირდება სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით, კერძოდ, განსაზღვრულია მტკიცების საშუალებათა (მტკიცებულებათა) წრე, რომლებიც შეიძლება გამოიყენოს სასამართლომ ფაქტობრივი გარემოებების დასადგენად, ამ მტკიცებულებათა დასაშვებობა და განკუთვნიანობა, მტკიცების ტვირთის (მოვალეობის) განაწილება მხარეთა შორის, ანუ რომელმა მხარემ რა გარემოება უნდა დაამტკიცოს, მტკიცებულებათა გამოკვლევის წესი, მტკიცებულებათა შეფასების ზოგადი წესები და ა.შ.

135. სასამართლო მტკიცების პროცესი – ესაა საქმიანობა, რომელსაც ახორციელებენ მხარეები და სასამართლო იმ ფარგლებში და წესით, რომლებიც განსაზღვრულია კანონით. მხარეები წარუდგენენ სასამართლოს მტკიცებულებებს იმ ფაქტების დადასტურების მიზნით, რომლებზეც ისინი ამყარებენ თავიანთ მოთხოვნებს და შესაგებელს. სასამართლო მტკიცებულებათა დასაშვებობის და განკუთვნიანობის პრინციპების მოთხოვნათა დაცვით იღებს ამ მტკიცებულებებს და აფასებს მათ თავისი შინაგანი რწმენით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სასამართლო მტკიცების პროცესის სხვადასხვა მონაწილე სხვადასხვა ფუნქციას ასრულებს, მაგრამ ყველა მათგანის საქმიანობა მიმართულია ერთი მიზნისაკენ – გაირკვეს სიმართლე, დადგინდეს საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები.

136. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სამოქალაქო პროცესში დადგენილი უნდა იქნეს სამი სხვადასხვა ხასიათის, შინაარსისა და შედეგების მიხედვით ისეთი ფაქტები, როგორიცაა: 1) ფაქტები, რომლებსაც უკავშირდება მხოლოდ პროცესუალურ სამართლებრივი შედეგი (სარჩელის მიღება წარმოებაში, ან ასეთ მიღებაზე უარის თქმა); 2) ფაქტები, რომლებსაც უკავშირდება მატერიალურ სამართლებრივი შედეგი, ანუ მთავარი საძიებელი ფაქტები (სარჩელის დაკმაყოფილება, ან მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა); 3) მტკიცებულებითი ფაქტები, რომელთა მეშვეობით ხორციელდება მთავარი, ანუ გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დამტკიცება – დადასტურება.

137. შესაბამისად, სამოქალაქო პროცესში მტკიცების საგანია მატერიალურ სამართლებრივი მნიშვნელობის ფაქტები, რომლებზეც მიუთითებენ მხარეები თავიანთი მოთხოვნების (შესაგებლის)



დასაბუთება-გამართლების მიზნით. რა კრიტერიუმით უნდა იხელმძღვანელოს სასამართლომ მტკიცების საგნის განსაზღვრისას? სარჩელის აღძვრით მოსარჩელეს სურს გარკვეული შედეგის დადგომა (ნივთის მიკუთვნება, ვალის დაბრუნება, ზიანის ანაზღაურება, ხელშეკრულების მოშლა და ა.შ.), მისი ეს სურვილი აისახება სარჩელის იმ ელემენტში, რომელსაც სარჩელის საგანი ეწოდება. ამრიგად, სარჩელის საგანს ქმნის მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსი. მაგრამ, მოსარჩელისათვის სასურველი შედეგის დადგომა, მისი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება შესაძლებელია მხოლოდ გარკვეული ფაქტების საფუძველზე, რომლებსაც კანონი უკავშირებს მოსარჩელის მატერიალურ სამართლებრივი მოთხოვნის დაკმაყოფილებას. ზუსტად იგივე უნდა განსაზღვროს იმ ფაქტების წრემ, რომლებსაც უკავშირდება მხარეთა მოთხოვნის (შესაგებლის) ფაქტობრივი დასაბუთებულობა. მიუთითონ ფაქტებზე, რომლებიც ასაბუთებენ მხარეთა მოთხოვნებს და შესაგებელს, არის თვითონ მხარეთა მოვალეობა.

138. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მხარეთა მიერ დაშვებული შეცდომა ფაქტების მითითების დროს, შეიძლება გამოიხატოს იმით, რომ მათ არ მიუთითეს ყველა იმ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომელსაც აქვს მნიშვნელობა საქმეზე სწორი გადაწყვეტილების გამოტანისათვის. მხარეთა მიერ დაშვებულ შეცდომას სასამართლო ვერ გამოასწორებს: სასამართლო ვერ „გაამდიდრებს“, ვერ შეავსებს მხარეთა მიერ მითითებულ ფაქტებს, რადგან მხოლოდ მხარეებს შეუძლიათ განსაზღვრონ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს (სსსკ-ის მე-4 მუხლი).

139. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა მტკიცების საგნის განსაზღვრის კრიტერიუმის შესახებ: მტკიცების საგანში შედიან მხარეთა მიერ მითითებული ფაქტები, რომლებიც სასამართლოს შეხედულებით სამართლებრივად ასაბუთებენ (ამართლებენ) მათ მოთხოვნებს და შესაგებელს. კრიტერიუმი, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს სასამართლომ იმისათვის, რომ სწორად განსაზღვროს მხარეთა მიერ მითითებული ფაქტებიდან, თუ რომელი ამართლებს სამართლებრივად მხარეთა მოთხოვნებს (შესაგებელს) და რომელი არა, ესაა სარჩელის საგანი (მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსი), მოპასუხის შესაგებელი და მატერიალურ სამართლებრივი ნორმა.

140. სამართლებრივი დავისას სამოქალაქო საქმის განმხილველ მოსამართლეს ორი ამოცანა აქვს დასაძლევია: პირველ რიგში, მან უნდა გამოარკვიოს, თუ რა მოხდა სინამდვილეში. მეორე რიგში კი მოსამართლემ სამართლებრივად უნდა შეაფასოს ფაქტობრივი გარემოებები და დაადგინოს, არსებობს თუ არა სასარჩელო მოთხოვ-

ნის დაკმაყოფილების საფუძველი. მოსარჩელემ სასამართლოს უნდა მიუთითოს ყველა იმ გარემოებაზე, რომლებიც კანონის მიხედვით ასაბუთებს სასარჩელო მოთხოვნას. თუ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებები ვერ აკმაყოფილებს აღნიშნულ მოთხოვნას, მაშინ სარჩელი უკვე ამ საფუძველზევე არ უნდა დაკმაყოფილდეს. ასეთ შემთხვევაში მოსამართლეს არა აქვს უფლება, საკუთარი ინიციატივით მოიძიოს სასარჩელო მოთხოვნის დამატურებული გარემოებები და შეაგროვოს მტკიცებულებები. თუ მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებულია ყველა იმ გარემოებაზე, რომლებიც კანონის მიხედვით ადასტურებენ მოთხოვნის არსებობას, მაშინ უკვე მოპასუხეზეა დამოკიდებული, ამ გარემოებების არსებობის უარყოფა. მტკიცების საგანში შემაჯავლი გარემოებებიდან ერთი ნაწილი უნდა დაამტკიცოს მოსარჩელემ, მეორე ნაწილი კი – მოპასუხემ. ამასთან ერთად, დამტკიცების ტვირთის განაწილების საფუძველზე, მოსარჩელე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოპასუხემ უნდა დაამტკიცოს და პირიქით, მოპასუხე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს. მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის განაწილების ინსტიტუტი მიუთითებს არა მარტო იმაზე, თუ რომელმა მხარემ რა ფაქტები უნდა დაამტკიცოს, არამედ იმაზეც, თუ რომელი ფაქტების დადგენის მოვალეობისაგან თავისუფლდება ესა თუ ის მხარე. შესაბამისად, მოსარჩელემ, როგორც წესი, უნდა დაამტკიცოს ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის წარმოშობის საფუძველს, ხოლო მოპასუხემ კი – ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს.

141. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მხარეთა ნამდვილი შეჯიბრება რეალურად შეუძლებელი იქნებოდა, რომ არ იყვნენ ამ შეჯიბრებაში მონაწილე მხარეები თანასწორნი. მხარეთა პროცესუალური თანასწორობის განმსაზღვრელი ძირითადი ნიშნები და მიმართულებანი ჩამოყალიბებულია სსსკ-ის 4.1 მუხლში, რომლის თანახმად, მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეთა პროცესუალური თანასწორობის პრინციპითაა გამსჭვალული საპროცესო კანონმდებლობის თითქმის ყოველი ნორმა, დაწყებული საქმის მომზადების სტადიით და დამთავრებული გადანყვეტილების გამოტანით და მისი გასაჩივრებით. მაგალითად, სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ მოპასუხეს ეგზავნება ამ სარჩელისა და მასზე დართული დოკუმენტების ასლები. მოპასუხეს თავის მხრივ შეუძლია ცნოს სარ-

ჩელი, ან არ ცნოს, მაგრამ თუ არ ცნობს – უნდა წარმოუდგინოს სასამართლოს წერილობითი ფორმით შედგენილი პასუხი სარჩელზე და მასზე თანდართულ საბუთებზე. ამ წერილობით პასუხში მანვე უნდა აცნობოს სასამართლოს, თუ რა საპროცესო საშუალებებით აპირებს მოსარჩელისაგან თავის დაცვას. ისე, როგორც მოსარჩელეს, მოპასუხეს სრული უფლება აქვს არამართო გამოთქვას თავისი მოსაზრებები მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი ფაქტების უარსაყოფად, არამედ წარმოუდგინოს სასამართლოს ფაქტები და მტკიცებულებები, რომლებიც ამართლებენ მის შესაგებელს, აქარწყლებენ მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს, ადასტურებენ ამ მტკიცებულებების სიყალბეს ან არასარწმუნოებას და ა.შ. სასამართლო ვერ გამოიტანს გადაწყვეტილებას, თუ მან არ მოუსმინა ორივე დაპირისპირებულ მხარეს ან არ მისცა მათ შესაძლებლობა გამოიყენონ საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა უფლება და მექანიზმი თავიანთი პოზიციის გასამართლებლად, თავიანთი უფლებების დასაცავად. „მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა სამოქალაქო საპროცესო სამართლის უმნიშვნელოვანესი პრინციპია, რაც პირველ რიგში გულისხმობს მოსარჩელისა და მოპასუხისათვის თანაბარი პროცესუალური შესაძლებლობების მინიჭებას. შეჯიბრებითობის პრინციპი ეფუძნება მხარეთა თანაბარ შესაძლებლობას, აღიჭურვონ სათანადო საპროცესო ინსტრუმენტებით...“ (მდრ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №1/8/594; 2017 წლის 01 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №2/6/746).

142. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს სარჩელისაგან მოპასუხის თავდაცვის ისეთ ეფექტურ საშუალებას, როგორიცაა შესაგებელი.

143. შესაგებელი, როგორც მოპასუხის საპროცესო თავდაცვის საშუალება მნიშვნელოვანი ინსტიტუტია სამოქალაქო სამართალწარმოებაში, მასში ვლინდება წერილობითი შეჯიბრებითობის პრინციპი. იგი ასევე ერთგვარი გამოხატულებაა დისპოზიციურობის (სსსკ-ის მე-3 მუხლი) პრინციპისა, რომელიც უზრუნველყოფს მხარეთა საპროცესო უფლებების ავტონომიურად განკარგვის შესაძლებლობას. საპროცესო ავტონომიის ფარგლებში მოპასუხის გადასაწყვეტია ცნობს თუ არა სარჩელს, დაასრულებს თუ არა საქმეს მორიგებით, ან რა სახის საპროცესო თავდაცვის საშუალებას გამოიყენებს, რაც გარკვეულწილად დავაში შესვლას და სარჩელში მითითებულ გარემოებებზე პასუხის გაცემას გულისხმობს. შესაბამისად, სარჩელის წარმატება იმაზე იქნება დამოკიდებული,

თუ რამდენად კვალიფიციურად დაიცავს თავს მოპასუხე სარჩელისაგან. ვიდრე საქმის არსებითად განხილვა დაიწყება სასამართლოში, მოსამართლემ უნდა უზრუნველყოს საქმის მომზადება, რომელიც მათ შორის მხარეთა წერილობითი პოზიციების გაცვლას მოიცავს. სწორედ ამ მიზანს ემსახურება, ერთი მხრივ სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლების მოპასუხისათვის, ხოლო მეორე მხრივ, შესაგებლისა და თანდართული დოკუმენტების ასლების მოსარჩელისთვის ჩაბარება. სასამართლომ მკაცრად უნდა გააკონტროლოს ამ კონტექსტში მხარეთა საპროცესო უფლებების დაცვა (წერილობითი დოკუმენტაციის სრულყოფილად მიღება და პასუხის გასაცემად გონივრული ვადის დადგენა), წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზე იქნება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 6.1 მუხლით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა. მოპასუხეს მისთვის გზავნილის (სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლები) ჩაბარების შემდეგ წარმოემოხა შესაგებლის წარდგენის ვალდებულება.

144. კანონმდებლის ამგვარი მოთხოვნა გამომდინარეობს წერილობითი სამართალწარმოების პრინციპიდან, რაც წინა ეტაპია ზეპირი სამართალწარმოებისა და რასაც ვერ ჩაანაცვლებს მხარეთა მოსმენის პრინციპი, წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო პროცესი დაკარგავდა განსაზღვრულობის სახეს და მივიღებდით საპროცესო მოქმედებების ქაოსს. მხარეს უფლება აქვს წინასწარ, საქმის არსებითად განხილვის დაწყებამდე იცოდეს, რაზე აფუძნებს მეორე მხარე თავის მოთხოვნას ან რა საპროცესო საშუალებებით აპირებს თავის დაცვას. მხარეებს უნდა მიეცეთ ეფექტური სამართლებრივი დაცვის საშუალება, რათა დაიცვან საკუთარი სამოქალაქო უფლებები, რაც სამართლიანი სასამართლოს უფლების მოთხოვნაა.

145. ამგვარი მიდგომა სრულადაა შესაბამისობაში სამართლებრივი სიცხადის პრინციპთან. ამიტომაცაა კანონმდებელი ასეთი მკაცრი მოპასუხის მხრიდან თავისი საპროცესო მოვალეობის დარღვევის მიმართ და სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შესაგებლის წარუდგენლობის შედეგს უკავშირებს არა სამართალწარმოების გაგრძელებას, არამედ ზეპირი მოსმენის გარეშე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას. ამ თვალსაზრისით სასამართლო პრაქტიკასა თუ დოქტრინაში შესაგებლის წარუდგენლობა სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობას უთანაბრდება (ივარაუდება, რომ მხარემ დაკარგა იურიდიული ინტერესი დავის მიმართ), ანუ სამართლებრივი შედეგი იგივეა, რაც მოპასუხის სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობისას – მოსამართლე სარჩელში მითითებულ, დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვან ფაქ-

ტებს შეუდავებლად (დამტკიცებულად) მიიჩნევს, ამასთან, თუ სარჩელში მითითებული ფაქტები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, სარჩელი დაკმაყოფილდება, წინააღმდეგ შემთხვევაში მოსამართლე ნიშნავს სხდომას, ხოლო სხდომის ჩატარების შემთხვევაში, მოპასუხე ვერ განახორციელებს ფაქტობრივ შედავებას, მათ შორის მტკიცებულებათა წარდგენას (სსსკ-ის 232<sup>1</sup>-ე მუხლი), შესაბამისად, მოპასუხეს მხოლოდ სამართლებრივი შედავების უფლება რჩება. ვინაიდან საქმის განხილვის და დავის გადანყვეტის მთავარი ფიგურანტი მოსამართლეა, მას ჯერ კიდევ წერილობითი ფორმით წარდგენილი სარჩელიდან და შესაგებლიდან უნდა შეექმნას წარმოდგენა დავის სურათზე (ფაბულა), მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველზე (სარჩელით მოთხოვნილი შედეგის განმსაზღვრელი ნორმა), მოთხოვნის წინაპირობებზე (ნორმის შემადგენლობა), მტკიცების საგანსა (სადავო გარემოება, რომელიც უნდა დამტკიცდეს) თუ სარჩელის პერსპექტიულობაზე. იმის მიხედვით, რამდენად აკმაყოფილებს სარჩელი და შესაგებელი ფორმალური დასაბუთებულობის (გამართულობის) მოთხოვნებს, მოსამართლე ნიშნავს მოსამზადებელ ან მთავარ სხდომას. შესაბამისად, თუ მოსამართლე დანიშნავს მოსამზადებელ სხდომას, მან აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს მხარეთა საპროცესო უფლებები – დააზუსტონ/შეავსონ სარჩელში/შესაგებელში მითითებული გარემოებები (სსსკ-ის 83-ე მუხლი). დასაბუთებულობის მოთხოვნა გამოიყენება შესაგებელთან მიმართებაშიც, ამ დროს მოწმდება როგორი შესაგებელი წარადგინა მოპასუხემ (მოთხოვნის შემწყვეტი, შემაფრხვებელი, გამომრიცხავი). შესაგებლის შინაარსიდან უნდა მიხვდეს მოსამართლე, რომელია უდავო და რომელია სადავო მტკიცების საგანში შემავალი ფაქტები. შესაგებლის ინსტიტუტი, სარჩელის ინსტიტუტთან ერთად ერთგვარი გზამკვლევა მტკიცების სტადიისა, რომელზე გადასვლაც არ ხდება, ვიდრე არ ამოინურება მხარეთა პოზიციების (სარჩელი; შესაგებელი; მოპასუხის მხრიდან არსებითი შედავების შემთხვევაში მოსარჩელის პასუხი და ა.შ.) ურთიერთგაცვლა და უდავო გარემოებების იდენტიფიცირება. საქმის განმხილველი მოსამართლის გადასაწყვეტია, თუ რა ფაქტობრივი აღწერილობა (ფაბულა) უნდა დაუდოს საფუძველად საკუთარ მსჯელობას, თავის მხრივ მთავარ როლს ფაბულის შექმნაში მხარეები ასრულებენ, რაც სრულად პასუხობს შეჯიბრებითობის პრინციპის მოთხოვნებს. ერთი მხრივ რელევანტური ფაქტების დახარისხება ხდება სამართლის ნორმის მიხედვით, ხოლო მეორე მხრივ, ფაქტები განსაზღვრავენ, რომელია მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმა. აქედან გამომდინარე, დავის გადანყვეტაში სარჩელთან ერთად შესაგებლის, როგორც საპროცე-

სო ინსტიტუტის როლი, უაღრესად მნიშვნელოვანია.

146. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ შესაგებლის ზოგადი კლასიფიკაცია შემდეგია: მატერიალური და საპროცესო შესაგებელი; აბსტრაქტული (ზოგადი) და კონკრეტული შესაგებელი; მარტივი და კვალიფიციური (არსებითი) შესაგებელი. რა ტიპის შესაგებელს წარადგენს მოპასუხე, სრულად თავსდება ამ უკანასკნელის ნების ავტონომის ფარგლებში. კონკრეტული შესაგებლის წარდგენის ვალდებულება გამომდინარეობს 201-ე მუხლის მე-4 ნაწილის შინაარსიდან (ივარაუდება, რომ შედავებული უნდა იყოს დავის გადასაწყვეტად მნიშვნელოვანი ფაქტები და არა სამართლებრივი მოსაზრებები, ე.ი. ისეთი ფაქტები, რომელთა არსებობა წარმოშობენ მოთხოვნას), წინააღმდეგ შემთხვევაში მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები, დამტკიცებულად ითვლება. მოსამართლემ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს პირველ რიგში საპროცესო შესაგებელს, ხოლო ამის შემდეგ მატერიალურ შესაგებელს. მატერიალური შედავება მიმართულია სარჩელის მატერიალურ-სამართლებრივი შედეგის მიღწევის წინააღმდეგ, რაც გულისხმობს მოპასუხის მხრიდან ისეთ ფაქტებზე (წინაპირობებზე) მითითებას, რომლებიც გამორიცხავენ, წყვეტენ ან აფერხებენ (განუხორციელებელს ხდიან) სარჩელით მოთხოვნილი შედეგის დადგომას.

147. საკასაციო პალატამ ერთ-ერთ საქმეზე აღნიშნა, რომ სსსკ-ის 201-ე მუხლის მეოთხე და მეხუთე ნაწილების თანახმად, „პასუხში (შესაგებელში) სრულყოფილად და თანამიმდევრობით უნდა იყოს ასახული მოპასუხის მოსაზრებები სარჩელში მითითებულ თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებასთან დაკავშირებით. თუ მოპასუხე არ ეთანხმება სარჩელში მოყვანილ რომელიმე გარემოებას, იგი ვალდებულია მიუთითოს ამის მიზეზი და დაასაბუთოს შესაბამისი არგუმენტაციით; წინააღმდეგ შემთხვევაში მას ერთმევა უფლება, შეასრულოს ასეთი მოქმედება საქმის არსებითად განხილვის დროს. მოპასუხე ვალდებულია, პასუხს დაურთოს მასში მითითებული ყველა მტკიცებულება. თუ მოპასუხეს საპატიო მიზეზით არ შეუძლია პასუხთან ერთად მტკიცებულებათა წარდგენა, იგი ვალდებულია, ამის შესახებ მიუთითოს პასუხში. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოპასუხეს ერთმევა უფლება, შემდგომში წარადგინოს მტკიცებულებები). სამოქალაქო პროცესში მტკიცების საგანი, რომელიც წარმოადგენს სადავო მატერიალურსამართლებრივ ფაქტებს, რომელზეც მიუთითებენ მოსარჩელე და მოპასუხე, მოთხოვნის თუ შესაგებლის დასაბუთების ან გაქარწყლებისათვის, შეუძლებელია წარმოვიდგინოთ მტკიცებითი საქმიანობის გარეშე. სსსკ-ის მე-4 მუხლის პირველი ნაწილი ნათელი დადას-

ტურებაა იმისა, რომ მოპასუხე ვალდებულია, საქმის მომზადების მიზნით აქტიურად იმოქმედოს, რაც, უპირველესად, სასამართლო-სათვის სარჩელზე მისი წერილობითი მოსაზრებების წარდგენაში გამოიხატება. მოპასუხის მიერ ამ უფლების განუხორციელებლობა, სსსკ-ის 206-ე მუხლის შესაბამისად, ართმევს მას უფლებას, შეასრულოს ასეთი მოქმედება ამ საქმის არსებითად განხილვის დროს (ანუ, სასამართლოს სხდომაზე მხარისაგან მტკიცებულების მიღება აღარ ხდება). ამ შემთხვევისათვის სხვა რაიმე სპეციალურ შედეგს კანონი არ ადგენს“ (შდრ. სუსგ დიდი პალატის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-664-635-2016, 02 მარტი, 2017, პ.201).

148. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ შესაგებლის სახეებიდან განსაკუთრებული დატვირთვა გააჩნია კვალიფიციურ შედეგებს. კვალიფიციური შედეგება იურიდიულ დოქტრინაში განმარტებულია შემდეგნაირად: „მოპასუხე მოსარჩელის მოხსენების ნაცვლად წარმოადგენს მოვლენათა განვითარების მისეულ, განსხვავებულ ვერსიას, რომელიც ცალკეულ საკითხებში სადავოს ხდის მოსარჩელის მოხსენებას“. (შდრ. მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი სამოქალაქო სამართალში, შ. შმიტი, ჰ. რიჰტერი, (GIZ), 2013წ., გვ.19.) კვალიფიციურ შედეგებას არსებით შედავებადაც მოიხსენიებენ. ამგვარი შედავება, ერთი მხრივ, შეიძლება გამორიცხავდეს სარჩელის დაკმაყოფილებას უსაფუძვლობის გამო, ხოლო მეორე მხრივ, ცვლიდეს მოსარჩელის მიერ შემოთავაზებული სამართლებრივი ურთიერთობის კვალიფიკაციას, საიდანაც მოსარჩელეს დამატებითი მოხსენების (ფაქტების მითითების) გარეშე გაუჭირდება იმ შედეგის მიღწევა, რომელიც სარჩელით აქვს მოთხოვნილი. კვალიფიციური (არსებითი) შედეგება მოსამართლეს ცალკეულ შემთხვევაში ავალდებულებს მოიძიოს მოთხოვნის სხვა დამფუძნებელი ნორმა, ასევე შეამოწმოს საგამონაკლისო ნორმები.

149. მას შემდეგ, რაც მოსამართლე მოიძიებს მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმას, განსაზღვრავს ნორმის ფაქტობრივ ელემენტებს (წინაპირობებს), ამ წინაპირობებს მიუსადაგებს მოსარჩელის მიერ მოხსენებულ ფაქტებს და თითოეულ წინაპირობაზე გასცემს დადებით პასუხს, იგი ამოწმებს რომელ ფაქტებს ხდის მოპასუხე სადავოდ (მოპასუხის სტადია). თუ მოპასუხეს არ აქვს წარდგენილი კვალიფიციური (არსებითი) შედეგება, არამედ მხოლოდ სამართლებრივად მნიშვნელოვანი ფაქტების უარყოფით შემოიფარგლება, მოსამართლე გადადის მტკიცების სტადიაზე, რაც ნიშნავს სადავოდ გამხდარი ფაქტების დადგენის პროცესს. მოპასუხის მხრიდან არსებითი ხასიათის შედავების შემთხვევაში, მოსამართლემ ასევე უნდა მოიძიოს სამართლებრივი ნორმა, რომელიც გამორიც-

ხავს, წყვეტს ან აფერხებს მოთხოვნის განხორციელებას, ხოლო ნორმის წინაპირობების შემონახვა იმავე წესით ხორციელდება. აქაც მნიშვნელოვანია რას პასუხობს მოსარჩელე მოპასუხის არსებით შედავებას, არ არის გამორიცხული მოსარჩელემაც კვალიფიციური პასუხი გასცეს მოპასუხის ამგვარ განმარტებას. ამდენად მოსამართლე ასე უწყვეტად გადადის მოსარჩელის სტადიიდან მოპასუხის სტადიაზე და პირიქით, ვიდრე არ დასრულდება მხარეთა განმარტებების ურთიერთგაცვლის პროცესი, რომლის შედეგადაც უნდა გაირკვეს უდავო და სადავო (მტკიცების საგანში შემავალი) ფაქტები. შესაგებლის შინაარსობრივი მხარე, განსაკუთრებით ფაქტობრივი ნაწილი გავლენას ახდენს მტკიცების ტვირთზე. სსსკ-ის 102.1 მუხლის ზოგადი დათქმიდან გამომდინარე, უფლების შემწყვეტი, შემაფერხებელი და გამომრიცხველი შესაგებლის მტკიცების ტვირთი ეკისრება მოპასუხეს. იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე სათანადოდ ახერხებს მოსარჩელის მიერ მითითებულ (არსებით) გარემოებებზე შედავებას საპირისპირო ნორმის წინაპირობების დასაბუთების გარეშე, მაშინ ამ გარემოებებთან დაკავშირებით გადანყვეტილება უკვე მტკიცების სტადიაზე მიიღება იმისდა მიხედვით, (მტკიცების ტვირთის განაწილების გათვალისწინებით) დამტკიცდება თუ არა ეს სადავო გარემოებები; თუ მოპასუხე ვერ ახერხებს საპირისპირო ნორმის წინაპირობების დასაბუთებას და ვერც მოსარჩელის მიერ მითითებული და მოთხოვნის დამაფუძნებელი გარემოებების სათანადო შედავებას, სასამართლოს შეუძლია მოსარჩელის სასარგებლოდ დააკმაყოფილოს სარჩელი.

150. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე მოპასუხისგან მოითხოვს მისი კუთვნილი ელქსელით სარგებლობისათვის საკომპენსაციო თანხის გადახდას. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელე არ წარმოადგენს ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიატს. ამ გარემოების გათვალისწინებით, პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელის ელქსელით სარგებლობისათვის კომპენსაციის (ელენერჯის გატარების საფასურის) გადახდის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია სსკ-ის 180-ე მუხლი. საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს ზემოხსენებულ მსჯელობას და მიუთითებს მსგავს საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებაზე: „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის 46<sup>1</sup>-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ მოთხოვნილი გატარების (მათ შორის, ელექტროენერჯის, ბუნებრივი გაზის ან სასმელი წყლის გატარების) მომსახურება ეხება ისეთ ქსელს, რომელიც არ არის განაწილების ანდა წყალმომარაგების ლიცენზიატის მფლობელობაში, ქსელის



მფლობელი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, ვალდებულია, ჯეროვანი კავშირის უზრუნველყოფის მიზნით, ითმინოს თავისი ქსელით სარგებლობა. ამასთანავე, ქსელის მფლობელი უფლებამოსილია თავისი ქსელით სარგებლობისათვის მოითხოვოს გატარების საფასურის ან თმენის კომპენსაციის გადახდა. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 18 სექტემბერი №20 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესების“ დამტკიცების შესახებ მე-15 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად პირი, რომელიც არ არის განაწილების ლიცენზიატი, მაგრამ ფლობს ელექტროენერჯის ქსელს, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, ვალდებულია, სხვა მომხმარებელთა ელექტროენერჯით მომარაგების მიზნით, ითმინოს მისი ქსელით სარგებლობა და გაატაროს ელექტროენერჯია. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ელექტროენერჯის გატარებისა და ქსელით სარგებლობის თმენისათვის კომპენსაცია გაიცემა საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად. ამდენად, განსახილველი წესები ელექტროენერჯის გატარებისა და ქსელით სარგებლობის თმენისათვის კომპენსაციის განსაზღვრისათვის საქართველოს სამოქალაქო კოდექსზე მიუთითებენ. კონკრეტულ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ სპეციალური ნორმატიული აქტები უთითებენ სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე საკომპენსაციო თანხის განსაზღვრაზე, პირდაპირ ამ ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმა სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული არ არის, რაც კანონის ანალოგიით გამოყენების საფუძველია. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კანონში პირდაპირ გაუთვალისწინებელი ურთიერთობის მოსაწესრიგებლად გამოიყენება ყველაზე უფრო მსგავსი ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლის ნორმა (კანონის ანალოგია). საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ განსახილველ ურთიერთობისათვის ყველაზე უფრო მსგავსი ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლის ნორმას წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმად, თუ მიწის ნაკვეთს არა აქვს ჯეროვანი გამოყენებისათვის აუცილებელი კავშირი საჯარო გზებთან, ელექტრო, ნავთობის, გაზისა და წყალმომარაგების ქსელთან, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია მეზობელს მოსთხოვოს, რომ მან ითმინოს მისი მიწის ნაკვეთის გამოყენება ამგვარი აუცილებელი კავშირის უზრუნველსაყოფად. იმ მეზობლებს, რომელთა ნაკვეთზეც გადის აუცილებელი გზა ან გაყვანილობა, უნდა მიეცეთ შესაბამისი კომპენსაცია, რომელიც, მხარეთა შეთანხმებით, შეიძლება ერთჯერადი გადახ-

დით გამოიხატოს“ (იხ. სუსგ, საქმე №ას-803-762-2013, 10.10.2014). ამავე საქმეზე საკასაციო პალატამ განმარტა, ასევე, რომ: „განსახილველი დავის სპეციფიკის თანახმად, საშუალო მესაკუთრის ინტერესის დაკმაყოფილების ერთგვარ ნიმუშს წარმოადგენს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებით დამტკიცებული წესები. საკასაციო პალატა კიდევ ერთხელ დასძენს, იმის გათვალისწინებით, რომ განსახილველი დავა ეხება არალიცენზიატი მესაკუთრის უფლებებს, მითითებული სამართლებრივი აქტი შეიძლება გამოვიყენოთ არა, როგორც პირდაპირი გამოყენების წყარო, არამედ – სახელმძღვანელო, რადგან სემეკის მიერ ელექტროენერგიის ტარიფების დადგენის წესისა და პრინციპების განსაზღვრა გამოვიყენება ელექტროენერგიის წარმოების, გადაცემის, დისპეტჩერიზაციის, განაწილების, გატარების, იმპორტის, მოხმარების, სისტემის კომერციული ოპერატორის მომსახურების, გარანტირებული სიმძლავრის წყაროსათვის ელექტროენერგიის წარმოების ტარიფებისა და გარანტირებული სიმძლავრის საფასურის დადგენისას“. იქვე პალატა განმარტავს, რომ: „ელექტროენერგიის გატარებისა და ქსელით სარგებლობის თმენისათვის განაწილების ლიცენზიატს უფლება არ აქვს, სხვისი კუთვნილი ქსელით სარგებლობის შემთხვევაში, ქსელის მფლობელს გადაუხადოს იმაზე მეტი, რასაც ითვალისწინებს კომისია ტარიფის დადგენისას, იმავე ძაბვისა და ანალოგიური ტექნიკური მონაცემების გამანაწილებელი ქსელის მონაკვეთზე ელექტროენერგიის გატარების მომსახურებისათვის (საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 18 სექტემბერი №20 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესების“ მე-15 მუხლის მე-4 ნაწილი). ამდენად, მითითებული წესის მიხედვით, ამ ურთიერთობისათვის განაწილების ლიცენზიატს შეუძლია, ქსელის მფლობელს გადაუხადოს იგივე ან იმაზე ნაკლები ტარიფი, რაც დადგენილია სემეკის მიერ ძაბვისა და ანალოგიური ტექნიკური მონაცემების გამანაწილებელი ქსელის მონაკვეთზე ელექტროენერგიის გატარების მომსახურებისათვის. ამდენად, მოსარჩელის ელქსელით სარგებლობისათვის ამ უკანასკნელის თმენის ვალდებულებისათვის საკომპენსაციო თანხა 1 კვტ/სთ-ზე არ უნდა აღემატებოდეს 0,580 თეთრს“ (შდრ: აგრეთვე: სუსგ №ას-516-493-2016 23 სექტემბერი, 2016 წელი).

151. განსახილველ საქმეშიც სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ მოსარჩელის ელ.ქსელით სარგებლობისათვის ამ უკანასკნელის თმენის ვალდებულებისათვის საკომპენსაციო თანხა

1 კვ. სთ. ზე არ უნდა აღემატებოდეს 0.580 თეთრს (იხ., წინამდებარე გადაწყვეტილების პ. 34).

152. ზემოთ აღნიშნული მსჯელობის გათვალისწინებით, საკასაციო პალატას მიიჩნია, დაკისრებული კომპენსაციის ოდენობის ნაწილში, დაუსაბუთებელია პირველი კასატორის მოსაზრება საკომპენსაციო თანხის გაზრდის თაობაზე მის მიერ მითითებული ნორმატიული აქტების საფუძველზე, ვინაიდან, როგორც აღინიშნა, ეს აქტები ადგენენ შესაბამის ტარიფებს ლიცენზიატი მფლობელებისათვის, ხოლო არალიცენზიატი მფლობელისათვის ტარიფი შესაძლოა, ნაკლებიც იყოს, რა დროსაც ითვალისწინებენ არალიცენზიატი მფლობელის ელქსელების ტექნიკური მონაცემები, რომელიც, როგორც წესი, ჩამორჩება ლიცენზიატის ელქსელების ტექნიკურ მონაცემებს.

153. საკასაციო პალატას მიიჩნია, რომ დაკისრებული კომპენსაციის ოდენობაზე მეორე კასატორმა წარმოადგინა ნაწილობრივ დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ პუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, რაც მისი გაუქმების აბსოლუტური საფუძველია, თუ გადაწყვეტილება არ არის საკმარისად დასაბუთებული, ხოლო სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად კი, საკასაციო სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები.

154. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მეორე კასატორისათვის 2012 წლის 1-ლი სექტემბრიდან 2014 წლის 1-ელ იანვრამდე დაკისრებული კომპენსაციის ოდენობის ნაწილში, არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში განსახილველად დაბრუნების კანონმდებლობით გათვალისწინებული წინაპირობები, შესაბამისად, სსსკ-ის 411-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო პალატა უფლებამოსილია ამ ნაწილში თვითონ მიიღოს ახალი გადაწყვეტილება.

155. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოსარჩელისათვის გადასახდელი საკომპენსაციო თანხა უნდა განისაზღვროს 1 კვტ/სთ-ზე 0.5 თეთრის ოდენობით. განსახილველ საქმეში უდავოდ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებაა, რომ 2012 წლის 1 სექტემბრიდან 2014 წლის 1 იანვრამდე პერიოდში მოპასუხემ მოსარჩელის ქსელით გაატარა – დაბალი ძაბვის სადენით – 1702.379 კვტ. სთ., ხოლო მაღალი ძაბვის სადენით კი – 3967.665 კვტ. სთ. ელექტროენერგია (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების პ. 12). შესაბამისად, აღნიშნულ

პერიოდში მოპასუხეს თმენის კომპენსაციის სახით მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 28350.15 ლარის გადახდა.

156. სსსკ-ის 53-ე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განანილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მოცემულ საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას უნდა გადაწყვიტოს სასამართლო ხარჯების მხარეთა შორის განანილების საკითხიც.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 404-ე მუხლებით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე, 412-ე მუხლებით და,

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :**

1. სს „გ-ას“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. სს „ე პ-ჯ-ას“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 01 მაისის განჩინების გაუქმებით მიღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
4. სს „გ-ას“ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
5. სს „ე პ-ჯ-ას“ სს „გ-ას“ სასარგებლოდ დაეკისროს 2012 წლის 1-ლი სექტემბრიდან 2014 წლის 1-ელ იანვრამდე ელექტროენერგიის გატარების თმენის კომპენსაციის სახით 28350.15 ლარის გადახდა;
6. საქმე სს „ე პ-ჯ-ას“ მიმართ 2008 წლის 1-ლი იანვრიდან 2012 წლის 1-ელ სექტემბრამდე ელექტროენერგიის გატარებისათვის თმენის კომპენსაციის დაკისრების ნაწილში, ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს;
7. საქმე სს „ე პ-ჯ-ას“ მიმართ 2014 წლის 1-ლი იანვრიდან 2015 წლის 1-ელ სექტემბრამდე ელექტროენერგიის გატარებისათვის თმენის კომპენსაციის (გატარების საფასური) დაკისრების მოთხოვნის ნაწილში, ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს;
8. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**აუცილებელი გზა**  
**გადაწყვეტილება**  
**საქართველოს სახელმწიფო**

№ას-1174-1104-2015

11 მარტი, 2016 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა**

**შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
ნ. ბაქაქუჩი**

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება

**აღწერილობითი ნაწილი:**

**1. სასარჩელო მოთხოვნა:**

შპს „გ-მა“ (შემდგომში – მოსარჩელე, კასატორი) სარჩელი აღ-  
ძრა სასამართლოში სს „ე-ას“ (შემდგომში – მოპასუხე, მოწინააღ-  
მდეგე მხარე) მიმართ 2014 წლის ენერგეტიკული მომსახურების  
ღირებულების – 7 751,70 (1 კვტ/სთ-ზე 0,2 თეთრი) ლარის დაკის-  
რების, ხოლო 2015 წლის 1 იანვრიდან, მოსარჩელის კუთვნილი  
ელექტროგადამცემი ხაზით სარგებლობის შეწყვეტამდე, თმენი-  
სათვის კომპენსაციის (1 კვტ/სთ) 0,5 თეთრით განსაზღვრის მოთ-  
ხოვნით.

**2. მოპასუხის პოზიცია:**

მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელი შესაგებლით მო-  
პასუხემ არ ცნო სარჩელი და განმარტა, რომ საქართველოს ენერ-  
გეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კო-  
მისიის (შემდგომში – სემეკი) 2013 წლის 30 დეკემბრის №15 დად-  
გენილების ამოქმედებით არალიცენზიანტი პირის ქსელით სარგებ-  
ლობისათვის ახალი ტარიფი განისაზღვრა, რის თაობაზეც, მხარე-  
ები, მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, უნდა  
შეთანხმებულიყვნენ, შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული და სახელ-  
შეკრულებო ურთიერთობა შეწყდა, ამასთანავე, მხარეთა შორის  
გაფორმებული ენერგეტიკული მომსახურების შესახებ ხელშეკრუ-  
ლების 4.1 პუნქტის თანახმად, ამ ხელშეკრულების ძალაში დატო-  
ვების შემთხვევაშიც, №15 დადგენილების ამოქმედებიდან მოპა-  
სუხეს არ ეკისრება 0,2 თეთრის გადახდა ყოველ გატარებულ 1 კვტ/  
სთ-ზე. მოპასუხე გადახდას არ ახორციელებს არა იმიტომ, რომ  
ვალდებულებას არიდებს თავს, არამედ, მოსარჩელეს არ სურს სე-  
მეკის ზემოხსენებული დადგენილების შესაბამისად დაანგარიშე-

ბული თანხის მიღება. რაც შეეხება ამ საკითხის თაობაზე მანამდე არსებულ სასამართლო პრაქტიკას, ვინაიდან №15 დადგენილებით სემეკმა მოაწესრიგა არალიცენზიანტის ქსელით სარგებლობისა კომპენსაციის საკითხი, ამ კომპენსაციის ოდენობა სწორედ მითითებული დადგენილების შესაბამისად უნდა იქნეს გამოთვლილი.

### **3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:**

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 7 აპრილის გადანყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 7 751,70 ლარის ანაზღაურება, მასვე მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა ელექტროგადამცემი ხაზით სარგებლობის თმენის კომპენსაცია გატარებული ელექტროენერჯის ოდენობის მიხედვით, 1 კვტ/სთ-ზე – 0,5 თეთრი, 2015 წლის 1 იანვრიდან ელექტროგადამცემი ხაზით სარგებლობის შეწყვეტამდე.

### **4. აპელანტის მოთხოვნა:**

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, მოითხოვა მისი გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

### **5. გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, აპელანტს მოსარჩელის სასარგებლოდ 2014 წლის 1 იანვრიდან, ქსელის მფლობელის მიერ განეული გატარების მომსახურების საფასური ტარიფით ერთ კვტ.საათზე დაეკისრა 0.0016 თეთრის ოდენობით, ხოლო ელ.გადამცემი ხაზით სარგებლობისათვის თმენის კომპენსაციის ანაზღაურებაზე მოსარჩელეს ეთქვა უარი.

5.1. გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

5.1.1. პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელეს საკუთრებაში გააჩნია 6-კილოვატიანი ძაბვის 2.7კვ.მ ელექტროგადამცემი ხაზი და მინის ნაკვეთი, რომლის ნაწილზეც განთავსებულია შპს „გ-ის“ ბალანსზე რიცხული ელექტროდანადგარები (ელექტროკვესადგური, ტრანსფორმატორი, გამანაწილებელი კარადები და სხვა).

5.1.2. მოპასუხე წარმოადგენს რა ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიანტს, სარგებლობს მოსარჩელის საკუთრებაში არსებული 6-კილოვატიანი ძაბვის 2,7 კმ. ელექტროგადამცემი ხაზით, ასევე, ელექტროდანადგარებით, რომლებიც განთავსებულია მოსარჩელის კუთვნილ მინის ნაკვეთზე. ქონებას მოვლა-პატრონო-

ბას უწევს და შესაბამის ხარჯებს ფარავს მოსარჩელე, რომელიც არ არის განაწილების ლიცენზიანტი.

5.1.3. 2013 წლის 1 მარტს მხარეთა შორის გაფორმდა ენერგეტიკული მომსახურების შესახებ №... ხელშეკრულება, რომლითაც 2014 წლის 31 დეკემბრამდე მოპასუხე უფლებამოსილი იყო, განეხორციელებინა საკუთარი აბონენტების ელექტროენერგიით მომარაგება მოსარჩელის კუთვნილი ენერგეტიკული მოწყობილობების მემწეობით. ხელშეკრულების 4.1. პუნქტის თანახმად, ენერგეტიკული მომსახურების ღირებულება ყოველ გატარებულ კვტ/სთ-ზე განისაზღვრა 0,2 თეთრით. ამავე ხელშეკრულების 4.2. პუნქტით, მხარეებმა დათქვეს შემდეგი: „მიუხედავად 4.1. პუნქტში მოცემული პირობისა, იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემექის) მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების საფასურის გაანგარიშების შესახებ მიღებული იქნება განსხვავებული გადაწყვეტილება და/ან დადგენილება, მხარეებს შორის ანგარიშსწორება განხორციელდება სემექის მიერ მიღებული შესაბამისი მეთოდოლოგიის და/ან ტარიფის მიხედვით, რომელიც გავრცელდება სემექის მიერ ამგვარი დადგენილების და/ან გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღიდან“, ანუ, მხარეთა შეთანხმება 0,2 თეთრის გადახდასთან დაკავშირებით ძალაში იყო ამ საკითხის ნორმატიულად დარეგულირებამდე. ხელშეკრულების 4.3. პუნქტის თანახმად, „4.2. პუნქტში მოცემული პირობის დადგომის შემთხვევაში მხარეები წერილობით შეიტანენ შესაბამის ცვლილებას წინამდებარე ხელშეკრულებაში, ამგვარი გარემოების წარმოშობიდან 2 კვირის ვადაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელშეკრულება შეიძლება ნებისმიერ დროს შეწყდეს ენერგო-პროს მიერ კონტრაქტორისადმი ცალმხრივად გაკეთებული შეტყობინებით“.

5.1.4. მხარეთა შორის ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ, 2013 წლის 30 დეკემბრის №15 დადგენილებით სემექმა დაამტკიცა „მესამე პირთა მფლობელობაში არსებულ ქსელში ელექტროენერგის, ბუნებრივი გაზისა და სასმელი წყლის გატარების საფასურის გაანგარიშების წესები“. ეს დადგენილება ამოქმედდა 2014 წლის 1 იანვრიდან და ქსელის მფლობელის მიერ განუხლები გატარების მომსახურების საფასურის გაანგარიშების სპეციალური ფორმულა (ნესი) დაადგინა, შესაბამისად, პალატამ დაასკვნა, რომ 2014 წლის 1 იანვრიდან პარალელურად ამოქმედდა მოდავე მხარეთა შორის 2013 წლის 1 მარტს გაფორმებული ხელშეკრულების 4.2. და 4.3. პუნქტები.

5.1.5. ახლად შემოღებული რეგულაციების თანახმად და მხარეთა შორის უკვე არსებული სახელშეკრულებო პირობის გათვალისწინებით 2014 წლის 10 იანვარს აპელანტმა მოსარჩელეს გაუგზავნა წერი-

ლი, რომლითაც ატყობინებდა შემდეგს: „გაცნობებთ, რომ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2013 წლის 30 დეკემბრის №15 დადგენილებით დარეგულირებულ იქნა მესამე პირების მფლობელობაში არსებული ქსელში ელექტროენერჯის ბუნებრივი გაზისა და სასმელი წყლის გატარების საფასურის გაანგარიშების წესები. აქედან გამომდინარე, ჩვენ შორის არსებული 2013 წლის 1 მარტის №... ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.2. და 4.3. პუნქტების საფუძველზე, გთხოვთ, კომპანიაში წარმოადგინოთ სემეკის 2013 წლის 30 დეკემბრის №15 დადგენილებით გათვალისწინებული დოკუმენტაცია (თქვენი კუთვნილი ქსელის იმ ფრაგმენტების საბალანსო, ისტორიული ღირებულება, ქსელის გამტარუნარიანობა), რათა მოხდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა, წინააღმდეგ შემთხვევაში კომპანია იძულებული იქნება შეწყვიტოს ხელშეკრულება“. აღნიშნული წერილის პასუხად, 2014 წლის 24 თებერვალს, მოსარჩელემ წარადგინა მოთხოვნილი დოკუმენტაცია. წერილის შინაარსი კი ასეთია: „გაცნობებთ, რომ ჩვენს მიერ განხილულ იქნა თქვენი წერილი, რომელშიც ითხოვთ 2013 წლის 1 მარტს დადებული ხელშეკრულების საფუძველზე დოკუმენტების წარმოდგენას, წარმოგიდგენთ აღნიშნულ დოკუმენტებს ... დანართი 4 ფურცლად“. მოსარჩელის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, 2013 წლის 30 დეკემბრის №15 დადგენილების შესაბამისად, ენერგოკომპანია დაიანგარიშა სადავო ქსელში ელექტროენერჯის გატარების საკომპენსაციო ტარიფი და დადგინდა, რომ მოსარჩელის კუთვნილი გადამცემი ხაზით სარგებლობისათვის ეს ტარიფი 0.0016 თეთრს შეადგენდა. ტარიფის სწორად დაანგარიშებას (ფორმულის სწორად მისადაგებისა და მათემატიკური გაანგარიშების თვალსაზრისით) მოსარჩელე არ შედავებია.

5.1.6. აპელანტი სარგებლობს რა მოსარჩელის კუთვნილი ელექტროგადამცემი ხაზითა და ელექტროდანადგარებით, მის მიერ 2013 წლის 1 მარტის №... ხელშეკრულებით გათვალისწინებული საფასური გადახდილია მხოლოდ 2013 წლის ბოლომდე, ხოლო დარჩენილ პერიოდზე (2014 წლის იანვარ-დეკემბერი) არ გადაუხდია გატარებული ელექტო ენერჯის საფასური.

5.1.7. სასამართლოს დასკვნით, ის, რომ ელ.ენერჯის გატარება თავის თავში მოიცავს ქსელით სარგებლობისათვის გარკვეული სამუშაოების განხორციელებას, დგინდებოდა თავად მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების გონივრული განმარტებითაც (მუხლი 2). ზემოთ ჩამოთვლილი ყველა ღონისძიება, რისი ვალდებულებაც ხელშეკრულებითა და კანონის ამ სამართლებრივ ურთიერთობაში ქსელის არალიცენზიანტ მესაკუთრეს აკისრია, არის ის, რომ სრულწერიგში ჰქონდეს ელ.გადამცემი ხაზები და ითმინოს მისი საკუთ-



რებით სარგებლობა. რაიმე სხვა დანიშნულებით ქსელის გამოყენება შეუძლებელია, მისი ერთადერთი დანიშნულება შეიძლება იყოს მასში ელ.ენერგიის გატარება, რაშიც მომხმარებელი იხდის კიდევ საზღაურს კანონით დადგენილი წესით. თმენისათვის კომპენსაციის ცალკე გადახდა, პალატის მოსაზრებით, ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში და იმ მესაკუთრისათვის, რომელიც ითმენს სხვა მესაკუთრის ზემოქმედებას მის საკუთრებაზე და ეს ზემოქმედება აღემატება მისი საკუთრების ჩვეულებრივად მიჩნეულ სარგებლობასა და ეკონომიურად დასაშვებ ფარგლებს, რომელიც, მოცემულ შემთხვევაში, მხოლოდ ელექტროენერგიის გატარებაა და სხვა არაფერი, რაც ეკონომიურად დასაშვები ფარგლებია მასზე ზემოქმედებისა. პალატის მოსაზრებით, სწორედ ამგვარადაა აღნიშნული საკითხი დარეგულირებული და გაგებული კანონმდებლის მიერ სამოქალაქო კოდექსის როგორც 180-ე, ისე 175-ე მუხლით, რამეთუ ფაქტია, რომ ელ.ენერგიის მესაკუთრე მოპასუხება, ხოლო, ამ ელ.ენერგიის გადამცემი ხაზისა – მოსარჩელე. ცხადია, ელ.ენერგიის განაწილება და, შესაბამისად, ელ.ხაზებში გატარება ნორმალურ სამეურნეო საქმიანობად მიიჩნევა, როგორც მიმწოდებლის, ასევე ხაზების მესაკუთრის მხრივაც. სამოქალაქო კოდექსის 175-ე მუხლის აღწერილობაში ნაკვეთის მესაკუთრეზე საუბარი და არა ელ.გადამცემი ხაზების მესაკუთრეზე, მაგრამ როცა მოსარჩელე ითმენს კომპენსაციას ითხოვს, სწორედ ზემოაღნიშნული რეგულაციების ფარგლებში (როგორც 180-ე, ისე 175-ე მუხლები) უნდა გაეცეს პასუხი მისი მოთხოვნის მართებულობას.

5.1.8. პალატის დასკვნით, 2015 წლიდან თმენის საკომპენსაციოდ განსხვავებული ტარიფის დადგენა, ვიდრე ეს 1 კვტ/სთ ელ.ენერგიის გატარებისთვის დაადგინა სემეკმა, სრულიად კანონშეუსაბამო და უსაფუძვლოა, რაც შეეხება 2014 წელს, სასამართლომ ჩათვალა, რომ საფასურის ოდენობა გაანგარიშებული უნდა ყოფილიყო არა მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დადგენილი ოდენობით, არამედ სემეკის 2013 წლის 30 დეკემბრის №15 დადგენილებით დამტკიცებული წესების მიხედვით. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე მოითხოვდა მოპასუხისათვის 2014 წლის ელ.ენერგიის გატარების საფასურის დაკისრებას, ხოლო, 2015 წლიდან იგი განცალკევებით გამოჰყოფდა და ითხოვდა ქსელით სარგებლობის გამო თმენის ვალდებულებისათვის გადასახდელ საფასურს. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, ელ.ენერგიის გატარების საფასური მოიცავს ელ.ენერგიის ქსელით სარგებლობის თმენის ვალდებულებისათვის გადასახდელ საფასურს და სხვა ყველა იმ ხარჯს, რაც შეიძლება უკავშირდებოდეს სხვისი კუთვნილი ელექტროენერგიის გატარებაზე განეულ მომსახურებას.

5.1.9. პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 316-ე, 317-ე მუხლების პირველი ნაწილებით, 361-ე მუხლით და აღნიშნა შემდეგი: მხარეთა შორის არსებობს მოსარჩელის კუთვნილი მალა-ლი ძაბვის ელექტროხაზებით ელექტროენერჯის გატარების მომ-სახურების ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა და კა-ნონის თანახმად, ელექტროხაზების მესაკუთრეს უფლება აქვს, მოითხოვოს მისი ქსელით სარგებლობისათვის მომსახურების სა-ფასურის გადახდა. პალატამ ასევე მიუთითა სემეკის 2008 წლის 18 სექტემბრის №20 დადგენილების პირველი მუხლის პირველ, მე-2 პუნქტებზე, მე-15 მუხლის პირველი პუნქტზე და აღნიშნა, რომ სემეკის დადგენილებით დადგენილ ტარიფში (საკომპენსაციო თან-ხაში) შედის სხვისი კუთვნილი ელექტროენერჯის გატარებაზე გა-წეული მომსახურების ფასი, მაგრამ ეს მომსახურების თანხა დად-გენილია ლიცენზიის მფლობელი პირებისათვის და ივარაუდება, რომ მათ მიმართ სემეკის მიერ დადგენილი ტარიფი მოიცავს ყვე-ლა იმ ხარჯს, რაც აუცილებელია ელექტროენერჯის გატარები-სათვის. არალიცენზიანტი მფლობელის თმენის საკომპენსაციო თანხის ოდენობის განსაზღვრა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ანა-ლოგიურ ურთიერთობის მიმართ სემეკის მიერ სატარიფო განაკვე-თის ზღვრულ ოდენობას. საკომპენსაციო თანხა შეიძლება იყოს იმავე ოდენობის, რაც ტარიფის სახით სემეკის მიერ დადგენილია ლიცენზიანტებს შორის ან ამ ტარიფზე ნაკლები. ამაზე მიუთითებს საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირე-ბელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 18 სექტემბრის №20 დადგე-ნილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) მიწო-დებისა და მოხმარების წესების“ მე-15 მუხლის მე-4 ნაწილი. ამ ურ-თიერთობისათვის განაწილების ლიცენზიატს შეუძლია, ქსელის მფლობელს გადაუხადოს იგივე ან იმაზე ნაკლები ტარიფი, რაც დადგენილია სემეკის მიერ ძაბვისა და ანალოგიური ტექნიკური მო-ნაცემების გამანაწილებელი ქსელის მონაკვეთზე ელექტროენერ-ჯის გატარების მომსახურებისათვის. პალატის მითითებით, „ელექ-ტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრუ-ლია საწარმოს ხელმძღვანელის ან მესაკუთრის ვალდებულება ელექტროსადგურებისა და ქსელების ტექნიკური ექსპლუატაცი-ის თაობაზე. თმენის ვალდებულებისათვის საკომპენსაციო თან-ხის განსაზღვრის კანონიერებასთან დაკავშირებით, იმ პირების მი-მართ, რომლებიც არ არიან განაწილების ლიცენზიანტები, ყურად-საღებია „ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის 46<sup>1</sup> მუხლის მე-4 პუნქტის დანაწესიც, რომ-ლის თანახმადაც, ქსელის არალიცენზიანტი მფლობელი, სამოქა-

ლექო კოდექსის თანახმად, ვალდებულია, ჯეროვანი კავშირის უზრუნველყოფის მიზნით, ითმინოს თავისი ქსელით სარგებლობა. ანალოგიურ დანაწესს ითვალისწინებს სემეკის 2008 წლის 18 სექტემბრის №20 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესების“ დამტკიცების შესახებ მე-15 მუხლის პირველი პუნქტი. კონკრეტულ შემთხვევაში, მოსარჩელის საკუთრებაში არსებული ელ.ქსელებით სარგებლობს აპელანტი, ხოლო მოსარჩელის, როგორც არალიცენზიანტი მფლობელის, ამ სარგებლობის მიმართ თმენის ვალდებულება განსაზღვრულია სპეციალური სამართლებრივი აქტებით. სამოქალაქო კოდექსის გამოყენება განპირობებულია ამ სამართლებრივ აქტებში მითითებების საფუძველზე, სარგებლობის მიმართ თმენის ვალდებულებისათვის საკომპენსაციო თანხის განსაზღვრისათვის. მსგავს ფაქტორზე გარემოებებს ითვალისწინებს სამოქალაქო კოდექსის, როგორც 180-ე, ისე 175-ე მუხლების ნორმატიული აღწერილობები, რაც გვაძლევს შესაძლებლობას, განვმარტოთ ამ ნორმებით განსაზღვრული საკომპენსაციო თანხის შინაარსისა და მისი მოცულობის სამართლებრივი კრიტერიუმები.

5.1.10. სასამართლოს მოსაზრებით, თმენის, კომპენსაციას ექვემდებარება მხოლოდ ისეთი ქონებრივი დანაკლისი, რომლის მიზეზიც არის საკუთრების უფლების ან მფლობელობის შეზღუდვა, რაც განპირობებულია ობიექტური აუცილებლობით. შესაბამისად, კომპენსაციის ოდენობის დადგენისათვის მნიშვნელოვანია, გაირკვეს ამ შეზღუდვის ფარგლები და ის ინტერესი, რაც მესაკუთრეს ან მფლობელს ექნებოდა ამ შეზღუდვის არარსებობის შემთხვევაში, რა დროსაც მნიშვნელოვანია არა კონკრეტული მესაკუთრის ინტერესის სუბიექტური აღქმა, არამედ შესაბამისი მიწის ნაკვეთის საშუალო მესაკუთრის ინტერესი. ამ თვალსაზრისით, პალატამ მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებაზე (საქმეზე №ას-803-762-2013), რომლის თანახმადაც, საქმის თავისებურების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, გაირკვეს ელქსელების საშუალო მესაკუთრის ინტერესი (იმავე სიგძისა და სიმძლავრის ელექტროგადამცემი ხაზის სარგებლობისას გატარებული ელექტროენერჯის მოცულობის გათვალისწინებით). მითითებული საკითხის გარკვევისათვის საკასაციო პალატამ მხედველობაში მიიღო საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის ტარიფების შესახებ“ წესები. საკასაციო პალატამ განმარტა, რომ, მიუხედავად იმისა, რომ ეს წესები არეგულირებენ ლიცენზიანტებს შორის არსებულ სატარიფო სისტემას, მისი გამოყენება ატარებს სახელმძღვანელო ხასი-

ათს, რომელიც გვეხმარება კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრაში. სამოქალაქო კოდექსის 180-ე მუხლით დადგენილი საკომპენსაციო თანხის ოდენობის განსაზღვრისას, როგორც უკვე აღინიშნა, მნიშვნელობა ენიჭება მესაკუთრის ინტერესის დაკმაყოფილებას, სხვის მიერ მისი საკუთრების შეზღუდვის გამო, თმენის ვალდებულებისათვის, მაგრამ განსახილველი ურთიერთობის თავისებურება ვლინდება იმაში, რომ შპს „გ. ი-ს“ საკუთრებას წარმოადგენს 6-კილოვატიანი ძაბვის 2,7 კმ. ელექტროგადამცემი ხაზი, რომელსაც ეს უკანასკნელი ვერ გამოიყენებს სხვა დანიშნულებით, გარდა იმისა, რომ გაატაროს ელექტროენერგია. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, უნდა გაირკვეას არა ზოგადად მითითებული ნორმით გათვალისწინებული შემთხვევის წინაპირობები (რომელშიც ივარაუდება ის შემთხვევები, როდესაც მესაკუთრეს შეხედულებისამებრ შეეძლო გამოეყენებინა მიწის ნაკვეთი თუ არა აუცილებელი გზასთან დაკავშირებული თმენის ვალდებულება), არამედ ელექტროგადამცემი ხაზის მეშვეობით ელექტროენერგიის გატარებაზე თმენის ვალდებულებიდან გამომდინარე, საშუალო მესაკუთრის ინტერესი. საკასაციო პალატის განმარტებით (მსგავსი კატეგორიის საქმეზე) დავის სპეციფიკის თანახმად, საშუალო მესაკუთრის ინტერესის დაკმაყოფილების ერთგვარ ნიმუშს წარმოადგენს საქართველოს ენერჯეტიკისა და ნეალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებით დამტკიცებული წესები. სააპელაციო პალატამ დამატებით აღნიშნა, რომ ელექტროენერგიის გატარებისა და ქსელით სარგებლობის თმენისათვის განაწილების ლიცენზიატს უფლება არ აქვს, სხვისი კუთვნილი ქსელით სარგებლობის შემთხვევაში, ქსელის მფლობელს გადაუხადოს იმაზე მეტი, რასაც ითვალისწინებს კომისია ელ.ენერგიის გატარების ტარიფის დადგენისას, იმავე ძაბვისა და ანალოგიური ტექნიკური მონაცემების გამანაწილებელი ქსელის მონაკვეთზე ელექტროენერგიის გატარების მომსახურებისათვის (სემეკის 2008 წლის 18 სექტემბერი №20 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესების“ მე-15 მუხლის მე-4 პუნქტი). ამდენად, მითითებული წესის მიხედვით, ამ ურთიერთობისათვის განაწილების ლიცენზიატს შეუძლია, ქსელის მფლობელს გადაუხადოს იგივე ან იმაზე ნაკლები ტარიფი, რაც დადგენილია სემეკის მიერ ძაბვისა და ანალოგიური ტექნიკური მონაცემების გამანაწილებელი ქსელის მონაკვეთზე ელექტროენერგიის გატარების მომსახურებისათვის. სემეკის, 2013 წლის 30 დეკემბრის №15 დადგენილებით, დამტკიცებული „მესამე პირთა მფლობელობაში არსებულ ქსელში ელექტროენერგიის, ბუნებრივი გაზისა და სასამელი წყლის გატარების საფასურის გაანგარიშების წესების“ მი-

ხედვით, ელექტროენერჯიის გატარების მომსახურებისათვის ტარიფი 1 კვტ საათზე – 0.0016 თეთრით განისაზღვრა. ამდენად, პალატის დასკვნით, გადანყვეტილებაში უკვე მიმოხილულ გარემოებათა გამო, 2014 წელს გატარებული ელ.ენერჯიის მომსახურებისთვის 1 კვ.ტ/სთ ელ.ენერჯიაზე უნდა განისაზღვროს 0.0016 თეთრის ოდენობით, ხოლო მოთხოვნას 2015 წლიდან თმენის საკომპენსაციოდ 0.2 თეთრის დაკისრებაზე, ზემოხსენებულ გარემოებათა გამო, სამართლებრივი წინაპირობები არ გააჩნია და უარი უნდა ეთქვას დაკმაყოფილებაზე (რაც, რასაკვირველია, არ გამოორიცხავს მოსარჩელის უფლებას, მოითხოვოს ელ.ენერჯის გატარების საფასური).

### **6. კასატორის მოთხოვნა:**

სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადანყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

#### **6.1. საკასაციო საჩივრის საფუძვლები:**

6.1.1. სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება იურიდიული თვალსაზრისით არ არის დასაბუთებული ელ.ენერჯიის გატარების მომსახურების საფასურისა და თმენის კომპენსაციის გამიჯვნის ნაწილში, ასევე ხელშეკრულების არსებობის პირობებში ქსელით მოსარგებლის ვალდებულების განსაზღვრის ნაწილში, ასევე, ხელშეკრულების შეწყვეტის შემდგომ თმენის კომპენსაციის განსაზღვრისას აქტივების ისტორიული ღირებულებისა და შემადგენლობის განსაზღვრის ნაწილში. გარდა აღნიშნულისა, დარღვეულია მტკიცებულებათა შეფასებისა და მტკიცების ტვირთის განაწილების თაობაზე საპროცესო წესები, ხოლო მიღებული გადანყვეტილება განსხვავდება მანამდე არსებული სასამართლო პრაქტიკისაგან, სასამართლომ არასწორად გაიგო სემეკის მიერ შემოღებული ახალი რეგულაცია.

6.1.2. სააპელაციო სასამართლომ არასწორად არ გამოიყენა „ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის 46<sup>1</sup>-ე მუხლის მე-4 პუნქტის ბოლო წინადადება და სემეკის 2008 წლის 18 სექტემბერის №20 დადგენილების მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი. გასაჩივრებული გადანყვეტილების თანახმად, 2015 წლიდან თმენის კომპენსაციის ანაზღაურებაზე მოსარჩელეს უარი იმიტომ ეთქვა, რომ სასამართლოს აზრით, იგი შედიოდა გატარების საფასურში, რომლის ანაზღაურებაც მოსარჩელეს არ მოუთხოვია. სწორედ „ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის 46<sup>1</sup>-ე მუხლის მე-4 პუნქტის წინადადებითაა ნებადართული ქსელის მფლობელის უფლება, მოითხოვოს გატარების საფასურის ან თმენის კომპენსაციის გადახდა, ხოლო, სემეკის 2008 წლის 18 სექტემბის №20 დადგენილების

მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, თმენის კომპენსაცია გაიცემა სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად. კასატორის განმარტებით, ქსელის მესაკუთრესა და მოსარგებლეს შორის შეიძლება არსებობდეს სამი სახის ურთიერთობა: ა) როდესაც ელ.ენერჯის გატარების მომსახურების განევა ხდება ხელშეკრულების საფუძველზე და ხარჯებს წევს მესაკუთრე; ბ) მესაკუთრის თმენის ვალდებულების საფუძველზე, ხელშეკრულების გარეშე ხორციელდება გატარება და ხარჯების განევა ხდება მესაკუთრის მიერ; გ) ხელშეკრულების გარეშე, მესაკუთრის თმენის ხარჯზე ხორციელდება გატარება და ხარჯების განევა მოსარგებლე. მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხის მიერ ხორციელდება კასატორის ქსელით სარგებლობა ამ უკანასკნელის იმ კანონისმიერი ვალდებულების საფუძველზე, რომ ითმინოს ქსელით სხვის მიერ სარგებლობა, შესაბამისად, საკითხი უნდა დამდგარიყო იმგვარად, რომ მფლობელს შეეძლო, მოეთხოვა თმენის კომპენსაციის გადახდა და განეული ხარჯების ანაზღაურება, რასაც სააპელიაციო სასამართლომ თავი აარიდა.

6.1.3. სააპელიაციო სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა სემეკის 2013 წლის 30 დეკემბრის №15 დადგენილება. მოცემულ შემთხვევაში, პირველ სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა მოსარჩელის სასარგებლოდ მოპასუხისათვის 2014 წლის ენერგეტიკული მომსახურების ღირებულების – 7 751,7 ლარის დაკისრება (1 კვტ/სთ-ზე 0,2 თეთრი). სასამართლომ მიუთითა, რომ სემეკის მიერ გატარების მომსახურების გაანგარიშების წესის დადგენის შემდგომ ამ წესის შესაბამისად უნდა განხორციელებულიყო გაანგარიშება, მიუხედავად იმისა, შეტანილი იქნებოდა თუ არა ცვლილება მხარეთა შორის არსებულ ხელშეკრულებაში და მითითებული დადგენილებიდან გამომდინარე, სასამართლომ ტარიფად მიიჩნია 1 კვტ/სთ ელ.ენერჯის გატარებაზე 0,0016 თეთრი. სწორედ ეს გარემოება ასახა სასამართლომ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტში. აღნიშნულით სასამართლომ დაადგინა, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების მოქმედება იმ განსხვავებით, რომ ტარიფი გამოიანგარიშებოდა სემეკის 2013 წლის 30 დეკემბრის №15 დადგენილების შესაბამისად. ამ დასკვნისას სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ მხარეთა შორის ხელშეკრულება შეწყდა და ერთმანეთისაგან არ გამიჯნა ხელშეკრულების შეწყვეტამდე და შეწყვეტის შემდგომი პერიოდი. უნდა აღინიშნოს, რომ ხელშეკრულების შეწყვეტამდე პერიოდთან დაკავშირებით სემეკის 2013 წლის 30 დეკემბრის №15 დადგენილებით უკვე არსებულ სახელშეკრულებო ურთიერთობაში ჩარევა არ მომხდარა და ამ პერიოდისათვის მოქმედებდა მხარეთა შეთანხმებული ტარიფი. ამასთან,

მთავარია იმის განსაზღვრა, როდესაც მხარე უარს აცხადებს ხელშეკრულებაზე და იგი უკვე შეწყვეტილია, უნდა მოხდეს ზემოხსენებული №15 დადგენილების გამოყენება, თუ მხარეს უფლება აქვს, მოითხოვოს თმენის კომპენსაცია. დადგენილების გამოყენება, კასატორის მოსაზრებით, მაშინაა შესაძლებელი, როდესაც მხარეები დადებენ ხელშეკრულებას გატარების მომსახურების განწევაზე და იგი არ გამოიყენება თმენის კანონისმიერი ვალდებულებისას. კასატორმა მიუთითა ზემოხსენებული №15 დადგენილების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებზე და აღნიშნა, რომ მომსახურების განწევა აქტიური ქმედებაა, ხოლო თმენა – პასიური, პირველი ნარდობის ხელშეკრულების საფუძველზე ხორციელდება, ხოლო მეორე – კანონისმიერი ვალდებულების. №15 დადგენილების პრეამბულის თანახმად, „წესები“ დადგენილია „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის 46<sup>1</sup>-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების საფუძველზე და შეეხება გატარების მომსახურების განწევისას გატარების საფასურის გაანგარიშებას და არა თმენის კომპენსაციას. ამდენად, №15 დადგენილების თანახმად, კომპენსაციის ოდენობა საშუალო მესაკუთრის ინტერესების გათვალისწინებით უნდა განისაზღვროს, როგორც ეს სასამართლო პრაქტიკითაა მოწესრიგებული.

6.1.4. გარდა აღნიშნულისა, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სემეკის 2013 წლის 30 დეკემბრის №15 დადგენილება. მითითებული ნორმატიული აქტის თანახმად, სასამართლომ უკრიტიკოდ გაიზიარა, რომ ტარიფი შეადგენდა 0,0016 თეთრს. №15 დადგენილების მე-5 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გაანგარიშებაში მონაწილეობა უნდა მიეღო ქსელის ყველა იმ ელემენტის ღირებულებას, რომელიც ჩართულია ელ.ენერჯის გატარებაში. სასამართლოს არ გამოუკვლევია გაანგარიშებაში მონაწილე აქტივების შემადგენლობა, რადგანაც მან სადავო ნორმა იმგვარად განმარტა, რომ ტარიფი მხოლოდ გადამცემი ხაზის ღირებულებით უნდა იქნეს გამოანგარიშებული. მითითებულ გაანგარიშებაში გათვალისწინებულია მხოლოდ მაღალი ძაბვის ხაზი, მაშინ, როდესაც ელ.ენერჯის გატარებაში მონაწილეობს ისეთი აქტივები, როგორიცაა: ელ.ქვესადგურის შენობა, ტრანსფორმატორი, გამანაწილებელი კარადა, მაღალი და დაბალი ძაბვის ბადეები, გადამცემი ხაზის ბოძები, მიწის ნაკვეთი და სხვა, თანახმად ამ დადგენილების მე-2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტისა. პალატას არ შეუფასებია გაანგარიშებაში მონაწილე აქტივების საბალანსო ღირებულება, შედეგად სასამართლომ არასწორად გაიზიარა ის, რომ 1 კვტ/სთ-ზე გატარების ღირებულება 0,0016 თეთრს შეადგენდა. ამ გარემოების უსწორობას ადასტურებს ის, რომ №15 დადგენილების დარღვევით გა-

მონაგარიშებული ტარიფის თანახმად, 125-ჯერ შემცირდა კასატორის კუთვნილი თანხა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ იგი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

#### **1. გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღების/საქმის იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:**

1.1. საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს სემეკის დადგენილების ამოქმედების შემდგომ ქსელის მფლობელ არალიცენზიანტსა და ელ.ენერჯის მესაკუთრეს შორის არსებული ურთიერთობიდან გამომდინარე ანაზღაურების კანონიერების განსაზღვრა, როგორც სახელშეკრულებო, ისე საკუთრებით სარგებლობის კანონისმიერი შეზღუდვის ფარგლებში. ამ თვალსაზრისით სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებისა და სემეკის 2013 წლის 30 დეკემბრის №15 დადგენილების გათვალისწინებით, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ 2014 წლის 1 იანვრიდან ამავე წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, მოსარჩელის კუთვნილ ელ.ქსელში გატარებული ყოველი 1 კვტ/სთ ელ.ენერჯისათვის უნდა დაკისრებოდა 0,0016 თეთრის გადახდა, რაც შეეხებოდა 2015 წლის 1 იანვრიდან ელექტროგადამცემი ხაზით სარგებლობისათვის კომპენსაციის 0,5 თეთრით განსაზღვრას, პალატამ მიიჩნია, რომ ამ ნაწილში სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილებულიყო, რაც არ გამორიცხავდა მოსარჩელის უფლებას, დამოუკიდებლად მოეთხოვა ელექტროენერჯის გატარების საფასურის ანაზღაურება. კასატორი არ ეთანხმება გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას და პრეტენზიას გამოთქვამს, როგორც მისი მატერიალურ-სამართლებრივი დასაბუთების, ისე საპროცესო წესების დარღვევისა და ამ გზით სადავო გარემოებების არასწორად დადგენასთან მიმართებით. საკასაციო პრეტენზიათა დასაბუთებულობის შემოწმების მიზნით პალატა ყურადღებას გაამახვილებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

1.1.1. მოსარჩელეს საკუთრებაში გააჩნია 6-კილოვატიანი 2,7 კმ ელექტროგადამცემი ხაზი, მინის ნაკვეთი და ელექტროდანადგარები.

1.1.2. ქსელის მესაკუთრე არ წარმოადგენს განაწილების ლიცენ-



ზიანტს, იგი საკუთარი ხარჯით უვლის სადავო ქონებას.

1.1.3. მოპასუხე განაწილების ლიცენზიანტია, სარგებლობს მოსარჩელის კუთვნილი ელ.ქსელითა და ელ.დანადგარებით.

1.1.4. 2013 წლის 1 მარტს შპს „გ-სა“ და სს „ე-ას“ შორის გაფორმდა ენერგეტიკული მომსახურების შესახებ №... ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, 2014 წლის 31 დეკემბრამდე, კასატორის საკუთრებაში არსებული ენერგეტიკული მოწყობილობების გამოყენებით, სს „ე-ა“ უფლებამოსილი იყო, საკუთარი აბონენტები მოემარაგებინა ელექტროენერჯით.

1.1.5. ხელშეკრულების 4.1. პუნქტით განისაზღვრა მომსახურების ტარიფი – ყოველ გატარებულ კვტ/სთ-ზე 0,2 თეთრი.

1.1.6. ამავე ხელშეკრულების 4.2. პუნქტით მხარეები შეთანხმდნენ, რომ მიუხედავად განსაზღვრული ტარიფისა, იმ შემთხვევაში, თუ სემეკი წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების საფასურის გაანგარიშების შესახებ მიიღებდა განსხვავებულ გადანყევტილებას და/ან დადგენილებას, მხარეებს შორის ანგარიშსწორება განხორციელდებოდა სემეკის მიერ მიღებული შესაბამისი მეთოდოლოგიის და/ან ტარიფის მიხედვით, რომელიც გავრცელდებოდა სემეკის მიერ ამგვარი დადგენილების და/ან გადანყევტილების ძალაში შესვლის დღიდან. 4.3. პუნქტის თანახმადაც კი, ზემოხსენებული პირობის დადგომის შემთხვევაში, მხარეები წერილობით შეიტანენ შესაბამის ცვლილებას ხელშეკრულებაში ამგვარი გარემოების წარმოშობიდან 2 კვირის ვადაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელშეკრულება შეიძლება ნებისმიერ დროს შეენაცვებინა სს „ე-ას“ კონტრაქტორისადმი ცალმხრივი შეტყობინებით.

1.1.7. 2013 წლის 30 დეკემბრის №15 დადგენილებით სემეკმა დაამტკიცა „მესამე პირთა მფლობელობაში არსებულ ქსელში ელექტროენერჯის, ბუნებრივი გაზისა და სასმელი წყლის გატარების საფასურის გაანგარიშების წესები“, რომელიც 2014 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა. აღნიშნულმა დადგენილებამ ქსელის მფლობელის მიერ განული გატარების მომსახურების საფასურის გაანგარიშების სპეციალური ფორმულა (წესი) დაადგინა.

1.1.8. 2014 წლის 10 იანვარს მოპასუხემ კასატორს წერილობით აცნობა სემეკის 2013 წლის 30 დეკემბრის №15 დადგენილების ამოქმედების თაობაზე და 2013 წლის 1 მარტის ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.2. და 4.3. პუნქტების საფუძველზე, მოსთხოვა ზემოხსენებული დადგენილებით გათვალისწინებული დოკუმენტაციის (კუთვნილი ქსელის იმ ფრაგმენტების საბალანსო, ისტორიული ღირებულება, ქსელის გამტარუნარიანობა) წარდგენა, რათა მომხდარიყო ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა, წინააღმდეგ შემთხვევაში კომპანია მოითხოვდა ხელშეკრულების შეწყვეტას. 2014 წლის

24 თებერვალს, ზემოაღნიშნული წერილის პასუხად, მოსარჩელემ წარადგინა მოთხოვნილი დოკუმენტაცია.

1.1.9. მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე ენერგოკომპანიამ 2013 წლის 30 დეკემბრის №15 დადგენილების შესაბამისად დაიანგარიშა საკომპენსაციო ტარიფი და შპს „გ-ის“ მფლობელობაში არსებულ ქსელში ელექტროენერჯის გატარების საკომპენსაციო თანხამ 0,0016 თეთრი შეადგინა.

1.1.10. მოწინააღმდეგე მხარე სარგებლობს კასატორის კუთვნილი ელექტროგადამცემი ხაზით და ელექტროდანადგარებით. 2013 წლის 1 მარტის ხელშეკრულების შესაბამისად, ამ შეთანხმებით გათვალისწინებული ელ.ენერჯის გატარების საფასური გადახდილია მხოლოდ 2013 წლის ბოლომდე, დარჩენილ პერიოდზე (2014 წლის იანვარ-დეკემბერი) მოპასუხეს არ გადაუხდია გატარებული ელექტროენერჯის საფასური.

1.2. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

1.3. საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს სასარჩელო მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, შპს „გ-ი“, ერთი მხრივ, ითხოვს 2013 წლის 1 მარტის ხელშეკრულებით განსაზღვრული საფასურის – ყოველ გატარებულ 1 კვტ/სთ ელ.ენერჯიაზე 0,2 თეთრის გადახდას 2014 წლის 1 იანვრიდან ამავე წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ხოლო, მეორე მხრივ, ხელშეკრულების ვადის ამონურვის შემდგომი პერიოდისათვის (2015 წლის 1 იანვრიდან), მოპასუხის მიერ ქსელით სარგებლობის გამო, თმენის კომპენსაციის განსაზღვრას 1 კვტ/სთ ელ.ენერჯიაზე 0,5 თეთრის ოდენობით. საქმეში წარმოდგენილი შესაგებლით მოპასუხემ სარჩელი ძირითადად იმ საფუძველით არ ცნო, რომ სემეკის 2013 წლის 30 დეკემბრის №15 დადგენილების ამოქმედებითა და მხარეთა სახელშეკრულებო პირობების, ასევე, ახალ რეგულაციაზე შეუთანხმებლობის გათვალისწინებით (ხელშეკრულების 4.2. და 4.3. პუნქტები), 2013 წლის 1 მარტის ხელშეკრულება შეწყდა. მოპასუხე არ უარყოფს საკუთარ ვალდებულებას მოსარჩელის წინაშე, თუმცა ანგარიშსწორების განუხორციელებლობას უკავშირებს იმას, რომ სემეკის ზემოხსენებული დადგენილების შესაბამისად, გამოან-

გარიშებული საფასურის მიღებაზე მოსარჩელე არ არის თანახმა (იხ: შესაგებელი, ასევე, სააპელაციო საჩივარი). კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს დასკვნას იმის შესახებ, რომ მხარეთა შორის გაფორმებული ენერგეტიკული მომსახურების ხელშეკრულების 4.2. და 4.3. პუნქტებიდან გამომდინარე, რადგანაც 2014 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა სემეკის 2013 წლის 30 დეკემბრის №15 დადგენილება, 2014 წელს მოპასუხის მიერ განხორციელებული ელ.ენერჯის გატარების საფასური განისაზღვრება ამ დადგენილების შესაბამისად. საკასაციო საჩივრის თანახმად, პალატამ არასწორად შეაფასა საქმის გარემოებები, მათ შორის, მხარეთა განმარტებები ხელშეკრულების შეწყვეტის თვალსაზრისით. საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს კასატორის ამ არგუმენტს და მიიჩნევს, რომ ამ ნაწილში (იგულისხმება 2014 წელს განხორციელებული გატარების საფასურის განსაზღვრა) სასამართლოს დასკვნები არ ემყარება საქმის გარემოებების ყოველმხრივ შეფასებას, შესაბამისად, სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მოთხოვნები.

1.4. იმისათვის, რათა სწორი სამართლებრივი შეფასება მიეცეს სადავო სამართალურთიერთობას, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს მხარეთა სახელშეკრულებო და კანონის ძალით წარმომობილი ურთიერთობანი. ამ თვალსაზრისით, უაღრესად მნიშვნელოვანია სისტემური შეფასება მიეცეს არალიცენზიანტი მესამე პირის ქსელით სარგებლობის მარეგულირებელ სამართლებრივ აქტებს: „ენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის 46<sup>1</sup>-ე მუხლის, სემეკის 2008 წლის 18 სექტემბრის №20 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესების“ (შემდგომში – „წესები“ ან №20 დადგენილება) მე-15 მუხლისა და 2013 წლის 30 დეკემბრის №15 დადგენილებით დამტკიცებული „მესამე პირის მფლობელობაში არსებულ ქსელში ელექტროენერჯის, ბუნებრივი გაზისა და სასმელი წყლის გატარების საფასურის გაანგარიშების წესების“ (შემდგომში №15 დადგენილება) მე-4 მუხლის თანახმად, ქსელის მფლობელ არალიცენზიანტთან (შემდგომში – მე-სამე პირი) განაწილების ლიცენზიანტს შეიძლება აკავშირებდეს სახელშეკრულებო ურთიერთობა, რა დროსაც სპეციალური აქტებით (სემეკის შესაბამისი დადგენილება) განსაზღვრული მაქსიმალური ფარგლების გათვალისწინებით, მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ ხელშეკრულების არსებით პირობებზე (სკ-ის 327-ე მუხლი). ასეთ დროს კონტრაჰენტებს სრული უფლება გააჩნიათ, განსაზღვრონ ხელშეკრულების ფასი, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს სემეკის მიერ ლიცენზიანტისათვის დადგენილ ტარიფს (იხ. სემეკის №15

დადგენილების 4.5 პუნქტი). იმ შემთხვევაში, თუ სახეზე არ გვექნება საკუთრებით სარგებლობის ბოჭვის სახელშეკრულებო წინაპირობა, ქსელის მესაკუთრე მესამე პირის უფლებადამცავ დანაწესად გვევლინება სემეკის №15 დადგენილება, რომლითაც განსაზღვრულია კომპენსაციის გამოთვლის მეთოდოლოგია. აღნიშნული მსჯელობის პარალელურად, საკასაციო სასამართლო მხედველობაში იღებს მხარეთა შორის 2013 წლის 1 მარტს გაფორმებული ენერგეტიკული მომსახურების ხელშეკრულების 4.1. პუნქტს, რომლის საფუძველზეც მოპასუხეს, მოსარჩელის ქსელით სარგებლობის გამო, ეკისრებოდა 0,2 თეთრის ანაზღაურება ყოველ გატარებულ კვტ/სთ ელ.ენერგიაზე (ეს ოდენობა არ აღემატება სემეკის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილების მე-7 მუხლით განსაზღვრულ ტარიფს). მოპასუხე, როგორც აღინიშნა, ადასტურებს ხელშეკრულების შეწყვეტის ფაქტს, რაც სადავოდ არც მოსარჩელეს გაუხდია, უფრო მეტიც, ეს გარემოება პირდაპირ დაადგინა რაიონულმა სასამართლომ და ამ კუთხით სააპელაციო საჩივარი არ შეიცავდა პრეტენზიას. მითითებული საკითხი მნიშვნელოვანია 2014 წლის განმავლობაში გატარებული ელ.ენერგიის საკომპენსაციო თანხის განსაზღვრის თვალსაზრისით, სააპელაციო სასამართლოს კი, არ განუსაზღვრავს 2013 წლის 1 მარტის ხელშეკრულების შეწყვეტის კონკრეტული თარიღი (იხ. ქვემოთ). საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეფასებას, რომ ახალი რეგულაციის ამოქმედებით (№15 დადგენილება) 2014 წლის 1 იანვრიდან წარმოიშვა საფასურის ამ დადგენილებით განსაზღვრული წესის შესაბამისად გადახდის ვალდებულება და მიიჩნევს, რომ ამგვარი მსჯელობა გამართლებულია მხოლოდ იმ პერიოდისათვის, რაც მხარეთა შორის სახელშეკრულებო ურთიერთობა შეწყდა. საკასაციო სასამართლოს მითითებული დასკვნა ემყარება შემდეგს: ენერგეტიკული მომსახურების შესახებ ხელშეკრულების 4.2. პუნქტი, მართალია, შეიცავს იმპერატიულ დათქმას სემეკის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების/დადგენილების ამოქმედების შემთხვევაში ამ დადგენილების შესაბამისად საფასურის განსაზღვრის თაობაზე სემეკის აქტის ძალაში შესვლის დღიდან, თუმცა ამავე მუხლის 4.3. პუნქტით მხარეები შეთანხმდნენ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის წესზე, რომელიც დადგენილების/გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში 2 კვირის ვადაში უნდა განხორციელებულიყო, წინააღმდეგ შემთხვევაში სს „ე-ამ“ დაიტოვა უფლება, ნებისმიერ დროს შეენწყვიტა ხელშეკრულება კონტრაქტორისადმი ცალმხრივად გაკეთებული შეტყობინებით. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 355-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულებიდან გასვლა ხდება ხელშეკრულების მეორე მხარისათ-

ვის შეტყობინებით და ეს ნება ნამდვილია მას შემდეგ, რაც იგი მეორე მხარეს მიუვა (სკ-ის 51.1 მუხლი), ამდენად, 2014 წლის განმავლობაში ასანაზღაურებელი თანხის სწორად განსაზღვრის მიზნით გადამწყვეტი მნიშვნელობისაა საკითხი იმის თაობაზე, თუ როდის შეწყდა მხარეთა შორის სახელშეკრულებო ურთიერთობა. გარდა აღნიშნულისა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნის საპირისპიროდ, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ხელშეკრულების ზემოხსენებული დებულებები არ უნდა განიმარტოს დამოუკიდებლად და მხარეთა მითითება იმის თაობაზე, რომ ანგარიშსწორება განხორციელდება სემეკის დადგენილების/გადაწყვეტილების შესაბამისად ამ აქტის ძალაში შესვლის დღიდან, უნდა გაანალიზდეს ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.4. პუნქტთან ერთობლიობაში. ხელშეკრულების მითითებული დათქმა ანგარიშსწორების საფუძველად მრიცხველის ჩვენების აღებას ადგენს საანგარიშო თვის ბოლო დღის 24 საათის მდგომარეობით და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებას მომდევნო თვის 5 რიცხვამდე ითვალისწინებს, ე.ი. თუკი სემეკის მიერ მიღებული დადგენილების/გადაწყვეტილების შესაბამისად, მხარეები შეთანხმდებოდნენ ანგარიშსწორების ახალ წესზე, ეს შეთანხმება უნდა მიღწეულიყო სემეკის აქტის ძალაში შესვლიდან 2 კვირის ვადაში, რაც საფუძველად დაედებოდა საანგარიშო თვის ბოლო დღის 24 საათზე ფიქსირებულ გატარებული ელ.ენერგიის მონაცემის ახალი წესით გამოანგარიშებას. უდავოა, რომ ამგვარი შეთანხმება მხარეთა შორის არ მიღწეულა, ამ კუთხით სააპელაციო პალატამ დაადგინა კიდევაც ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანაზე მხარეთა წერილობითი მოლაპარაკების პერიოდი, თუმცა არ განუსაზღვრავს მხარეები რამდენ ხანს მოქმედებდნენ ხელშეკრულების ფარგლებში შეთანხმებული ტარიფის შესაბამისად და როდის მიუვიდა ადრესატს (მოსარჩელეს) ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მოპასუხის ნება, რა დროიდანაც ანაზღაურება უკვე ნორმატიულად განსაზღვრული წესის შესაბამისად უნდა განხორციელდეს. ამდენად, პალატა მიიჩნევს, რომ 2014 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით გატარებული ელ.ენერგიის საფასურის განსაზღვრის ნაწილში სახეზეა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრული საფუძველი.

1.5. რაც შეეხება 2015 წლის 1 იანვრიდან მოპასუხის მიერ ქონებით სარგებლობის შეწყვეტამდე თმენის ვალდებულების საკომპენსაციო თანხის განსაზღვრას, პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული (სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი) და არ გამომდინარეობს სწრაფი და რაციონალური მართლმსაჯულებით

ბის პრინციპიდან, ამასთანავე, საკასაციო სასამართლო სრულად ეთანხმება გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეფასებას იმის თაობაზე, რომ ახალი რეგულაციიდან გამომდინარე, ელ.ენერჯის გატარება თავის თავში მოიცავს ქსელით სარგებლობისათვის გარკვეული სამუშაოების განევას. ამ თვალსაზრისით სასამართლომ სრულიად მართებულად იმსჯელა მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების მე-2 მუხლით განსაზღვრულ კონტრაქტორის ვალდებულებებზე. სემეკის 2013 წლის 30 დეკემბრის №15 დადგენილების ამოქმედების შემდგომ პერიოდში ელ.ქსელის არალიცენზიანტი მესაკუთრის მოთხოვნის ფარგლების განსაზღვრის მიზნით საკასაციო პალატა განმარტავს შემდეგს: „ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის 46<sup>1</sup> მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, თუ მოთხოვნილი გატარების (მათ შორის, ელექტროენერჯის, ბუნებრივი გაზის ან სასმელი წყლის გატარების) მომსახურება ეხება ისეთ ქსელს, რომელიც არ არის განაწილების ან/და წყალმომარაგების ლიცენზიატის მფლობელობაში, ქსელის მფლობელი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, ვალდებულია, ჯეროვანი კავშირის უზრუნველყოფის მიზნით, ითმინოს თავისი ქსელით სარგებლობა. ამასთანავე, ქსელის მფლობელი უფლებამოსილია თავისი ქსელით სარგებლობისათვის მოითხოვოს გატარების საფასურის ან თმენის კომპენსაციის გადახდა. ამავე ნორმის მე-5 პუნქტით განსაზღვრულია გატარების საფასურის გაანგარიშების წესი და იგი დგინდება კომისიის დადგენილებით. ამ დანაწესიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ მოხმობილი ნორმა წარმოადგენს ზოგად დანაწესს და მიუთითებს ქსელის მფლობელი არალიცენზიანტის ვალდებულებაზე, ითმინოს მისი საკუთრებით სარგებლობა, რომელიც სასამართლო პრაქტიკის თანახმად, სამოქალაქო კოდექსის 180-ე მუხლით განსაზღვრული უფლების საკანონმდებლო ბოჭვაა, ასევე, დადგენილია, არალიცენზიანტის უფლება, ამ კანონისმიერი ბოჭვისათვის მოითხოვოს საფასური. მოცემულ შემთხვევაში, კასატორი ცდილობს, დაასაბუთოს საკუთარი პოზიცია იმგვარად, რომ გატარების საფასური და თმენის კომპენსაცია სხვადასხვა კატეგორიაა, თუმცა მას პალატა ვერ გაიზიარებს და აღნიშნავს შემდეგს: სემეკის 2013 წლის 30 დეკემბრის №15 დადგენილების ამოქმედებით აღმოიფხვრა ის საკანონმდებლო ხარვეზი, რომელიც არსებობდა ქსელის მფლობელ ლიცენზიანტებსა და არალიცენზიანტებს შორის. №15 დადგენილების ამოქმედებამდე საკითხი რეგულირდებოდა ზემოსხენებული (ზოგადი ხასიათის) ნორმითა და სემეკის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის ტარიფების შესახებ წესების“ ანალოგიის

გზით გამოყენებით. საკასაციო სასამართლოს 2014 წლის 10 ოქტომბრის №ას-803-762-2013 განჩინების თანახმად (რომელსაც იშველიებს კასატორი და მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება განსხვავდება მანამდე არსებული სასამართლო პრაქტიკისაგან), ელ.ქსელის არალიცენზიანტ მესაკუთრეს ამ ქსელის გამოყენება შეუძლია მხოლოდ ელ.ენერჯის გასატარებლად და სამოქალაქო კოდექსის 180-ე მუხლის ფარგლებში უნდა გაირკვეს არა ზოგადად მითითებული ნორმით გათვალისწინებული შემთხვევის წინაპირობები (რომელშიც ივარაუდება ის შემთხვევები, როდესაც მესაკუთრეს შეხედულებისამებრ შეეძლო გამოყენებინა მინის ნაკვეთი თუ არა აუცილებელი გზასთან დაკავშირებული თემნის ვალდებულება), არამედ ელექტროგადამცემი ხაზის მეშვეობით ელექტროენერჯის გატარებაზე თემნის ვალდებულებიდან გამომდინარე, საშუალო მესაკუთრის ინტერესი ამ შეზღუდვის არარსებობის შემთხვევაში. დავის სპეციფიკის თანახმად, საშუალო მესაკუთრის ინტერესის დაკმაყოფილების ერთგვარ ნიმუშს წარმოადგენს საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებით დამტკიცებული წესები, რომლებიც შეიძლება გამოვიყენოთ არა, როგორც პირდაპირი გამოყენების წყარო, არამედ – სახელმძღვანელო. საკასაციო სასამართლოს ამავე გადაწყვეტილებით დაშვებულია პრეზუმფცია, რომ სემეკის №33 დადგენილებით ლიცენზიანტებისათვის განსაზღვრული ტარიფი მოიცავდა, როგორც თემნის, ისე ელექტროგადამცემი ხაზით სარგებლობის კომპენსაციას. მოცემულ შემთხვევაში კი, სემეკის 2013 წლის 30 დეკემბრის №15 დადგენილებით დარეგულირდა ეს საკითხი და მსგავსად ლიცენზიანტებისა, კომისიამ განსაზღვრა არალიცენზიანტი მესაკუთრეების კომპენსაციის გამოანგარიშების მეთოდოლოგია, შესაბამისად, კასატორის პრეტენზია, რომ ეს უკანასკნელი დადგენილება არ უნდა ყოფილიყო გამოყენებული და სასამართლომ თემნის კომპენსაცია გონივრული განსჯის შედეგად უნდა დაადგინოს, ასევე ის, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება განსხვავდება მანამდე არსებული სასამართლო პრაქტიკისაგან უსაფუძვლოა. პალატა მიუთითებს სემეკის №20 დადგენილებით დამტკიცებულ „წესებში“ განხორციელებულ ცვლილებაზე, რომელიც წინამდებარე შემთხვევაზე ვრცელდება (1.2. მუხლი) და აღნიშნავს, რომ 2013 წლის 30 დეკემბრის №15 დადგენილების (სპეციალური რეგულაცია) ამოქმედების შემდგომ („წესებში“ მართალია, მოგვიანებით განხორციელდა ცვლილება, თუმცა სემეკის დადგენილებათა სწორი განმარტების შესაბამისად ეს ცვლილება ხელს არ უშლის სადავო პერიოდში არალიცენზიანტის კუთვნილ ქსელში

ელ.ენერჯის გატარების საკომპენსაციო თანხის გამოანგარიშებას), „წესების“ მე-15 მუხლის მე-2 პუნქტით კომისიამ გაათანაბრა „ელექტროენერჯის გატარებისა“ და „თმენის“ გადასახადი და მისი ანაზღაურების მანამდე არსებული წესისაგან განსხვავებით (კომპენსაცია გაიცემა საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად), დაადგინა შემდეგი ქცევის წესი: თუ მხარეები არ შეთანხმდნენ სხვა პირობებზე, ელექტროენერჯის გატარების გამო ქსელით სარგებლობისა და თმენისათვის გადასახდელი თანხის ოდენობა განისაზღვრება კომისიის მიერ დამტკიცებული „მესამე პირების მფლობელობაში არსებულ ქსელში ელექტროენერჯის, ბუნებრივი გაზისა და სასმელი წყლის გატარების საფასურის გაანგარიშების წესების“ შესაბამისად. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სემეკის №15 დადგენილებით განსაზღვრული ტარიფის გამოანგარიშების მეთოდოლოგია (მსგავსად ლიცენზიანტებს შორის მანამდე არსებული რეგულაციისა) მიუთითებს ერთგვარ პრეზუმფციაზე, რომ არალიცენზიანტის კუთვნილ ქსელში ელექტროენერჯის გატარებაზე განეულია იმ ოდენობის მომსახურება, რაც ტარიფის სახით ამ მომსახურებისთვის არის დადგენილი. თავის მხრივ, ელექტროგადამცემი ხაზის ფუნქციური დანიშნულებიდან გამომდინარე, თმენის ვალდებულება უნდა განიმარტოს სწორედ ამ ურთიერთობის მახასიათებელი სპეციფიკიდან. იმ ფაქტობრივი სიტუაციიდან გამომდინარე, რომ ელ.ქსელის გამოყენება, გარდა ელ.ენერჯის გატარებისა, სხვა თვალსაზრისით შეუძლებელია, არალიცენზიანტი მესაკუთრის თმენის ვალდებულებაც სწორედ ახალი რეგულაციის ფარგლებში უნდა შეფასდეს. თავად სემეკის №15 დადგენილების 2.1. მუხლის „გ“ ქვეპუნქტით კომისიამ განსაზღვრა, რომ გატარების საფასური არის ამ წესების საფუძველზე გაანგარიშებული გატარების მომსახურების ღირებულება საანგარიშო პერიოდზე, ხოლო მე-4 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებით დაწესებულია ქსელის მფლობელი არალიცენზიანტის ვალდებულება, ერთი მხრივ, (მოთხოვნის შემთხვევაში) ქსელში გაატაროს სხვისი კუთვნილი ელექტროენერჯია, ხოლო, მეორე მხრივ, უზრუნველყოს მის მფლობელობაში არსებული ქსელის გამართული მუშაობა. ამდენად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ახალი რეგულაციის შემოღებითა (30.12.2013წ. №15 დადგენილება) და სპეციალურ ნორმაში ცვლილების განხორციელებით (18.09.2008წ. №20 დადგენილების 15.2 მუხლი) თმენის კომპენსაციის სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად განსაზღვრის შესაძლებლობა გაუქმდა და იგი მთლიანად მოანესრიგა სემეკის №15 დადგენილებამ, ანუ გატარების მომსახურება და თმენის კომპენსაცია, კანონისმიერი ბოჭვის ფარგლებში გაიგივდა და თუ სახეზე არ



გვაქვს მხარეთა განსხვავებული შეთანხმება, იგი სემეკის ზემოხსენებული დადგენილებით დამტკიცებული ახალი მეთოდოლოგიის შესაბამისად გამოითვლება.

1.6. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას სემეკის № 15 დადგენილების შესაბამისად საკომპენსაციო თანხის ოდენობის არასწორად განსაზღვრის თაობაზე. მართალია, შპს „გ-ი“ აღნიშნავს, რომ მოპასუხემ ახალი დადგენილებით განსაზღვრული მეთოდოლოგიის გამოყენებით ტარიფის განსაზღვრისას გაითვალისწინა მხოლოდ მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზის მონაცემები და მას არ უხელმძღვანელია აქტივების ისტორიული ღირებულებით, თუმცა, ეს გარემოება დასაბუთებულ შედავებად ვერ იქნება განხილული, რადგანაც კასატორს არ მიუთითებია იმ კონკრეტულ დოკუმენტზე, რომელიც სარწმუნოს გახდიდა მის ამ მტკიცებას, ამასთანავე, მას არც თავად წამოუდგენია საქმეში იმგვარი მტკიცებულება, რომელიც მიუთითებდა გამოანგარიშების შედეგად განსხვავებული ტარიფის მიღებაზე და მისი შინაარსობრივი შეფასება მიგვიყვანდა მოპასუხის მიერ ტარიფის ოდენობის არასწორად დადგენამდე.

1.7. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად კი, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ 2014 წლის განმავლობაში გატარებული ელექტროენერჯის გამო მოპასუხისათვის დასაკისრებელი თანხის ოდენობის განსაზღვრის ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება მიღებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილის დარღვევით და წინამდებარე გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბებული დასაბუთების გათვალისწინებით, საჭიროა სწორედ მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა. ამ საფუძვლიდან გამომდინარე, პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, 2014 წლის საკომპენსაციო თანხის ოდენობის ნაწილში თავად მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე. რაც შეეხება კასატორის მოთხოვნას 2015 წლის 1 იანვრიდან ქონებით სარგებლობის შეწყვეტამდე თმე-

ნის ვალდებულებისათვის თანხის განსაზღვრის ნაწილში, საკასაციო პალატა თვლის, რომ უფლებამოსილია, თავად გადაწყვიტოს დავა. გადაწყვეტილებაში განვითარებული მსჯელობის გათვალისწინებით, არალიცენზიანტი მესაკუთრის ქსელით სარგებლობის კომპენსაცია, სემეკის 2013 წლის 30 დეკემბრის №15 დადგენილებით განსაზღვრული ნორმატიული რეგულაციიდან გამომდინარე, შპს „გ-ის“ კუთვნილ ელ.ქსელში ყოველ გატარებულ 1 კვტ/სთ-ზე 0,0016 თეთრით უნდა განისაზღვროს.

## **2. სასამართლო ხარჯები:**

2.1. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომლითაც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეუღია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით.

2.2. მოცემულ შემთხვევაში, კასატორმა საკასაციო საჩივრის გამო სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადაიხადა ბაჟი 587,59 ლარი. პალატა მხედველობაში იღებს შპს „გ-ის“ მოთხოვნას 2015 წლის იანვრიდან ქონებით სარგებლობის შეწყვეტამდე ქსელით სარგებლობის თმენის საკომპენსაციო თანხის 0,5 თეთრით განსაზღვრის თაობაზე. ამ მოთხოვნის ნაწილში მხარემ დავის საგნის ღირებულება 4 000 ლარით განსაზღვრა (სსსკ-ის 41.1 მუხლის „კ“ ქვეპუნქტი), რაც გაიზიარა საკასაციო სასამართლომაც, ხოლო მოთხოვნის ღირებულების გამო (სსსკ-ის 39-ე მუხლი) სახელმწიფო ბაჟის სახით პირველსა და საკასაციო სასამართლოში სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადაიხადა 320 (120+200) ლარი. წინამდებარე გადაწყვეტილებით შპს „გ-ის“ მოთხოვნა დაკმაყოფილდა

რა 0,000008%-ით, მოპასუხისათვის დასაკისრებელი სახელმწიფო ბაჟის ოდენობაც უნდა განისაზღვროს ამ მოთხოვნის გამო გაღებული ხარჯის შესაბამისი პროპორციით – 0,0000256 ლარის ოდენობით, რაც შეეხება 2014 წლის განმავლობაში განხორციელებული გატარების ღირებულების გამოთვლას, რადგანაც ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად უბრუნდება სააპელაციო სასამართლოს, სასამართლო ხარჯების საკითხიც, მოთხოვნის ღირებულების პროპორციულად უნდა გადაწყდეს შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 411-ე, 412-ე მუხლებით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :**

1. შპს „გ-ის“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება.

3. შპს „გ-ის“ სარჩელი სს „ე-ას“ მიმართ 2015 წლის 1 იანვრიდან ქონებით სარგებლობის შეწყვეტამდე თმენის ვალდებულებისათვის საკომპენსაციო თანხის განსაზღვრის ნაწილში ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

4. სს „ე-ას“ შპს „გ-ის“ სასარგებლოდ 2015 წლის 1 იანვრიდან მოსარჩელის კუთვნილი ელექტროგადამცემი ქსელით სარგებლობისათვის ყოველ გატარებულ 1 კვტ/სთ ელ.ენერგიაზე დაეკისროს 0,0016 თეთრის გადახდა.

5. 2014 წლის 1 იანვრიდან ამავე წლის 31 დეკემბრის ჩათვლით გატარებული ელექტროენერგიის საკომპენსაციო თანხის ოდენობის განსაზღვრის ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

6. სარჩელის დაკმაყოფილებული ნაწილის პროპორციულად (0,000008%) სს „ე-ას“ შპს „გ-ის“ სასარგებლოდ დაეკისროს მოსარჩელის მიერ სარჩელსა და საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟიდან (120+200) 0,0000256 ლარის გადახდა.

7. საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### 3. საკუთრების შექმნა და დაკარგვა

#### უძრავ ნივთზე საკუთრების შექმნა გარიგების საფუძველზე

##### განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1963-2018

14 ნოემბერი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა  
შემადგენლობა: ნ. ბაქაქუერი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
ბ. ალავეიძე

**დავის საგანი:** უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების აღიარება, ქონების ყადაღისგან გათავისუფლება

##### აღწერილობითი ნაწილი:

1. 2001 წლის 12 ნოემბრის №1 დამფუძნებელთა კრების ოქმით დაფუძნდა ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ჭ-ძე ბ.“ (შემდგომში – „ამხანაგობა“). ამხანაგობის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ნ. ო-ძე (შემდგომში – „ამხანაგობის თავმჯდომარე“), რომელსაც მიენიჭა ამხანაგობის სრული წარმომადგენლობითი უფლებამოსილება.

2. 2007 წლის 12 მარტს ამხანაგობის თავმჯდომარესა და ა. ც-ს შორის (შედგომში – „მოსარჩელე“ ან „კასატორი“) გაფორმდა ურთიერთშეთანხმების ხელშეკრულება იმ მიზნით, რომ ამხანაგობა ააშენებდა მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლს ქ. თბილისში, ..., ხოლო მოსარჩელე მიიღებდა ბინას ზემოაღნიშნულ ასაშენებელ სახლში, X სართულზე, საერთო ფართობით 157 კვ.მ., ბინის მთლიანი ღირებულება განისაზღვრა 122 000 აშშ დოლარის ეკვივალენტით ლარში, რაც ამხანაგობის წევრმა სრულად გადასცა ამხანაგობას განევრიანებისას.

3. 2012 წლის 24 აპრილს ცვლილება შევიდა 2007 წლის 12 მარტის ურთიერთშეთანხმების ხელშეკრულებაში, კერძოდ, დაზუსტდა ბინის მახასიათებლები და მიეთითა, რომ ამხანაგობის წევრის წილი წარმოადგენს საცხოვრებელ ბინას, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ..., სართული X, ბინა №30, 439.8 კვ.მ.-დან 157 კვ.მ. ფართი.

4. 2014 წლის 18 სექტემბერს ამხანაგობის თავმჯდომარესა და

მოსარჩელეს შორის დაიდო მშენებარე ფართის ნასყიდობის ხელშეკრულება (შემდგომში – „ნასყიდობის ხელშეკრულება“).

5. ნასყიდობის ხელშეკრულების 1.2. პუნქტის თანახმად, წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე გამყიდველი ყიდის, ხოლო მყიდველი ყიდულობს გამყიდველის საკუთრებაში არსებულ მშენებარე ფართს, კერძოდ: ქ. თბილისი, ... არსებული მშენებარე №30 ბინის 439,80 კვ.მ. ფართიდან (საკადასტრო კოდით ...) 260,80 კვ.მ. ფართს.

6. ნასყიდობის ხელშეკრულების 1.3. პუნქტის მიხედვით, წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მყიდველი საჯარო რეესტრში რეგისტრირდება ზემოაღნიშნული ფართის მესაკუთრედ. ხოლო, ხელშეკრულების 2.1. და 2.2. პუნქტების შესაბამისად, მშენებარე ფართის ღირებულება შეადგენს 200 000 აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარში, რომელიც ხელშეკრულებაზე ხელმოწერამდე მყიდველმა გადაიხადა, ხოლო გამყიდველმა სრულად მიიღო.

7. 2014 წლის 19 სექტემბერს ამხანაგობამ განცხადებით მიმართა სარეგისტრაციო სამსახურს და მოითხოვა გარიგების საფუძველზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია. სარეგისტრაციო სამსახურის 2014 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით სარეგისტრაციო წარმოება შეჩერდა უძრავ ქონებაზე ყადაღის რეგისტრაციის გამო, ხოლო 2014 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილებით უარი ეთქვა უფლების რეგისტრაციაზე 2014 წლის 24 სექტემბერს ახალი ყადაღის რეგისტრაციის გამო.

8. 2015 წლის 19 თებერვალს მოსარჩელემ მიმართა სარეგისტრაციო სამსახურს სადავო უძრავ ქონებაზე უფლების რეგისტრაციის მოთხოვნით, რაზეც სარეგისტრაციო სამსახურის 2015 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილებით უარი ეთქვა უფლების საგანზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 27 იანვრის №2/415-15 განჩინების საფუძველზე რეგისტრირებული აკრძალვის გამო.

9. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 2 თებერვლის №3555... ცნობისა და ამავე სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2014 წლის 19 სექტემბრის №... გადაწყვეტილების თანახმად, რომელიც შეიცავს ინფორმაციას ქ. თბილისში, ... (ს/კ ...)–ში მდებარე უძრავ ნივთზე, აღნიშნულ ქონებაზე 2007 წლის 12 მარტის, 2012 წლის 24 აპრილისა და 2014 წლის 18 სექტემბრის მდგომარეობით, რეგისტრირებული იყო შემდეგი საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვები:

9.1. ყადაღის რეგისტრაციის საფუძველი – თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2004 წლის 31 მარტის №2ა-87-04 სააღსრულებო ფურცელი, ხოლო შენ-

ყვეტის რეგისტრაციის საფუძველი – თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 12 აპრილის №2/ა-97-04 განჩინება (სარეგ. სამსახურის 2014 წლის 23 სექტემბრის №... გადაწყვეტილება);

9.2. ყადაღის რეგისტრაციის საფუძველი – თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 20 ივნისის განჩინება, ხოლო შეწყვეტის რეგისტრაციის საფუძველი – თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 17 ივლისის 2-3654-06 სასამართლოს სხდომის ოქმის ამონაწერი (სარეგ. სამსახურის 2012 წლის 25 სექტემბრის №... გადაწყვეტილება);

9.3. ყადაღის რეგისტრაციის საფუძველი – თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 25 ოქტომბრის №2/14497-11 განჩინება და შეწყვეტის რეგისტრაციის საფუძველი – თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 29 იანვრის №2-14497-11 გადაწყვეტილება (სარეგ. სამსახურის 2014 წლის 24 დეკემბრის №... გადაწყვეტილება).

10. 2014 წლის 22 აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ №2/9232-06 საქმეზე გასცა სააღსრულებო ფურცელი, რომლის თანახმად, მოპასუხე ამხანაგობას მოსარჩელე ა. ჭ-ძის უფლებამონაცვლის – ზ. ჭ-ძის სასარგებლოდ (შემდგომში – „მოპასუხე“) საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილებით განსაზღვრული 1120 კვ.მ. ბინის ფართობიდან 325 კვ.მ. ბინის ფართობის და 12 ავტოსადგომის გადაცემის სანაცვლოდ, მისი საბაზრო ღირებულების – 287 500 აშშ დოლარის ანაზღაურება დაეკისრა.

11. თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებელმა განცხადებით მიმართა თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს და ზემოაღნიშნული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე მოითხოვა ყადაღის დადება უძრავ ნივთებში ამხანაგობის საკუთრებაში არსებულ წილზე, მათ შორის ... საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ ფართზე, გარდა ჯ. ა-ის სამომავლო 179 კვ.მ. ფართისა.

12. საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, ქ. თბილისში, ... მდებარე უძრავი ქონების, 439.80 კვ.მ. ფართის მშენებარე ბინა №30-ის (ს/კ ...) მესაკუთრეა ამხანაგობა. აღნიშნული უძრავი ქონებიდან 179 კვ.მ. ფართზე რეგისტრირებულია ჯ. ა-ის მომავალი საკუთრების უფლება.

13. თბილისის სააღსრულებო ბიურომ ამხანაგობასა და მის თავმჯდომარეს გაუგზავნა წინადადება გადაწყვეტილების შესრულების შესახებ.

14. მოსარჩელემ სარჩელი აღძრა სასამართლოში ამხანაგობის თავმჯდომარის, მოპასუხის, ე. ა-ის, ჯ. ა-ის, ი. ა-ისა და გ. ს-ძის მიმართ და მოითხოვა უძრავ ქონებაზე, მდებარე ქ. თბილისში, ..., სართული 10, 439,8 კვ.მ. ფართობიდან 260,8 კვ.მ. ფართობით, საკადასტრო კოდი: №... (შემდგომში – „სადავო უძრავი ქონება“), მოსარჩელის საკუთრების უფლების აღიარება და სადავო უძრავი ქონების ყადაღისაგან გათავისუფლება.

#### **15. მოსარჩელის განმარტებით:**

15.1. უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება გაფორმებულია სამოქალაქო კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით და მოსარჩელეს სრულად აქვს შესრულებული ვალდებულებები, მაგრამ იგი მაინც ვერ ახერხებს საკუთრების უფლების რეგისტრაციას მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო;

15.2. მოსარჩელეს 2014 წლის 13 ოქტომბერსა და 2015 წლის 24 თებერვალს რეგისტრაციაზე უარი ეთქვა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 24 სექტემბრის განჩინებით დადგენილი ყადაღისა და 2015 წლის 27 იანვრის განჩინებით დადგენილი აკრძალვის გამო;

15.3. ყადაღა კრძალავს მისი დადგენის მომენტიდან მესაკუთრის მიერ ქონების ნებისმიერი ფორმით განკარგვის შესაძლებლობას. თუმცა, მოცემულ შემთხვევაში ქონება უკვე განკარგულია, კერძოდ, 2014 წლის 18 სექტემბერს გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება. მოსარჩელე ფლობს ამ ქონებას 2007 წლიდან, შესრულებული აქვს ყველა სახელშეკრულებო ვალდებულება და წარმოადგენს კეთილსინდისიერ შემძენს;

15.4. გამოძიებით ჯერ კიდევ 2005 წელს დადგინდა, რომ ა. ჭ-ის მიერ უძრავი ქონების შეძენასა და თანხის გადახდას ადგილი არ ჰქონია (აღსრულება მიმდინარეობს მისი უფლებამონაცვლის სასარგებლოდ), თუმცა ამხანაგობა ამ გარემოებას არ იყენებს და სამოქალაქო სასარჩელო წარმოების გზით აგებს პროცესებს მოსარჩელის კანონიერი ინტერესების საზიანოდ.

16. მოპასუხემ წარდგინილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ 2014 წლის 18 სექტემბერს, მხარეებს შორის ნასყიდობის ხელშეკრულების დადების მომენტისათვის, უძრავ ქონებაზე რეგისტრირებული იყო საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვა, რაც გამორიცხავდა ამ ქონების გასხვისების შესახებ ნებისმიერი გარიგების დადებას. კერძოდ, 2014 წლის 19 სექტემბერს საჯარო რეესტრმა №... სარეგისტრაციო წარმოება შეაჩერა იმის გამო, რომ ამ ქონებაზე 2012 წლიდან №... განცხადებით რეგისტრირებული იყო ყადაღა.

17. ამხანაგობის თავმჯდომარემ წარდგინილი შესაგებლით სარ-

ჩელი ცნო, ხოლო ი. ა-მა სარჩელი არ ცნო.

18. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ.

19. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მოპასუხის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მისი შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

20. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია წინამდებარე განჩინების 1-13 პუნქტებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები.

21. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ არ არსებობდა სადავო უძრავ ქონებაზე მოსარჩელის საკუთრების უფლების აღიარების საფუძველი და მიუთითა წინამდებარე განჩინების მე-9 პუნქტითა და 9.1, 9.2, და 9.3. ქვეპუნქტებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე.

22. სააპელაციო პალატამ დადგენილად და დადასტურებულად მიიჩნია, რომ ურთიერთშეთანხმების ხელშეკრულების გაფორმების დროს – 2007 წლის 12 მარტს სადავო უძრავ ქონებაზე 2004 წლიდან რეგისტრირებული იყო №35554 ცნობაში მითითებული პირველი (9.1. ქვეპუნქტი) და მეორე (9.2. ქვეპუნქტი) ყადაღა. ასევე დადგენილი იყო, რომ 2012 წლის 24 აპრილის მდგომარეობით, როდესაც ცვლილება შევიდა 2007 წლის 12 მარტის ურთიერთშეთანხმების ხელშეკრულებაში, სადავო უძრავ ქონებაზე კვლავ რეგისტრირებული იყო პირველი და მეორე ყადაღა, ხოლო, 2014 წლის 18 სექტემბერს ამხანაგობის თავმჯდომარესა და მოსარჩელეს შორის დადებული მშენებარე ფართის ნასყიდობის ხელშეკრულების ხელმოწერისა და სარეგისტრაციოდ წარდგენის მომენტისთვის, მარეგისტრირებელ ორგანოში სადავო ფართზე რეგისტრირებული იყო პირველი (9.1. ქვეპუნქტი) და მესამე (9.3. ქვეპუნქტი) ყადაღა. ამასთან, სააპელაციო პალატის მითითებით, 2014 წლის 18 სექტემბრისთვის ქონებაზე ყადაღის რეგისტრაციის ფაქტს ასევე ადასტურებდა ის გარემოება, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2014 წლის 19 სექტემბრის №... გადაწყვეტილებით ამხანაგობის განცხადებაზე სარეგისტრაციო წარმოება შეჩერდა ამხანაგობის განცხადების განხილვამდე, რომლითაც მოთხოვნილი იყო ყადაღის შეწყვეტის რეგისტრაცია, ხოლო 2014 წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილებით კი განცხადება უფლების რეგისტრაციის შესახებ არ დაკმაყოფილდა.



23. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა, რომ, მართალია, ურთიერთშეთანხმების ხელშეკრულება, რომელიც თავისი შინაარსით ნარდობის ხელშეკრულებას წარმოადგენდა, გაფორმდა 2007 წელს, რა დროსაც უკვე არსებობდა ყადაღა, მაგრამ 2014 წლის 18 სექტემბერს, წინარე ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებისას, უძრავ ქონებაზე ყადაღა აღარ ფიქსირდებოდა. სააპელაციო პალატის შეფასებით, სასამართლოს ეს დასკვნა არ მომდინარეობდა საქმის მასალებში წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან.

24. სააპელაციო პალატამ ასევე არ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მითითება ამხანაგობის თავმჯდომარის განმარტებაზე, რომ ჭ-ძეების ოჯახს ამხანაგობაში რამე შენატანი არ განუხორციელებია და, შესაბამისად, მის მიმართ ამხანაგობას რამე ვალდებულება არ გააჩნია. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმის მასალებში წარმოდგენილია მტკიცებულებები, რომლებიც მიუთითებენ ჭ-ძეების ოჯახის მიმართ ამხანაგობის ვალდებულებაზე. კერძოდ, სასამართლომ მიუთითა წინამდებარე განჩინების 10-13 პუნქტებში ასახულ ფაქტობრივ გარემოებებზე და მიიჩნია, რომ სახეზე იყო კანონიერ ძალაში შესული, 2003 წლის 30 დეკემბრის სასამართლო გადაწყვეტილებით აღიარებული მოპასუხის მოთხოვნის უფლება ამხანაგობის მიმართ, რომელიც აღსრულებას მოითხოვდა სადავო უძრავი ქონებიდან.

25. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 63<sup>1</sup>-ე მუხლით, სსკ-ის 54-ე და 61.1. მუხლებით და განმარტა, რომ, ვინაიდან ამხანაგობის თავმჯდომარესა და მოსარჩელეს შორის სამივე გარიგება (1. 2007 წლის 12 მარტის ურთიერთშეთანხმების (ნარდობის) ხელშეკრულება; 2. 2012 წლის 24 აპრილის ცვლილებები და დამატებები 2007 წლის 12 მარტის ურთიერთშეთანხმების ხელშეკრულებაში; 3. 2014 წლის 18 სექტემბრის მშენებარე ფართის ნასყიდობის ხელშეკრულება) დადებული იყო სადავო უძრავ ქონებაზე ყადაღის რეგისტრაციის შემდეგ, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 63<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, აღნიშნული გარიგებები წარმოადგენდა ბათილ გარიგებებს, რომლებსაც იურიდიული შედეგი ვერ მოჰყვებოდა. მოცემულ შემთხვევაში სახეზე იყო კანონით აკრძალული, იურიდიული ძალის არმქონე გარიგება, რომელიც ბათილია დადებისთანავე. შესაბამისად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ არ არსებობდა მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი სადავო უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების აღიარების თაობაზე.

26. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსსკ-ის 102-ე და 105-ე მუხლებით, ასევე „საალსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 32.1 მუხლით და აღნიშნა, რომ მითითებული ნორმის თანახმად, ყადაღისაგან ქონების გათავისუფლების შესახებ სარჩელზე მტკიცების ტვირთი ეკისრება მოსარჩელეს. პალატის მითითებით, მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელემ ვერ შეძლო თავისი წილი მტკიცების ტვირთის რეალიზება და სასამართლოსათვის იმ მტკიცებულებების წარდგენა, რომლებითაც დადასტურდებოდა სადავო უძრავ ქონებაზე მისი საკუთრების უფლება. ყოველივე აღნიშნული კი მიუთითებდა მოსარჩელის მე-2 მოთხოვნის (სადავო უძრავი ქონების ყადაღისაგან გათავისუფლება) უსაფუძვლობაზე.

27. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

**28. კასატორმა საკასაციო საჩივარში მიუთითა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების შემდეგ საფუძვლებზე:**

28.1. სააპელაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ბათილია 2007 წლის 12 მარტის ურთიერთშეთანხმების (ნარდობის) ხელშეკრულება და 2012 წლის 24 აპრილის ცვლილება და დამატება ურთიერთშეთანხმების ხელშეკრულებაში. 2007 წლის 12 მარტის მდგომარეობით სადავო ქონება, საკადასტრო კოდით: ..., ჯერ კიდევ არ არსებობდა. ნარდობის ხელშეკრულების თანახმად, მშენებლობა უნდა დასრულებულიყო 2007 წლის შემოდგომაზე და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა განხორციელებულიყო მენარდეზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია (განკარგვა). „საალსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 63<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი პუნქტით ნარდობა არ არის აკრძალული. შესაბამისად, კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივ დასკვნას ნარდობის ხელშეკრულების ბათილობასთან დაკავშირებით;

28.2. გასაჩივრებული გადაწყვეტილებიდან ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ყადაღის (აკრძალვის) არსებობა იმთავითვე გამორიცხავს სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას. „საალსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლი არის სწორედ მოცემული სარჩელის მსგავსი მოთხოვნის დაკმაყოფილების მატერიალურ-სამართლებრივი საფუძველი. უძრავ ქონებაზე ყადაღა არ კრძალავს მასზე ახალი ნივთის (ქონების) შექმნას (მშენებლობას) – ნარდობას. 2007 წლის 12 მარტის ურთიერთშეთანხმების (ნარდობის) ხელშეკრულება ნამდვილია ახალი უძ-

რავი ქონების შექმნის ნაწილში და სააპელაციო სასამართლოს მსჯელობის საგანი ნამდვილად უნდა ყოფილიყო აღნიშნული უდავო ფაქტობრივი გარემოება;

28.3. გასაჩივრებული გადაწყვეტილების თანახმად, 2014 წლის 18 სექტემბრის მშენებარე ფართის ნასყიდობის ხელშეკრულება დადებული იყო სადავო უძრავ ქონებაზე ყადაღის რეგისტრაციის შემდეგ და წარმოადგენს ბათილ გარიგებას. ნასყიდობის ხელშეკრულება ნამდვილად დაიდო ყადაღის რეგისტრაციის შემდეგ, მაგრამ მნიშვნელოვანია, ძალაში იყო თუ არა ამ პერიოდისთვის ყადაღა. ამ დავის გადაწყვეტისთვის სწორედ ეს საკითხია საკვანძო. გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში მოხსენებული არ არის მოსარჩელის სააპელაციო შესაგებელი და სასამართლო სხდომაზე გამოთქმული პოზიცია. შესაბამისად, სააპელაციო პალატა საერთოდ არ მსჯელობს მოსარჩელის მიერ მითითებულ ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძვლებზე. მოსარჩელის პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იყო და არის შემდეგი: ალბათ სადავო არ არის, რომ საჯარო რეესტრის ჩანაწერზე უფრო აღმატებული დოკუმენტი არის კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება. საქმის მასალებით დგინდება, რომ ყადაღის (აკრძალვის) გაუქმების შესახებ განცხადება ერთდროულად წარედგინა საჯარო რეესტრის შესახებ განცხადება ერთდროულად წარედგინა საჯარო რეესტრს 2014 წლის 19 სექტემბერს. 2014 წლის 18 სექტემბერს ამხანაგობის თავმჯდომარეს ხელთ ჰქონდა ყველა რეგისტრირებული შეზღუდვის (აკრძალვის) გაუქმების თაობაზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება. სწორედ ამიტომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 13 ოქტომბრის №... გადაწყვეტილებით მოსარჩელეს უარი ეთქვა რეგისტრაციაზე მხოლოდ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 24 სექტემბრის №... განჩინებით დადგენილი ყადაღის გამო;

28.4. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 2 თებერვლის №35554 წერილის თანახმად, პირველი ყადაღის გაუქმების საფუძველია თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 12 აპრილის №2/ა-97-04 განჩინება, მეორე ყადაღის – 2012 წლის 17 ივლისის №203651-06 სასამართლოს სხდომის ოქმის ამონაწერი (ეს ყადაღა რეგისტრირებული აღარ იყო 2014 წლის 18 სექტემბერს), ხოლო მესამე ყადაღის – თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 29 იანვრის №2-14497-11 გადაწყვეტილება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მესამე ყადაღა არ იყო საკუთრების უფლების რეგისტრაციის დამაბრკოლებელი, რასაც ადასტურებს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 13 ოქტომბრის №... გადაწ-

ყვეტილება, ამასთან, ის ეხება 439,8 კვ.მ.-დან 111,45 კვ.მ. ფართობს;

28.5. მაშასადამე, 2014 წლის 18 სექტემბრის მოცემულობა არის შემდეგი: მოსარჩელეს ჰქონდა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება სადავო ქონებაზე ყადაღის (აკრძალვის) გაუქმების შესახებ (პირველი ყადაღა) და 19 სექტემბერს საკუთრების უფლებისა და ყადაღის გაუქმების რეგისტრაციის მოთხოვნები საჯარო რეესტრს ერთდროულად წარედგინა;

28.6. სააპელაციო პალატამ არ გამოიყენა სსკ-ის 312-ე მუხლი, რომელიც აბათილებს მის მტკიცებას ყადაღის (რეგისტრაციის) არსებობის პრეზუმფციის შესახებ. საქმეში არსებული მტკიცებულებებით ერთმნიშვნელოვნად დგინდება, რომ ყადაღის შესახებ ჩანაწერი არათუ უზუსტოა, არამედ გაუქმებულია და აღარ არსებობს;

28.7. ამასთან, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტიდან გამომდინარეობს, რომ რეესტრი არის მხოლოდ მონაცემთა ბაზა, ის დამოკიდებულია თავად უფლების (ყადაღის, აკრძალვის) ნამდვილობაზე და არა – პირიქით. მაგალითად, სასამართლომ მიიღო განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით და ყადაღა (აკრძალვა) დაედო მოპასუხის ქონებას. აღნიშნული განჩინება ჩაბარდა მოპასუხეს, თუმცა მოსარჩელემ არ წარადგინა იგი საჯარო რეესტრში სარეგისტრაციოდ და ყადაღა არ დარეგისტრირდა. ასეთ ვითარებაში მოპასუხემ გაასხვისა ყადაღადადებული ქონება და შემდგომაც იცოდა ყადაღის განჩინების შესახებ. ისმის კითხვა: კანონიერია თუ არა მოპასუხის მოქმედება და, შესაბამისად, ნასყიდობის ხელშეკრულება?

28.8. 2014 წლის 18 სექტემბერს არ არსებობდა ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების დამაბრკოლებელი გარემოება (ყადაღა, აკრძალვა). შესაბამისად, ეს გარიგება ნამდვილია. მოპასუხე ვერ იქნება მიჩნეული ამ გარიგების მიმართ დაინტერესებულ პირად, რადგან მისი არსებობა 2015 წლის აპრილში გახდა ცნობილი. მხოლოდ ის ფაქტი, რომ მას ამხანაგობის მიმართ ჰქონდა სასამართლოს გადაწყვეტილება (2014 წლის 22 აგვისტოს სააღსრულებო ფურცელი) და ეს უფლება გამოაჩინა 2015 წლის აპრილში, ვერ აღადგენს მის კანონიერ ინტერესს წარსულში, 2014 წლის 18 სექტემბრის თარიღით;

28.9. სამართლებრივად პრობლემური საკითხია სსკ-ის 312-ე მუხლის განმარტება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 63<sup>1</sup>-ე მუხლთან მიმართებით, როდესაც საჯარო რეესტრში ფორმალურად რეგისტრირებულია ყადაღა (აკრძალვა), მაგრამ გარიგების მხარეებს ხელთ აქვთ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ამ ყადაღის (აკრძალვის) გაუქ-

მების შესახებ. აქვე უნდა აღინიშნოს საქართველოს კონსტიტუციის 62-ე მუხლი;

28.10. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სა-რეგისტრაციო სამსახურის 2014 წლის 19 სექტემბრის №... გადაწყვეტილებით დგინდება, რომ საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნისას უკვე შესულია №... განცხადება, რომლითაც მოთხოვნილია ყადაღის შეწყვეტის რეგისტრაცია და სარეგისტრაციო წარმოება შეჩერებულია №... განცხადების დასრულებამდე. სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ 2014 წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილებით განცხადება უფლების (ყადაღის შეწყვეტის) რეგისტრაციის შესახებ არ დაკმაყოფილდა, საუბარია №... გადაწყვეტილებაზე. აღნიშნული დასკვნა არასწორია, რადგან 2014 წლის 22 სექტემბრის №... გადაწყვეტილებაში უარის თქმის საფუძველად მითითებულია შემდეგი: საჯაროსამართლებრივი შეზღუდვა ყადაღა გაუქმება რეგისტრირებულია იხილეთ გადაწყვეტილება №... ანუ, უარის თქმის საფუძველია ის, რომ ყადაღა უკვე გაუქმებულია;

28.11. გასაჩივრებული გადაწყვეტილების 4.8 პუნქტის ბოლო აზნაცის შინაარსი გაუგებარია. ასევე, გაურკვეველია წინარე ნასყიდობის ხელშეკრულება არის 2007 წლის 12 მარტის ნარდობის ხელშეკრულება თუ 2014 წლის 18 სექტემბრის ნასყიდობის ხელშეკრულება;

28.12. სააპელაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სახეზეა კანონიერ ძალაში შესული 2003 წლის 30 დეკემბრის სასამართლო გადაწყვეტილებით აღიარებული მოპასუხის მოთხოვნის უფლება ამხანაგობის მიმართ, რომელიც აღსრულებას მოითხოვს სადავო უძრავი ქონებიდან, რაც არასწორი შეფასებაა. 2003 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილება რომც ყოფილიყო, იგი 2014 წლის 18 სექტემბერს ხანდაზმული იქნებოდა სსკ-ის 142-ე მუხლის თანახმად. 2014 წლის 22 აგვისტოს სააღსრულებო ფურცლის მიხედვით საუბარია თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 28 მაისის გადაწყვეტილებაზე, რომლის თანახმად, ამხანაგობას მოპასუხის სასარგებლოდ დაეკისრა 287 500 აშშ დოლარის გადახდა, უძრავი ქონების გადაცემის სანაცვლოდ. აქ მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ მოპასუხეს 2010 წლამდე უფლება ჰქონდა ამხანაგობისგან მოეთხოვა 325 კვ.მ. ფართობის ბინა, მაგრამ მან თავისი მოთხოვნა ფულადზე შეცვალა და ფაქტია, რომ მოპასუხემ უძრავი ქონება ვერ მიიღო, მათ შორის, ამჟამად სადავო ბინის ფართის ხარჯზე.

29. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 21 ოქტომბრის განჩინებით მოსარჩელის

საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

30. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, საქმის მასალები, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთება და მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

31. საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას [სსსკ-ის 410-ე მუხლი].

32. საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში [სსსკ-ის 404.1 მუხლის პირველი წინადადება]. საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები. სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება) [სსსკ-ის 407-ე მუხლი].

33. განსახილველ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს შემოწმების საგანია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება სადავო უძრავ ქონებაზე მოსარჩელის საკუთრების უფლების აღიარებასა და აღნიშნული ქონების ყადაღისგან გათავისუფლებაზე უარის თქმის შესახებ.

34. საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მითითებას, რომ არასწორია სააპელაციო პალატის მსჯელობა მოსარჩელესა და ამხანაგობას შორის დადებული ხელშეკრულებების (2007 წლის 12 მარტის ურთიერთშეთანხმების ხელშეკრულება, 2012 წლის 24 აპრილის ცვლილება და დამატება ურთიერთშეთანხმების ხელშეკრულებაში და 2014 წლის 18 სექტემბრის მშენებარე ფართის ნასყიდობის ხელშეკრულება) ბათილ გარიგებად მიჩნევასთან დაკავშირებით, თუმცა, მოცემულ შემთხვევაში, სარჩელის დაკმაყოფილების მიზნებისათვის მნიშვნელოვანია 2014 წლის 18 სექტემბრის მშენებარე ფართის ნასყიდობის ხელშეკრულება.

35. დადგენილია, რომ 2014 წლის 18 სექტემბერს ამხანაგობის თავმჯდომარესა და მოსარჩელეს შორის დაიდო მშენებარე ფართის ნასყიდობის ხელშეკრულება. საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანია, აღნიშნული ნასყიდობის ხელშეკრულება წარმოშობს თუ არა სადავო უძრავ ქონებაზე მოსარჩელის საკუთრების უფლების აღიარებისა და აღნიშნული ქონების ყადაღისაგან გათავისუფლების საფუძველს.

36. ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე შესაბამისი უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისათვის წარდგენილ უნდა იქნეს წერილობითი ფორმით დადებული გარიგება. გარიგება ან გარიგების მონაწილე მხარეთა ხელმოწერების ნამდვილობა დამოწმებული უნდა იყოს კანონით დადგენილი წესით. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე დადებული გარიგებები ძალაში შედის ამ გარიგებებით განსაზღვრული უფლებების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან [სსკ-ის 311<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილები]. უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადება და შემდენზე ამ გარიგებით განსაზღვრული საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში [სსკ-ის 183-ე მუხლი].

37. ზემოაღნიშნული ნორმების თანახმად, მოსარჩელესა და ამხანაგობას შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე საკუთრების უფლების გადაცემისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენდა საჯარო რეესტრში საკუთრების უფლების მყიდველზე რეგისტრაცია.

38. საჯარო რეესტრში რეგისტრაციის ფაქტი ადასტურებს არა მხოლოდ ქონებაზე უფლების წარმოშობას, არამედ ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე დადებული გარიგებები ძალაში შედის ამ გარიგებებით განსაზღვრული უფლებების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან. შედეგად, უფლების წარმოშობა და გარიგების ძალაში შესვლა ხდება ერთდროულად რეგისტრაციის დასრულებისთანავე (იხ. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი II, სანივთო (ქონებრივი) სამართალი, მუხ. 147-ე-315-ე, თბილისი, 2018, 311<sup>1</sup>-ე მუხლის კომენტარი, გვ. 618-619).

39. სანივთო სამართლებრივი გარიგებიდან წარმოშობილი უფლება ექვემდებარება საჯარო რეესტრში რეგისტრაციას. პირი ვერ ჩაითვლება ქონების მესაკუთრედ, თუ აღნიშნული უფლება რეგისტრირებული არ არის საჯარო რეესტრში. სანივთო სამართლებრივი უფლების მოპოვების ასახვა საჯარო რეესტრში საკანონმდებლო დანაწესია და, პირველ რიგში, მესამე პირთა უფლებების დაცვასა და სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობას ემსახურება. თუმ-

ცა აღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ წერილობითი ფორმის დაცვით დადებული სანივთო სამართლებრივი გარიგება რეგისტრაციის გარეშე (რეგისტრაციამდე) არ წარმოშობს უფლება-მოვალეობებს უშუალოდ გარიგების მონაწილეებისათვის (იხ. სუსგ №ას-534-507-2014, 29 ივნისი, 2015 წელი).

40. უფლების რეგისტრაციის მიზნით საჯარო რეესტრში წარდგენილი ხელშეკრულება მოიცავს როგორც ვალდებულებითი შინაარსის, ასევე სანივთო (განკარგვით) პირობას. რეგისტრაციამდე ხელშეკრულება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით (წერილობითი ფორმით) დადებისთანავე. ხელშეკრულების ვალდებულებითი შინაარსის პირობების შესრულება, როგორც წესი, წინ უსწრებს უფლების წარმოშობას. ქონებაზე უფლებათა გადაცემის ხელშეკრულებაში ვალდებულებითი შინაარსის გარიგება უნდა განვიხილოთ როგორც წინარე ხელშეკრულება, რომლის შესრულება განაპირობებს სანივთო უფლების წარმოშობას. საჯარო რეესტრში წარდგენილი ხელშეკრულების სანივთო პირობა ძალაში შედის უფლების რეგისტრაციასთან ერთად, ვინაიდან სანივთო გარიგებისათვის იურიდიული ძალის მისანიჭებლად არ არის საკმარისი მხოლოდ კანონმდებლობით გარიგების ფორმის მიმართ წარდგენილი მოთხოვნების დაკმაყოფილება, არამედ დამატებით საჭიროა, მესაკუთრის ნება შეესაბამებოდეს საჯარო რეესტრში დაცულ მონაცემებს (იხ. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი II, სანივთო (ქონებრივი) სამართალი, მუხ. 147-ე-315-ე, თბილისი, 2018, 311<sup>1</sup>-ე მუხლის კომენტარი, გვ. 619).

41. ამდენად, გარიგება სამართლებრივად ნამდვილია მისი გაფორმების მომენტიდან, მაგრამ საკუთრების უფლების ცვლილება დამოკიდებულია საჯაროსამართლებრივ აქტზე – საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციაზე (იხ. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი II, სანივთო (ქონებრივი) სამართალი, მუხ. 147-ე-315-ე, თბილისი, 2018, 183-ე მუხლის კომენტარი, გვ. 116).

42. განსახილველ შემთხვევაში 2014 წლის 18 სექტემბერს ნასყიდობის ხელშეკრულების დადებით ამხანაგობამ გამოხატა ნება უძრავი ქონების მყიდველისთვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ, თუმცა მყიდველმა ვერ მოიპოვა საკუთრების უფლება სადავო უძრავი ქონებაზე არსებული ყადაღის გამო.

43. საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის რეესტრი არის ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე სასამართლო ან სხვა ადმინისტრაციული ორგანოების მიერ კანონით დადგენილი წესით დადებული ყადაღის, უფლების განკარგვის შეზღუდვისა და აკრძალვის, აგრეთვე რეგისტრაციის აკრძალვის წარმოშობის, მათში ცვლილების და მათი შეწყვეტის შესახებ მონაცემთა ერთობლიო-



ბა. ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის რეგისტრაცია გამორიცხავს ამ ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე რაიმე სხვა უფლების/ვალდებულების ან საკუთრების უფლების მიტოვების რეგისტრაციას, თუ შესაბამისი სარეგისტრაციო დოკუმენტით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული [„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები].

44. უძრავ ქონებაზე ყადაღის დადება ნიშნავს ქონების აღწერას და მესაკუთრისათვის მისი განკარგვის – ნებისმიერი ფორმით გასხვისების, იპოთეკით, უზუფრუქტით, სერვიტუტით ან აღნაგობით დატვირთვის, მასზე თხოვების, ქირავნობის ან/და იჯარის ხელშეკრულების დადების – აკრძალვას. რეგისტრაციას დაქვემდებარებულ ქონებაზე ყადაღის დადება ხდება აღსრულების ეროვნული ბიუროს მიმართვის, ხოლო უძრავ ქონებაში განთავსებულ მოძრავ ნივთებზე ყადაღის დადება – ქონების აღწერისა და დაყადაღების აქტის საფუძველზე. უძრავ ქონებაზე ყადაღის დადება ხდება მოძრავ ქონებაზე ყადაღის დადებისათვის დადგენილი წესით. ყადაღის დადების ან გაუქმების აქტი/მიმართვა დაუყოვნებლივ ეგზავნება შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოს. ბათილია ყადაღის დადებულ უძრავ ქონებაზე ყადაღის დადების შემდეგ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ყველა გარიგება [„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 63<sup>1</sup>-ე მუხლი].

45. ამდენად, ზემოაღნიშნული ნორმების თანახმად, უძრავ ნივთზე ყადაღის არსებობა გამორიცხავს ამ ნივთზე მესაკუთრის ცვლილებას.

46. განსახილველ შემთხვევაში სადავოა სწორედ მოსარჩელის საკუთრების უფლების რეგისტრაციისას უძრავ ქონებაზე ყადაღის არსებობის ფაქტი.

47. დადგენილია, რომ 2014 წლის 19 სექტემბერს ამხანაგობამ განცხადებით მიმართა სარეგისტრაციო სამსახურს და მოითხოვა გარიგების საფუძველზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია. სარეგისტრაციო სამსახურის 2014 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით სარეგისტრაციო წარმოება შეჩერდა უძრავ ქონებაზე ყადაღის რეგისტრაციის გამო, ხოლო 2014 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილებით უარი ეთქვა უფლების რეგისტრაციაზე 2014 წლის 24 სექტემბერს ახალი ყადაღის რეგისტრაციის გამო.

48. საკასაციო საჩივრის თანახმად, მოცემული დავის გადაწყვეტისთვის მნიშვნელოვანია, ძალაში იყო თუ არა ხელშეკრულების დადების პერიოდისთვის ყადაღა; 2014 წლის 18 სექტემბერს ამხანაგობის თავმჯდომარეს ხელთ ჰქონდა ყველა რეგისტრირებული

შეზღუდვის (აკრძალვის) გაუქმების თაობაზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება. ყადაღის (აკრძალვის) გაუქმების შესახებ განცხადება (იგ. პირველი ყადაღა) და საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ განცხადება ერთდროულად წარედგინა საჯარო რეესტრს 2014 წლის 19 სექტემბერს. სწორედ ამიტომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 13 ოქტომბრის №... გადაწყვეტილებით მოსარჩელეს უარი ეთქვა რეგისტრაციაზე მხოლოდ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 24 სექტემბრის №601253-14 განჩინებით დადგენილი ყადაღის გამო (იხ. წინამდებარე განჩინების 28.3 და 28.5. ქვეპუნქტები).

49. იმავე შინაარსის მსჯელობაა განვითარებული განსახილველ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაში, რომლის თანახმად, 2014 წლის 18 სექტემბერს, წინარე ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებისას, უძრავ ქონებაზე ყადაღა აღარ ფიქსირდებოდა (24.09.2014 წლის განჩინება გახდა შემდგომ საფუძველი ქონებაზე ყადაღის დადების).

50. საკასაციო სასამართლო უპასუხებს კასატორის პრეტენზიას, რომლის თანახმად, 2014 წლის 18 სექტემბერს ამხანაგობის თავმჯდომარეს ხელთ ჰქონდა ყველა რეგისტრირებული შეზღუდვის (აკრძალვის) გაუქმების თაობაზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება და, შესაბამისად, ხელშეკრულების დადებისას ყადაღა არ იყო ძალაში, რასთან დაკავშირებითაც სასამართლო მიუთითებს „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 19.2 მუხლზე [ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის რეგისტრაცია გამოირიცხავს ამ ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე რაიმე სხვა უფლების/ვალდებულების ან საკუთრების უფლების მიტოვების რეგისტრაციას, თუ შესაბამისი სარეგისტრაციო დოკუმენტით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული] და აღნიშნავს, რომ შეზღუდვის (აკრძალვის) გაუქმების თაობაზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება თავისთავად არ აუქმებს საჯარო რეესტრში ყადაღის რეგისტრაციას. ამისთვის საჭიროა რეგისტრირებულ მონაცემებში აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე შესაბამისი ცვლილების განხორციელება. შესაბამისად, მოსარჩელეს საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნის უფლება წარმოეშობოდა სადავო უძრავ ნივთზე ყადაღის რეგისტრაციის გაუქმების შემდეგ და მისი მითითება 2014 წლის 18 სექტემბერს შეზღუდვის (აკრძალვის) გაუქმების თაობაზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების არსებობის შესახებ ვერ აბათილებს საჯარო რეესტრში განცხადების წარდგენის მომენტისათვის ყადაღის რეგისტრაციის ფაქტს.

51. რაც შეეხება მოსარჩელის აპელირებას იმაზე, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 13 ოქტომბრის №... გადაწყვეტილებით მოსარჩელეს უარი ეთქვა რეგისტრაციაზე მხოლოდ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 24 სექტემბრის №601253-14 განჩინებით დადგენილი ყადაღის გამო, საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ აღნიშნულ გარემოებას არსებითი გავლენა არ აქვს საქმის გადაწყვეტის შედეგზე. ფაქტია, რომ სარეგისტრაციო სამსახურმა 2014 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილებით არ დააკმაყოფილა 2014 წლის 19 სექტემბერს წარდგენილი განცხადება გარიგების საფუძველზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ. ამასთან, მართალია, სარჩელით არ არის მოთხოვნილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურის ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, თუმცა, სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება – სადავო უძრავ ქონებაზე მოსარჩელის საკუთრების უფლების აღიარება თავისთავად გულისხმობს საჯარო რეესტრის აღნიშნული გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმებას, რაც არ არის განსახილველი დავის საგანი და ვერც იქნება. სამოქალაქო საქმეთა განმხილველი სასამართლო ვერ შეამოწმებს სარეგისტრაციო სამსახურის 2014 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილების კანონიერებას საკუთრების უფლების რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ. აღნიშნული გადაწყვეტილება მოსარჩელეს/ამხანაგობას შეეძლო გაესაჩივრებინა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

52. საკასაციო პალატის მსჯელობის საგანი ვერ გახდება კასატორის ვერც ის შედავება, რომლის თანახმად, საკუთრების უფლების რეგისტრაციის დამაბრკოლებელი არ იყო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 2 თებერვლის №35554 ცნობაში ასახული, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 25 ოქტომბრის №2/14497-11 განჩინების საფუძველზე წარმოშობილი ყადაღა (აკრძალვა), რომელიც შეწყდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 29 იანვრის №2-14497-11 გადაწყვეტილების საფუძველზე, სარეგისტრაციო სამსახურის 2014 წლის 24 დეკემბრის №... გადაწყვეტილებით. კასატორის პრეტენზია, რომ დასახელებული ყადაღა (აკრძალვა) ნახსენები არ იყო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 13 ოქტომბრის №... გადაწყვეტილებაში, ამასთან, ის ეხებოდა 439,8 კვ.მ.-დან 111,45 კვ.მ. ფართობს, არ შეიძლება იყოს საკასაციო პალატის შეფასების საგანი, ვინაიდან, როგორც ზემოთაც აღინიშნა, სამოქალაქო საქმეთა განმხილველი სასამართლო ვერ იმსჯელებს საკუთრების უფლების რეგისტრაციის დამაბრკოლებელი გარემოებების არსებობა-არარსე-

ბობის საკითხზე.

53. ამდენად, მოსარჩელემ ვერ მოიპოვა საკუთრების უფლება სადავო უძრავ ნივთზე საჯარო რეესტრში რეგისტრირებული ყადაღის/აკრძალვის გამო. ამასთან, დადგენილია, რომ 2015 წლის 19 თებერვალს მოსარჩელემ განმეორებით მიმართა სარეგისტრაციო სამსახურს სადავო უძრავ ქონებაზე უფლების რეგისტრაციის მოთხოვნით, რაზეც სარეგისტრაციო სამსახურის 2015 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილებით კვლავ უარი ეთქვა, უფლების საგანზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 27 იანვრის №2/415-15 განჩინების საფუძველზე რეგისტრირებული აკრძალვის გამო.

54. ასევე დადგენილია, რომ 2014 წლის 22 აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ №2/9232-06 საქმეზე გასცა სააღსრულებო ფურცელი, რომლის თანახმად, მოპასუხე ამხანაგობას მოსარჩელე ა. ჭ-ძის უფლებამონაცვლის – ზ. ჭ-ძის სასარგებლოდ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილებით განსაზღვრული 1120 კვ.მ. ბინის ფართობიდან 325 კვ.მ. ბინის ფართობის და 12 ავტოსადგომის გადაცემის სანაცვლოდ, მისი საბაზრო ღირებულების – 287 500 აშშ დოლარის ანაზღაურება დაეკისრა. დადგენილია ისიც, რომ თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებელმა განცხადებით მიმართა თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს და ზემოაღნიშნული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე მოითხოვა ყადაღის დადება უძრავ ნივთებში ამხანაგობის საკუთრებაში არსებულ ნილზე, მათ შორის ... საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ ფართზე, გარდა ჯ. ა-ის სამომავლო 179 კვ.მ. ფართისა.

55. ზემოაღნიშნულ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით, კასატორს არ აქვს წარმოდგენილი კვალიფიციური შედაგება. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს მოსარჩელის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მოპასუხის მოთხოვნის თაობაზე მისთვის ცნობილი გახდა 2015 წლის აპრილში და მას გავლენა ვერ ექნება 2014 წლის 18 სექტემბრის ხელშეკრულების დადებაზე (იხ. წინამდებარე განჩინების 28.8 ქვეპუნქტი), რასთან დაკავშირებითაც სასამართლო განმარტავს, რომ ნასყიდობის ნერილობითი ხელშეკრულება, რომელიც რეგისტრირებული არ არის, წარმოშობს უფლება-მოვალეობებს ხელშეკრულების მხარეებს შორის, მაგრამ, იგი არ წარმოშობს შედეგებს მესამე პირთა მიმართ, აღნიშნული სანივთო უფლება ძალაში შედის მხოლოდ საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან. მართალია, უძრავ ნივთზე მხარეთა შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება აკმაყოფილებს ამ გარიგების ფორმისადმი წაყენებულ მოთხოვნებს, თუმცა, მოსარჩელემ ვერ განა-

ხორციელა საკუთრების უფლების რეგისტრაცია და ვერ მოიპოვა ამ ნივთზე სანივთო (საკუთრების) უფლება მანამ, სანამ ნივთი დაყადაღებოდა მესამე პირთა მოთხოვნების უზრუნველსაყოფად/აღსარულებლად. ყადაღის დადების მომენტში კი უძრავი ქონება ამხანაგობის საკუთრება იყო და, შესაბამისად, იგი მართებულად გახდა დაყადაღების ობიექტი. გამომდინარე აქედან, მხარეთა შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საჯარო რეესტრში რეგისტრაციაც ვერ განახორციელა მოსარჩელემ და, შესაბამისად, ვერ მოიპოვა მასზე საკუთრების უფლება, ვერ დააბრკოლებს მოპასუხის მიერ ამხანაგობის ქონებიდან მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

56. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უსაფუძვლოა მოსარჩელის მოთხოვნა სადავო უძრავი ქონების მესაკუთრედ აღიარებისა და ქონების ყადაღისგან გათავისუფლების თაობაზე.

57. საკასაციო პალატის ზემოთ მითითებული მსჯელობის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება სწორია, რაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების ძალაში დატოვებისა და საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

58. ვინაიდან საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, არ არსებობს კასატორის მიერ გაღებულ ხარჯის მხარეთა შორის განაწილების სსსკ-ის 53-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობები და აღნიშნული ხარჯი უნდა დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-მოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ა. ც-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სა-მოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება;
3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# მოქრავ ნივთზე საკუთრების შექენის საფუკვლავი

## განჩინება საქართველოს სახელმთ

№ას-1178-1133-2016

22 თებერვალი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),  
პ. ქათამაძე (მომხსენებელი),  
ე. გასიტაშვილი

**დავის საგანი:** ავტომანქანის მესაკუთრედ ცნობა

### აღწერილობითი ნაწილი:

1. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 04.12.2013 წლის განაჩენით გ. ფ-ძე (შემდეგში – მსჯავრდებული) ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის (თაღლითობა) ჩადენაში. დანაშაული გამოიხატა დ. კ-ძის (შემდეგში: მესაკუთრე, პირველი მოპასუხე) 4000 აშშ დოლარის ღირებულების ავტომანქანა „მაზდას“, სახ. ნომრით-..., მოტყუებით წაყვანასა (თითქოს სურდა მისი შექენა) და, მესაკუთრისაგან ფარულად, ზ. ჭ-ისათვის (შემდეგში – მოსარჩელე) მიყიდვით.

2. საქართველოს შს სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მონაცემებით, სადავო ავტომანქანა 2012 წლის 19 ივლისიდან 2013 წლის 16 აგვისტომდე რეგისტრირებული იყო კ. ო-ძის (შემდეგში – მეორე მოპასუხე) საკუთრების უფლებით. შემდეგ კი, მოიხსნა აღრიცხვიდან. ავტომანქანას მოსარჩელე ფლობს.

3. მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპასუხეთა წინააღმდეგ სადავო ავტომანქანის მესაკუთრედ ცნობის მოთხოვნით.

4. წინამდებარე განჩინების 1-3 პუნქტებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე, მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ მან მსჯავრდებულისაგან 2013 წლის ნოემბერში 3500 ლარად შეიძინა ავტომანქანა, რის შემდეგაც აღმოჩნდა, რომ ამ უკანასკნელს წამოუყვანია პირველი მოპასუხისაგან, ხოლო საფასური არ გადაუხდია. მესაკუთრე უარს აცხადებს, მოსარჩელეს სადავო ავტომანქანა საკუთრებაში დაურეგისტრიროს.

5. მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს. მათ წარადგინეს მოთხოვნის წარმოშობის დამაბრკოლებელი შესაგებელი და მიუთითეს, რომ მოსარჩელე ავტომანქანის კეთილსინდისიერ შემქენად ვერ მიიჩნ

ნეოდა.

6. მეორე მოპასუხემ შეგებებული სარჩელი წარადგინა მოსარჩელის წინააღმდეგ უკანონო მფლობელობიდან ავტომანქანის გამოთხოვისა და მიყენებული ზიანის – 7000 ლარის ანაზღაურების მოთხოვნით. მისი მტკიცებით, სადავო ავტომანქანას ბოლო პერიოდში ფლობდა მისი ნათესავი – პირველი მოპასუხე, რომელიც ავტომანქანის გასხვისებაში უნდა დახმარებოდა. ამ უკანასკნელს დაუკავშირდა მსჯავრდებული, რომელსაც ავტომანქანა უნდა შეეძინა ნასყიდობის საფასურის ნაწილ-ნაწილ გადახდის პირობით. მან კი, ნივთი უკანონოდ მოსარჩელეს გადასცა. არაერთგზის მოთხოვნის მიუხედავად, მოსარჩელე ავტომანქანას არ აბრუნებს, რითაც მას ადგება ზიანი. აღნიშნული ავტომანქანის გაქირავებით ის ყოველთვიურად მიიღებდა შემოსავალს – 500 ლარს.

7. შეგებებული სარჩელის მოპასუხემ შეგებებული სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ ის სადავო ავტომანქანის კეთილსინდისიერი შემძენია. შეგებებული სარჩელის ავტორმა კი, ზიანის ანაზღაურება უნდა მოსთხოვოს მსჯავრდებულს.

8. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილებით, სარჩელი დაკმაყოფილდა, მოსარჩელე ცნობილი იქნა ავტომანქანის მესაკუთრედ.

**9. სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში სსკ-ის) 477-ე, 186-ე, 158-ე, 187-ე მუხლები და დაასკვნა, რომ მოსარჩელე სადავო ავტომანქანის კეთილსინდისიერი შემძენი იყო.**

9.1 სასამართლოს მითითებით, მხარეთა შორის სადავო არ იყო, რომ პირველმა და მეორე მოპასუხემ სადავო ავტომანქანა მიჰყიდეს მსჯავრდებულს, რომელსაც ნასყიდობის საფასური უნდა გადაეხადა ნაწილ-ნაწილ. ამ უკანასკნელმა კი, გადახდამდე, სადავო ავტომანქანა 3500 ლარად მიჰყიდა მოსარჩელეს, რომელიც ავტომანქანის მესაკუთრე გახდა.

9.2 სასამართლომ არ გაიზიარა შეგებებული სარჩელის ავტორის მტკიცება, რომ მოსარჩელემ მას მიაყენა 7000 ლარის ზიანი, რამდენადაც აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულებები სასამართლოსთვის არ წარუდგენია. სასამართლომ შეგებებული სარჩელის ორივე მოთხოვნა უსაფუძვლოდ მიიჩნია.

**10. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მოპასუხეებმა გაასაჩივრეს, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის უარყოფის მოთხოვნით.**

10.1. სასამართლო გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში მითითებულია, რომ მოპასუხეებს არ უდავიათ მოსარჩელის მიერ ავ-

ტომანქანის საფასურის – 3500 ლარის მსჯავრდებულისათვის გადახდაზე. მსგავსი რამ არც მოპასუხეებს და, რაც მთავარია, არც მოსარჩელეს არ უთქვამს სასამართლო პროცესზე. უფრო მეტიც, მან შეკითხვების დასმის ეტაპზე დაზუსტებით ისიც კი ვერ თქვა, ნასყიდობის საფასურის სახით რამდენი გადაუხადა მსჯავრდებულს.

10.2. მოძრავი ნივთი ახალ შემძენს ნამდვილი უფლების საფუძველზე უნდა გადაეცეს, რაც, არ მომხდარა. ამასთან, მყიდველმა უნდა გადაიხადოს ნივთის საფასური, მაგრამ არც ეს დგინდება საქმეზე თანდართული დოკუმენტებით.

11. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, აპელანტთა სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ:

- გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებისა და მოპასუხეთათვის თანხის დაკისრების ნაწილში;

- სარჩელი არ დაკმაყოფილდა;

- ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილება, შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში, დარჩა უცვლელად.

11.1 სასამართლომ მიუთითა, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 4 დეკემბრის განაჩენით მტკიცდებოდა ავტომობილის პირველი მოპასუხისადმი კუთვნილება. ამ უკანასკნელის დაკითხვის ოქმიდანაც ჩანდა, რომ სადავო ავტომობილი მეორე მოპასუხის სახელზე ფორმალურად იყო რეგისტრირებული, რეალურად კი, სწორედ პირველ მოპასუხეს ეკუთვნოდა.

ამდენად, პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის ავტომობილი ეკუთვნოდა პირველ და არა – მეორე მოპასუხეს.

11.2. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 4 დეკემბრის განაჩენითვე დგინდებოდა, რომ სადავო ავტომობილი მსჯავრდებულმა მესაკუთრისაგან მოტყუებით წაიყვანა – ამ მომენტისათვის მხარეთა შორის ნამდვილი გარიგება, ავტომობილის ნასყიდობის ხელშეკრულება არ არსებობდა. ვინაიდან მოსარჩელესა და მსჯავრდებულს შორის გარიგების დადების მომენტისათვის სადავო ნივთი ისევ პირველ მოპასუხეს ეკუთვნოდა, პალატამ მიიჩნია, რომ მესაკუთრე მსჯავრდებულს ავტომობილს საკუთრებაში ვერ გადასცემდა.

11.3. უდავოდ დგინდებოდა, რომ მესაკუთრემ მსჯავრდებულს ავტომობილი გადასცა შეძენის მიზნით, ე.ი. მესაკუთრემ გამოხატა მსჯავრდებულთან გარიგების დადების და არა – ნივთის სხვა



პირისათვის გადაცემის ნება. ამის შესაბამისად, სადავო ავტომობილი მესაკუთრის მფლობელობიდან გავიდა მის მიერ გამოხატული ნების საწინააღმდეგოდ, ამიტომ, პალატის აზრით, მართალია, მოსარჩელე სადავო ნივთის კეთილსინდისიერი შემძენი იყო, თუმცა მისი მესაკუთრე მაინც ვერ გახდა.

11.4. სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ შეგვებულის სარჩელი მართებულად არ დაკმაყოფილდა და მიუთითა სსკ-ის 172-ე მუხლის პირველი ნაწილსა და 992-ე მუხლზე, რომელთა თანახმად, როგორც უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის, ასევე, მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს ნივთის მესაკუთრეს. ვინაიდან შეგვებულის სარჩელით მოსარჩელე სადავო ავტომობილის მესაკუთრე არ იყო, მისი მოთხოვნა პალატამ უსაფუძვლოდ მიიჩნია.

**12. აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილების მოთხოვნით, შემდეგ გარემოებაზე მითითებით:**

12.1. სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ, მართალია, მოსარჩელე კეთილსინდისიერი შემძენი იყო, მაგრამ არა ავტომანქანის მესაკუთრე. ეს განმარტება არასწორია, რამდენადაც კეთილსინდისიერების ინსტიტუტი თავდაყირა დგება და სასამართლო პრაქტიკაც არასწორად განვითარდება.

გასათვალისწინებელია, რომ სასამართლო დავის დაწყებამდე მოპასუხებმა საპატრულო აღრიცხვიდან მოხსნეს ავტომანქანა, ანუ უარი განაცხადეს მის საკუთრებაზე.

13. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 29 ივნისის განჩინებით, საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტების საფუძველზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო საჩივარი დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

15. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-

დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით არ წარმოუდგენიათ დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

16. მოცემულ შემთხვევაში, წინამდებარე განჩინების 1-4 პუნქტში მითითებული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, მოსარჩელის მოთხოვნა ავტომანქანის მესაკუთრედ ცნობის თაობაზე, შესაძლოა, დაეფუძნოს სსკ-ის 477.1 მუხლს (ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი მოვალეა, გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მიაწოდოს საქონელი).

17. პალატა მიუთითებს, რომ, განსახილველ შემთხვევაში, ავტომანქანის „გამყიდველი“ იყო მსჯავრდებული, შესაბამისად, ამ მოთხოვნის მოპასუხეა მსჯავრდებული და არა – მეორე მოპასუხე. ამასთან, მოთხოვნა უსაფუძვლოა, რადგან, როგორც 04.12.2013 წლის განაჩენით ირკვევა, მსჯავრდებული ავტომანქანის მესაკუთრე არ იყო. განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებული მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, მოტყუებით დაეუფლა პირველი მოპასუხის ავტომანქანას, რომელიც შემდეგ მოსარჩელეს მიჰყიდა. შესაბამისად, მსჯავრდებულს ავტომანქანაზე საკუთრება არ შეუძენია. ნივთის არამესაკუთრის მიერ განკარგვა კი, ეწინააღმდეგება სსკ-ის 186.1 (მოძრავ ნივთზე საკუთრების გადასაცემად აუცილებელია, რომ მესაკუთრემ ნამდვილი უფლების საფუძველზე გადასცეს შემძენს ნივთი) მუხლის დანაწესს და სსკ-ის 54-ე (ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს) მუხლის საფუძველზე, როგორც მართლსაწინააღმდეგო გარიგება, ბათილია. ამდენად, მოსარჩელემ არამესაკუთრისაგან შეიძინა ნივთი, რის გამოც ნასყიდობის ხელშეკრულება ბათილია. მოსარჩელეს სადავო ავტომანქანაზე საკუთრება არ შეუძენია.

18. პალატა არ იზიარებს კასატორის მტკიცებას, რომ იგი, როგორც ავტომანქანის კეთილსინდისიერი შემძენი, მისი მესაკუთრეა. მოსარჩელე სსკ-ის 187.1 მუხლს (შემძენი ზდება ნივთის მესაკუთრე მაშინაც, როცა გამსხვისებელი არ იყო ნივთის მესაკუთრე, მაგრამ შემძენი ამ ფაქტის მიმართ კეთილსინდისიერია. კეთილსინდისიერად არ ჩაითვლება შემძენი, თუ მან იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე. კეთილსინდისიერების ფაქტი უნდა არსებობდეს ნივთის გადაცემამდე) ვერ დაეყრდნობა, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში სახეზეა ამ ნორმის საგამონაკლისო შემთხვევა, რომელსაც ამავე მუხლის მეორე ნაწი-

ლი (კეთილსინდისიერი შემძენი ვერ გახდება ნივთის მესაკუთრე, თუ ეს ნივთი მესაკუთრემ დაკარგა, მას მოჰპარეს ან მისი ნების წინააღმდეგ სხვაგვარად გავიდა მისი მფლობელობიდან, ანდა შემძენმა ის უსასყიდლოდ მიიღო. ეს შეზღუდვები არ მოქმედებს ფულის, ფასიანი ქაღალდებისა და აუქციონზე გასხვისებული ნივთების მიმართ) განამტკიცებს. ნორმის თანახმად, თუ ნივთი მესაკუთრის ნების საწინააღმდეგოდ გავიდა მისი მფლობელობიდან შემძენი კეთილსინდისიერად ვერ მიიჩნევა. მოცემულ შემთხვევაში, რაკი განაჩენით დგინდება, რომ ავტომანქანა მესაკუთრის ნების წინააღმდეგ გავიდა მისი მფლობელობიდან, შემძენი (მოსარჩელე) კეთილსინდისიერი ვერ იქნება.

19. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

20. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, ვინაიდან კანონის დარღვევა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებას არ უდევს საფუძვლად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 264.3, 408.3, 410-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ზ. ჭ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 4. საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობები

### გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ას-691-662-2016

24 ნოემბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე)

პ. ქათამაძე (მომხსენებელი),

ე. გასიტაშვილი

**დავის საგანი:** ქონების უმკვიდროდ ცნობა, უმკვიდრო ქონე-  
ბის მესაკუთრედ ცნობა

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 23.02.2013 წლის ცნობა-დახასიათებით, ტ. შ-ის (იმავე ტ. შ-ის; შემდეგში – პირველი მესაკუთრის) სახელზე ირიცხება ... ქ. 73-ში მდებარე საცხოვრებელი სადგომი – ლიტერი „ა“ (საცხოვრებელი) 20,64 კვ.მ და ლიტერი „ბ“ (საცხოვრებელი) 24,02 კვ.მ.

2. თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის ტექნიკური აღრიცხვის არქივის 16.07.2008 წლის ცნობა-დახასიათების შესაბამისად, ქ. თბილისში, ... ქ. №73-ში ს. კ-ის (იმავე ს. კ-ის; შემდეგში – მეორე მესაკუთრის) და ა. ს-ის (იმავე ა. ს-ის; შემდეგში – მესამე მესაკუთრის) სახელზე აღრიცხულია შენობ-ნაგებობა, ლიტერი „ა“ 24,20 კვ.მ, ლიტერი „გ“ – 29,76 კვ.მ, ლიტერი „ვ“ – 37,28 კვ.მ, ლიტერი „ბ-ზ-დ-ს-ვც“ 51,00 კვ.მ.

3. პირველი მესაკუთრე გარდაიცვალა – 1976 წლის 7 სექტემბერს ხოლო მეორე მესაკუთრე – 1982 წლის 10 თებერვალს, მესამე მესაკუთრე გარდაცვლილად იქნა აღიარებული 2012 წლის 29 ოქტომბერს.

4. სსიპ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ერთიანი ელექტრონული სამემკვიდრეო რეესტრიდან გაცემული ინფორმაციის თანახმად, ერთიან ელექტრონულ სამემკვიდრეო რეესტრში არ მოიძებნა ინფორმაცია მესაკუთრეთა სამკვიდრო ქონების თაობაზე. მესაკუთრის სამკვიდროს მისაღებად ნოტარიუსისთვის არცანდერ-დისმიერ და არც კანონისმიერ მემკვიდრეს არ მიუშართავს.

5. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოში დაცული მონაცე-

მებით, ქ. თბილისში, ... ქ. №73-ში მდებარე უძრავ ქონებაზე (შემდეგში – სადავო უძრავი ქონება) საკუთრების უფლება რეგისტრირებული არ არის.

6. მ. ე-ძე (შემდეგში: მოსარჩელე, აპელანტი, კასატორი) სადავო მისამართზე რეგისტრირებულია 1988 წლიდან, ხოლო ელექტროენერჯის გადამხდელის სააბონენტო ნომერი მინიჭებული აქვს 1996 წლიდან.

7. მოსარჩელემ სარჩელი აღძრა სადავო საცხოვრებელი სადგომის უმკვიდროდ ცნობისა და მისთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის მოთხოვნით.

8. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 7 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მოსარჩელის სარჩელი დაკმაყოფილდა, უმკვიდროდ იქნა ცნობილი მესაკუთრეთა სახელზე რიცხული სადავო მისამართზე მდებარე საცხოვრებელი სადგომი და უსასყიდლოდ გადაეცა საკუთრებაში მოსარჩელეს. გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში.

9. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 3 თებერვლის განჩინებით გ. მ-ის (შემდეგში – მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით ან მონინალმდეგე მხარე) განცხადების საფუძველზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 7 ოქტომბრის გადაწყვეტილება ბათილად იქნა ცნობილი და საქმისწარმოება განახლდა.

10. დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით მესამე პირის მტკიცებით, მისი მეუღლე – ლ. გ-ი (შემდეგში: მონინალმდეგე მხარის მეუღლე ან მამკვიდრებელი) სადავო საცხოვრებელი სახლის ნაწილის მოსარგებლე იყო, რაც დასტურდებოდა ამ უკანასკნელის სს „თ-ის“ აბონენტად 1996 წელს რეგისტრაციის ფაქტით. 2007 წლის 29 აპრილს გარდაცვლილი მეუღლის სამკვიდრო მან მიიღო, შესაბამისად, მოითხოვს, მეუღლის სადავო ფართზე მოსარგებლედ ცნობასა და საკუთრებაში გადაცემას.

11. სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებლით სასარჩელო მოთხოვნები არ ცნო. მესამე პირის სარჩელს არ დაეთანხმა არც მოსარჩელე.

12. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ 2015 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილებით, უმკვიდროდ ცნო სადავო ქონება. ამავე გადაწყვეტილებით, სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და მოსარჩელეს უსასყიდლოდ გადაეცა საკუთრებაში საცხოვრებელი სადგომი, მდებარე ქ. თბილისში, ... ქ. №73, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და ტექლარიცხვის არქივის ცნობა-დახასიათებაში მესამე მესაკუთრის სახელზე (გარდა მეორე მესაკუთრის ნაწილისა) რიცხული ფართი-

დან ლიტერი „ა“ – 24,2 კვ.მ, ლიტერი „ბ“ – 29,76 კვ.მ, ლიტერი „ვ“ – 37,28 კვ.მ, ლიტერი „ზზდვ“ – 51 კვ.მ და პირველი მესაკუთრის სახელზე რიცხული საცხოვრებელი სადგომი ლიტერი „ა“ – 20,64 კვ.მ და ლიტერი „ბ“ – 24,02 კვ.მ. სასამართლომ მესამე პირს დამოუკიდებელი მოთხოვნით მის მიერ დაკავებული საცხოვრებელი სადგომი, კერძოდ ტექ-ალრიცხვის არქივში მეორე მესაკუთრის სახელზე აღრიცხული ქონება, „გაუმიჯნავად“ (ამ ეტაპზე), უსასყიდლოდ საკუთრებაში გადასცა.

**13. სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში სსკ-ის) 1343-ე მუხლი, „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდეგში – სპეციალური კანონი) პირველი პრიმა მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, მე-2 მუხლის მე-4, მე-12 და მე-13 პუნქტები და წინამდებარე გადაწყვეტილების 1-9 პუნქტებში მითითებულ გარემოებებზე დაყრდნობით დაასკვნა:**

13.1 ქონების უმკვიდროდ ცნობის კანონისმიერი წინაპირობა არსებობდა. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელე მესამე მესაკუთრისა (გარდა მეორე მესაკუთრის ნაწილისა) და პირველი მესაკუთრის სახელზე რიცხული საცხოვრებელი ფართის მოსარგებლე იყო და მის მიერ დაკავებული საცხოვრებელი სადგომი, გარდა მეორე მესაკუთრის წილისა, საკუთრებაში უსასყიდლოდ უნდა გადასცემოდა. ამასთან, საქმეზე წარმოდგენილი სს „თ-ის“ ინფორმაციით თ-ის მონაცემთა ბაზაში სადავო მისამართზე 1996 წლიდან აბონენტად რეგისტრირებული იყო მესამე პირის მეუღლე, რაც იმ ფაქტზე მიუთითებდა, რომ იგი მოსარგებლე იყო. სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო ფართის ნაწილს ფაქტობრივად ფლობდა და სარგებლობდა მესამე პირი დამოუკიდებელი მოთხოვნით, რომელიც მოსარგებლის მეუღლე, ხოლო მოსარჩელის და იყო. მას ბინა გაქირავებული ჰქონდა. ამასთან, მართალია, ცნობა-დახასიათებით მეორე და მესამე მესაკუთრის წილები გამიჯნული არ იყო, მაგრამ ფაქტობრივად მათ ცალ-ცალკე ჭიშკარი ჰქონდათ და შენობა გამოყოფილი იყო ერთმანეთისგან. შესაბამისად, მესამე პირს დამოუკიდებელი მოთხოვნით, რომელიც მეორე მესაკუთრის (გაუმიჯნავად) სახელზე რიცხული საცხოვრებელი სადგომის მოსარგებლის უფლებამონაცვლე იყო, მის მიერ დაკავებული უძრავი ქონება საკუთრებაში უსასყიდლოდ უნდა გადასცემოდა.

**14. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მოსარჩელემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილებით**

**სარჩელის სრულად დაკმაყოფილებისა და მესამე პირის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მოთხოვნით შემდეგ საფუძვლებზე მითითებით:**

14.1. აპელანტმა ყურადღება მესამე პირის მტკიცებაზე გაამახვილა, რომლის თანახმად, მისმა მეუღლემ სადავო სადგომი მეორე მესაკუთრისგან 1991 წელს შეიძინა. აპელანტის განმარტებით, მეორე მესაკუთრე ამ დროისათვის ცხრა წლის გარდაცვლილი იყო და, შესაბამისად, მესამე პირის მეუღლე სადგომს მესაკუთრისაგან ვერ შეიძინდა.

14.2. აპელანტის განმარტებით, სპეციალურ კანონი ზუსტად განსაზღვრავდა იმ გარემოებებს, რომლითაც უნდა დადასტურებულიყო საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის გარიგება, კერძოდ, საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგების არსებობა უნდა დადასტურებულიყო სადავო საცხოვრებელ სადგომში რეგისტრაციითა და კომუნალური გადასახადების გადახდით ან/და მესაკუთრისათვის საფასურის გადახდით. განსახილველ შემთხვევაში, აპელანტის მითითებით, არც მოსარჩელის და არც მესამე პირის მეუღლის მიერ საფასურის გადახდის ფაქტი არ დადასტურდა. ამასთან, არც დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მქონე მესამე პირი და არც მისი მეუღლე არასოდეს ყოფილან რეგისტრირებული სადავო სადგომში. მხოლოდ ცნობა იმის შესახებ, რომ მამკვიდრებელი რეგისტრირებული იყო თ-ის აბონენტად 1996 წლიდან, აპელანტის მოსაზრებით, არ იყო საკმარისი სადავო სადგომზე საკუთრების მოსაპოვებლად, მითუმეტეს, რომ კანონი მიუთითებდა არა აბონენტად რეგისტრაციაზე, არამედ კომუნალური გადასახადების გადახდაზე.

14.3. აპელანტის განმარტებით, გადანყვეტილებით მესამე პირს მეორე მესაკუთრის სახლთმფლობელობა გაუმიჯნავად მიეკუთვნა, რაც დაუშვებელი იყო. გადანყვეტილებაში ზუსტად უნდა ყოფილიყო მითითებული შენობის რა ნაწილი, რამდენი ოთახი და რა ფართი მიეკუთვნა მესამე პირს.

**15. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 30 მაისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადანყვეტილება.**

15.1 პალატამ შეაფასა საქმეში წარდგენილი მტკიცებულებები, მოწმეთა ჩვენებები, მხარეთა ახსნა-განმარტებები და სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, სამართლებრივი შეფასება და დასკვნა, რომ მესამე პირის მეუღლე სადავო მისამართზე მცხოვრები მოსარგებლე იყო, რომელმაც ეს უფლება საცხოვრებელი სადგომით

სარგებლობის უფლების დათმობის გარიგების საფუძველზე მიიღო.

15.2 ამასთან, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საცხოვრებელი სადგომის უმკვიდროდ მიჩნევისათვის აუცილებელ წინაპირობებზე: მოსარჩელე უნდა იყოს მოსარგებლე; საცხოვრებელი სადგომი შედიოდეს სამკვიდრო მასაში; მესაკუთრე იყოს გარდაცვლილი; არ უნდა არსებობდეს მემკვიდრე, რომელმაც სამკვიდრო მიიღო. სასამართლომ ამ წინაპირობების გათვალისწინებით, დადგენილად მიიჩნია, რომ სადავო ქონების თავდაპირველი მესაკუთრე გარდაცვლილი იყო, ხოლო სამკვიდრო ქონება არავის მიუღია, რაც მისი უმკვიდრო ქონებად მიჩნევის საფუძველი იყო, მესამე პირი დამოუკიდებელი მოთხოვნით კი, მეორე მესაკუთრის სახელზე რიცხული ქონების მოსარგებლის მემკვიდრე იყო.

15.3 სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ აპელანტიმა ვერ უზრუნველყო გასაჩივრებული გადაწყვეტილების საპირისპიროდ შესაბამისი, მტკიცებულებებით გამყარებული დასაბუთებული პრეტენზიის წარმოდგენა, რის გამოც სააპელაციო საჩივარი არ დააკმაყოფილა.

## **16. აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, შემდეგ გარემოებებზე მითითებით:**

16.1. კასატორის მტკიცებით, სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა, რომ, ვინაიდან და რადგანაც მოწინააღმდეგე მხარის მეუღლე 1996 წლიდან რეგისტრირებული იყო სს „თ-ის“ აბონენტად, ის სპეციალური კანონით განსაზღვრულ მოსარგებლეს წარმოადგენდა. კასატორის მოსაზრებით, მხოლოდ აბონენტად დარეგისტრირება არ ნიშნავს მოსარგებლეობას, არამედ ბინაში რეგისტრაცია და გადასახადების გადახდა განისაზღვრება მოსარგებლის სტატუსის დასადგენად კუმულაციურად აუცილებელი წინაპირობებად. გარდა ამისა, კასატორის მითითებით, სპეციალური კანონი 1996 წლის 27 ივნისამდე წარმოშობილ ურთიერთობას ანესრიგებს, საქმეში არსებული ცნობით კი არ დასტურდება, შესაბამისი წლის 27 ივნისამდე მოწინააღმდეგე მხარის მეუღლის აბონენტად რეგისტრაცია. ამავდროულად, კასატორი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სპეციალური კანონი მოსარგებლის სტატუსის მოპოვებას უკავშირებს არა ამა თუ იმ გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციას, არამედ კომუნალურის გადასახადების გადახდის ფაქტს. კასატორის განმარტებით, მესამე პირს დამოუკიდებელი მოთხოვნით ამ დავის ფარგლებში სასამართლოში არ წარმოუდგენია არც 1996 წლის 27 ივნისამდე და არც შემდგომი პერიოდის გადასახადის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.



16.2 კასატორმა სასამართლოს ყურადღება ამ დავის ფარგლებში მესამე პირის დამოუკიდებელი მოთხოვნით მტკიცებას მიაპყრო, რომლის თანახმად, მეორე მესაკუთრისაგან სახლთმფლობელობა მისმა მეუღლემ შეიძინა. შეძენის დროდ კი, მესამე პირი სამ სხვადასხვა თარიღს ასახელებს: 2014 წლის 3 თებერვლის ახსნა-განმარტებაში 1996 წელს, სარჩელში – 1980-იანი წლებს, სასამართლო პროცესზე კი – 1991 წელს. კასატორის განმარტებით, მესამე პირმა ზუსტად ვერ მიუთითა სადავო ქონების შეძენის თარიღი, თუკი ასეთს ჰქონდა ადგილი, ამასთან კასატორმა დასძინა, რომ 1991 წელს მესამე პირის მეუღლე სადავო ქონებას მესაკუთრისაგან ვერ შეიძინდა, ვინაიდან მეორე მესაკუთრე 1982 წელს გარდაიცვალა.

16.3. კასატორის მტკიცებით, სასამართლომ დაამახინჯა საქმეზე გამოკითხულ მონმეთა ჩვენებები და მონმეთა ჩვენებების საწინააღმდეგოდ, არარსებული ფაქტობრივი გარემოება დაადგინა. კასატორის მტკიცებით, საქმეზე დაკითხულმა მონმეებმა ცალსახად დაადასტურეს, რომ მონინააღმდეგე მხარის მეუღლეს არც ცალკე და არც მესამე პირთან ერთად სადავო ფართში არ უცხოვრობია. იგი სადავო მისამართთან ახლოს მშობლების სახლში ცხოვრობდა, დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით მესამე პირიც მშობლების სახლში, ... ქუჩა №55-ში ცხოვრობდა. სადავო ფართის გასაღები მუდმივად კასატორს ჰქონდა, შესაბამისად, მონინააღმდეგე მხარე და მისი მეუღლე მას კი არ უტოვებდნენ გასაღებს, როცა სხვაგან მიდიოდნენ, როგორც ეს სასამართლომ მიუთითა, არამედ, პირიქით კასატორისაგან თხოულობნენ დროებითი გამოყენების მიზნით.

17. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 21 ოქტომბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო საჩივარი დასაბუთებულია. შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და ახალი გადაწყვეტილების მიღებით მოსარჩელის სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს.

18. სსსკ-ის 393-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საკასაციო საჩივარი შეიძლება, ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სამართლის ნორმები დარღვეულად მიიჩნე-

ვა, თუ სასამართლომ: ა) არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა; ბ) გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა; გ) არასწორად განმარტა კანონი. მითითებული მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება, გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი. სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული.

19. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ კანონის 1<sup>1</sup> მუხლის „ა“ ქვეპუნქტი და მეორე მუხლის მეოთხე ნაწილი, შესაბამისად, არ გამოიკვლია ამ ნორმის სწორად გამოყენებისათვის აუცილებელი წინაპირობების არსებობა და იურიდიულად დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება მიიღო სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილებისა და დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირის სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე, რაც ამ გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

20. მოცემულ საქმეში, როგორც მოსარჩელის, ისე დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირის სასარჩელო მოთხოვნა, სადავო უძრავი ქონების უმკვიდროდ ცნობისა და მათ საკუთრებაში გადაცემის თაობაზე, ეფუძნება იმ გარემოებას, რომ ისინი საცხოვრებელი სადგომის მოსარგებლეები არიან, ხოლო მესაკუთრეები გარდაიცვალნენ და მათი სამკვიდრო არავის მიუღია.

21. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ წარდგენილ სასარჩელო მოთხოვნათა სამართლებრივი საფუძველი „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარეობს (საქმის განხილვის დროისთვის მოქმედი 25.06.1998 წლის რედაქცია), რომელიც აწესრიგებს საცხოვრებელი სადგომის მესაკუთრესა და მოსარგებლეს შორის 1921 წლის 25 თებერვლიდან 1996 წლის 27 ივნისამდე წარმოშობილ იმ ურთიერთობებს, რომლებიც სპეციალურ სამართლებრივ მონესრიგებას მოითხოვს.

22. წინამდებარე გადაწყვეტილების 1-6 პუნქტებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, მოსარჩელეთა მოთხოვნა ეფუძნება ხსენებული კანონის 1<sup>1</sup> მუხლის „ა“ ქვეპუნქტს (მოსარგებლე – პირი, რომელიც კანონის მიღების მომენტისთვის კეთილსინდისიერად ფაქტობრივად ფლობს საცხოვრებელ სადგომს მესაკუთრესთან სანოტარო ფორმის დაცვის გარეშე დადე-

ბული წერილობითი ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე ან მფლობელობის უფლება მიღებული აქვს საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგებით, ან ადმინისტრაციული აქტით), მეორე მუხლის მეოთხე პუნქტს (გარიგება საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ უნდა დასტურდებოდეს შემდეგი გარემოებებით: სადავო საცხოვრებელ სადგომში რეგისტრაცია და კომუნალური გადასახადების გადახდა ან/და მესაკუთრისთვის გარკვეული ოდენობის საფასურის გადახდა (გარდა ქირავნობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქირისა), ამავე მუხლის მე-12 პუნქტსა (თუ საცხოვრებელი სადგომის მესაკუთრე გარდაცვლილია და არც კანონით და არც ანდერძით მემკვიდრეები არ არიან, ან არცერთმა მემკვიდრემ არ მიიღო სამკვიდრო, ანდა ყველა მემკვიდრეს ჩამოერთვა მემკვიდრეობის უფლება (უმკვიდრო ქონება), მოსარგებლე უფლებამოსილია, კანონით დადგენილი წესით მოითხოვოს დაკავებული საცხოვრებელი სადგომის უმკვიდროდ ცნობა) და მეორე მუხლის მეცამეტე პუნქტს (ამ მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, უმკვიდროდ ცნობილი საცხოვრებელი სადგომი მოსარგებლეს უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაეცემა და საჯარო რეესტრში რეგისტრირდება სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე).

**23. მოხმობილი საკანონმდებლო მონესრიგების ფარგლებში სპეციალური კანონის ნორმატიული დანაწესიდან ერთმნიშვნელოვნად გამომდინარეობს, რომ ამ კანონის შესატყვისად საკუთრების უფლების წარმოშობის ალტერნატიული საფუძველებია:**

1. უძრავ ქონებაზე ფორმის დაუცველად დადებული წერილობითი ნასყიდობის ხელშეკრულება;

2. საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის დათმობის გარიგება, რომელიც თავის მხრივ უნდა დადასტურდეს საცხოვრებელ სადგომში რეგისტრაციითა და კომუნალური გადასახადების გადახდით, ან/და მესაკუთრისთვის გარკვეული საფასურის გადახდით;

3. ადმინისტრაციული აქტი.

დასახელებულ რომელიმე წინაპირობასთან თანმხვედრად, საცხოვრებელი სადგომზე, როგორც უმკვიდრო ქონებაზე საკუთრების უფლების წარმოშობისთვის აუცილებელია გამოირკვეს, რომ შესაბამისი საცხოვრებელი სადგომის მესაკუთრე გარდაცვლილია და მამკვიდრებელს არ ჰყავს მემკვიდრე, რომელმაც სამკვიდრო მიიღო.

**24. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელე და მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, სწორედ საცხოვრებელი სადგომის სარგებლობის დათმობის გარიგებაზე მითითე-**

## **ბით ცდილობენ უმკვიდრო საცხოვრებელ სადგომზე საკუთრების უფლების მოპოვებას.**

24.1. დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მქონე მესამე პირის მტკიცებით, მისმა მეუღლემ მეორე მესაკუთრესთან დადო გარიგება და სადავო სადგომის ნაწილით სარგებლობის უფლება თანხის გადახდის სანაცვლოდ მიიღო. საცხოვრებელი სადგომის მოსარგებლეობის დასადასტურებლად კი, მიუთითებს 1996 წლიდან მისი მეუღლის სს „თ-ის“ აბონენტად რეგისტრაციაზე და სადავო ქონების ფაქტობრივი დაუფლების/ფლობის ფაქტზე.

24.2. კასატორის ძირითადი პრეტენზია კი ისაა, რომ ამგვარი გარიგების დადების ფაქტი არც საცხოვრებელ სადგომში მესამე პირის მეუღლის რეგისტრაციითა და არც კომუნალური გადასახადების გადახდით არ დასტურდება. საკუთრივ კასატორი კი, 1988 წლიდან რეგისტრირებულია საცხოვრებელ სადგომში, აღრიცხულია გადასახადის გადამხდელად და იხდის კომუნალურ გადასახადებს.

25. საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის ამ საკასაციო პრეტენზიის არსს და განმარტავს, რომ საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის დათმობის გარიგებაზე მითითებით საცხოვრებელ სადგომზე საკუთრების უფლების მოპოვებისათვის კანონმა იმპერატიულად განსაზღვრა ორი წინაპირობის – საცხოვრებელ სადგომში რეგისტრაციისა და კომუნალური გადასახადების გადახდის დადასტურების აუცილებლობა, ანუ სასამართლოს მიერ პირისათვის შესაბამისი საფუძვლით მოსარგებლის სტატუსის მინიჭება მხოლოდ კანონის მითითებული წინაპირობების დაკმაყოფილებით/შესრულებით მიიღწევა. საკასაციო პალატა დავის გადანყვეტის მიზნებისთვის, ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ საქმის განხილვის არც ერთ ეტაპზე მოწინააღმდეგე მხარეს კომუნალური გადასახადების გადახდის ქვითრები სასამართლოსათვის არ წარუდგენია. ამასთან, დადგენილია, რომ არც დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მქონე მესამე პირი და არც მისი მეუღლე სადავო ბინაში რეგისტრირებული არ ყოფილან. მითითებულ ფაქტს არც თავად მესამე პირი არ ხდის სადავოდ, თუმცა ამტკიცებს, რომ მისი მეუღლის მოსარგებლეობის ფაქტი დასტურდება ამ უკანასკნელის სს „თ-ის“ აბონენტად 1996 წელს რეგისტრაციით. გარდა ამისა, იგი მიუთითებს ისეთ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლითაც მის მიერ სადავო საცხოვრებელი სადგომის ფლობის დადასტურებას ცდილობს (გაქირავებული აქვს საცხოვრებელი სადგომი).

26. პალატა განმარტავს, რომ, ჯერ ერთი, მხოლოდ გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენ-

ტის წარმოდგენა არ ადასტურებს მოსარგებლის სტატუსის მოსურნე პირის მიერ გადასახადების უცილობლად გადახდის ფაქტს, თუმცა იმ შემთხვევაშიც კი, თუ შესაბამისი დოკუმენტის საფუძველზე მივიჩნევდით, რომ მესამე პირის მეუღლე იხდიდა საცხოვრებელი სადგომის გადასახადებს, მხოლოდ ეს ფაქტი, საცხოვრებელ სადგომში რეგისტრაციის გარეშე, არ არის საკმარისი სადავო საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის დათმობის გარიგების დასადასტურებლად. საცხოვრებელი სადგომის ფლობის ფაქტზე აპელირება კი, არ ქმნის მესამე პირის სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველს და სცდება სპეციალური კანონით განსაზღვრულ სამტკიცებელი გარემოებების სამართლებრივ წრეს. პალატის განსჯით, სადავო საცხოვრებელი სადგომის ფლობის ფაქტი მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის საკმარისი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ მესამე პირი დამოუკიდებელი მოთხოვნით დაადასტურებდა მის მეუღლესა და მეორე მესაკუთრეს შორის საცხოვრებელი სადგომის სანოტარო ფორმის დაცვის გარეშე დადებული წერილობითი ნასყიდობის ხელშეკრულების არსებობას, თუმცა ამ დავის ფარგლებში ნასყიდობის ხელშეკრულების დადების დამდგენი გარემოება არ გამოვლენილა. ამასთან, მართალია, მესამე პირმა დამოუკიდებელი მოთხოვნით მიუთითა მეორე მესაკუთრისათვის საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის დათმობის სანაცვლოდ საფასურის გადახდაზე, თუმცა ამ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულებები მხარეს სასამართლოსთვის არ წარუდგენია.

27. სსსკ-ის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძველად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. ამავე კოდექსის 102-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილების მიხედვით, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს; საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით.

28. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ამა თუ იმ ურთიერთობის სამართლებრივი შეფასებისათვის უნდა დადგინდეს მატერიალური სამართლის ნორმით გათვალისწინებული გარკვეული იურიდიული ფაქტების უტყუარად არსებობა, რაც შესაძლებელია

მხოლოდ შესაბამისი მტკიცებულებებით. საკასაციო პალატა კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ სადავო გარიგების დადების ფაქტობრივი გარემოების დამადასტურებელი სათანადო მტკიცებულება მხოლოდ ის იქნებოდა, რომელიც მონინალმდეგე მხარის მეუღლის სადავო ბინაში რეგისტრაციისა და კომუნალური გადასახადების გადახდის ფაქტებს დაადასტურებდა. შესაბამისად, პალატას მიაჩნია, რომ საკასაციო პრეტენზია არგუმენტირებული და საფუძვლიანია, ვინაიდან დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მქონე მესამე პირის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად არ ამართლებს მის სასარჩელო მოთხოვნას სადავო უძრავი ქონების მესაკუთრედ ცნობის თაობაზე. საკასაციო პალატის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს მხოლოდ სადავო უძრავი ქონების ფაქტობრივი ფლობისა და სს „თ-ის“ აბონენტად რეგისტრაციის ფაქტის დადგენით არ უნდა გამოეყენებინა მოთხოვნის ნამდვილობის შესახებ.

29. საკასაციო პალატას მიზანშეწონილად მიჩნია აქვე მოიხმოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა, რომლის თანახმად, „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ კანონის მიზნებისათვის მოსარგებლედ მიიჩნევა მხოლოდ ის პირი, რომელსაც მესაკუთრემ „დაუთმო“ საცხოვრებელი სადგომი. ამასთან, ამგვარი „დათმობა“ უნდა დასტურდებოდეს ან წერილობითი ფორმით დადებული გარიგებით ან ისეთი ფაქტობრივი გარემოებებით, რომლებიც სარწმუნოდ მიუთითებს საცხოვრებელი სადგომის დათმობაზე. სადავო საცხოვრებელ სადგომში რეგისტრაცია, კომუნალური გადასახადების გადახდა, მესაკუთრისათვის გარკვეული საფასურის გადახდა, წარმოადგენს იმ ფაქტებს, რომლითაც უნდა დასტურდებოდეს საცხოვრებელი სადგომის დათმობის ფაქტი. ამასთან, დანაწესი იმპერატიული შინაარსისაა და ადგენს, რომ რეგისტრაცია და კომუნალური გადასახადების გადახდის ფაქტი ერთად უნდა არსებობდეს, რათა სასამართლომ საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგება დაადგინოს (ას-347-332-2016, 30 ივნისი, 2016 წელი; ას-772-733-2013, 27 იანვარი, 2014 წელი; ას-695-651-2010, 10 მარტი, 2011 წელი).

30. ამრიგად, რადგანაც მესამე პირმა სათანადო და დასაშვები მტკიცებულებებით ვერ დაამტკიცა, რომ თავისი მეუღლე სადავო საცხოვრებელი სადგომის მოსარგებლე იყო, მისი მოთხოვნა, ქონების მესაკუთრედ ცნობის თაობაზე, უსაფუძვლოა.

31. რაც შეეხება კასატორს, საქმის მასალებით დადგენილია, რომ იგი სადავო საცხოვრებელ სადგომში რეგისტრირებულია, დადგენილია მის მიერ კომუნალური გადასახადების გადახდის ფაქ-

ტიც. შესაბამისად, საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგების არსებობა მოსარჩელემ სათანადო წესით დაამტკიცა, რის გამოც, პალატას მიაჩნია, რომ მოსარჩელე მესაკუთრეთა სახელზე რიცხული საცხოვრებელი სადგომის მოსარგებლეა. ამასთან, სამივე მესაკუთრე გარდაცვლილია. სააპელაციო სასამართლომ სათანადო წესით გამოიკვლია ქონების უმკვიდროდ ცნობის წინაპირობები და დაადგინა, რომ არც ანდერძისმიერ და არც კანონისმიერ მემკვიდრეებს სამკვიდრო არ მიუღიათ. ამდენად, სადავო უძრავი ქონების კასატორის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის ყველა წინაპირობა დაცულია.

32. სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თავად მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე, კერძოდ, პალატას მიაჩნია, რომ მოსარჩელის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 30 მაისის განჩინება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდეს, ხოლო დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 7.2, 257.1, 264.3, 411-ე მუხლებით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:**

1. მ. ე-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 30 მაისის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. მ. ე-ძის სარჩელი დაკმაყოფილდეს;
2. უმკვიდროდ იქნეს ცნობილი მ. ე-ძის მიერ დაკავებული საცხოვრებელი სადგომი – თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის

ტექნიკური აღრიცხვის არქივის ცნობა-დახასიათებით ა. ს-ისა (იგივე ა. ს-ისა) და ს. კ-ის (იგივე ს. კ-ის) სახელზე რიცხული უძრავი ქონება – მდებარე ქ. თბილისი, ... ქ.№73, ლიტერი „ა“ – 24.20 კვ.მ, ლიტერი „ბ“ – 29.76 კვ.მ, ლიტერი „ვ“ – 37.28 კვ.მ, ლიტერი „ბ-ზ-დ-ს-ც“ – 51 კვ.მ და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ცნობა-დახასიათებით ტ. შ-ის (იგივე ტ.შ-ის) სახელზე რიცხული უძრავი ქონება – მდებარე ქ. თბილისი, ... ქ.№73, ლიტერი „ა“ – 20.64 კვ.მ, ლიტერი „ბ“ – 24.02 კვ.მ.

3. უმკვიდროდ ცნობილი საცხოვრებელი სადგომი – თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის ტექნიკური აღრიცხვის არქივის ცნობა-დახასიათებით ა. ს-ისა (იგივე ა. ს-ისა) და ს. კ-ის (იგივე ს. კ-ის) სახელზე რიცხული უძრავი ქონება – მდებარე ქ. თბილისი, ... ქ.№73, ლიტერი „ა“ – 24.20 კვ.მ, ლიტერი „ბ“ – 29.76 კვ.მ, ლიტერი „ვ“ – 37.28 კვ.მ, ლიტერი „ბ-ზ-დ-ს-ც“ – 51 კვ.მ და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ცნობა-დახასიათებით ტ. შ-ის (იგივე ტ. შ-ის) სახელზე რიცხული უძრავი ქონება – მდებარე ქ. თბილისი, ... ქ.№73, ლიტერი „ა“ – 20.64 კვ.მ, ლიტერი „ბ“ – 24.02 კვ.მ, უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაეცეს მ. ე-ძეს და ეს უკანასკნელი საჯარო რეესტრში დარეგისტრირდეს მითითებული უძრავი ქონების მესაკუთრედ;

4. დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირის – გ. მ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;

5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.



**საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას  
წარმოშობილი ურთიერთობები**

**გადაწყვეტილება  
საქართველოს სახელით**

№ას-8-8-2018

27 ნოემბერი, 2019 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა**

**შემადგენლობა: ნ. ბაქაქუერი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
ბ. ალავიძე**

**დავის საგანი:** უძრავ ნივთზე მფლობელობის შეწყვეტა და და-  
კავებული ფართის განთავისუფლება

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. ა. ო-ნს (შემდგომში – „მოსარჩელე“ ან „მესაკუთრე“), როგორც მესაკუთრეს, და ო. მ-ს (შემდგომში – „მოპასუხე“, „კასატორი“ ან „მოსარგებლე“), როგორც მოსარგებლეს, შორის არსებობს საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობა.

2. მოპასუხეს საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლებების დათმობის შესახებ გარიგების საფუძველზე, როგორც მოსარგებლეს, დაკავებული აქვს ქ. თბილისში, ... (ყოფ. ...) ქ. №5-ში მდებარე 86,82 კვ.მ. საცხოვრებელი სადგომი, რომლის საბაზრო ღირებულებაც შეადგენს 43 237 აშშ დოლარს.

3. 2014 წლის 10 ოქტომბერს მოსარჩელემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხის მიმართ და მოითხოვა ქ. თბილისში, ... (ყოფილი ...) ქ. №5-ში მდებარე, მოსარჩელის საკუთრებაში არსებულ 48 კვ.მ. საცხოვრებელ სადგომზე მფლობელობის შეწყვეტა მოსარგებლისთვის სადგომის საბაზრო ღირებულების 75%-ის გადახდით და აღნიშნული სადგომის გამოთავისუფლებულ მდგომარეობაში გადაცემა.

4. მოპასუხემ წარდგინილი შესაგებლით სარჩელი ნაწილობრივ ცნო და მიუთითა, რომ თანახმაა შეუწყდეს მფლობელობა, თუ მოსარჩელე გადაუხდის მის სარგებლობაში არსებული საცხოვრებელი სადგომის, ფართით 86,82 კვ.მ., საბაზრო ღირებულების 75%-ს.

5. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 24 დეკემბრის საოქმო განჩინებით საქმეში მოპასუხის მხარეს მესამე პირებად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე ჩაერთვნენ გ. ხ-ი, ე. გ-ი და ლ. მ-ძე.

6. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, მესაკუთრისა და მოსარგებლის ერთდროული მოთხოვნის არსებობისას უპირატესობა ენიჭება მესაკუთრის უფლებას იმ შემთხვევაში, თუ მესაკუთრე სრულად აუნაზღაურებს მოსარგებლეს მის მიერ დაკავებული სადგომის საბაზრო ღირებულებას. ვინაიდან მოსარჩელე არ იყო თანახმა სრულად აუნაზღაურებინა მოპასუხისთვის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულება, სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

7. საქალაქო სასამართლომ გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

8. 2017 წლის 30 მარტს თბილისის სააპელაციო სასამართლომ შუამდგომლობით მიმართა მოპასუხემ და მოითხოვა „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ 2016 წლის 24 ივნისის კანონის თანახმად, ... ქ. №5-ში (ყოფილი ... ქ. №5-ში) მდებარე საცხოვრებელი ფართის გამოსყიდვა მესაკუთრისთვის აღნიშნული სადგომის ღირებულების 25%-ის გადახდის სანაცვლოდ.

9. თბილისის სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით დაზუსტებული სარჩელი დაკმაყოფილდა; დადგინდა, რომ ნოტარიუს მ. გ-ის სადეპოზიტო ანგარიშზე მოსარჩელის მიერ დეპონირებული თანხა – 32 427,75 აშშ დოლარი გადაეცეს მოპასუხეს, ასევე, შეწყდეს მოპასუხის მფლობელობა ქ. თბილისში, ... ქ. №5-ში (ყოფილი ... ქ. №5-ში) მდებარე, მოსარჩელის საკუთრებაში არსებულ 86,82 კვ.მ. ფართზე (ს/კ №...) და საცხოვრებელი სადგომი მოსარჩელეს გადაეცეს გამოთავისუფლებულ მდგომარეობაში.

10. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია წინამდებარე გადაწყვეტილების პირველ და მეორე პუნქტებში ასახული ფაქტობრივი გარემოებები.

11. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მესაკუთრემ სააპელაციო სასამართლოში დააზუსტა (შეამცირა) სასარჩელო მოთხოვნა (ითხოვდა 48 კვ.მ. (და არა 86,82 კვ.მ.) საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულების 75%-ის კომპენსაციის სანაცვლოდ მოპასუხის მფლობელობის შეწყვეტას) და საბოლოოდ მოითხოვა მოსარგებლის მიერ დაკავებულ 86,82 კვ.მ. საცხოვრებელ სადგომ-

ზე მფლობელობის შეწყვეტა მისი საბაზრო ღირებულების 75%-ის – 32 427,75 აშშ დოლარის (43 237-ის 75%=32 427,75) გადახდის სანაცვლოდ. ამასთან, სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ მოსარჩელემ (მესაკუთრემ) მოპასუხის სასარგებლოდ მოახდინა კომპენსაციის (საბაზრო ღირებულების 75%-ის) 32 427,75 აშშ დოლარის დეპონირება ნოტარიუსის შესაბამის ანგარიშზე ამ თანხის განთავსებით.

12. სააპელაციო პალატის მითითებით, სააპელაციო ინსტანციაში მოცემული დავის განხილვისას შეიცვალა საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმები და ახალი კანონის პირობებში საცხოვრებელ სადგომზე არანაკლებ 30-წლიანი უწყვეტი მფლობელობის მქონე მოსარგებლე აღიჭურვა საცხოვრებელი სადგომის გამოსყიდვის უფლებით (იხ. 2016 წლის 24 ივნისის კანონის მე-5 მუხლი). შესაბამისად, მხარეთა შორის სადავო გახდა „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ ახალი კანონით გათვალისწინებული, მოსარგებლის მიერ საცხოვრებელი სადგომის გამოსყიდვის უფლების უპირატესობის საკითხი, რაც მოპასუხის (მოსარგებლის) მტკიცებით, გამორიცხავდა მესაკუთრის მიერ 1998 წლის 25 ივნისის კანონის მოქმედებისას დაყენებული მფლობელობის შეწყვეტის შესახებ სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას. კერძოდ, იმ უდავო ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით, რომ მოპასუხე 30 წელზე მეტი ვადით (1975 წლიდან) ფლობდა დასახელებულ საცხოვრებელ სადგომს, კანონით გათვალისწინებული ახალი რეგულაციების პირობებში, მოპასუხის განმარტებით, მას გააჩნდა უპირატესი უფლება საცხოვრებელი სადგომის გამოსყიდვის უფლების სახით და მესაკუთრის მოთხოვნა საცხოვრებელ სადგომზე მფლობელობის შეწყვეტის შესახებ არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

13. სააპელაციო პალატის განმარტებით, იმ საკითხზე პასუხს, რომელი კანონით (1998 წლის 25 ივნისის კანონით თუ 2016 წლის 24 ივნისის კანონით) გათვალისწინებული რეგულაციები უნდა იქნეს გამოყენებული „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ 2016 წლის 24 ივნისის კანონის ამოქმედებამდე დაწყებული და ჯერ კიდევ დაუმთავრებელი დავების მიმართ, არ იძლევა 2016 წლის 24 ივნისის კანონი, რომელიც არ შეიცავს გარდამავალ დებულებებს ამ საკითხებთან დაკავშირებით. სასამართლოს მოსაზრებით, საგულისხმოა, რომ ძველი კანონით დადგენილ რეგულაციებთან შედარებით, ახალი რეგულაციებით კონკრეტულ შემთხვევაში გაუარესებულია მესაკუთრის მდგომარეობა (იხ. ძველი კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი;

შეადარე ახალი კანონის მე-5 მუხლით, ასევე მე-7 მუხლით გათვალისწინებულ რეგულაციებს). სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სსკ-ის მე-6 მუხლის მე-2 წინადადებაზე, რომლის თანახმად, კანონს არ შეიძლება მიეცეს უკუქცევითი ძალა, თუ იგი ზიანის მომტანია ან აუარესებს პირის მდგომარეობას.

14. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში, რამდენადაც მესაკუთრემ გამოიყენა 1998 წლის 25 ივნისის კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი უფლება და სარჩელით (სარჩელი სასამართლოს წარმოებაშია 2014 წლის 10 ოქტომბრიდან) მოითხოვა კომპენსაციის გადახდის სანაცვლოდ დასახელებულ საცხოვრებელ სადგომზე მოსარგებლის მფლობელობის უფლების შეწყვეტა, მესაკუთრემ განახორციელა კანონით მისთვის მინიჭებული უფლების რეალიზება და მისი ეს უფლება არ შეიძლება შეზღუდულიყო ახალი კანონის მიღებით ამოქმედებული რეგულაციებით, რომლებიც აუარესებს მესაკუთრის მდგომარეობას (სასამართლოს მხედველობაში ჰქონდა 2016 წლის 24 ივნისის კანონის მე-5 და მე-7 მუხლებით გათვალისწინებული რეგულაციები). მართალია, ახალი 2016 წლის 24 ივნისის კანონით ძალადაკარგულად გამოცხადდა 1998 წლის 25 ივნისის კანონი, თუმცა, ვინაიდან მესაკუთრემ ამ კანონის გაუქმებამდე ბევრად ადრე მოახდინა მისი უფლების რეალიზება და შესაბამისი მოთხოვნით უკვე მიმართული ჰქონდა სასამართლოსთვის, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მესაკუთრის მიერ ძველი კანონით მინიჭებული (იხ. კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი), უკვე რეალიზებული უფლების უგულვებელყოფა და მესაკუთრის ამ უფლების შეზღუდვა 2016 წლის 24 ივნისის კანონით დადგენილი ახალი რეგულაციებით დაუშვებელი იყო. შესაბამისად, მოსარჩელის მიერ კომპენსაციის გადახდის სანაცვლოდ საცხოვრებელ სადგომზე მფლობელობის შეწყვეტის შესახებ დაყენებული სარჩელის დამაბრკოლებელ გარემოებად ვერ იქნებოდა განხილული ის მოცემულობა, რომ მოპასუხე არანაკლებ 30 წლის განმავლობაში უწყვეტად ფლობდა დასახელებულ საცხოვრებელ სადგომს.

15. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

#### **16. საკასაციო საჩივარი ემყარება შემდეგ საფუძვლებს:**

16.1. სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა. კერძოდ, სასამართლომ იხელმძღვანელა ძალადაკარგული კანონით და საქმის გადაწყვეტისათვის გამოიყენა არა

ახალი, 2016 წლის 24 ივნისის საქართველოს კანონი „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“, არამედ – 1998 წლის 25 ივნისის საქართველოს კანონი „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“, რომელიც ახალმა კანონმა ძალადაკარგულად გამოაცხადა;

16.2. სასამართლოს განმარტება არის დაუსაბუთებელი და საფუძველს მოკლებული, რადგან, მართალია, 2016 წლის 24 ივნისის კანონი არ შეიცავს გარდამავალ დებულებებს და პირდაპირ არ არეგულირებს მსგავს სიტუაციას, რაც არის კანონმდებლის მიერ დამკვეთი შეცდომა და საჭიროებს გამოსწორებას, თუმცა, აღნიშნული კანონი ძალადაკარგულად აცხადებს ძველ კანონს. აქედან გამომდინარე, მოქმედებს ახალი კანონი და სასამართლომ საქმე უნდა განიხილოს ახალი კანონის საფუძველზე. არ უნდა მოხდეს მოსარგებლის უფლებების დარღვევა და მისი უფლებების სრულად იგნორირება, რაც გააკეთა სააპელაციო სასამართლომ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სამოქალაქო საქმეების წარმოება ხორციელდება საპროცესო კანონმდებლობით, რომლებიც მოქმედებს საქმის განხილვის, ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების ან სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების დროს. სამართლის ანალოგიის გამოყენების შემთხვევაში, ეს წესი მოქმედებს როგორც საპროცესო კანონმდებლობის, ასევე – მატერიალური კანონის გამოყენების დროს. ასევე, სამოქალაქო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ერთი და იმავე დონის სამართლის ნორმათა კოლიზიის დროს გამოიყენება სპეციალური და უფრო ახალი კანონი. სამოქალაქო კოდექსი ნორმათა კოლიზიის დროსაც კი უფრო ახალი კანონის გამოყენების რეგულაციას იძლევა, მით უმეტეს, როცა ძველი კანონი ძალადაკარგულადაა გამოცხადებული. გარდა ამისა, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, ძალადაკარგულად გამოცხადება ნიშნავს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეწყვეტას მისი ძალადაკარგულად გამოცხადების დღიდან. მართალია, ამავე კოდექსის ამავე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება არ იწვევს ძალადაკარგულად გამოცხადებამდე წარმოშობილი სამართლებრივი შედეგის გაუქმებას, მაგრამ საგულისხმოა, რომ მოსარჩელემ ძველი კანონის მოქმედების ფარგლებში განახორციელა მხოლოდ ის ქმედება, რომ მოპასუხეს შესთავაზა არა მის მიერ დაკავებული ფართის (86,82 კვ.მ.) შესაბამისი თანხა, არამედ – მხოლოდ 48 კვ.მ.-ის 75%. ამის გამო არ დაკმაყოფილდა მისი სასარჩელო მოთხოვნე-

ბი, ამავეს ითხოვდა იგი სააპელაციო სასამართლოში და მოპასუხის მიერ დაკავებული ფართი აღიარა და, შესაბამისად, თანხა გაზარდა მხოლოდ მაშინ, როდესაც კანონი შეიცვალა. ფაქტიურად, პირველი ინსტანციის სასამართლოში მას მის მიერ გამოყენებულ უფლებაზე, რაც ჰქონდა ახალი კანონის ძალაში შესვლამდე, უარი ჰქონდა მიღებული. ახალი კანონი ძალაში შევიდა 2016 წლის 24 ივნისს, ხოლო მოსარჩელემ თავისი მოთხოვნა ფასის გაზრდასთან დაკავშირებით გააჟღერა 2017 წლის 7 ნოემბრის სასამართლო სხდომაზე ანუ მას შემდეგ, რაც ახალი კანონი ამოქმედდა და მოპასუხემ მოითხოვა ახალი კანონის თანახმად საქმის გადაწყვეტა;

16.3. გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა მოპასუხის 2017 წლის 30 მარტის შუამდგომლობაზე და არ გადაწყვიტა მისი დაკმაყოფილება/არდაკმაყოფილების საკითხი. სააპელაციო სასამართლოს შუამდგომლობა რომ განეხილა და შესაბამისი განჩინება მიეღო, შესაძლებელია მხარეებს მოთხოვნები შეეცვალათ და კიდევ მორიგებულიყვნენ (იხ. 2017 წლის 7 ნოემბრის სააპელაციო სასამართლოს სხდომის ჩანაწერი).

17. 2018 წლის 22 იანვარს საქართველოს უზენაეს სასამართლოს განცხადებით მომართა კასატორმა, რომელშიც მიუთითა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარეობდა საქმისწარმოება კასატორს, მისი ოჯახის წევრებსა და მოსარჩელეს შორის იმავე დავის საგანზე ახალი კანონის შესაბამისად. ვინაიდან, მისი განმარტებით, აღნიშნული დავის გადაწყვეტამდე შეუძლებელია საქმის განხილვა, ითხოვა საქმისწარმოების შეჩერება თბილისის საქალაქო სასამართლოში საქმის გადაწყვეტამდე და ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

18. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 24 დეკემბრის განჩინებით მოპასუხის საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი, სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

19. საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლის, საქმის წარმოების შეჩერების შესახებ შუამდგომლობის განხილვისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მოპასუხის შუამდგომლობა საქმის წარმოების შეჩერების თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო მოპასუხის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს.

20. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმის წარმოების შეჩერების თაობაზე კასატორის შუამდგომლობა უსაფუძვლოა, ვინაი-

დან სახეზე არ არის სსსკ-ის 279-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა [სასამართლო ვალდებულია შეაჩეროს საქმის წარმოება, თუ საქმის განხილვა შეუძლებელია სხვა საქმის გადაწყვეტამდე, რომელიც განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართლის ან ადმინისტრაციული წესით]. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქმის წარმოების შეჩერების ვალდებულება პირდაპირ კავშირშია ისეთ საპროცესო ინსტიტუტთან, როგორცაა მტყიცების ტვირთი და ემსახურება ფაქტების დამტკიცების ვალდებულებისაგან მხარეთა გათავისუფლების მიზანს, სამართალწარმოების ერთ-ერთი პრინციპის – საპროცესო ეკონომიის – რეალიზაციის უზრუნველყოფას, რაც თავის მხრივ, ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელების წინაპირობაა. სხვა სამართალწარმოებით (წარმოებით) საქმის განხილვისას, სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების დადგენა, რაც შემთხვევაში შეუძლებელს ხდის კონკრეტული საქმის განხილვას, რამდენადაც ფაქტები, რომლებიც უნდა დადგინდეს სამოქალაქო ან ადმინისტრაციული წესით განხილვისას, ვერ იქნება გამოკვეთილი, შეფასებული და დადგენილი კონკრეტული საქმის წარმოებისას, ამავდროულად, ამ ფაქტების დადგენამდე შეუძლებელი უნდა იყოს მოცემული საქმის განხილვა (იხ. სუსგ №ას-857-857-2018, 25 ივლისი, 2018 წელი). ამდენად, სხვა სამოქალაქო და ადმინისტრაციული დავის განხილვამდე საქმის წარმოების შეჩერება დაკავშირებულია მითითებულ საქმეზე გამოსაკვლევი იდენტური ფაქტობრივი გარემოებების დადგენასა და არა ფაქტების სამართლებრივ შეფასებასთან (იხ. სუსგ №ას-1062-1002-2015, 27 აპრილი, 2016 წელი).

21. კასატორი საქმის წარმოების შეჩერების საფუძვლად უთითებს იმაზე, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარეობს საქმისწარმოება კასატორს, მისი ოჯახის წევრებსა და მოსარჩელეს შორის იმავე დავის საგანზე ახალი კანონის შესაბამისად. თუმცა, საქმის წარმოების შეჩერების თაობაზე შუამდგომლობა არ შეიცავს დასაბუთებას, თუ რა გარემოება უნდა დადგინდეს საქალაქო სასამართლოში მიმდინარე დავაზე, რის გარეშეც შეუძლებელია მოცემული საქმის გადაწყვეტა. შესაბამისად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორის შუამდგომლობა საქმის წარმოების შეჩერების თაობაზე დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

22. საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში [სსსკ-ის 404.1 მუხლის პირველი წინადადება]. საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედ-

ველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები. სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება) [სსსკ-ის 407-ე მუხლი].

23. განსახილველ შემთხვევაში საკასაციო საჩივარი არ შეიცავს პრეტენზიას სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით. კასატორი უთითებს მხოლოდ მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების დარღვევაზე, კერძოდ, კანონის არასწორ გამოყენებაზე [სსსკ-ის 393-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილები: საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. სამართლის ნორმები დარღვეულად ითვლება, თუ სასამართლომ: ა) არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა; ბ) გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა; გ) არასწორად განმარტა კანონი].

24. საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის პრეტენზიას, რომ სააპელაციო სასამართლოს მხარეთა შორის არსებული დავა უნდა გადაეწყვიტა „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 24 ივნისის კანონის საფუძველზე და დავის მოსაწესრიგებლად არ უნდა გამოეყენებინა „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს 1998 წლის 25 ივნისის კანონი.

25. დადგენილია, რომ მოსარჩელეს, როგორც მესაკუთრესა, და მოპასუხეს, როგორც მოსარგებლეს, შორის არსებობს საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობა. მოპასუხეს საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგების საფუძველზე, როგორც მოსარგებლეს, დაკავებული აქვს ქ. თბილისში, ... (ყოფ. ...) ქ. №5-ში მდებარე 86,82 კვ.მ. საცხოვრებელი სადგომი, რომლის საბაზრო ღირებულებაც შეადგენს 43 237 აშშ დოლარს. (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების პირველი, მე-2 და მე-10 პუნქტები). სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია ის გარემოებაც, რომ მოპასუხე 30 წელზე მეტი ვადით (1975 წლიდან) უწყვეტად ფლობს საცხოვრებელ სადგომს (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების მე-12 და მე-14 პუნქტები).

26. საკასაციო პალატა მხარეთა შორის წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობის თაობაზე განმარტავს, რომ გარიგება საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ თავისი შინაარსით ატიპურ სახელმწიქრულებო ურთიერთო-



ბას წარმოადგენდა და იგი საბჭოთა სინამდვილეში ფაქტობრივი ქონებრივი ურთიერთობის სახით არსებობდა. რადგანაც იმ დროს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით ქ. თბილისში უძრავი ქონების შექმნა მხოლოდ დედაქალაქში ჩანერილ პირებს შეეძლოთ, ქვეყნის სხვა რეგიონებიდან ჩამოსულ პირებთან კანონის გვერდის ავლის მიზნით იღებოდა ამ ტიპის გარიგებები. ეს სახელშეკრულებო ურთიერთობები შეიცავდა სხვადასხვა გარიგების ნიშნებს (ქირავნობა, სესხი, გირავნობა) და ფაქტიურად მხარეთა შორის არსებული ნამდვილი ურთიერთობა იფარებოდა. კერძოდ, მოსარგებლე მესაკუთრეს ერთჯერადად უხდიდა გარკვეულ თანხას ფართის სარგებლობაში მიღების სანაცვლოდ, ამასთან – ყოველთვიურად ბინის ქირასაც; მოსარგებლე რეგისტრირდებოდა საცხოვრებელ ფართში და იხდიდა კომუნალურ გადასახადებს; მესაკუთრის მიერ თანხის დაბრუნების შემთხვევაში მოსარგებლე ვალდებული იყო, გამოეთავისუფლებინა დაკავებული ფართი, თუმცა ხშირ შემთხვევებში, მესაკუთრე თანხას ვერ აბრუნებდა, ურთიერთობა ხანგრძლივ ხასიათს იღებდა და უფლება მემკვიდრეებზე გადადიოდა; მესაკუთრის მიერ საცხოვრებელი სადგომის მფლობელობის უფლება მოსარგებლეს ფაქტობრივად გადაეცემოდა „სამუდამოდ“, ანუ ურთიერთობა არ იყო დროებითი (ხანმოკლე); ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მოსარგებლე იძენდა დათმობილი სარგებლობის უფლების გასხვისების შესაძლებლობასაც, რაც მოსარგებლეთა შეცვლას იწვევდა. ამ სპეციფიკური ნიშნებიდან გამომდინარე, ხელშეკრულების სუბიექტთა სამართლებრივი მდგომარეობის მონესრიგება მსგავსი ხელშეკრულებების (ქირავნობა, სესხი, გირავნობა) ნორმებით შეუძლებელი იყო და კანონმდებელმაც სპეციალურ კანონს დაუქვემდებარა. ამასთან, ამ კანონით წესრიგდება მხოლოდ ის ურთიერთობები, რომლებიც ზემოთ დასახელებულ ნიშნებს უტყუარად შეიცავს, შესაძლებელია, ეს ნიშნები არსებობდეს კუმულაციურადაც ან მხოლოდ ზოგიერთი მათგანის სახითაც.

27. განსახილველ შემთხვევაში მესაკუთრის სარჩელი აღძრულია 2014 წლის 10 ოქტომბერს, რომლითაც იგი ითხოვდა ქ. თბილისში, ... (ყოფილი ...) ქ. №5-ში მდებარე, მოსარჩელის საკუთრებაში არსებულ 48 კვ.მ. საცხოვრებელ სადგომზე მფლობელობის შეწყვეტას მოსარგებლისთვის სადგომის საბაზრო ღირებულების 75%-ის გადახდით და აღნიშნული სადგომის გამოთავისუფლებულ მდგომარეობაში გადაცემას სარჩელის შეტანის დროს მოქმედი „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს 1998 წლის 25 ივნისის კანონის საფუძველზე [აღნიშნული კანონის 2.3 მუხლი: თუ მხარეებს შორის არსებობს გარიგება საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების

დათმობის შესახებ, მესაკუთრეს უფლება აქვს მოსარგებლეს მოს-  
თხოვოს საცხოვრებელი სადგომის მფლობელობის შეწყვეტა, მხო-  
ლოდ მოსარგებლისთვის (ან თავდაპირველი მოსარგებლის უფლე-  
ბამონაცვლისთვის) დაკავებული საცხოვრებელი სადგომის საბაზ-  
რო ღირებულების 75%-ის გადახდის შემთხვევაში]. თუმცა, აღნიშ-  
ნული საქმის სააპელაციო ინსტანციაში განხილვის ეტაპზე (თბი-  
ლისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის  
მიერ მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი განსახილველად მიღე-  
ბულია 2015 წლის 16 აპრილს)) შეიცვალა საკანონმდებლო აქტი და  
საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთი-  
ერთობები ახლებურად მოანესრიგა 2016 წლის 24 ივნისის მიღებულ-  
მა ახალმა კანონმა, რომლითაც ძალადაკარგულად გამოცხადდა  
„საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთი-  
ერთობების შესახებ“ საქართველოს 1998 წლის 25 ივნისის კანონი  
[„საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთი-  
ერთობების შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 24 ივნისის კანო-  
ნის 11.1 მუხლი: ამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგუ-  
ლად გამოცხადდეს „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას  
წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს 1998 წლის  
25 ივნისის კანონი (პარლამენტის უწყებანი, №25-26, 15.07.1998,  
გვ. 11)]. ახალი კანონი ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე [„საცხოვ-  
რებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობე-  
ბის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 24 ივნისის კანონის 11.2  
მუხლი: ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე] ანუ 2016  
წლის 18 ივლისს და სწორედ აღნიშნული დღიდან ძალადაკარგუ-  
ლია „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურ-  
თიერთობების შესახებ“ საქართველოს 1998 წლის 25 ივნისის კა-  
ნონი [„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული  
კანონის 25.1 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი: ნორმატიული აქტი ან მისი  
ნაწილი ძალას კარგავს, თუ მიღებულია (გამოცემულია) ნორმატი-  
ული აქტი, რომელიც მას ძალადაკარგულად აცხადებს].

28. „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი  
ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 24 ივნისის  
კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ეს კანონი  
ანესრიგებს საცხოვრებელი სადგომის მესაკუთრესა და მოსარგებ-  
ლეს შორის 1921 წლის 25 თებერვლიდან 1997 წლის 25 ნოემბრამ-  
დე წარმოშობილ იმ ურთიერთობებს, რომლებიც სპეციალურ სა-  
მართლებრივ მოწესრიგებას მოითხოვს.

29. „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი  
ურთიერთობების შესახებ“ 2016 წლის 24 ივნისის საქართველოს  
კანონის მიღებისა და, შესაბამისად, ამავე კანონით 1998 წლის 25

იენისის კანონის ძალადაკარგულად ცნობის მიზანს წარმოადგენდა ამ უკანასკნელის მოქმედებისას საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების ხარვეზების აღმოფხვრა და საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობის მონაწილეთა შორის უფლება-მოვალეობათა ახლებური, უფრო სამართლიანი გადანაწილება (იხ. სუსგ №ას-137-2019, 6 მაისი, 2019 წელი).

30. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ახალი კანონით არ არის განსაზღვრული, რომელი კანონი უნდა იქნეს გამოყენებული საერთო სასამართლოების მიერ ძველი კანონის საფუძველზე შეტანილი სარჩელების განხილვისას ანუ ახალი კანონი არ შეიცავს გარდამავალ დებულებებს, რომლის საფუძველზეც სასამართლოს შეუძლია ახალი საკანონმდებლო აქტის ძალაში შესვლისას სასამართლოებში მიმდინარე დავების მოსაწესრიგებლად გამოიყენოს ძალადაკარგული კანონი.

31. მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო 2017 წლის 7 ნოემბერს, როდესაც უკვე ძალადაკარგული იყო ძველი კანონი და ამ დროს არც შესაბამისი სამართლებრივი ნორმა ძალაშია, რომელიც საშუალებას მისცემდა მას ეხელმძღვანელა ძალადაკარგული კანონით. თუმცა, სააპელაციო პალატამ მაინც ძალადაკარგული კანონის ნორმები გამოიყენა, რაც დაასაბუთა ორი საფუძველით: 1. ძველი კანონით დადგენილ რეგულაციებთან შედარებით ახალი რეგულაციებით გაუარესებული იყო მესაკუთრის მდგომარეობა და მიუთითა სსკ-ის მე-6 მუხლის მეორე წინადადებაზე, რომლის თანახმად, კანონს არ შეიძლება მიეცეს უკუქცევითი ძალა, თუ იგი ზიანის მომტანია ან აუარესებს პირის მდგომარეობას; 2. რამდენადაც მესაკუთრეს გამოყენებული ჰქონდა 1998 წლის 25 იენისის კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი უფლება და სარჩელით მოთხოვნილი ჰქონდა კომპენსაციის გადახდის სანაცვლოდ დასახელებულ საცხოვრებელ სადგომზე მოსარგებლის მფლობელობის უფლების შეწყვეტა, მესაკუთრემ განახორციელა კანონით მისთვის მინიჭებული უფლების რეალიზება და მისი ეს უფლება არ შეიძლება შეზღუდულიყო ახალი კანონის მიღებით ამოქმედებული რეგულაციებით, რომლებიც აუარესებდა მესაკუთრის მდგომარეობას.

32. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს ზემოთ მოყვანილი დასაბუთება არამართებულია, ვინაიდან განსახილველ შემთხვევაში ადგილი არ აქვს კანონის ნამდვილ უკუძალას.

33. იმისდა მიხედვით, თუ როგორი სახით ეხება კანონი წარსულში დასრულებულ ურთიერთობას ან წარსულში დაწყებულ და მიმ-

დინარე ურთიერთობას, ერთმანეთისაგან განასხვავებენ ნამდვილ (რეტროაქტიურ) და არანამდვილ (რეტროსპექტიულ) უკუძალას. ნამდვილი (რეტროაქტიური) უკუძალა სახეზეა, როდესაც კანონი მოგვიანებით, ანუ გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, ახორციელებს წარსულში მოწესრიგებული, ამონაშროული და რეალიზებული ფაქტობრივი ელემენტების ცვლილებას და ამით იჭრება მათ სფეროში. ნამდვილი უკუძალის მქონე კანონების არაკონსტიტუციურობა გამომდინარეობს კონსტიტუციით გარანტირებული თავისუფლების ფუნდამენტური უფლებებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან. უკუძალის აკრძალვის საფუძველი უკავშირდება სამართლიანი სახელმწიფოს იდეას, რამეთუ კანონისმიერი ნდობის პრინციპი, ამასთანავე, გულისხმობს კანონების სტაბილურად არსებობის პრინციპსაც: მას, ვისაც კანონი ეხება, უფლება აქვს ჰქონდეს მოლოდინი, რომ დარღვეული უფლება დარღვევის მომენტში არსებული კანონით გადაწყდება. სამოქალაქო ურთიერთობაში მონაწილე პირებს უნდა ჰქონდეთ კანონიერი ნდობა მოქმედი ნორმების მიმართ, რაც გულისხმობს იმას, რომ დღეს განხორციელებული მოქმედება მომავალში მიღებული კანონით არ იქნება გადაწყვეტილი. შესაბამისად, სამართლებრივი მდგომარეობის გამაუარესებელი კანონები, რომლებიც უკუქცევითი ძალით აწესრიგებენ უკვე ამონაშროულ გარემოებებს, როგორც წესი, არ შესაბამეობა სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს, რომლის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია სამართლებრივი სტაბილურობა, რაც, პირველ რიგში, ცალკეული მოქალაქის ნდობის დაცვას გულისხმობს, ნდობაში კი იგულისხმება ის, რომ აღიარებული, უცვლელი დარჩება უკვე ამონაშროულ ფაქტობრივ ელემენტებსა და გარემოებებთან დაკავშირებული სამართლებრივი შედეგები... გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, ნამდვილი უკუძალა ძირითად შემთხვევებში სრულად დაუშვებელია. ნამდვილი უკუძალა, რომელიც ერევა წარსულში დასრულებულ სამართლებრივ ურთიერთობაში, განსხვავდება ანმყო დროის, აქტუალური და ჯერ კიდევ ამონაშროავი ფაქტობრივი ელემენტების სამართლებრივ ურთიერთობათა სფეროში ჩარევისა და მათზე ზეგავლენისაგან (ე.წ. არანამდვილი, რეტროსპექტიული უკუძალა). ამ დროს სახეზეა წარსულში დაწყებულ და ანმყოში მიმდინარე სამართალურთიერთობაში ჩარევა. არანამდვილი უკუძალა ძირითადად დასაშვებია და კონსტიტუციასთან შესაბამისი... მაშასადამე, როგორც წესი, არანამდვილი უკუძალა დასაშვებია და დაუშვებელია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, ვინაიდან არ არსებობს ზოგადი აბსოლუტური ნდობის პრინციპი კანონების მუდმივ (შეუცვლელ) მოქმედებასთან დაკავშირებით და კანონმდებელს უნდა ჰქონდეს შე-

საძლებლობა საკანონმდებლო ჩარევებით მოახდინოს რეაგირება სახელმწიფოს წინაშე დამდგარი გამოწვევების დასარეგულირებლად. შესაბამისად, არ არსებობს აბსოლუტური ნდობა ნორმების სტაბილურობის მიმართ, ვინაიდან როგორც საზოგადოებრივ-სამართლებრივი ურთიერთობები, კანონებიც უნდა განიცდიდეს ცვლილებას. (იხ. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 1-146, თბილისი, 2017, მე-6 მუხლის განმარტება, გვ. 36-39).

34. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, არანამდვილი უკუძალა კანონთა დროში მოქმედების ბუნებრივი და აუცილებელი ფორმაა. აქ არ დგას საკითხი იმის შესახებ, კანონს მიეცეს თუ არა უკუძალა იმის მიხედვით, სუბიექტის მდგომარეობა უმჯობესდება თუ უარესდება. ორივე შემთხვევაში შეიძლება მიეცეს მას უკუძალა. ასეთი უკუძალა სინამდვილეში არცაა უკუძალა და მხოლოდ იმისი აღიარებაა, რომ ის ურთიერთობანი, რომლებიც ადრე წარმოიშვნენ მთლიანად ექცევიან ახალი კანონის ზემოქმედების ქვეშ... ვინაიდან არანამდვილმა უკუძალამ შეიძლება გამოიწვიოს სუბიექტის უფლებრივი მდგომარეობის შეცვლა, როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური მიმართულებით, სამართალშემფარდებელი ვალდებულება, მკვეთრად გამიჯნოს ერთმანეთისაგან კანონის ნამდვილი და არანამდვილი უკუძალა, რათა არ მოხდეს მათი ერთმანეთში აღრევა. საკმარისია ნამდვილი უკუძალა იქნეს გამოყენებული იქ, სადაც არაა მისი ადგილი, ყოველი ახალი კანონიდან, მის ძალაში შესვლამდე წარმოშობილი ურთიერთობების მიმართ გამოსაყენებელი იქნება მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც აუმჯობესებს სუბიექტის მდგომარეობას და ამდენად, კანონი ნაწილობრივ იქნება სავალდებულო სუბიექტისათვის. თუკი სამართალშემფარდებელი საპირისპიროდ მოიქცევა და არანამდვილ უკუძალას მიმართავს იქ, სადაც ნამდვილი უკუძალის ადგილია, საფრთხის ქვეშ აღმოჩნდება უკუძალის აკრძალვით დაცული სიკეთე და ახალი კანონები თავისი შედეგებით ყოველგვარი წინალობის გარეშე გავრცელება, როგორც წარსულზე, ისე მომავალზე, არანამდვილი უკუძალა შთანთქავს ნამდვილ უკუძალას და ადამიანები კონსტიტუციური დაცვის მიღმა დარჩებიან (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის №1/1/428,447,459 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქე ელგუჯა საბაური და რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ზვიად მანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-7,10).

35. ზემოაღნიშნული მსჯელობის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სახეზე არ არის კანონის ნამდვილი უკუძალა, ვინაიდან განსახილველ შემთხვევაში მესაკუთრესა და მოსარ-

გებლეს შორის არსებული ურთიერთობა, მართალია, წარმოიშვა წარსულში, ახალი კანონის ამოქმედებამდე, თუმცა, იგი ახალი კანონის ამოქმედების მომენტისთვის დასრულებული არ იყო და, შესაბამისად, ვინაიდან ახალი კანონი არ შეიცავს მისი ამოქმედების მომენტისთვის სასამართლოში მიმდინარე დავების მიმართ ძალადაკარგული კანონის გამოყენების თაობაზე გარდამავალ დებულებას, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მხარეთა შორის სააპელაციო სამართალწარმოების ეტაპზე არსებული დავა, რომელიც ჯერ არ იყო გადაწყვეტილი, ახალი კანონის საფუძველზე უნდა მოწესრიგებულიყო.

36. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სამართლოს გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია და, შესაბამისად, არსებობს მისი გაუქმების სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველი [გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული]. საკასაციო სამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილება გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი [სსსკ-ის 411-ე მუხლი]. ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს ამგვარი საფუძველები და არ არის საჭირო მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, საკასაციო პალატა უფლებამოსილია თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება. შესაბამისად, პალატა აუქმებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილებას და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელს არ აკმაყოფილებს.

37. როგორც ზემოთ აღინიშნა, დადგენილია, რომ მოპასუხეს საცხოვრებელი სადგომი დაკავებული აქვს საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგების საფუძველზე. ამასთან, მოპასუხე 30 წელზე მეტი ვადით (1975 წლიდან) უწყვეტად ფლობს საცხოვრებელ სადგომს.

38. საკასაციო სასამართლო მიუთითებს „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისა წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 24 ივნისის კანონის 2.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, მოსარგებლე არის პირი, რომელიც ამ კანონის ამოქმედების მომენტისათვის კეთილსინდისიერად ფაქტობრივად ფლობს საცხოვრებელ სადგომს მესაკუთრესთან სანოტარო წესის დაუცველად დადებული წერილობითი ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, ან პირი, რომელმაც მფლობელობის უფლება მიიღო საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფ-

ლების დათმობის შესახებ გარიგებით ან ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. ამავე კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსარგებლე, რომელიც არანაკლებ 30 წლის განმავლობაში უწყვეტად ფლობს საცხოვრებელ სადგომს და რომელმაც მფლობელობის უფლება მიიღო საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგებით, უფლებამოსილია მოითხოვოს საცხოვრებელი სადგომის გამოსყიდვა საცხოვრებელი სადგომის ღირებულების 25 პროცენტის ოდენობის კომპენსაციის გადახდის პირობით (საცხოვრებელი სადგომის გამოსყიდვის შესახებ სარჩელი). ხოლო, კანონის მე-7 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, თუ მესაკუთრეები ამ კანონის მე-4 და მე-5 მუხლებით გათვალისწინებულ მოსარგებლეებს წერილობით შესთავაზებენ შესაბამის საცხოვრებელ სადგომზე საკუთრების უფლების გადაცემას იმავე მუხლებით განსაზღვრული შესაბამისი კომპენსაციის გადახდის სანაცვლოდ, მოსარგებლეები ვალდებული არიან, გადაიხადონ კომპენსაცია ასეთი მოთხოვნების მიღებიდან 3 წლის ვადაში ან ამავე ვადაში წარადგინონ ამ კანონის მე-4 და მე-5 მუხლებით გათვალისწინებული სარჩელები. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულების შემთხვევაში მოსარგებლე კარგავს ამ კანონის მე-4 და მე-5 მუხლებით გათვალისწინებული სარჩელების წარდგენის უფლებას. ასეთ შემთხვევაში მესაკუთრე უფლებამოსილია სასამართლოს მეშვეობით მოსთხოვოს მოსარგებლეს მფლობელობის შეწყვეტა შესაბამისი საცხოვრებელი სადგომის ღირებულების 50 პროცენტის ოდენობის კომპენსაციის გადახდის პირობით. მფლობელობა შეწყდება კომპენსაციის სრულად გადახდის მომენტიდან.

39. ამდენად, კანონმდებელმა შემოიღო საცხოვრებელი სადგომის გამოსყიდვის ახალი წესი და ძველი კანონისგან განსხვავებით, რომლის თანახმად, საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგების არსებობისას მესაკუთრეს ჰქონდა უპირატესი უფლება, მოეთხოვა მოსარგებლისთვის საცხოვრებელი სადგომის მფლობელობის შეწყვეტა [ძველი კანონის მე-2 მუხლის მე-3 და მე-6 პუნქტები: თუ მხარეებს შორის არსებობს გარიგება საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ, მესაკუთრეს უფლება აქვს მოსარგებლეს მოსთხოვოს საცხოვრებელი სადგომის მფლობელობის შეწყვეტა, მხოლოდ მოსარგებლისთვის (ან თავდაპირველი მოსარგებლის უფლებამონაცვლისთვის) დაკავებული საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულების 75%-ის გადახდის შემთხვევაში. თუ მესაკუთრე უარს აცხადებს მოსარგებლისთვის ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული კომპენსაციის გადახდაზე, მოსარგებ-

ლეს უფლება აქვს მესაკუთრეს მოსთხოვოს შესაბამისი ანაზღაურების (დაკავებული საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულების 25%) სანაცვლოდ დაკავებულ საცხოვრებელ სადგომზე საკუთრების უფლების გადაცემა, ახალმა კანონმა უპირატესი უფლება, საცხოვრებელი სადგომის გამოსყიდვის უფლების სახით, საცხოვრებელი სადგომის ღირებულების 25 პროცენტის ოდენობის კომპენსაციის გადახდის პირობით მიანიჭა მოსარგებლეს, რომელიც არანაკლებ 30 წლის განმავლობაში უწყვეტად ფლობს საცხოვრებელ სადგომს.

40. გამომდინარე აქედან, საკასაციო პალატა, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, მიიჩნევს, რომ მოპასუხე ექცევა „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 24 ივნისის კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის რეგულირების ქვეშ და შესაბამისად, კანონით მას აქვს უპირატესი უფლება მოახდინოს საცხოვრებელი სადგომის გამოსყიდვის უფლების რეალიზება, ხოლო მესაკუთრეს მხოლოდ მოსარგებლის მიერ აღნიშნული უფლების გამოუყენებლობის შემთხვევაში მიენიჭება საცხოვრებელ სადგომზე მფლობელობის შეწყვეტის მოთხოვნის უფლება შესაბამისი საცხოვრებელი სადგომის ღირებულების 50 პროცენტის ოდენობის კომპენსაციის გადახდის პირობით. აღნიშნული მსჯელობის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

41. რაც შეეხება მოწინააღმდეგე მხარის (მოსარჩელის) მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს, საკასაციო პალატა მიუთითებს სსსკ-ის 407-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები. აღნიშნული ნორმა ადგენს საკასაციო სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების შეფასების პროცესულურ ფარგლებს და მისი მინაარსიდან გამომდინარეობს, რომ საკასაციო სასამართლოში ახალ ფაქტებზე მითითება და ახალი მტკიცებულებების წარმოდგენა არ დაიშვება. ამავე კოდექსის 104-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არა აქვთ. დასახელებული ნორმებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოწინააღმდეგე მხარეს უნდა დაუბრუნდეს საკასაციო სასამართლოში მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები (აღსრულებული).



ბის ეროვნული ბიუროს ოქმი ფაქტების კონსტატაციის შესახებ, ქორწინების მოწმობა) მთლიანობაში „07“ ფურცლად.

42. იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან [სსსკ-ის 53.1 მუხლის პირველი წინადადება].

43. ვინაიდან, მოპასუხის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, მოსარჩელეს მოპასუხის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ საკასაციო სასამართლოში განეული ხარჯის, საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის, 4 128,55 ლარის გადახდა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს საოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე, 411-ე მუხლებით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :**

1. ო. მ-ის შუამდგომლობა საქმის წარმოების შეჩერების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს;

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საქმის წარმოების შეჩერებაზე უარის თქმის შესახებ არ გასაჩივრდება;

3. ო. მ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

4. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

5. ა. ო-ნის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;

6. ა. ო-ნს (პ/ნ: ...) ო. მ-ის (პ/ნ: ...) სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ საკასაციო სასამართლოში განეული ხარჯის, საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის, 4 128,55 (ოთხი ათას ას ოცდარვა ლარისა და ორმოცდათხუთმეტი თეთრის) ლარის გადახდა;

7. ა. ო-ნს დაუბრუნდეს საკასაციო სასამართლოში მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები (აღსრულების ეროვნული ბიუროს ოქმი ფაქტების კონსტატაციის შესახებ, ქორწინების მოწმობა) მთლიანობაში „07“ ფურცლად;

8. საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო  
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6  
ტელ.: (995 32) 2 98 20 75  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)